

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია (ლექსიკოგრაფია)

თინათინ ვარდიძე

**პოლისემიური არსებითი სახელების უნივერსალური მოდელები
თანამედროვე ინგლისურსა და ქართულ ენებში და მათი სწავლების
ზოგიერთი ასპექტი**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი თინათინ მარგალიტაძე

თბილისი

2020

სარჩევი

აბსტრაქტი.....	iii
შინაარსი	vi
თვალსაჩინოებათა ჩამონათვალი.....	viii
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	xi
შესავალი	xii
თავი 1. ნაშრომის თეორიული წანამძღვრები	1
1.1. მნიშვნელობის პრობლემა.....	1
1.1.2. ლ. ზგუსტა მნიშვნელობის პრობლემაზე.....	2
1.2. მნიშვნელობის კვლევის ძირითადი მიმართულებები.....	8
1.2.1. ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკის როლი სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში	8
1.2.2. სტრუქტურალისტური სემანტიკის როლი სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში	11
1.2.3. კოგნიტიური სემანტიკის როლი სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში	14
1.3. პოლისემია, როგორც ლინგვისტური მოვლენა.	18
1.4. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურა	31
1.5. თ. მარგალიტაძის თეორია პოლისემიური სიტყვების მოდელების შესახებ	33
1.6. კვლევის მეთოდები.....	39
1.6.1. დეფინიციათა ანალიზის მეთოდი	39
1.6.2 მნიშვნელობის კონტექსტუალური ანალიზი.....	41
1.6.3 კვლევის კორპუსული მეთოდი	42
1.7. დასკვნა	48
თავი 2. არსებითი სახელების უნივერსალური მოდელები ინგლისურსა და ქართულ ენებში	53
2.1 პოლისემიური არსებითი სახელი „ხელი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	55
2.1.1. არსებითი სახელი HAND ინგლისურ ენაში.....	56
2.1.2. არსებითი სახელი „ხელი“ ქართულ ენაში.....	63
2.1.3. პოლისემიური არსებითი სახელის „ხელი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში	67
2.2. პოლისემიური არსებითი სახელი „თავი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	72
2.2.1 არსებითი სახელი HEAD ინგლისურ ენაში	72
2.2.2 არსებითი სახელი „თავი“ ქართულ ენაში.....	80
2.2.3 პოლისემიური არსებითი სახელის „თავი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში	84
2.3. პოლისემიური არსებითი სახელი „თვალი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	91

2.3.1. არსებითი სახელი EYE ინგლისურ ენაში.....	91
2.3.2. არსებითი სახელი „თვალი“ ქართულ ენაში.....	98
2.3.3 არსებითი სახელის „თვალი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	101
2.4 პოლისემიური არსებითი სახელი „პირი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	105
2.4.1. არსებითი სახელი MOUTH ინგლისურ ენაში.	106
2.4.2 არსებითი სახელი „პირი“ ქართულ ენაში.....	111
2.4.3 პოლისემიური არსებითი სახელის „პირი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში.	116
2.5 პოლისემიური არსებითი სახელი „გული“ ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	120
2.5.1 არსებითი სახელი HEART ინგლისურ ენაში.....	120
2.5.2 არსებითი სახელი „გული“ ქართულ ენაში.....	127
2.5.3 პოლისემიური არსებითი სახელის „გული“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში.	131
2.6 დასკვნა	136
თავი 3. პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების ზოგიერთი ასპექტი	140
3.1 კვლევის პრაქტიკული ნაწილი	140
3.1.1 კვლევის განხორციელების ეტაპები.....	141
3.2 დასკვნა	175
დასკვნა	177
გამოყენებული ლიტერატურა.....	188
სამეცნიერო ლიტერატურა.....	188
გამოყენებული ლექსიკონები	193
გამოყენებული ენათა კორპუსები.....	195
დანართები.....	196
დანართი 1 - გაკვეთილის გეგმები	196
დანართი 2 - კვლევის კითხვარები	212
დანართი 3 - წინარე ტესტის ნიმუში	218

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პრობლემა, როგორცაა პოლისემია და პოლისემიური სიტყვების უნივერსალური მოდელები. მე შევისწავლე პოლისემიური არსებითი სახელების უნივერსალური მოდელები მათი შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ინგლისურსა და ქართულ ენებში. ჩემი ნაშრომი დაეფუძნა თ. მარგალიტაძის მიერ აღწერილ პოლისემიის უნივერსალურ მოდელებს (მარგალიტაძე, 1982; 2006; 2020), კერძოდ კი არსებითი სახელის მზისებრ მოდელებს. კვლევა ჩატარდა რამდენიმე თემატური ჯგუფის არსებით სახელებზე. ეს არსებითი სახელებია: სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელები, სახის ნაკვეთების აღმნიშვნელი არსებითი სახელები და შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი არსებითი სახელები. კვლევა წარმართე სალექსიკონო დეფინიციათა ანალიზის მეთოდის, კონტექსტუალური ანალიზის მეთოდისა და კორპუსული მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჩემი კომპლექსური კვლევის შედეგები ნაშრომში წარმოდგენილია არსებითი სახელების „თავი“, „პირი“, „ხელი“, „თვალი“ და „გული“-ს მაგალითზე. კვლევამ დაადასტურა, რომ მზისებრი მოდელი არის არსებითი სახელის ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებში და გამოვლინდა აღნიშნული მოდელის ორი სახესხვაობა: **კლასიკური მზისებრი მოდელი** და **გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი**. ყოველი სიტყვის ანალიზს ახლავს მისი გრაფიკული გამოსახულება ორივე ენაში.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ჩემ მიერ შემუშავებული პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების მეთოდიკა მოცემულ მოდელებზე დაყრდნობით. აღნიშნული მეთოდიკა ეფუძნება არაერთ გაკვეთილს საჯარო სკოლის როგორც მაღალ, ისე დაბალ კლასებში, რომლებიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩავატარე (2016-2020). დავამუშავე არაერთი გაკვეთილის გეგმა, მოვამზადე ვიდეორგოლები, რაც დაინტერესებულ ინგლისური ენის მასწავლებლებს დაეხმარება ამ მეთოდიკის გამოყენებაში. რამდენიმე გაკვეთილის გეგმა სადისერტაციო ნაშრომსაც აქვს დართული. ნაშრომში დასაბუთებულია აღნიშნული მეთოდის უპირატესობა ლექსიკის სწავლების ტრადიციულ მეთოდთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: პოლისემიური არსებითი სახელები, მზისებრი მოდელი, კონტექსტუალური ანალიზი, სემანტიკური კომპონენტები, სემანტიკური სტრუქტურა, დეფინიციები, კორპუსული მეთოდი.

Abstract

This paper explores one of the most important and intriguing aspects of lexical meaning namely, polysemy and the universal models of polysemy. Through comparative analysis in English and Georgian Languages, I investigated universal models of polysemous nouns. The study is based on universal models of polysemy described by T. Margalitadze (Margalitadze, 1982; 2006; 2020), namely the solar model of polysemous nouns.

The research was carried out on the nouns of several thematic groups: the nouns denoting the parts of the body, the nouns of facial parts and the nouns denoting internal organs. The study was conducted using the following methods: analysis of dictionary definitions (definitional method of analysis), contextual analysis and the corpus research method.

The results of the comparative study are presented on the examples of the following nouns: head, mouth, hand, eye and heart. The research proved that the solar model is one of the universal models of nouns in English and Georgian language as well, furthermore, two sub types of the model were identified: **classical solar model** and **long-ray solar model**. The analysis of each word is followed by a graphic illustration of the word in both languages.

The study also presents a new method that I developed on how to teach polysemous nouns based on the models described. This method was developed based on a number of lessons conducted with high school students as well as elementary school students between 2016-2020. I designed a number of lesson plans and developed a video that will serve as a guide for interested teachers of English on how to use the method. A few lesson plans are also included in the appendix of this paper. The study verifies the advantages of the method offered by me over the traditional method of teaching lexis.

Key words: Polysemous nouns, solar model, contextual analysis, semantic components, semantic structure, definitions, corpus-based research.

შინაარსი

ნაშრომი შედგება სამი ძირითადი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან, ასევე ნაშრომს დანართის სახით თან ერთვის კვლევის ფარგლებში შემუშავებული სხვადასხვა რესურსი: კითხვარები, ტესტები, გაკვეთილის გეგმები და სხვა. პირველი თავი ეძღვნება საკვლევი საკითხის თეორიულ წანამდგვრებს, სადაც წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერების მიდგომები სიტყვის მნიშვნელობის კვლევისადმი, განხილულია მნიშვნელობის კვლევის პარადიგმა, ასევე პოლისემიის რაობა, მისი წარმოშობისა და განვითარების მიზეზები, მიდგომები პოლისემიის კვლევაში. ამავე თავში წარმოდგენილია ჩემი ნაშრომის ერთ-ერთი თეორიული საფუძველი, პროფესორ თინათინ მარგალიტაძის თეორია სხვადასხვა მეტყველების ნაწილების პოლისემიური მოდელების შესახებ და მის მიერ შესწავლილი არსებითი სახელის მზისებრი მოდელი, რომლის უნივერსალურობა დასტურდება ჩემი კვლევის ფარგლებში (მარგალიტაძე 1982; 2006; 2020). ამავე თავში განხილულია ჩემ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები: დეფინიციათა ანალიზის მეთოდი, კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი და კორპუსული მეთოდოლოგია.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება პოლისემიური არსებითი სახელების შეპირისპირებითი კვლევის ანალიზს ინგლისურსა და ქართულ ენებში. წარმოდგენილია ხუთი (ხელი, თავი, პირი, თვალი, გული) არსებითი სახელი, გაანალიზებულია მათი დეფინიციები საკვლევი ენებში და შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე განხილულია მსგავსება-განსხვავებები მნიშვნელობებს შორის, რაც იძლევა საშუალებას წარმოვადგინოთ პოლისემიურ მნიშვნელობათა კომპლექსური სემანტიკური სტრუქტურის საერთო სურათი ილუსტრირებული მოდელის სახით.

მესამე თავში წარმოდგენილია კვლევის პრაქტიკული ნაწილი, კერძოდ შესწავლილი პოლისემიური მოდელის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში. ამ თავში განხილულია კვლევის მიმდინარეობის ეტაპები, განხორციელებული აქტივობები, წარმოდგენილია საკლასო ექსპერიმენტი, რაც ასაბუთებს ჩემ მიერ წარმოდგენილი

პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების მეთოდის ეფექტიანობას ძველი, ტრადიციული დაზეპირების მეთოდთან შედარებით.

ნაშრომის ბოლოს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა, სხვადასხვა ქართული თუ ინგლისურენოვანი წყაროები, პუბლიკაციები და ონლაინ-რესურსები.

დანართის სახით ნაშრომს თან ერთვის ჩემ მიერ შემუშავებული მასალა: კითხვარი მასწავლებლებისათვის, კითხვარი მოსწავლეებისათვის, სამი პრაქტიკული გაკვეთილის გეგმა მოცემული არსებითი სახელების სწავლებისათვის დაბალ და მაღალ კლასებში და ასევე გზამკვლევი მასწავლებლებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდი ტექსტის 239 გვერდს.

თვალსაჩინოებათა ჩამონათვალი

ფიგურები

ფიგურა 1. ოგდენისა და რიჩარდსის სამკუთხედი.....	6
ფიგურა 2. პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების ერთგანზომილებიანი მოდელი.....	35
ფიგურა 3. პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების მრავალგანზომილებიანი, ეკვიპოლენტური მოდელი.....	36
ფიგურა 4. პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების მრავალგანზომილებიანი, კიბისებური მოდელი.....	37
ფიგურა 5. პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების მრავალგანზომილებიანი, შერეული მოდელი.....	37
ფიგურა 6. პოლისემიური არსებითი სახელების მზისებრი მოდელი.....	38
ფიგურა 7. არსებითი სახელი head-ის სკეჩი კორპუსში enTenTen13.....	45
ფიგურა 8. არსებითი სახელი head-ის კონკორდანსი კორპუსში British National Corpus...	46
ფიგურა 9. არსებითი სახელი head-ის მაგალითები BNC-ის კორპუსის მიხედვით.....	47
ფიგურა 10. პოლისემიური არსებითი სახელი hand, კლასიკური მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.....	62
ფიგურა 11. პოლისემიური არსებითი სახელი „ხელი“, კლასიკური მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.....	66
ფიგურა 12. კლასიკური მზისებრი მოდელი hand - ხელი.....	67
ფიგურა 13. არსებითი სახელი hand-ისა და „ხელი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	68
ფიგურა 14. პოლისემიური არსებითი სახელი head, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.....	79
ფიგურა 15. პოლისემიური არსებითი სახელი „თავი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.....	83
ფიგურა 16. გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი head - თავი.....	85

ფიგურა 17. არსებითი სახელი head-ისა და „ხელი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	90
ფიგურა 18. პოლისემიური არსებითი სახელი eye, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.	97
ფიგურა 19. პოლისემიური არსებითი სახელი „თვალი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.....	101
ფიგურა 20. გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი eye -თვალი.	102
ფიგურა 21. არსებითი სახელი eye-სა და „თვალი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	105
ფიგურა 22. პოლისემიური არსებითი სახელი mouth, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.	110
ფიგურა 23. პოლისემიური არსებითი სახელი „პირი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.....	115
ფიგურა 24. გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი mouth - პირი.....	116
ფიგურა 25. არსებითი სახელი mouth-ისა და „პირი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	119
ფიგურა 26. პოლისემიური არსებითი სახელი heart, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.	126
ფიგურა 27. პოლისემიური არსებითი სახელი „გული“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.....	130
ფიგურა 28. გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი heart - გული.....	131
ფიგურა 29. არსებითი სახელი heart-ისა და „გული“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	134
ფიგურა 30. წინარე ტესტის ნიმუში.....	168
ფიგურა 31. წინარე ტესტისა და შემდგომი ტესტის შედეგები.	169
ფიგურა 32. ონლაინ რესურსი - ვიდეორგოლი „როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები დაბალ კლასებში“.....	172
ფიგურა 33. კომენტარები ვიდეორგოლზე სოციალური მედიიდან Facebook-ი.....	173

ფიგურა 34. ონლაინ რესურსი, ვიდეორგოლი - „როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები მაღალ კლასებში“..... 174

ფიგურა 35. კომენტარები ვიდეორგოლზე სოციალური მედიიდან Facebook-ი..... 174

ცხრილები

ცხრილი 1. კვლევის პრაქტიკული ნაწილის განხორციელების ეტაპები..... 142

ცხრილი 2. თვით-შეფასების ფორმა..... 151

აბრევიატურების ჩამონათვალი

OED – Oxford English Dictionary on Historical Principles ოქსფორდის დიდი ლექსიკონი ისტორიულ პრინციპებზე.

WEB – Marriam Webster’s Online Dictionary მერიამ უებსტერის ონლაინ ლექსიკონი

TBM – Translation-Based Method თარგმანზე დაფუძნებული მეთოდი

SBA – Similarity-Based Approach მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდი

L1 – Language 1 პირველი (მშობლიური) ენა

L2 – Language 2 მეორე უცხო ენა

ESL – English as a Second Language ინგლისური, როგორც მეორე ენა

შესავალი

საკვლევი პრობლემა. ინგლისური ენის მაღალპოლისემიურობა საყოველთაოდ ცნობილია. ვიცით რომ ჩვეულებრივ, ინგლისურ სიტყვებს რამდენიმე მსგავსი, განსხვავებული ან საპირისპირო მნიშვნელობაც კი შეიძლება ჰქონდეს. ერთმნიშვნელობიანი სიტყვა ენაში ძალიან ცოტაა. მაგალითად სიტყვა „eye“ დიდი ოქსფორდის ლექსიკონში (OED) 30 მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, ამათგან, თითქმის ყველა მნიშვნელობასთან ორი ან სამი ქვემნიშვნელობა იკვეთება. ენათმეცნიერთა გამოთვლით ინგლისური სიტყვების 40% პოლისემიურია, რაც მ. მერფის (Murphy, 2010) აზრით მიუთითებს იმ ფაქტზე რომ სემანტიკური ცვლილებები ხშირად ამატებს მნიშვნელობებს ენაში სხვა მნიშვნელობების ამოღების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვას ბევრი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, პოლისემიური სიტყვები არასოდეს არის ქაოსური და მათი მნიშვნელობები ყოველთვის ურთიერთდამოკიდებულია. ეს ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ხასიათისაა, რაც ქმნის სწორედ განსხვავებულ მოდელებს. სიტყვათა პოლისემიური მოდელების კვლევა მეტად რთული პროცესია, რადგან ის მოითხოვს იმ კოგნიტიური მექანიზმების სიღრმისეულ კვლევას, რაც ოპერირებს ენაში. პოლისემიური მნიშვნელობების წარმოშობა დაკავშირებულია სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურასთან, იმ სემანტიკურ კომპონენტებთან, რომლებიც მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოიყოფა. ამდენად პოლისემიური სიტყვის მოდელის შესწავლა თავისთავად გულისხმობს რთული შემეცნებითი პროცესების ანალიზს და მათ აღწერასა და წარმოჩენას. გარდა წმინდად თეორიული ინტერესისა, პოლისემიის კვლევას აქვს მნიშვნელოვანი გამოყენებითი მხარეც, რაც მათ სწავლებას უკავშირდება. პოლისემიური სიტყვები ხშირად იწვევს დაბნეულობას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიტყვის მნიშვნელობა განსხვავებულია ძირითადი მნიშვნელობისაგან, იმ მნიშვნელობისაგან, რომელიც ინგლისური ენის შემსწავლელმა უკვე იცის. მნიშვნელობის გასარკვევად იგი ლექსიკონს მიმართავს, აქ კიდევ უფრო მეტი სირთულე წარმოიქმნება. სიტყვებს ერთენოვან ლექსიკონებში რამდენიმე დეფინიცია აქვთ, ხოლო ორენოვან ლექსიკონებში რამდენიმე ეკვივალენტი მეორე ენაზე. ჩემთვის, როგორც პრაქტიკოსი

მასწავლებლისთვის ეს პრობლემა კარგადაა ცნობილი. სწორედ ამიტომ, ჩემი თეორიული კვლევა გავაგრძელე პრაქტიკაში და ჩემ მიერ შესწავლილი და აღწერილი მოდელები გარდავექმენი პოლისემიური სიტყვების სწავლების მეთოდად, რადგან მიმაჩნია, რომ სწორედ პოლისემიაა ის მიზეზი, რის გამოც სიტყვების დაზეპირების ტრადიციული მეთოდი მათ სწავლებაში არ გამოგვადგება.

საკითხის აქტუალურობა. თემის აქტუალურობას განსაზღვრავს შემდეგი: პოლისემიური არსებითი სახელების სწავლება ჯერ კიდევ წარმოადგენს სირთულეს. სწავლების პროცესში მასწავლებლების უმრავლესობა (რაც დადასტურდა ჩემი კვლევით) კვლავ ვარჩევთ ტრადიციული დაზეპირება-გამოკითხვის მეთოდს, რაც ნაკლებად არის შედეგიანი, რადგან მოსწავლეთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ნასწავლი სიტყვები მალევე ავიწყდებათ (ასევე დადასტურდა ჩემი კვლევის ფარგლებში). არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი პოლისემიური სიტყვების სწავლების მეთოდი, თუ როგორ გამოვიყენოთ პოლისემია საკლასო ოთახში, როგორ წარმოვაჩინოთ სიტყვების მნიშვნელობათა შორის არსებული დამაკავშირებელი „მაფები“. უფრო მეტიც, პოლისემია როგორც ფენომენი, უცნობია მოსწავლეთა დიდი უმრავლესობისათვის და, ზოგიერთ შემთხვევაში, მასწავლებლებისათვისაც არა მხოლოდ ინგლისურ ენაში, არამედ მათ მშობლიურ, ქართულ ენაშიც კი. პოლისემიის გააზრებისა და სწავლების უგულვებელყოფა ბევრ პრობლემას წარმოშობს ინგლისური ენის სწავლების პროცესში, ასევე მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის ქართულად თარგმნის თვალსაზრისით.

ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს პოლისემიური არსებითი სახელების სიღრმისეული კვლევა ორ არამონათესავე ენაში მათი შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შედეგად შემუშავებულია პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების მეთოდი. ექსპერიმენტულად დადასტურდა აღნიშნული მეთოდის უპირატესობა და პროდუქტიულობა გავრცელებულ ტრადიციულ მეთოდთან შედარებით.

კვლევის მიზანი. ნაშრომის მიზანია: პოლისემიური არსებითი სახელების სიღრმისეული კვლევა ინგლისურ და ქართულ ენებში; პოლისემიური არსებითი სახელების მზისებრი მოდელის უნივერსალურობის დადგენა ინგლისურ და ქართულ ენებში; პოლისემიის თავისებურებების გაანალიზება ინგლისურ და ქართულ ენებში; ჩატარებული კვლევის საფუძველზე პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების მეთოდის შემუშავება საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის; აღნიშნული მეთოდის ეფექტიანობის დადგენა ექსპერიმენტის გზით.

საკვლევი საკითხები:

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი საკვლევი საკითხები:

- სამი თემატური ჯგუფის არსებითი სახელების პოლისემიური სტრუქტურების დეტალური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში, ეს ჯგუფებია: ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (თავი, ხელი), სახის ნაკვთების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (თვალი, პირი) და ადამიანის შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (გული);
- მოცემული არსებითი სახელების პოლისემიური მნიშვნელობების სრულად აღწერა ინგლისურ და ქართულ ენებში;
- მოცემული არსებითი სახელების სემანტიკური სტრუქტურების აღწერა, მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტების გამოვლენა და მათი მიმართების დადგენა სიტყვათა გადატანით მნიშვნელობებთან ინგლისურსა და ქართულ ენებში;
- მოცემული არსებითი სახელების პოლისემიური მოდელების დადგენა ინგლისურსა და ქართულ ენებში და მათი შეპირისპირებითი ანალიზი;
- აღწერილი მოდელების საფუძველზე პოლისემიური სიტყვების სწავლების მეთოდის დამუშავება;
- აღნიშნული მეთოდის ეფექტიანობის ექსპერიმენტულად შემოწმება საშუალო სკოლის მოსწავლეებთან.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდეგში: წარმოდგენილია პოლისემიური არსებითი სახელების სიღრმისეული კვლევის შედეგები, რომელიც წარმოაჩენს სიტყვის მნიშვნელობის გადატანის კოგნიტიურ მექანიზმებს; ამ თვალსაზრისით მოცემულია შეპირისპირებითი კვლევა ქართული და ინგლისური ენების მასალაზე; გამოვლენილია არსებითი სახელების უნივერსალური მოდელები ორ არამონათესავე ენაში და გაანალიზებულია მიღებული შედეგები; ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულია პრაქტიკული, პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების განსხვავებული, შედეგზე-ორიენტირებული მეთოდი, რაც მიზნად ისახავს სიტყვების მნიშვნელობათა დასწავლას მათ შორის არსებული კავშირების დადგენის, აღქმა-გააზრების საფუძველზე, რომელიც განსხვავებით ტრადიციული დაზეპირების მეთოდისაგან საშუალებას აძლევს მოსწავლეს აღიქვას წარმოქმნილი მნიშვნელობის სემანტიკური კავშირი ძირეულ, მთავარ მნიშვნელობასთან ან სხვა მნიშვნელობასთან და ნასწავლი მნიშვნელობა დაიმახსოვროს უფრო ეფექტიანი გაგება-გააზრების საშუალებით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს პოლისემიური არსებითი სახელების წარმოქმნის კოგნიტიური მექანიზმების აღწერასა და წარმოჩენაში ინგლისურსა და ქართულ ენებში და ამ ორ ენაში პოლისემიური არსებითი სახელების უნივერსალური მოდელების დადგენაში. აღნიშნული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტების ინგლისური და ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტებზე ლექსიკოლოგიის კურსების სწავლებისას.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებული/განხორციელებული პრაქტიკული, ლექსიკის სწავლების ახალი მეთოდი კი ადასტურებს ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას. ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გამოავლინა აღნიშნული მეთოდის ეფექტურობა და ჩემ მიერ დამუშავებული რესურსები: ტესტები, გაკვეთილის გეგმები, ვიდეორგოლები და სხვა მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასკოლო ლიტერატურაში პოლისემიური არსებითი სახელების სწავლებისას.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებულია დეფინიციათა ანალიზის მეთოდი (Arnold 1966; Margalitadze 2014; 2020), რომლის მეშვეობითაც ვიკვლევდით პოლისემიური არსებითი სახელების მნიშვნელობების სემანტიკურ სტრუქტურებს და გამოვყოფდით მათში სემანტიკურ კომპონენტებს. ანალიზისათვის ძირითადად დავყვარდებით ოქსფორდის დიდ ლექსიკონს ისტორიულ პრინციპებზე, უებსტერის ვრცელ ლექსიკონს, ინგლისური ენის სხვა ლექსიკონებს, რომლებიც მითითებულია ბიბლიოგრაფიაში. ქართული მასალის ანალიზისას ძირითადად ვიხელმძღვანელებთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით („ქეგლი“).

არსებითი სახელების პოლისემიური სტრუქტურის დასადგენად გამოვიყენეთ კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი (Firth, 1968) და კორპუსული კვლევის მეთოდი (McEnery & Hardie, 2011).

ინგლისური მასალის საკვლევად ძირითადად დავყვარდებით საძიებო პროგრამის sketchengine.co.uk კორპუსებს, უფრო კონკრეტულად, გამოვიყენეთ ორი დიდი კორპუსი: British National Corpus (BNC) და English Web 2013, (enTenTen13), სადაც მოცემულია ამა თუ იმ სიტყვის ლექსიკური და სინტაქსური შესატყვისობების სრული სურათი, სიტყვის „სკეჩი“, ხოლო ქართული არსებითი სახელების ანალიზისათვის მივმართეთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსს (www.gnc.gov.ge) და ლიდსის უნივერსიტეტის ქართული ენის ვებკორპუსს (www.corpus.leeds.ac.uk).

ნაშრომის თეორიული საფუძვლები. ნაშრომი ეფუძნება პროფესორ თინათინ მარგალიტაძის კვლევებს, რომლებშიც აღწერილია სხვადასხვა მეტყველების ნაწილების პოლისემიის უნივერსალური მოდელები და წარმოდგენილია მათი კვლევის მეთოდოლოგია (მარგალიტაძე, 1982; 2006; Margalitadze 2014; 2020). ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ლ. ზგუსტას სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის თეორია (Zgusta, 1971), დ. გეერარტის ლექსიკური სემანტიკის თეორიები (Geeraerts, 2010), სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურასთან დაკავშირებული თეორიები: მ. იანქოშვილის (იანქოშვილი, 1972), ვ. გაკის (Гак, 1977), ი. ნაიდას (Nida, 1975), თ. მარგალიტაძის (Margalitadze, 2018; 2020).

“If I accomplish nothing else in this story, I hope I will persuade you that human language is so vague and ambiguous that only a very clever brain could possibly understand it” (Miller, 2001, p. 1)

თავი 1. ნაშრომის თეორიული წანამძღვრები

ამ თავში განვიხილავთ მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ქმნის ჩვენი კვლევის თეორიულ წანამძღვრებს. ასევე მიმოვიხილავთ პოლისემიის რაობას, მისი წარმოშობის მიზეზებს, სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურას და ჩვენ მიერ კვლევის ფარგლებში გამოყენებულ მეთოდებს.

1.1. მნიშვნელობის პრობლემა

კომუნიკაცია არის ენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც მყარდება მაშინ, როდესაც ორი ინდივიდი ცდილობს სათქმელის მნიშვნელობის გადმოცემას. რა არის მნიშვნელობა? რა შეიძლება იყოს მნიშვნელობის მატარებელი? შეიძლება ეს იყოს სიტყვა? ჟესტიკულაცია? ან იქნებ რაიმე მანიშნებელი სიმბოლო? მათ ყველას რაღაც აქვს საერთო როდესაც მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ - შესაძლოა სამივეს ჰქონდეს ვიზუალური მხარე. სიტყვის შემთხვევაში ვხედავთ ასოებს, ნაწერს, სიმბოლოს შემთხვევაში - გამოსახულებას, ხოლო ჟესტიკულაციის შემთხვევაში - ხილულ სხეულის ენას. მათი საერთო ნიშან-თვისება ალბათ არის ის რომ ყველა რაღაცას მიგვითითებს და ამას ვუწოდებთ მნიშვნელობას. მნიშვნელობის პრობლემა მუდამ იყო და არის კვლევის საგანი, რადგან არ არსებობს ენა, სადაც არ ხდება მუდმივი ცვლა, მნიშვნელობათა არეალის ზრდა, ახალი სიტყვების დამატება, არსებული მნიშვნელობების გაფართოება. სიტყვა - ეს არის ნიშანი, ასოთა კომბინაცია, რომელზეც თანხმდება ენობრივი კოლექტივი რაიმე ცნების აღსანიშნად. სიტყვის მნიშვნელობა მის ფორმაში კი არ იკითხება, არამედ ადამიანის გონებაში ვინც მას იყენებს. აქედან გამომდინარე სიტყვა არ არის რეალობა, ის უბრალოდ წარმოადგენს რეალობას. ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ლექსიკურ მნიშვნელობას იკვლევს სემანტიკა/სემასიოლოგია ეწოდება. სემანტიკა გვებმარება

გავერკვეთ იმაში, თუ რა არის სიტყვის მნიშვნელობა. ჯორჯ იულის (Yule, 1996) მიხედვით სემანტიკა ამყარებს კავშირს ვერბალურ და აღწერილობით მხარეს შორის, რომელიც გამოიხატება საუბარსა თუ წერილობით ფორმაში. ხოლო პრაგმატიკა იკვლევს ფორმასა და მის მომხმარებელს რომელიც სხვადასხვა ფორმით იყენებს მას. პრაგმატიკა იკვლევს არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული წინადადების მნიშვნელობას, არამედ მის კავშირს დაფარულ მნიშვნელობასთან. „სიტყვის მნიშვნელობა სწორედ ცნებაა და არა რაღაც გაუგებარი მიმართება ბგერასა და საგანს შორის“ (ნებიერიძე, 1991, გვ. 218).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მთელი რიგი სირთულეებისა, რაც სიტყვის მნიშვნელობის კვლევას უკავშირდება. ამ თავში განვიხილავთ სიტყვის მნიშვნელობის კვლევის რამდენიმე მიმართულებას.

1.1.2. ლ. ზგუსტა მნიშვნელობის პრობლემაზე

მნიშვნელობა იცვლება დროთა განმავლობაში, სიტყვა იძენს დამატებით მნიშვნელობებს, ასევე იცვლება მისი კვლევის პარადიგმა. როგორც ზგუსტა (1971) წერს, ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ლექსიკური მნიშვნელობის ბუნებაში მენტალური პროცესებია ჩართული და ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს ირჩევს. ზოგი მეცნიერის აზრით მნიშვნელობა არის თავად ენობრივი ფორმა, რომელიც რაღაცას აღნიშნავს, ზოგისთვის კონტექსტია ძირითადი მნიშვნელობის მქონე, სხვები კი სემანტიკას ანიჭებენ უპირატესობას.

მნიშვნელობის კვლევისას აუცილებელია სემანტიკური სტრუქტურის კვლევა. ზგუსტა მიიჩნევს, რომ რაც უფრო მეტი იცის ლექსიკოგრაფმა სიტყვების სემანტიკურ ნიშან-თვისებებზე, მით უკეთესად გაართმევს თავს მის საქმეს. მისივე თქმით, მნიშვნელობის პრობლემა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ლექსიკოგრაფის სამუშაო. ალბათ გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე წმინდად ლინგვისტური კვლევა, რადგან ის მოიცავს ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის და სხვა მიდგომების ერთობლიობას.

მნიშვნელობის პრობლემა მუდამ იყო კვლევის საგანი და მას მრავალი კუთხით იკვლევდნენ. სიტყვის მნიშვნელობის ევოლუციას, განვითარებას, მათ კლასიფიკაციას, აგრეთვე სემანტიკური ცვლილებების მექანიზმებს იკვლევდა ისტორიულ-

ფილოლოგიური სემანტიკა, რომელიც მოიცავს პერიოდს 1830 წლიდან 1930 წლამდე. ისტორიული - მიუთითებს ძირითადი საკვლევე ობიექტის, სიტყვის მნიშვნელობის ისტორიულ ცვლილებას. ხოლო ფილოლოგია - შეისწავლის იმ კულტურულ და ისტორიულ ფონს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ კარგად გავიაზროთ სხვადასხვა ეპოქების ტექსტები, და შევძლოთ მათი სწორი ინტერპრეტაცია. შემდეგ გაჩნდა სტრუქტურალისტური სემანტიკა, გენერატივისტული სემანტიკა და ასე იცვლებოდა მიდგომები მნიშვნელობის პრობლემის კვლევაში.

სიტყვის მნიშვნელობის კვლევა გაძლიერდა ლექსიკოგრაფიის განვითარებასთან ერთად. მე-18 საუკუნიდან ორენოვან ლექსიკონებთან ერთად იქმნება ერთენოვანი/განმარტებითი ლექსიკონებიც. განსხვავებით ორენოვანი ლექსიკონებისაგან, ერთენოვანი ლექსიკონები დეტალურად განმარტავენ სიტყვის მნიშვნელობას, რომელიც ეფუძნება საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების კორპუსს. მჭიდრო კავშირია ისტორიულ-ფილოლოგიურ სემანტიკასა და ლექსიკოგრაფიას შორის, რადგან ლექსიკური სემანტიკის საყრდენი მასალა სწორედ ლექსიკონებში იყო წარმოდგენილი.

ზგუსტა (1971) ყურადღებას ამახვილებს ლექსიკური მნიშვნელობის კვლევის რამდენიმე პრობლემაზე და განსაკუთრებით ხაზს უსვამს შემდეგს: მისი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა არის გამოწვეული იმ გარემოებით, რომ ჩვენ ვცდილობთ მოვიპოვოთ ცოდნა სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაზე და აღვწეროთ იგი ენის სისტემურ დონეზე, მაშინ როცა ჩვენი პირდაპირი ინფორმაციის ძირითადი წყარო არის კონკრეტული გამონათქვამები (utterances).

ლ. ზგუსტა გამოყოფს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის შემდეგ კომპონენტებს:

- 1) The designation - ცნება, სიგნიფიკატი
- 2) The connotation - კონოტაცია
- 3) The range of application - გამოყენების არეალი

პირველის შემთხვევაში იგი გულისხმობს კონკრეტულ სიტყვებსა და ექსტრალინგვისტურ სამყაროს კონკრეტულ სემენტებს შორის არსებულ ყველა კავშირს, ისე, როგორც მას აღიქვამს მოცემულ ენაზე მოსაუბრე. თავად საგანი, უფრო ზუსტად

საგნების კლასი, რომელთანაც სიტყვას აქვს ამ სახის კავშირი, ხშირად მოიხსენიება როგორც დენოტატი (denotatum).

რა თქმა უნდა არ იქნება სწორი თუ ვიფიქრებთ, რომ სიტყვასა და ობიექტს შორის არის პირდაპირი კავშირი. პირიქით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სემანტიკაში არის ის, რომ კავშირი სიტყვასა და დენოტატს შორის არ არის პირდაპირი, სიტყვასა (ლექსიკურ ერთეულს) და დენოტატს შორის არის ცნება (designatum).

ცნება არის მოცემული ენობრივი კოლექტივის წარმოდგენა გარე სამყაროს ამა თუ იმ სეგმენტზე.

სიტყვის მნიშვნელობის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ცნების თავისებურებიდან გამომდინარე, ყოველი ენა სამყაროს თავისებურად ანაწევრებს. ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავს გარკვეული მსგავსებების არსებობას სხვადასხვა ენაში, რასაც ჩვენ მეორე თავში დეტალურად განვიხილავთ, თუმცა განსხვავებები მეტად საგულისხმოა. ზუსტად ისე, როგორც ენები განსხვავდება ერთმანეთისაგან დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, ისევე განსხვავდება ცნებები. ამ ფენომენს ქართველი ენათმეცნიერი გ. ნებიერიძე მოიხსენიებს როგორც ენის დანაწევრებას, ენა ანაწევრებს აზროვნებას, წარმოდგენებს გარდაქმნის ცნებებად. „სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სიმრავლეს და არცერთი ენა არ მიჰყვება საყოველთაო სქემას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი უნივერსალური სქემა არ არსებობს (ნებიერიძე, 1991, გვ. 218).“

ენათა მიერ სამყაროს განსხვავებულად აღქმის მაგალითად ლ. ზგუსტას (1971) მოჰყავს საინტერესო მაგალითები. ადამიანის ზედა და ქვედა კიდურები იდენტურია ადამიანის სახეობისათვის მიუხედავად კანის ფერისა, ზომისა, სილამაზისა და ა.შ. ეს იდენტური ფიზიკური რეალობა, იგივენაირად არ არის აღქმული სხვადასხვა ენაზე მოსაუბრის მიერ. ინგლისურში მთლიანი ზედა კიდური არის arm, ფრანგულში bras გერმანულში Arm, თითებიანი ხელი ინგლისურში hand, ფრანგულში main, გერმანულში Hand, მსგავსი მდგომარეობაა leg-ის აღქმისას. სლავურ ენებში კიდურები აღიქმება როგორც ერთი

მთლიანი. ჩეხურ ენაში ზედა კიდურს ეწოდება ruka და ქვედას noha, დამატებითი დაყოფის გარეშე.

ფაქტი, რომ ფიზიკური რეალობა სხვადასხვა ენაში განსხვავებულადაა აღქმული, ასევე კარგად ჩანს ფერების მაგალითზე, ბრენტ ბერლინისა და პოლ ქეის ყველაზე ხშირად განხილულ მაგალითზე ლინგვისტურ ლიტერატურაში (Berlin & Kay, 1969).

როგორც ზგუსტა სამართლიანად აღნიშნავს, ეს განსხვავება ენებს შორის არის სწორედ ორენოვანი ლექსიკოგრაფიის სერიოზული პრობლემა.


სხვადასხვა ენა რომ სხვადასხვანაირად ანაწევრებს სამყაროს, ამის საილუსტრაციოდ ნებიერიძე (1991) განიხილავს ქართულში დისა და ძმის ცნებებს და ადარებს მათ სხვა ენებს. მალაიურში ერთი სიტყვა sudara დასაც აღნიშნავს და ძმასაც. უნგრულში დისა და ძმის გამოსახატავად ოთხი სიტყვა გამოიყენება, და მასში ასაკიც შედის, მაგალითად nene უფროს დას აღნიშნავს, ხოლო hug უმცროსს.

ასევე შეგვიძლია შევადაროთ ინგლისურში სიტყვა son-in-law, brother-in-law, რომელიც ქართულში განსხვავებულად აღიქმება. მაგალითად ქართულში „სიძე“ აღნიშნავს როგორც შვილის მეუღლეს, ასევე ოჯახის წევრისათვის (დის ან ძმისათვის) დის ქმარს. ხოლო ინგლისურში son-in-law მხოლოდ შვილის ქმარს აღნიშნავს, მეორე შემთხვევისათვის გამოიყენება სიტყვა brother-in-law . ასევე ინგლისურში ერთი სიტყვით გამოიხატება ის რასაც ქართულში სამი სიტყვით გადმოვცემთ დეიდა, ბიცოლა, მამიდა aunt. ასევე განსხვავებულია დისშვილი/ძმისშვილის აღქმა ამ ორ ენაზე მოსაუბრეთათვის. ქართულ ენაში ერთი სიტყვით აღვნიშნავთ სქესის განურჩევლად ასეთ ნათესაურ კავშირს, ხოლო ინგლისურ ენაში იგივე ცნება ორი სიტყვით გადმოიცემა niece (ძმისშვილი/დისშვილი გოგონა), nephew (ძმისშვილი/დისშვილი ვაჟი). ქართულ ენაში განმასხვავებელ ნიშნად ვიყენებთ დისა და ძმის ცნებას, დის შვილია თუ ძმის შვილია ბავშვი, ხოლო ინგლისურ ენაში აქცენტი კეთდება სქესზე, ვაჟია თუ გოგონა იგივე აღსანიშნი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მხოლოდ ფიზიკური გარეენობრივი სამყაროს მაგალითები მოვიყვანეთ. იგივე სიტუაცია ფიქსირდება სხვა შემთხვევებშიც. ცნების ორგანიზებაში

არსებული განსხვავებები შეინიშნება სხვადასხვა ენის ლექსიკური ერთეულების თითქმის ყველა კატეგორიაში.

კავშირი სიტყვებსა და ექსტრალინგვისტური სამყაროს სემენტებს შორის ხორციელდება სამი ძირითადი ელემენტის საშუალებით: სიტყვის ფორმა, რომელსაც აქვს საშუალება გადასცეს შეტყობინება მსმენელს (ან მკითხველს), ცნება (კონცეპტი), როგორც სათანადო მენტალური კონცეპტუალური შინაარსი, რაც მასში დევს, და დენოტატი, როგორც ექსტრალინგვისტური სამყაროს შესაბამისი სემენტი. ამ სამ კომპონენტს შორის კავშირის წარმოსაჩენად ზგუსტა მიმართავს ქეი ოგდენისა და რიჩარდ არმსტრონგის (Ogden and Richards, 1923)¹ ცნობილ სამკუთხედს, რომელმაც აღიარება მოიპოვა მეოცე საუკუნის სემიოტიკაში. სამკუთხედის თითოეული წვერო წარმოადგენს რეფერენციაში ჩართული პროცესის ერთეულს.



ფიგურა 1. ოგდენისა და რიჩარდის სამკუთხედი.

¹ The meaning of Meaning, London 1923 (4th ed. 1936).

მიზეზი თუ რატომ მიმართავს ზგუსტა ამ სამკუთხედს არის ის, რომ გამოსახოს ზემოდ აღწერილი პროცესი. ერთ მხარეს ჩანს პირდაპირი კავშირი სიტყვასა და ცნებას შორის, და ცნებასა და დენოტატს შორის, მეორე მხარეს, მაგრამ კავშირი სიტყვასა და დენოტატს შორის არის მხოლოდ ირიბი. მართლაც, სიტყვა-დენოტატის ხაზთან დაკავშირებით, მხოლოდ ონომატოპოეტური სიტყვებია, რომელიც გვიჩვენებს უფრო პირდაპირ კავშირს დენოტატთან. მაგ. cuckoo (გუგული) ნამდვილად არის შთაგონებული ჩიტისათვის დამახასიათებელი ჟღერადობით.

ლექსიკური მნიშვნელობის ყველა სხვა კომპონენტი, რომელიც არ ეკუთვნის ცნებას, ზგუსტას მიხედვით, შეიძლება მოვიხსენოთ ზოგადი ტერმინით კონოტაცია (connotation). კონოტაცია შეიძლება აღვწეროთ როგორც ლექსიკური მნიშვნელობის იმ კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ძირითად ცნებას უმატებს კონტრასტულ ღირებულებას. მაგ.:

- 1) He died, and
- 2) He pegged out

ამ ორი წინადადების მნიშვნელობა იდენტურია. ორივე შინაარსით სამწუხარო ამბავს გვამცნობს. ეს არის შედეგი იმ ფაქტისა, რომ ორივე ზმნას, to die და to peg out აქვს იგივე ცნება. ერთადერთი განხვავება ის არის, რომ to die გადმოსცემს ფაქტობრივ ინფორმაციას, ხოლო ფრაზას - to peg out აქვს ვულგარული ნათქვამის კონოტაცია. სიტყვას to die არ აქვს კონოტაცია, ხოლო to peg out-ს აქვს კონოტაცია. ამ მხრივ შესაძლოა აღვიქვათ კონოტაცია, როგორც ძალიან ფართო კატეგორია, რომელიც მოიცავს ყველა დანარჩენ სემანტიკურ ნიშან-თვისებას სიტყვისა, გარდა ცენტრალური ცნებისა.

რამდენადაც საქმე ეხება კონოტაციას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლექსიკური მნიშვნელობის ეს კომპონენტი, ხშირად იწვევს უფრო მეტ სირთულეებს ვიდრე ცნება. სიტყვის კონოტაცია საკმაოდ სწრაფად იცვლება. სასაუბრო ლექსიკა, დროთა განმავლობაში, შეიძლება გახდეს ნეიტრალური კონოტაციის სიტყვა, სლენგი შეიძლება იქცეს სასაუბრო სიტყვად, ნეოლოგიზმმა შესაძლოა შეაღწიოს სალიტერატურო ენაში და ა.შ.

1.2. მნიშვნელობის კვლევის ძირითადი მიმართულებები

1.2.1. ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკის როლი სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში
მაქს ჰეჩტი (Hecht, 1888) თავის წიგნში - Griechische Bedeutungslehre - აჯამებს ისტორიულ - ფილოლოგიური სემანტიკის მთავარ ამოცანას: სემანტიკა ლინგვისტურად ღირებულია იმდენად, რამდენადაც ის ახდენს სიტყვის მნიშვნელობების ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას ლექსიკოგრაფიის ინტერესებიდან გამომდინარე და აღწერს სემანტიკური ცვლილებების წესებს ეტიმოლოგიის ინტერესებიდან გამომდინარე. და რომ ეს წესები გამომდინარეობს ადამიანის აზროვნების თავისებურებებიდან, რითაც ქმნის იდეების ისტორიას - მნიშვნელობები სწორედ რომ აზრებია - რაც სემანტიკას აკავშირებს ემპირიულ ფსიქოლოგიასთან.

სიტყვის მნიშვნელობის კავშირი ცნობიერებასთან, მისი ფსიქოლოგიური ასპექტები პირველად მიშელ ბრეალმა (Bréal, 1897) ჩამოაყალიბა. დირკ გეერარტის (Geeraerts, 2010, გვ. 11) მიხედვით მისი „ესეი სემანტიკაზე“ (Essai de Sémantique) განიხილება ლექსიკური სემანტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ნაშრომად. ბრეალისეული (1897) ლინგვისტური მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი, უფრო კონკრეტულად კი მნიშვნელობის ცვლილება არის ფსიქოლოგიური პროცესი. ენა არ არის ცალკე მდგომი ფენომენი, ის დაკავშირებულია მთელ რიგ კოგნიტიურ შესაძლებლობებთან, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს აღიქვას სამყარო და შეიმეცნოს იგი მისი გამოცდილებებიდან გამომდინარე.

თუ მნიშვნელობა შედგება კოგნიტიური კატეგორიებისაგან - მაშინ მნიშვნელობათა ცვლილება უნდა იყოს ფსიქოლოგიური პროცესის ნაწილი. აქედან გამომდინარე ბრეალი ამბობს, რომ სემანტიკური ცვლილების ზოგადი მექანიზმი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სიტყვების ისტორიის კლასიფიკაციური კვლევის პროცესში ავლენს ადამიანის აზროვნებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას. იგი ამ მექანიზმს უწოდებს ენის კონცეპტუალურ წესებს და აქვე დასძენს, რომ წესი აქ აღნიშნავს რაღაც სხვას და არა ბუნებრივი მეცნიერების კანონს. სემანტიკური ცვლილების კანონი არ გულისხმობს მკაცრ წესს გამონაკლისის გარეშე, ის აღნიშნავს ადამიანის კოგნიტიური

ასპექტის ფუნქციონირებას ერთი მიმართულებით. ადამიანის გონების მოძრავი ძალა იმაშიც ვლინდება, რომ ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც სემანტიკური ცვლილების ქმედებაში გადასვლის ფსიქოლოგიური მექანიზმებია, შედგება ენის მოსაუბრის კომუნიკაციური საჭიროებებისგან. ენა იცვლება, რადგან ენობრივი კოლექტივი ცდილობს გამოხატოს ფიქრები რაც შეიძლება ზუსტად, მარტივად და გასაგებად (Bréal, 1897, გვ. 8).

ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკის მნიშვნელობაზე საუბრისას გეერარტსი (2010) ყურადღებას ამახვილებს ორ ფუნდამენტურ ცნებაზე, რომელიც უმნიშვნელოვანესია ლექსიკური სემანტიკის ისტორიაში. პირველი: ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა ხაზს უსვამს მნიშვნელობის დინამიკურ (განვითარებად) ბუნებას. მნიშვნელობა არ არის უცვლელი, ის იცვლება მოულოდნელად და რეგულარულად ენაში არსებული თუ წარმოქმნილი გარემოებების და კონტექსტების გათვალისწინებით. მეორე: ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა იკვლევს ენისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხს. უდავოა, რომ ენას აქვს ფსიქოლოგიური მხარე, ადამიანი სიტყვის მნიშვნელობას გონებაში იაზრებს. მაგრამ რამდენად სამართლიანია დამოკიდებულება ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკისა, როცა ის მნიშვნელობას მთლიანად ცნობიერებასთან აიგივებს? გეერარტსის თქმით ეს ის საკითხია, რომელსაც სემანტიკა გვერდს ვერ აუვლის და მუდამ იქნება მისი განხილვის საგანი.

სემანტიკური ცვლილებების კლასიფიკაციები არის ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკის მთავარი ემპირიული შედეგი.

იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ სხვადასხვა მოვლენა, რომლებიც შესაძლოა სემანტიკური ცვლილების კლასიფიკაციების დროს გამოვლინდეს, გეერარტსი (Geeraerts, 2010) განასხვავებს ოთხი ტიპის ფაქტორს. ძირითადი განმასხვავებელი არის სემასიოლოგიურ და ონომასიოლოგიურ მექანიზმებს შორის. სემასიოლოგიური მექანიზმები მოიცავს უკვე არსებული ლექსიკური ერთეულის შიგნით ახალი მნიშვნელობის წარმოშობას. ხოლო, ონომასიოლოგიური მექანიზმი, გულისმობს

ცვლილებებს, რომლის დროსაც ცნება გამოიხატება ახალი ან ალტერნატიული ლექსიკური ერთეულით. სემასიოლოგიური ინოვაციები არსებულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობებით ავსებს. ონომასიოლოგიური ინოვაციები ცნებებს აწყვილებენ სიტყვებთან ისე, რომ ის ჯერ კიდევ არ არის ენის ლექსიკის ნაწილი. სემასიოლოგიურ მექანიზმებში არსებული კიდევ ერთი განსხვავება მოიცავს ცვლილებებს დენოტაციურ, ანუ რეფერენციალურ და კონოტაციურ მნიშვნელობების შორის. დენოტაციური მნიშვნელობის ცვლილებები დაყოფილია ანალოგიურ და არაანალოგიურ ცვლილებებად იმის მიხედვით იმეორებს თუ არა ახალი მნიშვნელობა მეორე, მასთან დაკავშირებული გამონათქვამის სემანტიკას. აქ ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა განასხვავებს ოთხ მთავარ ჯგუფს:

დენოტაციური მნიშვნელობის არაანალოგიური ცვლილებები მოიცავს კლასიკურ ოთხეულს: მნიშვნელობის დავიწროება, მნიშვნელობის გაფართოება, მეტონიმია და მეტაფორა.

მნიშვნელობის არა-დენოტაციური ცვლილებები კონოტაციურ მნიშვნელობებს ეხება. ძირითადი ემოციური ტიპის მნიშვნელობის ცვლილების ტიპები არის კნინობითი (pejorative) ცვლილება - ცვლილება უფრო უარყოფითი კონოტაციისკენ და მელიორაციული (Amelioration) - გამაუმჯობესებელი ცვლილება - ცვლილება უფრო დადებითი ემოციური მნიშვნელობისკენ. კნინობითობის მაგალითია silly რომელიც ადრე ნიშნავდა შემდეგს - „უმწეო ან გულუბრყვილო, რომელიც იმსახურებს თანაგრძნობას“, შემდეგ ამ სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და გახდა „გონივრული მსჯელობის უნარის ნაკლებობა“. მელიორაციულის მაგალითია სიტყვა knight, რომელიც ადრე მსახურ ბიჭს ნიშნავდა და აღნიშნავდა უფრო დაბალ სოციალურ საფეხურზე მყოფს ვიდრე ახლა აქვს (რაინდი) (Geeraerts, 2010, გვ. 26-30).

ანალოგიური ცვლილებების ჯგუფი მოიცავს სემანტიკურ ცვლილებებს, რომელშიც ერთი ენის სიტყვას გადმოაქვს მეორე ენის იმავე სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობა. ეს პროცესი ასევე ცნობილია სემანტიკური კალკირების ან სემანტიკური სესხების სახელით.

1.2.2. სტრუქტურალისტური სემანტიკის როლი სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში

სტრუქტურალიზმის ცენტრალური იდეა არის ენის ერთიან სისტემად და არა სიტყვათა უბრალო სათავსად განხილვა. ბუნებრივი ენები წარმოადგენს სიმბოლოთა სისტემებს ინდივიდუალური პრინციპებითა და თავისებურებებით. სწორედ ეს პრინციპები და თავისებურებები განსაზღვრავს თუ როგორ ფუნქციონირებს ლინგვისტური ნიშანი, როგორც ნიშანი.

ლექსიკური ერთეულების ფორმა ზოგადად სრულიად პირობითია და სწორედ ნიშნის ეს პირობითობა უბიძგებს ლინგვისტს აღწეროს ენა, როგორც წესების პირობითი სისტემა. ბუნებრივი ენების სიტყვების ფორმიდან ვერ იქნება სიტყვების მნიშვნელობები წარმოებული. ამრიგად, თუკი ენის არსი მდგომარეობს მის პირობითი ავტონომიის მქონე სიმბოლოთა სისტემად განხილვაში, მაშინ სწორედ ეს ხედვა უნდა გაიზიარონ ლინგვისტებმა.

გეერარტის (2010) მიხედვით ენობრივ ნიშანს ჩვენ განვიხილავთ და ვახასიათებთ როგორც სისტემის ნაწილს, ამ სისტემის სხვა ნიშნებთან მიმართებაში. ენის ამგვარი ხედვის შედეგი შესაძლოა პოზიტიურიც იყოს და ნეგატიურიც. რაში მდგომარეობს უარყოფითი მხარე? ახალი სტრუქტურალისტური პარადიგმა უარყოფს ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკის ზოგიერთ ფუძემდებლურ პრინციპს. პოზიტიური კუთხით თუ ვიმსჯელებთ სტრუქტურალისტური მიდგომა ენისადმი გვთავაზობს ლექსიკის ანალიზის ახალ გზებს.

სტრუქტურალისტური სემანტიკის ტიპები

მნიშვნელობის სტრუქტურალისტურმა კონცეფციამ თეორიული პოზიციებისა და აღწერილობითი მეთოდების ნაირსახეობა წამოშვა. გეერარტი მათ შორის სამ ძირითად მიდგომას გამოყოფს. ესენია: ლექსიკური ველის თეორია, კომპონენტური ანალიზი და რელატიური სემანტიკა (Geeraerts, 2010, გვ. 52).

ლექსიკური ველის თეორია

შეხედულებამ, რომ ენა შეადგენს შუალედურ კონცეპტუალურ დონეს გონებასა და სამყაროს შორის, დასაბამი მისცა მეტაფორულ ცნებას - ლექსიკური ველი. რას გულისხმობს ხსენებული ცნება? თუკი შიგნით ავლებს ე.წ. ხაზებს ჰყოფს რა ველს კონცეპტუალურ მონაკვეთებად, შესაბამისად, ლექსიკური ველი არის სემანტიკურად დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების წყება, რომელთა მნიშვნელობები ურთიერთდამოკიდებულია და რომლებიც ერთობლივად ქმნიან კონცეპტუალურ სტრუქტურას რეალობის გარკვეული მონაკვეთისათვის, ყოველ პოლისემიურ სიტყვას აქვს თავისი სამყარო ლექსიკური ველის სახით, რომელიც მის ერთიან სურათს ქმნის.

კომპონენტური ანალიზი

კომპონენტური ანალიზი, ლექსიკური ველის თეორიიდან გამომდინარე ლოგიკური განვითარების შედეგად მიღებული მეორე უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიაა სტრუქტურალისტურ სემანტიკაში. გეერარტსის (2010) მიხედვით ლექსიკური ველის შიგნით არსებული კავშირები ამ შემთხვევაში უფრო დეტალურად უნდა აღიწეროს. არ იქნება საკმარისი თქმა იმისა, რომ ველის ერთეულები ურთიერთკონტრასტულია. საჭიროა კონტრასტულობის იდენტიფიცირება და განსაზღვრა. კომპონენტური ანალიზის მეთოდს ასაზრდოვეს სტრუქტურული ფონოლოგია. ისევე როგორც ფონემები შეიძლება დავახასიათოთ მათი პოზიციის მიხედვით კონტრასტული ასპექტების წყებაში (მაგ. მჟღერია თუ ყრუ, ლაბიალიზებულია თუ არალაბიალიზებული და სხვა), სიტყვებიც შეიძლება დავახასიათოთ იმ განზომილებების საფუძველზე, რომლებიც ქმნიან ლექსიკურ ველს.

რელატიური სემანტიკა

რელატიური სემანტიკა უფრო ღრმად ავითარებს დაკავშირებულ სიტყვებში სტრუქტურული კავშირების იდეას, თუმცა ზღუდავს თეორიულ ლექსიკას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამგვარი აღწერისას. გეერარტსის (2010) მიხედვით კომპონენტურ ანალიზში დესკრიფციული ნიშნები, როგორიცაა სქესი, თაობა და მისთ. ლექსიკაში წარმოადგენს რეალურ ნიშნებს, რომლებიც აღწერს კონკრეტული სიტყვების

რეფერენტს. მაგრამ სტრუქტურალიზმი დაინტერესებულია ენის სტრუქტურით და არა ენის მიღმა არსებული სამყაროს სტრუქტურით. შესაბამისად, ის გამოიყენებს წმინდად ლინგვისტური ხასიათის აღწერით აპარატს. რელატიური სემანტიკა ამგვარ აპარატს ეძიებს ისეთი ლექსიკური ურთიერთობების ფორმით, როგორცაა სინონიმია (მნიშვნელობის იდენტურობა) და ანტონიმია (მნიშვნელობის საპირისპიროობა); ფაქტი, რომ სიტყვები *niece* და *nephew* მიეკუთვნება ერთსა და იმავე გენეალოგიურ თაობას, წარმოადგენს ფაქტს სამყაროს შესახებ, მაგრამ ფაქტი, რომ *big* და *small* ანტონიმებია, წარმოადგენს ფაქტს სიტყვებისა და ენის შესახებ.

გეერარტსის მიხედვით (2010) თუკი ლექსიკურ სემანტიკას განვიხილავთ უფრო სოციოლოგიური ვიდრე კონცეპტუალური თვალსაზრისით, ვნახავთ, რომ სამი ტრადიცია იკავებს სხვადასხვა ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ პოზიციას. ლექსიკური ველის თეორია წარმოადგენს უპირატესად კონტინენტურ ევროპულ მიდგომას, რომელიც აღმოცენდა და აყვავდა 1930 - 1960 წლებში ძირითადად გერმანელი და ფრანგი მეცნიერების შრომებში. კომპონენტური ანალიზი კი განვითარდა ლექსიკური ველის კვლევის ევროპული ტრადიციიდან 1960-იან წლებში, თუმცა პარალელურად თავი იჩინა ამერიკელი ლინგვისტ-ანთროპოლოგების შრომებშიც. 1960-იან წლებშივე ის იქცა გენერატიული გრამატიკის ნაწილად, როდესაც ამ უკანასკნელმა დომინანტი პოზიცია დაიკავა თეორიულ ლინგვისტიკაში. 1960-იან წლებში ბრიტანელი მეცნიერის ჯონ ლაიონსის (Lyons, 1977) ნაშრომით რელატიური სემანტიკა იქცა თეორიული ლინგვისტიკის მთავარი მიმართულების ნაწილად.

თანამედროვე ლექსიკურ სემანტიკაში მნიშვნელობის ურთიერთობების კვლევა სრულად არ მიჰყვება სტრუქტურალისტურ კრედოს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურალისტურმა აზროვნებამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ლექსიკურ სემანტიკაზე. სტრუქტურალისტურმა აზროვნებამ, გეერარტსის მიხედვით, სემანტიკურ ცვლილებებზე ფოკუსირებული ყურადღება სინქრონული ფენომენის აღწერაზე გადაიტანა და აქცენტის გადატანის პროვოცირება მოახდინა სემასიოლოგიურიდან ონომასიოლოგიურ კვლევაზე. ანუ აღიარებულ იქნა, რომ ენა არ წარმოადგენს სიტყვების

არასტრუქტურირებულ გროვას, არამედ არის სხვადასხვა სახის სემანტიკური კავშირებით ურთიერთდაკავშირებული გამონათქვამების ქსელი.

1.2.3. კოგნიტიური სემანტიკის როლი სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში

კოგნიცია ეს არის უნარების ერთობლიობა, რომელიც გვეხმარება აღვიქვათ, შევქმნათ და დავამუშაოთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია. „თუ კოგნიცია წარმოადგენს ადამიანის მენტალური სტრუქტურირებისა და პროცესების ერთობლიობას, მაშინ ბუნებრივი ენა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ამ მთლიანობის ერთ-ერთი ნაწილი“ (მინდაძე, 2009, გვ. 31).

კოგნიტიური სემანტიკა წარმოიშვა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როგორც კოგნიტიური ლინგვისტიკის ნაწილი. ეს იყო თეორიული მოძრაობა, რომელიც დაუპირისპირდა გრამატიკის ბატონობას და სემანტიკის მეორეხარისხოვან მდგომარეობას ენის გენერატივისტულ თეორიაში. დესკრიფციული ლინგვისტიკა ენის ლექსიკურ დონეს პერიფერიულად მიიჩნევდა ათწლეულების განმავლობაში და ძირითადი აქცენტი ენის ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემების აღწერაზე ჰქონდა გადატანილი. უფრო მეტიც, ამ მიმართულების წარმომადგენლები ლექსიკას საერთოდ არ მიიჩნევდნენ ლინგვისტიკის ნაწილად (Margalitadze, 2018, გვ. 249) მიუხედავად ენათმეცნიერთა სხვადასხვა მიდგომებისა, მათი შეხედულებები ემთხვევა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

გეერარტსის მიხედვით კოგნიტიურმა სემანტიკამ სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში შემდეგი ოთხი მიმართულებით შეიტანა წვლილი:

1. კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპური მოდელი;
2. კონცეპტუალური მეტაფორისა და მეტონიმის თეორია;
3. იდეალიზებული კოგნიტიური მოდელები და ფრეიმების თეორია;
4. კოგნიტიური სემანტიკის წვლილი მნიშვნელობის ცვლილების შესწავლის საქმეში.

ეს ოთხი თემა ავლენს კოგნიტიური ლინგვისტიკის ენის კონცეფციის სამ წამყვან თვალსაზრისს:

1. სიტყვის მნიშვნელობის კონტექსტუალური და პრაგმატული ცვლილებისადმი დამოკიდებულება;
2. აზრი, რომ მნიშვნელობა არის კოგნიტიური ფენომენი, რომელიც სცილდება სიტყვის საზღვრებს;
3. პრინციპი, რომ მნიშვნელობა გულისხმობს პერსპექტივიზაციას.

პირველი თვალსაზრისი მოიცავს კვლევებს იმის შესახებ, თუ როგორ მივყავართ ენის გამოყენებას მნიშვნელობის ცვლილებასთან, თუ როგორ ვლინდება მნიშვნელობის დინამიზმი კატეგორიების სტრუქტურაში. მეორე თვალსაზრისი ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელობის იმ სტრუქტურებისა და სემანტიკური მექანიზმების აღწერაზე, რომლებიც სცილდება საკუთრივ ლექსიკურ დონეს. მესამე თვალსაზრისი კი ხელს უწყობს კვლევებს, რომლებიც ავლენენ თუ როგორ ხდება სიტყვის მნიშვნელობის მიერ ერთი საგნის მეორესთან დაკავშირება, ახალი ცნებების დაკავშირება ძველთან, უკვე შეცნობილთან, მეტაფორისა და მეტონიმის მეშვეობით ან პროტოტიპის განვრცობის გზით.

პროტოტიპურობა და არსებითი ნიშან-თვისებები

ენობრივი ცნება (კონცეპტი) არ არის ერთგვაროვნად ორგანიზებული; ენათმეცნიერები თანხმდებიან, რომ სემანტიკურ კატეგორიას პროტოტიპური ბუნება აქვს, მასში ცენტრი და პერიფერია გამოიყოფა. პროტოტიპის ცნების ფორმალიზაცია რთულდება, რამდენადაც იგი ძირითადად ინტუიციურ ცნებათა რიცხვს განეკუთვნება. გეერარტსის მიხედვით კოგნიტიური მოღვაწეობა სტრუქტურული სტაბილურობისა და ადაპტაციის მოქნილი უნარის შეხამებას გულისხმობს და ამ მოთხოვნებს მნიშვნელობის სწორედ პროტოტიპური ორგანიზაცია აკმაყოფილებს: ცენტრი შედარებით სტაბილური და ძლიერია, პერიფერია – უფრო მოძრავი და ამორფული. კონცეპტების აღქმისას ადამიანი ოპერირებას ახდენს არა ცალკეული სემანტიკური ნიშნებითა და მათი სიმრავლეებით,

არამედ მთლიანი ხატებით, რომელთა კონტურები მას საშუალებას აძლევს, შეადაროს კონცეპტები და ცვალოს ისინი მეტაფორულ კონტექსტებში. კოგნიტიურ ლინგვისტიკაში მნიშვნელობები გაიგივებულია კონცეპტებთან და აღიწერება ხატოვანი სქემებით, სურათებით, რომელიც აწესრიგებს ჩვენს გამოცდილებას.

კატეგორიზაციის პროტოტიპურობაზე დაფუძნებული კონცეფცია წარმოიშვა 1970-იან წლებში ელენორ როშის (Rosch, 1975) ფსიქოლინგვისტურ კვლევებთან ერთად. ფსიქოლინგვისტური წარმომავლობიდან, პროტოტიპური თეორია განვითარდა ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, როშის აღმოჩენები და დასკვნები ალბულ იქნა ფორმალური ფსიქოლექსიკოლოგიის მიერ, რომელიც ცდილობს შეიმუშაოს ადამიანის კონცეპტუალური მეხსიერების და მისი ფუნქციონირების ფორმალური მოდელები და მათი ფუნქციონირება. მეორე მხრივ, 1980-იანი წლებიდან პროტოტიპულ თეორიას ჰქონდა მზარდი წარმატება ენათმეცნიერებაში.

ისტორიული მიმოხილვის ფონზე, სემანტიკური სტრუქტურის პროტოტიპზე დაფუძნებული მიდგომა ფოკუსირებულია ფენომენზე, რომ ლინგვისტური კატეგორიები შეიძლება იყოს ბუნდოვანი პერიფერიებში, მაგრამ მკაფიო ცენტრში. როშის ეპოქალური კვლევა აღწერს თუ როგორ გადავიდა ეს მოდელი ენათმეცნიერებაში და კონკრეტულად როგორ იქნა იდენტიფიცირებული პროტოტიპური მოვლენების სხვადასხვა მოდელები.

აღნიშნულის ექსპერიმენტული დადასტურება საუკეთესოდაა ილუსტრირებული ცდებში, სადაც ინფორმანტებს სთხოვეს კლასიფიცირება მოეხდინათ ერთი და იმავე კატეგორიაში არსებული ობიექტებისა, იმის მიხედვით თუ რამდენად ჩათვალეს მათ ეს ობიექტები კატეგორიის კარგ მაგალითებად. ამ ტესტმა აჩვენა მნიშვნელოვანი მსგავსება კლასიფიკაციაში. საუკეთესო ტიპურ მაგალითად კატეგორიისა „ფრინველი“, დასახელდა მეჟოლია, შემდეგი თანმიმდევრობით იყო ბელურა, კანარი, შაშვი, და ა. შ. პროტოტიპურობის სკალის ქვედა ფენაზე ქათამი, ინდაური, სირაქლემა, პინგვინი და ფარშევანგი აღმოჩნდა. შუალედური ადგილი დაიკავა ყორანმა, ჩიტბატონამ, ხოხობმა და ყვავმა. კატეგორიაში „ავეჯი“, შედარებით მაღალი ადგილი დაიკავა სკამმა, უჯრებიანმა კარადამ - შუალედური და ტელეფონმა - დაბალი. სხვა გამოკვლევული კატეგორიები იყო

შემდეგი (თითოეული ჩამონათვალზე მაგალითისათვის მოყვანილია ერთი ტიპური წევრი, ერთი შუალედური რანგის წევრი და ერთი დაბალი ნიშნის): სათამაშოები (თოჯინა, თავსატეხი, მშვილდი და ისარი), სპორტი (ფეხბურთი, ციგურაობა, ჭადრაკი), ტანსაცმელი (შარვალი, ფეხსაცმელი, სამაჯური), ბოსტნეული (სტაფილო, კარტოფილი, ბრინჯი), ხილი (ვაშლი, საზამთრო, ქოქოსი), დურგლისთვის საჭირო იარაღები (ჩაქუჩი, სადგისი, ცული), სატრანსპორტო საშუალებები (ავტომობილი, ტრაქტორი, ლიფტი), იარაღი (თოფი, მშვილდი, თოკი).

როშის პროტოტიპის შედეგები დაინერგა ენათმეცნიერებაში ადრეულ 1980-იან წლებში. მოდელის ლინგვისტური დამუშავების პროცესში ცხადი გახდა, რომ მნიშვნელოვანი იყო იმ სხვადასხვა ფენომენის გამოყოფა, რომელიც ასოცირდებოდა პროტოტიპურობასთან.

ცოდნის პროტოტიპური ორგანიზება გავლენას ახდენს სწორ მიმართულებაზე. მაგალითად, კატეგორიის წევრის ჩანაცვლება ამ კატეგორიის სახელით წინადადებაში უფრო მისაღებ წინადადებას ქმნის თუ წევრი არის ტიპური. წინადადებაში, რომელიც გამოხატავს ფრინველის დამახასიათებელ თვისებას (ფრინველს შეუძლია ფრენა), უფრო ადვილი იქნება სიტყვა „ფრინველის“ შეცვლა სიტყვით „მეჟოლია“ ან „არწივი“, ვიდრე კატეგორიის ნაკლებად ტიპური მაგალითების გამოყენების შემთხვევაში. და ბოლოს, რა თქმა უნდა, ენის დაუფლების შემთხვევებში ტიპური შემთხვევები კატეგორიაში უფრო ადრე შეისწავლება ვიდრე არატიპური. ბუნებრივი ენის კატეგორიების ზემოთ აღნიშნული ნიშნების მიხედვით დახარისხებამ სემანტიკაში, გამოიწვია კატეგორიალური სტრუქტურის ზოგადი ხედვის ფორმულირება, რომელიც შეჯამდა შემდეგნაირად:

„კატეგორიების ანალიტიკურად აღწერისას, ტრადიციული აზროვნების სკოლების უმეტესობა კატეგორიის წევრობას აღიქვამდა როგორც ციფრულს, ყველა-ან-არცერთ მოვლენას. ბევრი ნაშრომი ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, ენათმეცნიერებასა, და ანთროპოლოგიაში ვარაუდობს, რომ კატეგორია არის ლოგიკურად განპირობებული რამ, რომლის წევრობაც გულისხმობს მასში კატეგორიისათვის დამახასიათებელი ყველაზე

არსებითი ნიშან-თვისებების არსებობას. ამის საპირისპიროდ, თანამედროვე კვლევები ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ბუნებრივი კატეგორია არის ანალოგური და წარმოდგენილი უნდა იყოს ლოგიკურად, ისე რომ ასახავდეს მის ანალოგურ სტრუქტურას“ (Rosch & Mervis, 1975).²

1.3. პოლისემია, როგორც ლინგვისტური მოვლენა.

ნებისმიერ ენაში არსებობს ლექსიკური ერთეული, რომელსაც გარდა მთავარი, ძირითადი მნიშვნელობისა მინიმუმ ერთი განსხვავებული, გადატანითი მნიშვნელობაც აქვს. როგორც ვიცით ინგლისური სიტყვების 40% პოლისემიურია (McCarthy, 1997; Durkin & Manning, 1989) და აქვს ერთზე მეტი მნიშვნელობა. ენათმეცნიერებაში ლექსემათა ეს თვისება, მრავალი მნიშვნელობის ქონა, აღინიშნება ტერმინით არაერთმნიშვნელოვნება (Ambiguity). არაერთმნიშვნელოვანი სიტყვების ლექსიკური რეპრეზენტაცია არის ფსიქოლინგვისტიკის მთავარი საკვლევი საკითხი. ფსიქოლინგვისტები კავშირების თეორიას იყენებენ რომ ახსნან არაერთმნიშვნელობიანი სიტყვების სემანტიკური კავშირები და რეპრეზენტაცია (Rodd, Gaskell, & Marslen-Wilson, 2002; Hino, Lupsker, & Pexman, 2002; Armstrong & Plaut, 2008).

კავშირების თეორიის მიხედვით კონცეპტების რეპრეზენტაცია ხდება კავშირების მქონე ერთეულების გააქტიურებით, რომლებიც გადანაწილებულია სემანტიკურ ველში.

არაერთმნიშვნელოვნებამ შესაძლოა ინდივიდებს შორის კომუნიკაციაზე უარყოფითად იმოქმედოს, მაგალითად ხელი შეუშალოს სიტყვის მნიშვნელობის გაგებას, ინტერპრეტაციას, თუმცა მეორე მხრივ პოლისემიის არსებობა აუცილებლობით არის გამოწვეული. ალბათ წარმოუდგენელია რა შეიძლებოდა მომხდარიყო ყველა სიტყვას ერთი, კონკრეტული მნიშვნელობა რომ ჰქონოდა. ჩვენი ლექსიკური ფონდი უსასრულოდ

² რომში და მერვისი 1975: 573-4

გაიზრდებოდა და რაღა თქმა უნდა გაართულებდა ნებისმიერი ენის დასწავლის პროცესს, რადგან ასეთ შემთხვევაში მილიონობით სიტყვის დამახსოვრება მოგვიწევდა.

არაერთმნიშვნელოვნება სხვადასხვაგვარია, იგი შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა შინაარსის მქონე ენობრივი ნიშნის მხოლოდ ფორმალური დამთხვევით (ომონიმია - homonymy), ან რამდენიმე მეტ-ნაკლებად მსგავსი მნიშვნელობის (პოლისემია/მრავალმნიშვნელობიანობა polysemy) არსებობით. ის ფაქტი რომ ინგლისური სიტყვა head შესაძლოა აღნიშნავდეს ადამიანის სხეულის ნაწილს და ამავდროულად დაწესებულების მმართველს, რაიმე იარაღის, ხელსაწყოს ზედა მრგვალ ნაწილს, მცენარის მრგვალ ნაყოფს, ცხადყოფს რომ სიტყვა head პოლისემიურია. როგორც ზოგადი ტერმინი, პოლისემია აღნიშნავს ფაქტს, რომ ერთ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა ისე, როგორც აღნიშნული სიტყვა head-ის პოლისემიური მნიშვნელობები (ამას ქვემოთ მეორე თავში დეტალურად განვიხილავთ). პოლისემიური სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობები ხშირად ძირითადი მნიშვნელობიდან წარმოიქმნება. სხვა მნიშვნელობები არის გაფართოებული მნიშვნელობები, მათგან ზოგი შეიძლება იყოს პერიფერიული დაბალი გამოყენების სიხშირის გამო (Liu, 2013). ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან შეგვიძლია ვთქვათ რომ თავი, როგორც ადამიანის სხეული ნაწილი არის სიტყვა head-ის ძირითადი მნიშვნელობა, ხოლო დანარჩენი მნიშვნელობები წარმოშობილია ამ ძირითადი მნიშვნელობიდან. პოლისემია არის ზოგადი ლინგვისტური კატეგორია.

ფსიქოლინგვისტები იკვლევდნენ თუ როგორ განსხვავდება პოლისემია ომონიმისაგან (Azuma, 1997). ისინი თანხმდებიან იმაზე რომ ომონიმები არ არის ერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებული ერთეულები, ისინი უბრალოდ წარმოდგენილია ერთი ლექსიკური ერთეულით. თუმცა გამუდმებით იყო სადაო საკითხი პოლისემიური მნიშვნელობების სემანტიკური კავშირები (Klein & Murphy, 2001; Rodd, Gaskell, & Marslen-Wilson, 2002). პოლისემიური და ომონიმური სიტყვების გაგება-გააზრების სისწრაფის დასადგენად ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ პოლისემიური სიტყვების გაგება-გააზრება გაცილებით უფრო უმარტივდებათ ინდივიდებს ვიდრე ერთმნიშვნელობიანი სიტყვების ან ომონიმების (Beretta, Fiorentino,

& Poeppe, 2005; Armstrong & Plaut, 2008), რის საფუძველზეც დადგინდა რომ პოლისემიური სიტყვების გაგება-გააზრების უპირატესობა გამოწვეულია მისი ბუნებით ჰქონდეს აზრობრივი კავშირები მნიშვნელობებს შორის.

პოლისემიისა და ომონიმის გასარჩევად რ. ბუდაგოვი (Будагов, 1965, გვ. 11) პოლისემიის მთავარ პირობად მიიჩნევს აზრობრივ ღერძს. მისივე თქმით, როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს პოლისემიური მნიშვნელობები ამა თუ იმ სიტყვისათვის, ისინი თავს იყრიან ერთი აზრობრივი ღერძის გარშემო. ხოლო როცა მნიშვნელობები აზრობრივად დაშორებულები არიან ერთმანეთისაგან და მხოლოდ ბგერითი შემადგენლობით ჰგვანან ერთმანეთს, აქ საქმე გვაქვს ომონიმიასთან.

ნებისმიერი ლექსიკონის ნებისმიერ გვერდზე აღმოვაჩინოთ პოლისემიის უამრავ მაგალითს. პოლისემია იმდენად ხშირი მოვლენაა, რომ მართლაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თუ იქნება, რომელსაც არ აქვს პოლისემიური მნიშვნელობები. ზოგჯერ უამრავ ტექნიკურ ტერმინებსაც გადავაწყდებით პოლისემიური მნიშვნელობებით.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ლექსიკურ ერთეულთა დიდ უმრავლესობას ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს. პოლისემიური სიტყვა მოიცავს რამდენიმე, ერთმანეთთან შინაარსობრივად დაკავშირებულ მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელობები ერთმანეთთან სემანტიკურად არის დაკავშირებული, ჩვენ მათი დამახსოვრება გვიხდება.

ცხადია, პოლისემია არ არის მხოლოდ ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ინგლისური ენა მართლაც გამოირჩევა პოლისემიური სიტყვების რაოდენობით და ერთი კონკრეტული სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობების რაოდენობითაც. მეორე თავში ჩვენ განვიხილავთ არსებითი სახელების შეპირისპირებით კვლევას ინგლისურსა და ქართულ ენებში, სადაც აღმოვაჩინოთ, რომ ქართული ენაც არანაკლებ პოლისემიურია.

პოლისემია არის ცალკეული ლექსემების თვისება ცალკეულ ენაში, როდესაც ერთი სიტყვა ფორმით გამოიხატება რამდენიმე განსხვავებული საგანი, თვისება თუ მოვლენა. თითქმის შეუძლებელია სხვადასხვა ენაში მსგავსი სიტყვები ერთნაირად პოლისემიური

იყოს. პოლისემიის შეუსაბამობას სხვადასხვა ენებში მარგალიტაძე მის სალექციო კურსში წარმოგიდგენს (2006) ფერების აღმნიშვნელი სიტყვების მაგალითზე. მაგალითად გერმანულში სიტყვა grün აღნიშნავს როგორც მწვანეს, ისე მოუმწიფებელ, გამოუცდელ ადამიანს. მნიშვნელობის ეს ვარიანტი მოტივირებულია იმით, რომ მწვანე ფერი დამახასიათებელია ძალიან ბევრი სახეობის მოუმწიფებელი/მკვახე ხილისთვის. ხილის ამ თვისების სულიერ არსებაზე „გადატანა“ ძნელი არ არის. უფრო აბსტრაქტული მნიშვნელობა „გამოუცდელი“ მოტივირებულია იმით, რომ პიროვნული/გონებრივი მომწიფება უშუალოდ არის დაკავშირებული გამოცდილებასთან. grün -ის ქართულ შესატყვისს (რუსულისა და ინგლისურისაგან განსხვავებით) მსგავსი მნიშვნელობა არ აქვს. ეკვივალენტური ლექსემების მნიშვნელობის ვარიანტები ორ სხვადასხვა ენაში შესაძლებელია დაემთხვეს ერთმანეთს, და ამ დამთხვევებს ჩვენი კვლევის ფარგლებში განვიხილავთ (მარგალიტაძე, 2006).

პოლისემიური მნიშვნელობები, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება შინაარსით, არ არღვევს პოლისემიური სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის მთლიანობას. მნიშვნელობები სხვადასხვა სემანტიკური ძაფების საშუალებით უკავშირდება მთავარ მნიშვნელობას. მაგ. ინგლისურ სიტყვას mouth, მთელი რიგი მნიშვნელობები აქვს: პირი, მჭამელი, სახე, ტუჩები, სულელი, თავხედობა, აბეზარა, ვულგარული საუბარი, კრატერი და ა.შ. თუმცა ეს ყველა მნიშვნელობა სიტყვის ძირეული მნიშვნელობიდან არის წარმოშობილი.

ზგუსტა (1971) მსგავსად განიხილავს გადატანილ მნიშვნელობას (transferred senses) რომელსაც სემანტიკურ ანალიზში, მოიხსენიებს როგორც პირდაპირი მნიშვნელობის გარშემო დაჯგუფებულ მნიშვნელობას.

ა. რეფორმატსკის (Реформатский, 1955, გვ. 49) მიხედვით, პოლისემიის კვლევისას მნიშვნელოვანი საკითხია თუ რა არის ძირითადი და რა გადატანილი მნიშვნელობა. განსხვავება გადატანით და ძირითად მნიშვნელობას შორის ის არის, რომ გადატანითი მნიშვნელობის ახსნა შეგვიძლია, რადგან მოტივირებულია ძირითადი მნიშვნელობით, ხოლო ძირეული მნიშვნელობა ვერ აიხსნება. მაგალითად the hand of a clock - საათის ისარი, ეს მნიშვნელობა იმიტომ განვითარდა, რომ ისარს აქვს ხელისთვის

დამახასიათებელი თვისება - მითითების. ხოლო ის, თუ რატომ ჰქვია ხელს hand აუხსნელია. ქართველი ენათმეცნიერების ჯგუფი გამოყოფს (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008) პოლისემიური ლექსიკური ერთეულის პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობას. მათი აზრით, ლექსიკური ერთეულის წარმოთქმისას ადამიანის ცნობიერებაში პირველად ეს პირდაპირი მნიშვნელობა ჩნდება, ხოლო გადატანითი მნიშვნელობა წარმოდგენათა ასოციაციის შედეგია.

ისტორიზმის გარეშე პოლისემიის შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა. პოლისემიური მნიშვნელობები გარკვეულ სისტემას ქმნის, სტრუქტურას. პოლისემიას წმინდა ენობრივი ფაქტორების გარდა განსაზღვრავს მრავალი სხვა ფაქტორი, შეიძლება ეს იყოს კულტურა, ტრადიცია, რელიგია, პოლიტიკა, სოციალური ასპექტები და ა.შ. რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

პოლისემიის წარმოშობის მიზეზები

რა იწვევს პოლისემიის წარმოშობას? რატომ უჩნდება სიტყვას მეორე, მესამე და კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა? ენათმეცნიერები პოლისემიის წარმოშობის მრავალ მიზეზს ასახელებენ. ერთ-ერთ მიზეზად ენაში ეკონომიის პრინციპის არსებობა სახელდება (მარგალიტაძე, 2006) - შინაარსის პლანის სიმრავლე გამოხატვის პლანში ერთი ერთეულით არის წარმოდგენილი. სიტყვის პოლისემია რაღა თქმა უნდა არ არის მხოლოდ ეკონომიის პრინციპით გამოწვეული. პოლისემიას წარმოშობს არა მხოლოდ ენობრივი ფაქტორები, არამედ ექსტრალინგვისტურიც. პოლისემიის წარმოშობი ფაქტორები მრავალფეროვანია და განპირობებულია რეალური მსგავსებით იმ საგნებთან, ქმედებებთან თუ მოვლენებთან, რომლებიც ენაში ერთი სიტყვით სახელდება. შეიძლება ითქვას რომ, პოლისემიის წარმოშობა განპირობებულია იმ თავისებურებებით რაც ადამიანის აზროვნებაში წარმოიქმნება და შემდეგ სამყაროს მრავალფეროვნებასა და ერთიანობაში აისახება.

პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები დროთა განმავლობაში ვითარდება. რაც უფრო ძველია სიტყვა მით უკეთ არის მისი სემანტიკური სტრუქტურა განვითარებული. ახალი მნიშვნელობების განვითარებას შეიძლება ვთქვათ რომ ორი ძირითადი მიზეზი

იწვევს. ისტორიული და ლინგვისტური. პირველი, უკავშირდება ყველა იმ ფაქტორს რაც ისტორიას ეკუთვნის, განსხვავებული ცვლილებები ერის სოციალურ ცხოვრებაში, კულტურაში, ცოდნაში ტექნოლოგიაში, ხელოვნებაში იწვევს სიტყვების ახალ მნიშვნელობათა განვითარებას. პოლისემიის წარმოშობას, ბევრი ენათმეცნიერის აზრით, ლექსიკური მნიშვნელობის აბსტრაქტული ბუნება განსაზღვრავს. მნიშვნელობის განმაზოგადებელი ფუნქცია შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პოლისემიის აღმოცენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (მარგალიტაძე, 2006).

პოლისემიის წარმომქმნელ ძირითად წყაროდ ქართულ ენაში თ. გითოლენდია (2014) ასახელებს ტაბუს. მას მაგალითისათვის მოჰყავს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანი, რომელიც გაურბოდა ისეთი არსებების, საგნების მოვლენების სახელთა ხსენებას, რომელთა მფარველ სულებს შეეძლოთ მთქმელისათვის ზიანის მიყენება. ამის თავიდან ასარიდებლად ადამიანები იყენებდნენ ევფემისტურ სახელებს. ამან განაპირობა ის, რომ გარკვეულმა სიტყვებმა ახალი სემანტიკური კომპონენტები შეიძინეს, რამაც თავის მხრივ ახალი პოლისემიური სიტყვები წარმოქმნა. ტაბუირებულ სიტყვებში ძირითადი მნიშვნელობა თითქოს მიმალულია და სიტყვა უფრო გავრცელებულია მეორე მნიშვნელობით. მაგალითად მას მოჰყავს სიტყვა „უხსენებელი“, მის ხსენებისას ადამიანს აგონდება გველი და არა მთავარი მნიშვნელობა „ის რაც/ვინც სახსენებლად არ ღირს“.

მეორე მიზეზად იგი ასახელებს ქართულში რელიგიას. მისი აზრით სემანტიკის ცვლის ერთ-ერთი მიზეზი არის რელიგიური სახისმეტყველება. როგორც ვიცით, ლექსიკური მნიშვნელობა იცვლება კულტურულ, ისტორიულ-ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. მითოლოგიური და წარმართული არეალიდან ახალ სამყაროში გადასვლის დროს შეიცვალა ხალხის წარმოდგენები, რაც შესაბამისად აისახა ენაში. მაგალითად მოჰყავს „მწყემსი“ როგორც „მენახირე“ და როგორც „კაცთა მწყემსი - მღვდელი“.

ასევე ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს სემანტიკურ დიალექტიზმებს, სიტყვებს რომლებიც სალიტერატურო ენაშიც არსებობს მაგრამ დიალექტში სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად „ბოჭვა“ სალიტერატურო ენაში „შეკვრას“, „შეკოჭვას“ ნიშნავს, ხოლო იმერულ მეტყველებაში კი „მუჭა-მუჭა მოკრებას, გროვებას, ხვეტას“ აღნიშნავს.

პოლისემიის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევა დარგობრივი ტერმინოლოგია. როგორც ბ. ფოჩხუა (ფოჩხუა, 1960) აღნიშნავს, პროფესიულ დიალექტს თავისი სპეციალური ლექსიკური ფონდი აქვს, რომელსაც სპეციალური მნიშვნელობები აქვს. ამის საილუსტრაციოდ ფოჩხუას მოჰყავს სიტყვა „თანამგზავრი“- სხვის გვერდით მავალი. დღეს ამ სიტყვამ კონკრეტული მნიშვნელობა შეიძინა - ხელოვნური თანამგზავრის. ქართველი ენათმეცნიერების მიხედვით ჟარგონი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა პოლისემიური მნიშვნელობებისა, ეს შეიძლება იყოს ნასესხები სიტყვა, ბარბარიზმი ან ენაში უკვე დამკვიდრებული ტერმინი. ჟარგონის გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა, ის შეიძლება აღნიშნავდეს ადამიანის თვისებას, ქცევას, მანერას, მოვლენასა თუ უამრავ სხვა ფაქტორს (თავში აუვარდა - ზედმეტი მოუვიდა. გაარტყა - შემთხვევით გამოიცნო). როგორც ვიცით არსებობს ენათმეცნიერების ახალი დარგი გენდეროლინგვისტიკა, რომელიც შეისწავლის ერთი ჯგუფის ლექსიკას. ლექსიკაში გენდერული თვალსაზრისით შეინიშნება სიტყვები, რომლებსაც განსხვავებული მნიშვნელობები განუვითარდათ ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში. როგორც გითოლენდია (2014) ამბობს გენდერული ფაქტორი არის ერთ-ერთი მიზეზი სიტყვების ახალი მნიშვნელობების გაჩენისა.

რაც შეეხება წმინდა ენობრივ ფაქტორებს, ჯერ კიდევ ჩვ. წ.-ის პირველ საუკუნეში, ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსი, მარკუს ფაბიუს კვინტილიანე, თხზულებაში „ორატორის განათლების შესახებ“ აღწერს მეტაფორისა და მეტონიმიის ცნებებს, რომლებიც სიტყვის სემანტიკური ცვლილებისა და გადატანითი მნიშვნელობის წარმოშობის მნიშვნელოვანი მექანიზმებია (Geeraerts, 2010, გვ. 6). მე-17 საუკუნეში დიდი განმარტებითი ლექსიკონების შედგენამ ჯერ იტალიაში (1612 წ.), შემდეგ საფრანგეთში (1694 წ.), მე-18 საუკუნეში კი ინგლისში (1755წ.), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლისემიის აღწერისა და შესწავლის საქმეში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანელი ლინგვისტი ჰერმან პაული განასხვავებს უზუალურ და ოკაზიონალურ მნიშვნელობებს და ენათმეცნიერთა ყურადღებას მიაპყრობს კონტექსტს, როგორც სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობების რეალიზაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს (Paul, 1920, გვ. 75). როგორც აისახება ენის სისტემაში

ინდივიდუალური ინოვაციური გამოვლინებები? სემანტიკის ფსიქოლოგიური კონცეფციის პაულისეული სპეციფიკაცია სწორედ ამ პრობლემას სცემს პასუხს. მისი შეხედულებები წარმოდგენილია ნაშრომში *Prinzipien der Sprachgeschichte*, რომელიც პირველად 1880 წელს გამოქვეყნდა. პაულის ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია განსხვავებები უზუალურ და ოკაზიონალურ მნიშვნელობებს შორის. უზუალური მნიშვნელობა (*usuelle Bedeutung*) დამკვიდრებული ფორმაა ენობრივი კოლექტივის მეტყველებაში, რომელსაც ცნობს და აღიქვამს მოსაუბრე, ხოლო ოკაზიონალური მნიშვნელობა (*okkasionelle Bedeutung*) გულისხმობს ვარიაციებს, რომელიც შეიძლება უზუალურმა მნიშვნელობამ მეტყველებაში განიცადოს სიტყვის ხმარებისას საუბრის დროს.

„უზუალური მნიშვნელობით ჩვენ ვიგებთ სრულ რეპრეზენტაციულ შინაარსს, რომელიც მის შესახებ ენობრივ კოლექტივშია დამკვიდრებული. ოკაზიონალური მნიშვნელობით კი ჩვენ ვიგებთ ინფორმაციას, რომელსაც მოსაუბრე უკავშირებს სიტყვას, რომელსაც ის იყენებს და ელოდება მსმენელისაგან, რომ ისეთივე ასოციაცია გაუჩნდება“ (Paul, 1920, გვ. 75).

უზუალური მნიშვნელობა, აღიწერება სემანტიკურად და ჩვეულებრივ, ლექსიკონში აისახება, რადგან ის დამკვიდრებული ფორმაა, მაშინ როდესაც ოკაზიონალურ მნიშვნელობას სიტყვა კონკრეტულ კონტექსტში იძენს. პაულის სემანტიკური კონცეფციის მეორე სვეტი ყურდღებას ამახვილებს კონტექსტზე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტზე.

ვიციტ, რომ არსებობს სიტყვის მრავალი უზუალური მნიშვნელობა: თუ სიტყვა არის პოლისემიური მისი უზუალური მნიშვნელობა მოიცავს მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ მნიშვნელობებს, სხვადახვა გამყარებულ მნიშვნელობათა კლასტერს. ოკაზიონალური მნიშვნელობა მეორეს მხრივ არის ყოველთვის განცალკევებული მნიშვნელობა. პაული კონტექსტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. უზუალური მნიშვნელობის კონტექსტუალიზაცია გულისხმობს არა ერთი ფორმის შერჩევას არსებული მრავალიდან, არამედ ფართო ცნების დაკონკრეტებას. მაგალითად

სიტყვა corn (მარცვალი), რომელიც აღნიშნავდა ყველა სახის მარცვლეულ კულტურას, თუმცა განსხვავებულად დაკონკრეტდა სხვადასხვა ქვეყანაში, wheat (ხორბალი) - ინგლისში, oats (შვრია) შოტლანდიაში, და maize (სიმინდი) - ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმის მიხედვით თუ რომელი მარცვლეული იზრდება ყველაზე მეტად ამ კონკრეტულ ქვეყნებში.

ბოლოს არის შემთხვევები როდესაც კონტექსტუალიზებული მნიშვნელობა არ შეიცავს უზუალური მნიშვნელობის ყველა თვისებას. მაგალითისათვის მეტაფორაში Her mouth was a fountain of delight, კავშირი შადრევანსა და აღფრთოვანებას შორის, რა თქა უნდა მიგვანიშნებს, რომ შადრევანი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ.

ნათელია, რომ კონტექსტუალური პროცესებისა და უზუალური მნიშვნელობების ურთიერთობამ შესაძლოა გამოიწვიოს ოკაზიონალური მნიშვნელობების ზრდა. მაგრამ რა შეიძლება ითქვას პირიქით პროცესზე? როგორ შეიძლება ოკაზიონალურმა მნიშვნელობამ გამოიწვიოს უზუალური მნიშვნელობის ზრდა? ოკაზიონალური მნიშვნელობები რომლებიც საკმაოდ ხშირია შესაძლოა თავად გახდეს უზუალური. მათ შეიძლება მოიპოვონ დამოუკუდებელი სტატუსი. მეორეს მხრივ, უზუალური მნიშვნელობები არის ოკაზიონალური მნიშვნელობის წარმოშობის საფუძველი.

ამ მხივ პაულმა განავითარა პრაგმატული, გამოყენებაზე დაფუძნებული სემანტიკური ცვლილების თეორია. სემანტიკური ცვლილების ფუნდამენტი არის უზუალური მნიშვნელობის მოდულაცია ოკაზიონალურ მნიშვნელობად. ხოლო სემანტიკური ცვლილების მექანიზმები იგივე მექანიზმებია, რაც საშუალებას აძლევს მოსაუბრეს მოახდინოს უზუალური მნიშვნელობების ცვლილება.

მას შემდეგ ბევრი რამ დაიწერა და ითქვა პოლისემიასა და კონტექსტზე, გაჩნდა მრავალი ნაშრომი და კვლავ გრძელდება დისკუსია აღნიშნულ პრობლემატიკაზე. ამ ნაშრომში ჩემი ამოცანა არ არის ყველა იმ პრობლემის განხილვა, რაც პოლისემიას უკავშირდება, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით რამდენიმე მნიშვნელოვან საყურადღებო, კერძოდ: რა არის პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა? განსაზღვრავს თუ არა მას კონტექსტი?

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა ცალკე მდგომია თუ აზრობრივად არის დაკავშირებული ძირეულ მნიშვნელობასთან?

აღნიშნული საკითხები აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ისეთ ლინგვისტებში როგორებიც არიან სტეფან ულმანი, ბარბარა ფერთი (Ullmann, 1962; Partee, 1958) და სხვები და ახლაც, ბოლო ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე, თანამედროვე ლექსიკოგრაფიის კლასიკოსებად ქცეული ავტორები, როგორებიც არიან: პატრიკ ჰენქსი, სიუ ატკინსი, მაიკლ რანდელი (Hanks, 1994; Atkins & Rundell, 2008) და სხვები, განიხილავენ ამ საკითხებს და პასუხი კვლავაც არ არის ცალსახა. სიუ ატკინსის (Atkins, 1993) ცნობილმა ფრაზამ: “მე არ მჯერა სიტყვის მნიშვნელობების არსებობისა (I don't believe in word senses)”, გამოიწვია მრავალწლოვანი დისკუსია სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში (Kilgariff, 1997) პ. ჰენქსის (1994) აზრით, სიტყვას რაიმე კონკრეტული, ცალსახა მნიშვნელობა არ გააჩნია მას აქვს მთელი რიგი პოტენციური მნიშვნელობები, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტში გამოიკვეთება. ამ იდეას ემხრობა ტიერი ფონტინელიც (Fontenelle, 2008).

აღნიშნული საკითხების კვლევა არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, კერძოდ პოლისემიური სიტყვების სწავლების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია საკითხის კვლევა ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისითაც, კერძოდ, სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში პოლისემიური სიტყვის აღწერისა და წარმოდგენის თვალთახედვით.

ძირითადი მნიშვნელობა და გადატანითი მნიშვნელობა

პოლისემიური სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები, კავშირების ტიპები მათ შორის, გადატანითი მნიშვნელობების წარმოქმნის კოგნიტიური მექანიზმები არის სწორედ ჩვენი კვლევის ძირითადი საგანი.

იმისათვის რომ ასეთი მიდგომის სრული სურათი დავინახოთ, საჭიროა თვალი გადავაავლოთ იმ კონტექსტებს, რაშიც პოლისემიური სიტყვა გვხვდება. საჭიროა გავანალიზოთ საკმაოდ ფართო კონტექსტები, რომელშიც ეს სიტყვა გამოიყენება. ამ მიზნისათვის შევარჩიე სიტყვა head, პირველ რიგში იმიტომ, რომ მას აქვს უჩვეულოდ

ბევრი მნიშვნელობა. გარდა ამისა, სიტყვა head ხშირად გვხვდება სხვადასხვა სტატიებში, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობის ანალიზს ეძღვნება. მესამე მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ერთ-ერთი საკვლევო თემატური ჯგუფი მოიცავს სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებს.

ქვემოთ მოცემულია ტიპური კონტექსტები, რომელშიც head გამოიყენება. წინადადებები იმ თანმიმდევრობითაა დალაგებული, რომელსაც შეიძლება გადააწყდეთ ასეთი წინადადებების ძიებისას. მაგალითები მოვიძიე ინგლისური ენის სხვადასხვა ლექსიკონებიდან და ელექტრონული კორპუსებიდან. თვალი გადავავლოთ სიტყვა head-ის მნიშვნელობებს სხვადასხვა კონტექსტში.

1. She nodded her head in an agreement.
2. Two heads are better than one.
3. She headed towards the mansion.
4. I was wet from head to toe.
5. I've been banging my head against a brick wall when it comes to finding a job
6. Don't worry about that. I can do it standing on my head.
7. I'm no head, but I am sure you made a mistake in your addition.
8. Sometimes you just need to beat grammar into your head.
9. He shook his head and said he was not going to stand up for us.
10. Even though she is only 5, she has a good head for figures.
11. Let wiser heads prevail.
12. He chose to bury his head in the sand and not confront her.
13. We need to bring the situation to a head to get a resolution
14. Ralph is in the head. He'll be back in a minute.
15. I have a terrible head (headache).
16. Call heads or tails.
17. She lost her head when he told her he wanted a divorce.
18. How much do you charge per head for dinner? It costs four dollars a head.
19. Here was her round head, covered with pretty curls.

20. Go ahead count heads we need to know how many they are.
21. They sold thirty head of cattle.
22. When the head aches, all the members share the pain
23. He was head of the house - the one who made final decisions.
24. The head of a table is too far from me.
25. His good grades went to his head.
26. I'm really upset that I can't get her out of my head.
27. I hate to admit that I can't make heads or tails out of this math problem.
28. This head of lettuce is too small.
29. I like the head of this bed.
30. The head of Nile is up in north.
31. This type of cabbage heads quickly.
32. She headed the investigation.
33. Their discussion was way over my head.
34. Count heads to make sure everyone is here.
35. The head of school has the whole place under control.
36. We met with the other department heads.
37. She leaned her head on his shoulder
38. Why is this head of grain here?
39. The ship headed south.
40. She is a head cook in her restaurant.
41. Hit the head of bolt.
42. The head of the ax is rough.
43. Her parents were out of their heads with worry.
44. The river heads in those mountains.
45. We have an engine with a full head of steam.
46. He won the race by a head.
47. I was the head of class for years.

48. The head of beer is thick.

49. Finally, all the events came to a head.

50. He was off his head when he heard the news.

რაღა თქმა უნდა, სია უსასრულოდ გაგრძელდებოდა ყველა ფრაზა, იდიომი თუ გამონათქვამი რომ წარმოგვედგინა მაგალითის სახით. ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ ის აუცილებელი პროცედურა, რაც პოლისემიური მნიშვნელობების კვლევისას უნდა შესრულდეს. ასეთი კონტექსტების გაანალიზებისას პირველ რიგში ლექსიკოგრაფიული პროცედურაა მნიშვნელობების დაყოფა სინტაქსური კლასების მიხედვით: ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი. ზმნები როგორც წესი იყოფა გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებად. თუმცა ასეთი ტიპის დაყოფა გრამატიკული განმასხვავებლის მიხედვით სემანტიკურად დამაბნეველია, რადგან ეს მალავს უამრავ ურთიერთგადაკვეთებს მნიშვნელობებს შორის. თუ გვსურს სემანტიკური სტრუქტურის სიღრმისეულად გაანალიზება, უნდა გამოვიყენოთ სემანტიკური კლასიფიკაცია, რომელიც დაფუძნებულია სემანტიკურ სტრუქტურაზე. ამისათვის იდიომური ფრაზები უნდა განცალკევდეს, ის ფრაზები სადაც სიტყვა head-ის მნიშვნელობა სხვა სიტყვების მნიშვნელობასთან ერთად უნდა გაანალიზდეს. ამ სიიდან ჩანს რომ კონტექსტები 5, 8, 22 და ა.შ. მიეკუთვნება პირველ კატეგორიას, სადაც განვითარებთ იდიომურ კონტექსტებს. (მაგ. 1 კატეგორია - იდიომები). თუმცა ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ მიღებულ კონტექსტებს შორის, სადაც გამოყენებულია სიტყვა head, გავანალიზოთ ის კონტექსტები, რომლებიც არ არის იდიომური. არაიდიომური მნიშვნელობების კლასიფიცირებისას, შესაძლოა დავაჯგუფოთ პოტენციურად მსგავსი მნიშვნელობები. ამისთვის უნდა გავაცნობიეროთ რომ შესაძლოა არსებობდეს მნიშვნელოვანი განსხვავება მნიშვნელობებს შორის. თუმცა თავდაპირველად უმჯობესია დავაჯგუფოთ დიდ ჯგუფებად და შემდეგ ჩავშალოთ მომდევნო მცირე ჯგუფებად. ასეთი სტილით:

- 1 - ძირითადი მნიშვნელობა (ადამიანის სხეულის ნაწილი)
- 2 - გადატანითი მნიშვნელობები

ძირითად მნიშვნელობაში გამოიყოფა ის მნიშვნელობები, რომლებიც ადამიანის სხეულის ნაწილს აღნიშნავს. მაგალითისათვის წინადადებები: 1, 9, 19, 37. ხოლო დანარჩენ მნიშვნელობათა უმრავლესობა დაჯგუფდება 3 დიდ ჯგუფში.

შემდეგი ეტაპია გავანალიზოთ თითოეულ დიდ ჯგუფში შემავალი ქვე ჯგუფები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმისათვის, რომ ამოვიცნოთ საერთო დამახასიათებელი ნიშან-თვისებები უნდა განვსაზღვროთ 1) საერთო მახასიათებლები 2) თითოეულ ჯგუფში განხვავებულ მნიშვნელობათა შორის კავშირი. ასე მაგალითად მესამე დიდ ჯგუფში შესაძლოა გამოვლინდეს რამდენიმე ქვე-ჯგუფი. მაგალითად

1. ქვე-ჯგუფი ფორმით მსგავსი თავთან, მაგალითისათვის მნიშვნელობები წინადადებებში 28, 31, 38
2. ქვე-ჯგუფი ფუნქციით მსგავსი, მაგალითისათვის მნიშვნელობები წინადადებებში 23, 35, 36, 40, 47
3. ქვე-ჯგუფი - ადგილმდებარეობით მსგავსი, მაგალითისათვის მნიშვნელობები წინადადებებში 41,42,48 და ა. შ.

სიტყვა head-ის მნიშვნელობების ასეთი ანალიზისას, ნათელია რომ გამოვლინდება სიტყვის უამრავი მნიშვნელობა, რომლებიც დაჯგუფდება ერთი სემანტიკური ველის გარშემო, რის საფუძველზე შესაძლოა დავადგინოთ კავშირები სიტყვის მთავარ და გადატანით მნიშვნელობას შორის.

სწორედ ასეთმა კავშირებმა გვაცდუნა გაგვეანალიზებინა პოლისემიური არსებითი სახელების მნიშვნელობები და დაგვენახა თუ ვიზუალურად რა სურათს მოგვცემდა ეს ანალიზი.

1.4. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურა

ჩემი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული წანამდვარია თეორია სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის შესახებ. სიტყვის მნიშვნელობა არ არის ჰომოგენური, ერთგვაროვანი, იგი მრავალი სემანტიკური კომპონენტისგან შედგება, რომლებიც იერარქიულადაა განლაგებული სიტყვების მნიშვნელობის სემანტიკურ

სტრუქტურაში. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტი არის სიტყვის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მინიმალური, განუყოფელი ელემენტი. სემებს ასევე განმარტავენ როგორც მნიშვნელობის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებულია სიტყვის მიერ გამოხატული ცნების ნიშან-თვისებასთან.

1972 წელს ქართველი ენათმეცნიერი მერი იანქოშვილი (იანქოშვილი, 1972) აქვეყნებს სტატიას „სიტყვის მნიშვნელობის ბირთვული სტრუქტურა“, რომელშიც წარმოადგენს საკუთარ თეორიას და სიტყვის მნიშვნელობას აღწერს როგორც ბირთვულ სტრუქტურას. ბირთვში იგი გამოყოფს გრამატიკულ-კატეგორიალურ სემას, ლექსიკურ-კატეგორიალურ სემას, ანუ სიტყვის გვარეობით მნიშვნელობას და ძირითად განმასხვავებელ სემას ან სემებს. მისი თეორიის მიხედვით, ბირთვის ირგვლივ განლაგებულია სხვადასხვა პოტენციური სემები. ეს სემები განსაზღვრავენ სიტყვის მნიშვნელობის გადატანას და ამ დროს პოტენციური სემა გადაინაცვლებს ბირთვში და შესაძლოა იქცეს განმასხვავებელ სემად.

რუსი ენათმეცნიერი გაკი (Гак, 1977) სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოყოფს: არქისემებს, განმასხვავებელ / დიფერენციალურ სემებს და პოტენციურ სემებს. არქისემები ასახავენ ისეთ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია საგანთა მთელი კლასებისათვის. განმასხვავებელი, დიფერენციალური სემები შეადგენს მნიშვნელობის ბირთვს. სწორედ ამ ბირთვის მეშვეობით განსხვავდება ერთი სიტყვის მნიშვნელობა მეორე სიტყვის მნიშვნელობისაგან. პოტენციური სემები კი აღნიშნავენ ამა თუ იმ სიტყვით გამოხატული ცნების სხვადასხვა დამატებით ნიშან-თვისებებს.

იუჯინ ნაიდა (Nida, 1975) სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოყოფს საერთო (common) განმასხვავებელ (diagnostic) და დამატებით (supplementary) სემებს. განმასხვავებელი სემანტიკური კომპონენტების შემადგენლობაში იგი განასხვავებს იმპლიკაციურ (implicational), ბირთვულ (core) და ინფერენციულ (inferential) სემებს.

თ. მარგალიტაძე აჯამებს რა ზემოთ მოყვანილ თეორიებს, მიუხედავად მცირედი განსხვავებისა, აერთიანებს მათ და მიიჩნევს, რომ სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოიყოფა სამი ტიპის სემანტიკური კომპონენტები: კატეგორიალური

(არქისემები), განმასხვავებელი (დიფერენციალური) და დამატებითი (პოტენციური). თ. მარგალიტაძე სიტყვის მნიშვნელობის გადატანას სწორედ პოტენციურ სემებს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ სწორედ პოტენციური სემების გამოა საინტერესო სიტყვის მნიშვნელობის შესწავლა, რადგან პოტენციური სემები აღნიშნავენ სწორედ იმ ასოციაციებს, იმ ნიშან-თვისებებს, რაც შედის სიტყვის სიგნიფიკატში და რითაც ერთი ენა განსხვავდება მეორე ენისგან (მარგალიტაძე, 2006; Margalitzadze, 2018).

1.5. თ. მარგალიტაძის თეორია პოლისემიური სიტყვების მოდელების შესახებ

თინათინ მარგალიტაძემ პოლისემიის უნივერსალურ მოდელებზე მუშაობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. 1982 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი ზედსართავი სახელების უნივერსალური მოდელების შესახებ და აღწერა 4 მოდელი: ერთგანზომილებიანი, ეკვიპოლენტური, კიბისებური და შერეული (მარგალიტაძე, 1982). მოგვიანებით მან გააგრძელა მუშაობა ამ მიმართულებით და ამჯერად კვლევაში ჩართო ზედსართავ სახელთა სხვა ჯგუფები, ზმნები და არსებითი სახელები (მარგალიტაძე, 2006; Margalitzadze, 2014; 2020). მის მიერ აღწერილ 4 მოდელს შეემატა მეხუთე, რომელსაც მან მზისებრი მოდელი უწოდა და რომელიც, ძირითადად, არსებით სახელებშია გავრცელებული.

ქვემოთ მოკლედ შევხები აღნიშნულ მოდელებს,

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობებს შორის არსებობს აზრობრივი კავშირები, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა არქიტექტურას, რის შედეგადაც ვიღებთ პოლისემიური სიტყვების განსხვავებულ მოდელებს.

თ. მარგალიტაძის მიერ წარმოდგენილი პოლისემიურ სიტყვის ერთგანზომილებიანი მოდელი ძირითადად ზმნებისა და ზედსართავი სახელებისთვისაა დამახასიათებელი. პრედიკატული სიტყვები: ზმნები და ზედსართავი სახელები აღნიშნავენ მნიშვნელოვან ლოგიკურ კატეგორიას - ნიშანს. ნიშანი გამოიყოფა საგანთა განსხვავებული კლასებიდან. შესაბამისად, ზედსართავ სახელებსა და ზმნებში წარმოდგენილია ამა თუ იმ ნიშნის გამოვლენის მთელი მრავალფეროვნება სხვადასხვა კლასის საგნებში. აქ მარგალიტაძე გამოყოფს სისტემურ კონტექსტ, რომელიც ობიექტური რეალობის ერთი და იმავე

კატეგორიის კომპონენტებს აღნიშნავს. მისივე თქმით „სისტემური კონტექსტი პრედიკატულ სიტყვებში გამოავლენს იმ მნიშვნელობებს, რომელიც პოტენციურად არსებობს მათ აზრობრივ სტრუქტურაში“ (მარგალიტაძე, 2006).


თ. მარგალიტაძე, ზმნებისა და ზედსართავი სახელების მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში აღწერა ორი სემანტიკური კომპონენტი, რომელსაც იგი უწოდებს გამჭოლ სემასა (საერთო სემა) და სუბსემას (განმასხვავებელი სემა) და რომლებსაც ეფუძნება მოდელების მისეული აღწერა.

„გამჭოლ სემას ვუწოდებთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის იმ სემანტიკურ კომპონენტს, რომელიც პოლისემიური ზედსართავი სახელისა და ზმნის მთელი რიგი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის³ წარმოშობის საფუძველია.

სუბსემას კი ვუწოდებთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მადიფერენცირებელ სემანტიკურ კომპონენტს. იგი ზმნისა და ზედსართავი სახელის სისტემური კონტექსტიდან გამოიყოფა. სუბსემა აკონკრეტებს გამჭოლი სემის განზოგადებულ შინაარსს ყოველ ცალკეულ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტში, რის შედეგადაც რეალიზდება პოლისემიური ზმნისა და ზედსართავი სახელის ცალკეული მნიშვნელობები“ (მარგალიტაძე, 2006).

ერთგანზომილებიანს მარგალიტაძე უწოდებს ისეთ პოლისემიურ ზმნებსა და ზედსართავ სახელებს, რომელთა ყველა ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი ერთი გამჭოლი სემის საფუძველზე წარმოიშობა (Margalitadze, 2014).

³ ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი არის პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობა.




ფიგურა 2. პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების ერთგანზომილებიანი მოდელი.

როგორც მარგალიტაძე (2020) განმარტავს, განსხვავებით პოლისემიური არსებითი სახელის სემანტიკური სტრუქტურისაგან ზმნებისა და ზედსართავი სახელების სემანტიკური სტრუქტურა მწირია სემანტიკური კომპონენტებით, რადგან ისინი აღნიშნავენ ნიშან-თვისებას. ამიტომ არ არის გასაკვირი რომ პრედიკატული სიტყვების პოლისემიური სტრუქტურა გრძივი განვითარებით ხასიათდება და ერთი სემანტიკური კომპონენტი მრავალი მნიშვნელობის წარმოშობის წყარო ხდება.


მრავალგანზომილებიანი მოდელი

მრავალგანზომილებიანს მარგალიტაძე (1982; 2006) ისეთ პოლისემიურ სიტყვას, რომლის სემანტიკური სტრუქტურა რამდენიმე ერთგანზომილებიანი მწკრივისაგან შედგება, ე.ი. რამდენიმე გამჭოლი სემის საფუძველზეა წარმოშობილი. ასეთი მოდელის პოლისემიური სიტყვების სემანტიკური სტრუქტურები ხასიათდება სხვადასხვა მიმართებით გამჭოლ სემებს შორის, რის საფუძველზეც იგი გამოყოფს მრავალგანზომილებიანი სიტყვის სამ მოდელს, რომელსაც მან უწოდა: ეკვიპოლენტური, კიბისებური და შერეული მოდელი.



ფიგურა 4. პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების მრავალგანზომილებიანი, კიბისებური მოდელი.

ხოლო შერეული მოდელისათვის დამახასიათებელია როგორც ეკვიპოლენტური, ისე არაეკვიპოლენტური / დაქვემდებარებული მიმართებები პოლისემიური სტრუქტურის წარმომშობ გამჭოლ სემებს შორის.




ფიგურა 5. პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების მრავალგანზომილებიანი, შერეული მოდელი.

მისივე თქმით გამჭოლი სემა სიტყვის ძირითადი ან გადატანითი მნიშვნელობის რომელიმე სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე წარმოიშობა. ენისათვის

დამახასიათებელი ასოციაციური ნიშნები რომლებიც სიტყვის მნიშვნელობის პოტენციურ სემებში აისახება, დაკავშირებულია მოცემული ენის ენობრივი კოლექტივის ისტორიასთან, კულტურასთან, ლიტერატურასთან და სხვა. სწორედ ამიტომ, ეს ასოციაციები განსხვავდება სხვადასხვა ენაში. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე სიტყვას სხვადასხვა ენაში შესაძლოა განსხვავებული სემანტიკური კომპონენტები ჰქონდეს და მათი პოლისემიური სტრუქტურებიც განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან.

არსებითი სახელებისათვის თ. მარგალიტაძემ აღწერა ერთი მოდელი, რომელსაც მზისებრი მოდელი უწოდა. სწორედ ეს მოდელი გახდა ჩვენი კვლევის ინსპირაციის წყარო.

მზისებრი მოდელი ძირითადად არსებით სახელებში გამოიყოფა. არსებითი სახელი მაიდენტიფიცირებელი სიტყვაა, იგი საგანს აღნიშნავს, რომელსაც, განსხვავებით ზედსართავი სახელისა და ზმნისაგან, ბევრი ნიშან-თვისება აქვს. შესაბამისად, იგი „მდიდარია“ სემანტიკური კომპონენტებით. აღნიშნული სემანტიკური კომპონენტები წარმოშობენ გადატანით მნიშვნელობებს, რომლებიც განლაგდებიან ძირითადი მნიშვნელობის ირგვლივ, როგორც მზის სხივები მზის გარშემო. სწორედ აქედან მოდის ტერმინი - მზისებრი (მარგალიტაძე, 2006). გრაფიკულად ეს მოდელი ასე გამოიყურება:



ფიგურა 6. პოლისემიური არსებითი სახელების მზისებრი მოდელი.

თ. მარგალიტაძემ არა მხოლოდ აღწერა აღნიშნული მოდელები, არამედ დაამუშავა მოდელების შესწავლის მეთოდოლოგია, რომელიც მეც გამოვიყენე ჩემს კვლევაში.

1.6. კვლევის მეთოდები

ჩემი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია დეფინიციათა ანალიზის მეთოდი, კონტექსტუალური და კორპუსული ანალიზის მეთოდები. ქვემოთ განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

1.6.1. დეფინიციათა ანალიზის მეთოდი

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიტყვის მნიშვნელობას განვიხილავთ როგორც რთულ წარმონაქმნს, როგორც სტრუქტურას, რომელიც იერარქიულად განლაგებული სემანტიკური კომპონენტებისაგან შედგება.

სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის კვლევისათვის გამოვიყენე კომპონენტური ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ დეფინიციათა ანალიზის მეთოდი, რომელიც ეფუძნება ენის განმარტებით ლექსიკონებს.

განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციებში აისახება ენობრივი ნორმის გამოყენების სოციალური გამოცდილება, ფიქსირდება ამა თუ იმ ენის მატარებლის კოლექტიური წარმოდგენა სიტყვის მნიშვნელობაზე. ასეთი ლექსიკონები განაზოგადებენ თაობათა ცოდნას და გვაწვდიან ინფორმაციას საგანზე, რითაც გვეხმარებიან გავაანალიზოთ სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურა (მარგალიტაძე, 2006).

აქედან გამომდინარე, დეფინიციათა ანალიზის მეთოდი ეფუძნება იმ მნიშვნელოვან პოსტულატს, რომ სიტყვის მნიშვნელობა, მისი მახასიათებლები აისახება განმარტებითი ლექსიკონის დეფინიციებში (Arnold, 1966; Margalitadze, 2020).

ჩემი კვლევისას ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსიკონი დეფინიციათა ანალიზისათვის იყო ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი (OED). ისტორიულ პრინციპებზე შექმნილი ეს ლექსიკონი და მისი რედაქტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სწორედ მნიშვნელობის გადატანის მექანიზმის ექსპლიკაციას. ეს კი შეუძლებელია იმ

სემანტიკური კომპონენტების გამოყოფის გარეშე, რომელიც მნიშვნელობის გადატანის საფუძველი ხდება. ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის ეს უმნიშვნელოვანესი მიდგომა კარგად ჩანს ფილოლოგიური საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ ლექსიკონის პრინციპებში: 'In the treatment of individual words the historical principle will be uniformly adopted; - that is to say, we shall endeavor to show more clearly and fully than has hitherto been done, or even attempted, the development of the sense or various senses of each word from its etymology and from each other' (Silva, 2000, გვ. 78) ოქსფორდის ლექსიკონის ამ თვისებამ განსაზღვრა სწორედ დეფინიციათა ანალიზის მეთოდის წარმოშობა, რომელიც, ძირითადად, ამ ლექსიკონის დეფინიციების ანალიზს ეფუძნება. ოქსფორდის ლექსიკონი, განსხვავებით მე-19 საუკუნის ლექსიკონებისგან, რომლებიც მნიშვნელობის აღწერაში არისტოტელესულ პრინციპს იყენებდნენ და ძირითადად მნიშვნელობის გვარეობით და განმასხვავებელ კომპონენტებს აღწერდნენ, ოქსფორდის ლექსიკონი პოტენციურ სემანტიკურ კომპონენტებს აღწერს და სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის შესწავლის მნიშვნელოვანი წყაროა ინგლისური ენისათვის (Margalitadze, 2020).

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციები შეიძლება არ იყოს საკმარისი მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზისათვის. ამიტომ დეფინიციათა ანალიზის მეთოდი ითვალისწინებს სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციებში წარმოდგენილი ინფორმაციის შედარებასა და შეჯერებას.

ამრიგად, დეფინიციათა ანალიზის მეთოდის პირველი ეტაპი ითვალისწინებს გასაანალიზებელი სიტყვის დეფინიციების შეჯერებას ინგლისური ენის სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონიდან და ჯამური შეჯერებული დეფინიციების ჩაწერას განსახილველი სიტყვის ყოველი მნიშვნელობისათვის.

ჩვენ ასეთი კომპლექსური ანალიზისათვის, ოქსფორდის ლექსიკონის გარდა, გამოვიყენეთ ინგლისური ენის რამდენიმე ლექსიკონი: www.dict.ge, www.dictionnaire.com, www.thefreedictionary.com, www.dictionnaire.cambridge.org, www.lexico.com,

www.collinsdictionary.com, www.oxfordlearnersdictionaries.com, და www.merriam-webster.com.

ქართული ენისათვის ძირითადად გამოვიყენეთ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად არნ. ჩიქობავას საერთო რედაქტორობით („ქეგლი“) და ინტერნეტ სივრცეში არსებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები www.ice.ge და www.ena.ge. ამ ლექსიკონების საფუძველზე გავაანალიზეთ საკვლევი სიტყვების მნიშვნელობათა სემანტიკური სტრუქტურები ინგლისურსა და ქართულ ენებში.

1.6.2 მნიშვნელობის კონტექსტუალური ანალიზი

კონტექსტოლოგიური მიმართულება ენათმეცნიერებაში დაკავშირებულია ინგლისელი მეცნიერის ფერთის სახელთან (Firth, 1968), რომელმაც პირველმა შემოიტანა ენათმეცნიერებაში კონტექსტის ცნება და პირველმა მიაქცია ყურადღება სიტუაციური მიმართებების მნიშვნელობას სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სრული გახსნისთვის.

კონტექსტის როლსა და მნიშვნელობაზე პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობების რეალიზებისათვის, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ასევე მოვიყვანე ლ. ზგუსტას (1971) ცნობილი გამონათქვამი, რომ მნიშვნელობა არსებობს ენის სისტემურ დონეზე, ჩვენ კი ანალიზისათვის გვეძლევა მხოლოდ გამონათქვამები. სწორედ ამიტომ ენიჭება ასეთი დიდი მნიშვნელობა მაქსიმალურად ბევრი კონტექსტის შეკრებას, რათა მნიშვნელობის აღწერა ობიექტური იყოს.

მნიშვნელობის კონტექსტუალური ანალიზისათვის ეუჯინ ნაიდა (1975) ყურადღებას ამახვილებს ინფორმანტზე, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროზე და წარმოგვიდგენს მასთან მუშაობის რეკომენდაციებს. მისი თქმით, ინფორმანტთან მუშაობისას მნიშვნელოვანია თავი ავარიდოთ ისეთი შეკითხვის დასმას როგორცაა: რას ნიშნავს ეს სიტყვა? უმჯობესია ვიკითხოთ, როგორია, როგორ გამოიყენება? როდის ამბობთ ამ სიტყვას?

ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის განსაზღვრა ინფორმანტის დახმარებით არის ერთ-ერთი ავთენტიკური საშუალება სიტყვის პრაქტიკული გამოყენების

გადამოწმებისათვის. ამ მიზნით, ჩემი კვლევის ფარგლებში მოხდა პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობების გადამოწმება ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ინდივიდებთან, რის საფუძველზეც შემუშავდა ელექტრონული ვიდეო რესურსები ჩვენი საკვლევი თემის ირგვლივ. აღსანიშნავია, რომ გამოვლინდა სალექსიკონო დეფინიციებში ჩაწერილი მნიშვნელობებიდან რამდენიმე მნიშვნელობა, რომელიც ნაკლებად არის გამოყენებული პრაქტიკაში ან საერთოდ არ არის გამოყენებული. მაგალითად, ინგლისურ ენაზე მოსაუბრენი ხშირად იყენებენ სიტყვას head of garlic, მაგრამ ნაკლებად mouth of bottle.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ შეუძლებელი იყო ჩვენი კვლევის ფარგლებში არსებითი სახელების ყველა მნიშვნელობების გადამოწმება ინფორმანტთან, მივმართეთ ელექტრონულ კორპუსებს.

1.6.3 კვლევის კორპუსული მეთოდი

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, კომპიუტერულმა ტექნიკამ და ელექტრონული რესურსების შექმნამ მთლიანად შეცვალა დამოკიდებულება, როგორც ენების კვლევისადმი, ისე ლექსიკონების შედგენისადმი. ენის კორპუსი, რომელიც ისტორიულ თუ თანამედროვე ტექსტებს ხელმისაწვდომს ხდის დაინტერესებული მკითხველისათვის, შეიძლება ითქვას, რომ არის 21 საუკუნის ელექტრონული დამწერლობა. ელექტრონული რესურსების შექმნამ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელი გახადა ლიტერატურული და სხვა ისტორიული მნიშვნელობის ტექსტების ციფრულ ფორმატში გადაყვანა და მრავალმილიონიანი ერთეულების შემცველი ელექტრონული ბაზების შექმნა. შეიქმნა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ელექტრონული კორპუსი და ამგვარმა რესურსებმა სრულიად ახალი შესაძლებლობები შექმნეს ენების კვლევისათვის. თანამედროვე მიდგომებით, ენის კვლევა წარმოუდგენელია კორპუსული მონაცემების გარეშე. კორპუსზე დაფუძნებული და კორპუსით წარმართული მეთოდოლოგია განსაკუთრებით აქტუალურია ლექსიკოგრაფიული საქმიანობისათვის.

პირველი კომპიუტერული კორპუსი, ე.წ. ბრაუნის კორპუსი, აშშ-ში შეიქმნა (აშშ, ბრაუნის უნივერსიტეტი). ბრაუნის კორპუსის მემკვიდრეა LOB (ლანკასტერ-ოსლო-ბერგენი)

კორპუსი. ამას მოჰყვა BNC – ბრიტანული ნაციონალური კორპუსი, რომელიც არა ერთი ენის კორპუსის შექმნის მოდელად არის გამოყენებული. ბრიტანული კორპუსის მაგალითზე შეიქმნა ამერიკული ნაციონალური კორპუსი (ANC). ინგლისურენოვანი კორპუსების პარალელურად ევროპისა და აზიის მრავალ ენაზე იქმნება სხვადასხვა მოცულობისა და სპეციფიკის კორპუსები, მათ შორის შეიქმნა ქართული ენის კორპუსებიც.

დღეისათვის უკვე არსებობს მრავალი ენის ნაციონალური კორპუსი, ერთენოვანი ელექტრონული კორპუსების პარალელურად ჩნდება ორენოვანი, მრავალენოვანი ელექტრონული კორპუსები. ჩემი კვლევის ფარგლებში დავეყრდენი და გავაანალიზე მონაცემები რამდენიმე ელექტრონული კორპუსის გამოყენებით.

სიტყვა კორპუსი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან “corpus”, რაც ნიშნავს „სხეულს“, „ტანს“. თანამედროვე ლინგვისტიკაში „კორპუსი“ გამოიყენება ტექსტების ელექტრონული კრებულის აღნიშვნისათვის. მაკენერის და უილსონის (McEnery & Wilson, 1996) მიხედვით კორპუსი შეიძლება დავარქვათ ერთზე მეტი ტექსტის კრებულს. „შეიძლება ითქვას, რომ კორპუსი წარმოადგენს ენის შემცირებულ მოდელს. ცნება „კორპუსი“ (ან უფრო ზუსტად – “ტექსტური კორპუსი” Textcorpus) საზოგადოდ აღნიშნავს რომელიმე მოცემული ენისათვის არსებული რესურსების ნაკრებს, რომელიც, როგორც წესი, ელექტრონულ მატარებლებზე არის გადატანილი და მოიცავს არა მარტო წერილობითი ტექსტების, არამედ წერილობით დოკუმენტირებული ზეპირმეტყველების „გაციფრებულ“ მასალებს. ამდენად, იგი აერთიანებს ენის რეალიზაციის ორივე ფორმას: ე.წ. „დაგეგმილ“ და „დაუგეგმავ“ ენას. ენის კორპუსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენის ან მისი რომელიმე ქვესისტემის ვირტუალური მიკრომოდელი (ანუ ენის ელექტრონული რესურსების საწყობი) - დიდი მოცულობის ელექტრონული ტექსტური მასივი, რომელიც აღჭურვილია საგანგებო საკვლევით ინსტრუმენტით ე. წ. “კორპუსის მენეჯერით (თანდარაშვილი, 2020).”

სიტყვათშეხამებითი მოდელების საძიებო სისტემა (Sketch Engine)

Sketch Engine-ი არის შეუცვლელი ინსტრუმენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ ფუნქციონირებს ენა. იგი აანალიზებს მილიონობით სიტყვისაგან შემდგარ ავთენტიკურ ტექსტებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ რა არის ენისათვის დამახასიათებელი, რა არის იშვიათი და რისი მზარდი გამოყენება ხდება.

საძიებო საიტი შეიცავს 400 მზა კორპუსს, 85-ზე მეტ ენას, მთლიანობაში 20 მილიარდზე მეტ სიტყვას, რაც გვაძლევს ენის უტყუარ ნიმუშს.

Sketch engine-ი არის კორპუსის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ლექსიკოგრაფიაში და გვთავაზობს, როგორც ბევრ მზა კორპუსს, ისევე საკუთარი კორპუსის შექმნისათვის საჭირო ინსტრუმენტებს.

სიტყვის მნიშვნელობის კვლევას ხელს უწყობს დღეს არსებული ელექტრონული კორპუსები, რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება აკადემიური საზოგადოებისათვის. ელექტრონული კორპუსები მოიცავს დიდძალ მასალას, რაც იძლევა მნიშვნელობის ობიექტური კვლევის საშუალებას. უსასრულოდ ვრცელ კორპუსებში ავტომატური ძიების გასამარტივებლად შეიქმნა სიტყვათშეხამებითი მოდელების საძიებო სისტემა (Kilgariff & Tugwell, 2002) სიტყვათშეხამებითი მოდელი არის კონკრეტულ კორპუსში დამოწმებულ სიტყვათშეხამებათა ავტომატურად წარმოქმნადი მოკლე აღწერილობა ანუ რეზიუმე. ეს არის სემანტიკური სიტყვათშეხამებები (კოლოკაციები), რომლებიც ჯგუფდება გრამატიკულ-სემანტიკური მიმართებების მიხედვითაც. კოლოკაციის ღილაკის გამოყენებით შესაძლებელია კორპუსში დამოწმებული ყველა კოლოკაციის ნახვა.

დღეისათვის სიტყვათშეხამებითი მოდელების საძიებო სისტემა მოიცავს 42 ენის კორპუსს სიტყვათშეხამებითი მოდელებით, რომელშიც ათასობით ასეთი ერთეულია წარმოდგენილი.

სისტემა არა მხოლოდ ავტომატურად აგებს სიტყვათშეხამებით მოდელებს, არამედ მასშტაბური კორპუსის ანალიზის მრავალფეროვან საშუალებებსაც მოიცავს, ესენია:

სიტყვათა ჩამონათვალი, ძირითადი საძიებო ფუნქციები, კორპუსისა და ქვეკორპუსის შედარებები. ორი სიტყვის განსხვავებულ მახასიათებლებზე დაკვირვება შესაძლებელია მოდელის განსხვავებების აღნიშვნით. ჩამოთვლილი ფუნქციები ზრდის კორპუსის აპლიკაციათა მნიშვნელობას არა მხოლოდ ლექსიკოგრაფიული, არამედ სხვა სახის ლინგვისტური კვლევებისთვისაც. იგი აგრეთვე ეფექტურია ენის შესასწავლად და ენის ავტომატური ანალიზისათვის.

სიტყვის „სკეჩი“

ტერმინი, რომელმაც Sketch engine-ს დაარქვა სახელი არის სიტყვის „სკეჩი“: სიტყვის ლექსიკური და სინტაქსური შესიტყვებების აღწერა. ასე გამოიყურება ჩვენ მიერ განსახილველი სიტყვა „თავის“ სკეჩი კორპუსში enTenTen13.

The screenshot shows the Sketch Engine interface for the word "head". The main content area displays the word "head" with its part of speech (noun) and frequency information. Below this, there are several columns of data representing different grammatical and collocational categories:

modifiers of "head"	nouns modified by "head"	verbs with "head" as object	verbs with "head" as subject	"head" and/or ...
1,202,828 0.23	917,139 0.17	1,488,360 0.28	504,146 0.10	766,906 0.14
department + 15,308 8.29 department head	coach + 79,064 10.50 head coach	shake + 185,956 11.61 shook his head	spin + 5,649 8.27 bow + 4,735 8.15 head bowed	neck + 23,929 9.61 head and neck
ugly + 13,127 8.28 its ugly head	start + 37,653 9.34 a head start	turn + 64,237 9.25 nod + 27,098 9.15	rest + 3,916 7.62 head resting on	shoulder + 16,303 9.11 head and shoulders above
shower + 12,159 8.12 shower head	injury + 31,802 9.01 head injury	scratch + 27,000 9.09 tilt + 21,749 8.84	explode + 3,039 7.33 head explode	tail + 7,378 8.16 heads or tails
cylinder + 7,473 7.60 the cylinder head	office + 36,998 8.33 head office	bow + 18,027 8.59 bowed his head	tilt + 2,579 7.33 head tilted	heart + 10,616 7.97 head and heart
former + 17,607 7.57 former head of the	louse + 7,000 7.94 head lice	rear + 15,697 8.39 shave + 14,441 8.23	turn + 9,471 7.21 head turned	face + 8,743 7.91 head and face
bald + 6,238 7.34 a bald head	chef + 8,673 7.92 head chef	lift + 17,483 8.18 stick + 13,712 7.99	bob + 2,336 7.20 head bobbing	body + 12,460 7.82 head and body
hilton + 5,046 7.02 Hilton Head ,	ache + 7,103 7.83 head aches	talk + 12,364 7.67 talking heads	hurt + 2,642 7.03 head hurts	arm + 5,819 7.36 eye + 6,763 7.30
deputy + 4,422 6.77 deputy head of the	trauma + 7,092 7.78 head trauma	bang + 9,496 7.66 wrap + 10,333 7.57 wrap my head around	snap + 2,339 7.02 head snapped up	leg + 4,555 7.05 foot + 4,777 7.02
trail + 4,659 6.74 the trail head	neck + 5,592 7.40 head , neck ,	bury + 9,683 7.52 rest + 8,869 7.50	nod + 2,312 6.85 head nodded	hand + 6,691 7.00 chest + 3,405 6.96 head and chest
cool + 5,325 6.41	gasket + 4,649 7.32			

ფიგურა 7. არსებითი სახელი head-ის სკეჩი კორპუსში enTenTen13.

სიტყვის „სკეჩი“ გვაძლევს უზარმაზარ ინფორმაციას კონკრეტულ სიტყვაზე. სიტყვისათვის head გამოტანილია ყველა ძირითადი მსაზღვრელი სიტყვა, ზმნები, რომლებიც გამოიყენება head-თან ინგლისურ ენაში და ა.შ. ასევე მოცემულია მყარი შესიტყვებები, იდიომები. სიტყვის ხმარების ყოველ შემთხვევას მითითებული აქვს სიხშირული ინდექსი, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს განსაზღვროს თუ რამდენად

აქტუალური და ხშირად ხმარებულია ესა თუ ის შესიტყვება და რამდენად საჭიროა მისი კვლევაში ჩართვა.

სიტყვის „სკეჩი“ წარმოაჩენს სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკურ კონსტრუქციებს, სიტყვის მნიშვნელობის გადატანის სხვადასხვა მექანიზმებს. როგორც ვთქვით, მასალა უზარმაზარია, ამიტომ ჩვენ ავირჩიეთ ორი მეთოდი, სიტყვის სკეჩი და კონკორდანსი.

სიტყვის სკეჩი შეიძლება მივიღოთ, როგორც სიტყვის მნიშვნელობის ანალიზის მონახაზი. სისტემა თავად ახარისხებს სიტყვის მონაცემებს და ახდენს მათ ორგანიზებას.

კონკორდანსი

სიტყვის სკეჩის შესწავლის შემდეგ, ხშირად ჩნდება უფრო ვრცელი მასალის შესწავლის საჭიროება, რის საშუალებასაც იძლევა კონკორდანსი.

კონკორდანსი არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სიტყვის მნიშვნელობის კვლევისათვის. როდესაც უკვე კონკორდანსი გვაქვს ხელთ შესაძლებელია ბევრი რამის გაკეთება: მასალის დახარისხება, გამარტივება, გაფილტვრა (მაგ: კონტექსტის ან ტექსტის ტიპის მიხედვით) ან შენახვა.

The screenshot shows the Sketch Engine search results for the query "from head to foot". The search results are displayed on page 1 of 4. The results list includes various contexts where the phrase is used, such as "bone-graft, I went all prepared, shaved from head to foot wrapped up like a mummy, from my neck to park behind the arcade she was trembling from head to foot, raked by every emotion from fear to rage" and "door behind her and stood there, shaking from head to foot, breathing hoarsely." The interface also includes a sidebar with navigation options like Home, Search, Word list, and Corpus info.

ფიგურა 8. არსებითი სახელი head-ის კონკორდანსი კორპუსში British National Corpus.

Sketch Engine head Br British National Corpus (BNC)

Query head 45,918 (408.92 per million)

Page 1 of 2,296 Go Next Last

Written bo... which shows Oceanus - another figure whose head is slightly turned, to his right, and depicted

Written bo... contrast the confusion of colour around the heads of the lion and stag) is more suitable

Written bo... the technique employed (especially in the head of Venus) is reminiscent of that in the

Written bo... which brought in over £5000. The committee headed by Dame Gillian Brown held a Literary Lunch

Written bo... the VI form College in her home area. The Head Girl of Malvern Girls' College and a scientist

Written bo... O.B.E.s: namely Ann Gray (1953) Deputy Head Teacher of Wakefield Girls' High School

Written bo... revenge on Somerville for its defeat in the Head of the River earlier in the year. In some

Written bo... mighty First Eight won back their position as Head of the River. Three members of the crew

Written bo... mothering three sons has been appointed Head of Personnel at the Ministry of Agriculture

Written bo... Rachel Walton (Mrs Bertenshaw) was promoted Head of Modern Languages, Dane Valley High School

Written bo... tutorials I was sent to were way above my head - I didn't dislike them, but they worried

Written bo... (1944), is thought to be abroad. She was Head of Music at Holland Park Comprehensive

Written bo... school teaching and has enjoyed it! She is Head of Mathematics and of Sixth Form at Farnborough

Written bo... taught History, ran the library and was Head of First Year. She has suffered poor health

Written bo... experiences and challenges, but all my years as a Head were full of interest and happy working

Written bo... career shows enviable stability. She is now Head of Modern Languages at Queen Elizabeth's

Written bo... post-doctoral research, school-teaching, Head of Information at the British Antarctic

Written bo... that anybody's stood still: my lot are now heads of departments, globe-trotting business

Written bo... at least one senior worker, (Shirley May, head of the Literacy Project) intends to take

Written bo... executive from the private sector as its new head . David Slater, who replaces Frank Feates

Page 1 of 2,296 Go Next Last

>>

<- previous in 1965. When Hampshire established the VI form college in Basingstoke we became a contributory 11-16 mixed comprehensive school, Harriet Costello School. The change brought some unexpected experiences and challenges, but all my years as a Head were full of interest and happy working relationships and I thoroughly enjoyed my career, a memorable and refreshing interlude in it being the Centenary summer term back at Somerville as a Schoolmistress Fellow. </p><p> It has been a privilege next >

ფიგურა 9. არსებითი სახელი head-ის მაგალითები BNC-ის კორპუსის მიხედვით.

განხილული მეთოდების გამოყენებით, თითოეული არსებითი სახელისათვის შევისწავლეთ ძირითადი კონტექსტები და აღვწერეთ მათი პოლისემიური მნიშვნელობები. შემდეგ, სალექსიკონო დეფინიციების ანალიზის მოშველიებით გამოვყავით სიტყვების მნიშვნელობების სემანტიკური კომპონენტები, გავაანალიზეთ სემანტიკური კომპონენტების კავშირი სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებთან და გამოვსახეთ პოლისემიური სიტყვები გრაფიკულად.

1.7. დასკვნა

პირველ თავში მიმოვიხილეთ ის თეორიული საკითხები, რომელსაც ეფუძნება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი, კერძოდ განვიხილეთ: მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, სიტყვის მნიშვნელობის კვლევის ძირითადი მიმართულებები, პოლისემია და პოლისემიასთან დაკავშირებული პრობლემები, თეორიები სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურის შესახებ, თ. მარგალიტაძის მიერ აღწერილი პოლისემიის უნივერსალური მოდელები, ასევე კვლევის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები.

1. ჩვენ სრულად ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მნიშვნელობა არის ამა თუ იმ ნიშანთან დაკავშირებული კონცეპტი, ცნება. კავშირი სიტყვასა და მის მიერ აღწერილ საგანსა თუ მოვლენას შორის არ არის პირდაპირი, რადგან სიტყვასა (ლექსიკურ ერთეულს) და დენოტატს შორის არის ცნება (*designatum*). სიტყვის მნიშვნელობა ასახავს არა საგანს თუ მოვლენას, არამედ ჩვენს წარმოდგენას ამ საგანსა თუ მოვლენაზე. ამავე დროს ცნება არის მოცემული ენობრივი კოლექტივის წარმოდგენა გარე სამყაროს ამა თუ იმ სეგმენტზე. სწორედ სიტყვის მნიშვნელობის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ცნების თავისებურებიდან გამომდინარე, ყოველი ენა სამყაროს თავისებურად ანაწევრებს.
2. ლ. ზგუსტას კვალდაკვალ, სიტყვის მნიშვნელობაში გამოვყოფთ სამ კომპონენტს: დენოტაციური მნიშვნელობა, კონოტაციური მნიშვნელობა და მნიშვნელობის გამოყენების არეალი (*the range of application*).
3. სიტყვის მნიშვნელობის კვლევა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით განვითარდა.
 - 1) ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა მოიცავს პერიოდს 1830 წლიდან 1930 წლამდე. მის მნიშვნელობაზე საუბრისას გეერარტსი (2010) ყურადღებას ამახვილებს ორ ფუნდამენტურ ცნებაზე, რომელიც უმნიშვნელოვანესია ლექსიკური სემანტიკის ისტორიაში. პირველი: ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა ხაზს უსვამს მნიშვნელობის დინამიკურ (განვითარებად) ბუნებას. მნიშვნელობა არ არის უცვლელი, ის იცვლება მოულოდნელად და

რეგულარულად ენაში არსებული თუ წარმოქმნილი გარემოებების და კონტექსტების გათვალისწინებით. მეორე: ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა იკვლევს ენისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხს და ხაზს უსვამს მნიშვნელობის ფსიქოლოგიურ ასპექტს. სემანტიკური ცვლილებების კლასიფიკაციები არის ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკის მთავარი ემპირიული შედეგი.

- 2) შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო სტრუქტურალისტური სემანტიკა. სტრუქტურალიზმის ცენტრალური იდეა არის ენის ერთიან სისტემად და არა სიტყვათა უბრალო სათავსად განხილვა. ბუნებრივი ენები წარმოადგენს სიმბოლოთა სისტემებს ინდივიდუალური პრინციპებითა და თავისებურებებით. სწორედ ეს პრინციპები და თავისებურებები განსაზღვრავს თუ როგორ ფუნქციონირებს ლინგვისტური ნიშანი, როგორც ნიშანი. ლექსიკური ერთეულების ფორმა ზოგადად სრულიად პირობითია და სწორედ ნიშნის ეს პირობითობა უბიძგებს ლინგვისტს აღწეროს ენა, როგორც წესების პირობითი სისტემა. ამრიგად, ენის არსი მდგომარეობს მის პირობითი ავტონომიის მქონე სიმბოლოთა სისტემად განხილვაში.

სტრუქტურალისტურმა აზროვნებამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ლექსიკურ სემანტიკაზე. სტრუქტურალისტურმა აზროვნებამ სემანტიკურ ცვლილებებზე ფოკუსირებული ყურადღება სინქრონული ფენომენის აღწერაზე გადაიტანა და აქცენტის გადატანის პროვოცირება მოახდინა სემასიოლოგიურიდან ონომასიოლოგიურ კვლევაზე. ანუ აღიარებულ იქნა, რომ ენა არ წარმოადგენს სიტყვების არასტრუქტურირებულ გროვას, არამედ არის სხვადასხვა სახის სემანტიკური კავშირებით ურთიერთდაკავშირებული გამონათქვამების ქსელი.

- 3) კოგნიტიური სემანტიკა წარმოიშვა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როგორც კოგნიტიური ლინგვისტიკის ნაწილი. ეს იყო თეორიული მოძრაობა, რომელიც დაუპირისპირდა გრამატიკის ბატონობას და სემანტიკის მეორეხარისხოვან მდგომარეობას ენის გენერატივისტულ თეორიაში. დესკრიფციული

ლინგვისტიკა ენის ლექსიკურ დონეს პერიფერიულად მიიჩნევდა ათწლეულების განმავლობაში და ძირითადი აქცენტი ენის ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემების აღწერაზე ჰქონდა გადატანილი. უფრო მეტიც, ამ მიმართულების წარმომადგენლები ლექსიკას საერთოდ არ მიიჩნევდნენ ლინგვისტიკის ნაწილად.

გეერარტის მიხედვით კოგნიტიურმა სემანტიკამ სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში შემდეგი ოთხი მიმართულებით შეიტანა წვლილი:

- კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპური მოდელი;
- კონცეპტუალური მეტაფორისა და მეტონიმის თეორია;
- იდეალიზებული კოგნიტიური მოდელები და ფრეიმების თეორია;
- კოგნიტიური სემანტიკის წვლილი მნიშვნელობის ცვლილების შესწავლის საქმეში.

4. პოლისემიას ჩვენ განვიხილავთ როგორც ენაში რეალურად არსებულ მოვლენას, როდესაც ერთ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. პოლისემია ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ლინგვისტური მოვლენაა, რადგან ინგლისური სიტყვების 40 % სწორედ ასეთია. პოლისემიური სიტყვის სტრუქტურაში გამოვყოფთ ძირითად მნიშვნელობას და გადატანით მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია პოლისემიის გამიჯვნა ომონიმისაგან. როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს პოლისემიური მნიშვნელობები ამა თუ იმ სიტყვისათვის, ისინი თავს იყრიან ერთი აზრობრივი ღერძის გარშემო. ხოლო როცა მნიშვნელობები აზრობრივად დამორებული არიან ერთმანეთისაგან და მხოლოდ ბგერითი შემადგენლობით ჰგვანან ერთმანეთს, აქ საქმე გვაქვს ომონიმისათან. პოლისემიური მნიშვნელობები ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ერთმანეთთან, მაშინ როდესაც ომონიმები სხვადასხვა ეტიმოლოგიის სიტყვებია.

პოლისემიის წარმოშობის მრავალი მიზეზი არსებობს. მათგან მნიშვნელოვანია ეკონომიის პრინციპი, როდესაც ერთი სიტყვა გამოიყენება მრავალი ცნების აღსანიშნად. ეს რომ ასე არ იყოს და ყველა სიტყვა მონოსემიური იყოს, ყოველ ენაში

მილიონობით სიტყვა იქნებოდა, რაც გაართულებდა კომუნიკაციას. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის აზროვნების თავისებურება დაინახოს მსგავსება საგნებსა და მოვლენებს შორის და ასახოს სამყაროს მრავალფეროვნება და ერთიანობა. პოლისემიის წარმოშობის მიზეზად ქართულ ენაში ასევე ასახელებენ ტაბუს, სემანტიკურ დიალექტიზმებს, ჟარგონს, სიტყვის ტერმინოლოგიზაციას და სხვა.

5. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურას ჩვენ განვიხილავთ არა როგორც ჰომოგენურ, ერთგვაროვან წარმონაქმნს, არამედ როგორც რთულ სტრუქტურას, რომელიც მრავალი, იერარქიულად განლაგებული სემანტიკური კომპონენტებისაგან შედგება. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტს კი, ანუ სემას ვუწოდებთ სიტყვის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მინიმალურ, განუყოფელ ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია სიტყვის მიერ გამოხატული ცნების ნიშან-თვისებასთან. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოვყოფთ გვარეობით / კატეგორიულ სემებს, განმასხვავებელ / მადიფერენცირებელ სემებს და დამატებით / პოტენციურ სემებს. პოტენციური სემები აღნიშნავენ სწორედ იმ ასოციაციებს, იმ ნიშან-თვისებებს, რაც შედის სიტყვის ცნებაში / კონცეპტში და რითაც ერთი ენა განსხვავდება მეორე ენისგან. სწორედ პოტენციური სემები განსაზღვრავენ სიტყვის მნიშვნელობის გადატანას.
6. პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები მრავალი აზრობრივი კავშირებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც ქმნის პოლისემიური სიტყვის არქიტექტურას და ყალიბდება სხვადასხვა მოდელებად: ერთგანზომილებიანი, კიბისებური, ეკვიპოლენტური, შერეული, მზისებრი.
7. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის კვლევა შესაძლებელია კომპონენტური ანალიზის ერთ-ერთი მეთოდის მეშვეობით, რომელსაც დეფინიციათა ანალიზის მეთოდი ეწოდება. იგი ეფუძნება განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციების ანალიზს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონს ისტორიულ პრინციპებზე, რადგან აღნიშნული ლექსიკონის მიზანი იყო მოეხდინა სიტყვის მნიშვნელობის

გადატანის მექანიზმის ექსპლიკაცია, ეს კი შეუძლებელია იმ პოტენციური სემის გამოვლინების გარეშე, რომელიც არის მნიშვნელობის გადატანის საფუძველი.

8. პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობათა დასადგენად საჭიროა დიდი რაოდენობით კონტექსტების გაანალიზება. ეს შესაძლებელია კონტექსტუალური და კორპუსული მეთოდების გამოყენებით. ინგლისური ენის კვლევისათვის განსაკუთრებით ეფექტიანია სკეჩენჯინი, მისი კორპუსები და პროგრამული ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სიტყვის ყველა ლექსიკური და სინტაქსური შესატყვისობა მათი სიხშირული ინდექსების მითითებით.

თავი 2. არსებითი სახელების უნივერსალური მოდელები ინგლისურსა და ქართულ ენებში

ამ თავში წარმოდგენილია სხვადასხვა ჯგუფის არსებით სახელებზე ჩატარებული კვლევის შედეგები, გაანალიზებულია პოლისემიურ არსებით სახელებში მიმდინარე სიღრმისეული პროცესები, რის შედეგადაც ყალიბდება მათი პოლისემიური სტრუქტურები / მოდელები. როგორც აღინიშნა, ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა რამდენად უნივერსალურია თ. მარგალიტაძის მიერ აღწერილი მზისებრი მოდელი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში, ჩვენი მიზანი ასევე იყო დავკვირვებოდით პოლისემიის, როგორც ლინგვისტური მოვლენის, მსგავსებასა და განსხვავებას თანამედროვე ინგლისურსა და ქართულ ენებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მზისებრი მოდელის მსგავსი მოდელი აღწერილია ლინგვისტურ ლიტერატურაში და მას რადიალური მოდელი ეწოდება. ეს მოდელი პირველად აღწერა კლაუდია ბრუგმანმა (Brugman, 1988). ანალოგიურ მოდელზე საუბრობს ი. მელჩუკი თავისი თეორიის ფარგლებში (Mel'čuk, 2013, გვ. 66). თუმცა არც ერთ ავტორს არ წარმოუდგენია ამ მოდელის ან სხვა მოდელების ისეთი სიღრმისეული ანალიზი, როგორც ეს თ. მარგალიტაძის შრომებშია, არ უჩვენებიათ ის მეთოდოლოგია, რომლითაც შესაძლებელია მსგავსი ანალიზის ჩატარება დაინტერესებული მკვლევრების მიერ. სწორედ ამიტომ ჩვენ ძირითადად მის შრომებს დავყვრდებით და მის მიერ აღწერილი მეთოდით წარვმართეთ მუშაობა.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევა ჩავატარეთ სამი ჯგუფის არსებითი სახელების მასალაზე, ესენია: ადამიანის სხეულის ნაწილების, სახის ნაკვეთებისა და შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი სიტყვები. ჩვენი კვლევის შედეგები ნაშრომში მოცემულია არსებითი სახელების: ხელი, თავი, თვალი, პირი და გულის მაგალითზე ინგლისურსა და ქართულ ენებში. თითოეული სიტყვის ანალიზი მეორე თავის ცალკე ქვეთავადაა წარმოდგენილი. ყოველი სიტყვისათვის, კონტექსტუალური და კორპუსული მეთოდების გამოყენებით, ასევე სხვადასხვა ლექსიკონების ინფორმაციაზე დაყრდნობით,

გამოყოფილია ყველა პოლისემიური მნიშვნელობა თანამედროვე ინგლისურ ენაში და ყოველ მნიშვნელობას დართული აქვს საილუსტრაციო მასალა. შემდეგ ეტაპზე, დეფინიციათა ანალიზის მეთოდის გამოყენებით, გამოყოფილია საკვლევი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები, გაანალიზებულია პოლისემიური მნიშვნელობებისა და სემანტიკური კომპონენტების კავშირი და გამოვლენილია ის სიღრმისეული პროცესები, რაც პოლისემიური მოდელის ფარგლებში მიმდინარებს. კვლევის შედეგად გამოვლენილი მოდელი წარმოდგენილია გრაფიკული გამოსახულების სახით. ამა თუ იმ საკვლევი სიტყვის ანალიზს ინგლისურ ენაში მოსდევს მოცემული არსებითი სახელის ეკვივალენტის შესწავლის შედეგები ქართულ ენაში. ქართული სიტყვების ანალიზისას მივყვებით იგივე პროცედურას: სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობები საილუსტრაციო მასალით, ძირითადი მნიშვნელობიდან გამოყოფილი სემანტიკური კომპონენტები, მიმართება პოლისემიურ მნიშვნელობებსა და სემანტიკურ კომპონენტებს შორის და გრაფიკული გამოსახულება. ყოველ საკვლევ სიტყვასთან წარმოდგენილია შეპირისპირებითი ანალიზი მსგავსება-განსხვავებებით, ილუსტრირებულია და განხილულია მიღებული მოდელები მოცემული ენებისათვის.

სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობების ანალიზისას ელექტრონული კორპუსების მეშვეობით, გამოვიყენეთ სიხშირული მეთოდიც, რამაც შესაძლებელი გახადა მნიშვნელობების სიხშირული გამოყენების მიხედვით დალაგება. გამოვლინდა, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი, მთავარი მნიშვნელობები უფრო ხშირად გამოიყენება ენაში ვიდრე, მეორადი, გადატანითი, დროთა განმავლობაში შექმნილი მნიშვნელობები.

მზისებრი მოდელი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძირითადად არსებით სახელებშია გავრცელებული, თუმცა შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილებშიც გამოვლინდეს. არსებითი სახელი, როგორც ითქვა, არის მაიდენტიფიცირებელი სიტყვა, იგი აღნიშნავს საგანს ან მოვლენას, რომელსაც, ჩვეულებრივ ბევრი ნიშან-თვისება აქვს. ამიტომ მისი ძირითადი მნიშვნელობა „მდიდარია“ სემანტიკური კომპონენტებით, რომლებიც აღნიშნულ საგანთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნიშან-თვისებას აღნიშნავს (მარგალიტაძე, 2006). არსებობს არსებითი სახელები, რომელთაც აქვთ ერთი

სემანტიკური კომპონენტიდან განვითარებული მხოლოდ ერთი მნიშვნელობა, - ან ერთ სემანტიკურ კომპონენტზე დაფუძნებული ორი, სამი, ზოგ შემთხვევას კი ათზე მეტი მნიშვნელობაც. მაგალითად: პოლისემიური არსებითი სახელის „თვალი“ შემთხვევაში, ერთი სემანტიკური კომპონენტი - resembling the shape of the eye, უდევს საფუძვლად შემდეგი მნიშვნელობების განვითარებას: მზე, ვარსკვლავი, ნემსის ყუნწი, ყველის ფორი, გრიგალის/ციკლონის თვალი, დუგმის კავის გამოსადები, კვირტი, ღილის შესაკრავი და ა.შ. ამას უკეთ დავინახავთ ქვემოთ მოყვანილ ანალიზში. ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს ფორმით მსგავსება აკავშირებთ არსებითი სახელის „თვალის“ ძირითად სემანტიკურ კომპონენტთან.

აღწერილი ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მზისებრი მოდელი არის არსებითი სახელის ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი. ჩვენ აღვწერეთ აღნიშნული მოდელის ორი სახესხვაობა: კლასიკური მზისებრი მოდელი და გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი. მოდელს, რომელშიც პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობის ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ვითარდება ერთი, ორი ან მაქსიმუმ სამი მნიშვნელობა, ვუწოდეთ **კლასიკური მზისებრი მოდელი**. მოდელს, რომელშიც პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობის ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ვითარდება ოთხი, ხუთი და მეტი მნიშვნელობა, ვუწოდეთ **გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი**.

2.1 პოლისემიური არსებითი სახელი „ხელი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში

არსებითი სახელი hand - ხელი მაღალპოლისემიური აღმოჩნდა როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებში. შეპირისპირებითმა კვლევამ გამოავლინა, რომ მოცემული არსებითი სახელი წარმოადგენს არსებითი სახელის მზისებრ მოდელს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ კლასიკურ მზისებრ მოდელს. თვალი გადავავლოთ მოცემული არსებითი სახელის მნიშვნელობებს ინგლისურსა და ქართულ ენებში. როგორც აღმოჩნდა, სიტყვა, „ხელს“ აქვს 17 მნიშვნელობა ინგლისურ ენაში, ხოლო 13 ქართულ ენაში, რომლებიც განვითარდა მსგავსი და განსხვავებული სემანტიკური კომპონენტების საფუძველზე.

2.1.1. არსებითი სახელი HAND ინგლისურ ენაში

ინგლისურ ენაში არსებითი სახელს hand აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

1. ხელი, ხელის მტევანი;

[OED - The terminal part of the human arm beyond the wrist, consisting of the palm, fingers and thumb.]

the back of the hand ხელის ზურგი; the palm of the hand ხელისგული; to take smb. by the hand ხელის ჩაკიდება; he writes with his left hand იგი ცაციაა; with one's own hand საკუთარი ხელით, თვითონ, თავად;

2. ცხოველის წინა ფეხი/თათი;

[OED - the terminal part of a limb of any animal, e.g.: of all four limbs of a monkey.]

The monkey has four hands მაიმუნს ოთხი ხელი აქვს; the hand of a parrot თუთიყუმის ფეხი;

3. 1) მხარე, მდებარეობა;

[OED – side, position, direction.]

on all hands ყოველი მხრიდან; facts admitted on all hands საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი; at his right hand sat the President მის მარჯვნივ პრეზიდენტი იჯდა;

2) მიმართულება;

[WEB – one of two sides of an issue or argument: on the one hand we can appeal for piece, or not the other declare war.]

on the one hand ერთის მხრივ; on the other hand, მეორეს მხრივ; Armed men were running and fighting on either hand შეიარაღებულები უტევდნენ ორივე მხრიდან;

4. მკლავი;

[OED - The whole arm]

I hurt my hand ხელი ვიტკინე. He has a broken hand ხელი მოიტეხა.

5. მფლობელობა, განკარგულება;

[WEB - Possession, care, custody, authority, disposal]

the hotel has changed hands სასტუმროს ახალი მეპატრონე ჰყავს; my fate is in your hands ჩემი ბედი თქვენს ხელთაა; not to let the property get out of his hands არ მისცემს თავს ქონების დაკარგვის საშუალებას.

6. **ხელმძღვანელობა, მართვა, ზედამხედველობა;**

[WEB – control, direction, supervision.]

to act with a heavy hand სასტიკად/უღმობლად მოქმედება; to put down a revolt with a heavy hand აჯანყების სასტიკად/უღმობლად ჩახშობა; to rule with a firm hand მკაცრად/მტკიცე ხელით მართვა; believers in the strong hand მკაცრი ზომების გატარების/მტკიცე ხელით მართვის მომხრეები; to keep a strict hand over smb. ვინმესთვის გასაქანის არ მიცემა/მკაცრად მოპყრობა;

7. **ზრუნვა, მზრუნველობა; დახმარება;**

[OED – care, support]

he has a family on his hands ოჯახზე ზრუნავს; to be in good hands კარგ ხელშია, კარგად ექცევიან; to give/to lend/a hand დახმარება; დახმარების გაწევა; lend me a hand with my coat მომეხმარე(თ) პალტოს ჩაცმაში;

8. **თანხმობა ქორწინებაზე;**

[OED – a pledge, (of agreement or acceptance); esp. a promise of marriage.]

to ask smb.'s hand ვისიმე ხელის თხოვნა; to win a lady's hand ქალის ქორწინებაზე დათანხმება; all I had to do was ask her a hand მხოლოდ ხელის თხოვნა იყო საჭირო;

9. **აპლოდისმენტი, ტაში;**

[OED – a round of applause.]

to give smb. a big hand ვინმესთვის დიდი ოვაციის გამართვა; the kids gave me a big hand ბავშვები ტაშით შემეგებნენ.

10. **ისარი (საათისა, ბარომეტრისა და ა.შ.);**

[OED – a pointer on a clock for indicating the divisions of the dial: hour hand, minute hand, seconds-hand]

the hand of a clock საათის ისარი.

11. 1) **შემსრულებელი, ავტორი;**

[OED – a performer of some action; spec. a performer, writer etc. of some artistic or literary work.]

a book written by various hands რამდენიმე ავტორის მიერ დაწერილი წიგნი; a picture by the same hand იმავე მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი;

2) რაიმეში დახელოვნებული/ გაწაფული ადამიანი, ოსტატი;

[OED – a person of a specified skill, ability or character.

[OED - Capacity for or skill in doing something with the hand. I had always a hand at carpentry]

he is quite a hand with the violin ჩინებულად უკრავს ვიოლინოზე; he is a fine hand at cooking მშვენიერი მზარეულია; I was never a great hand at that ასეთ საქმეში კარგი არასოდეს ვიყავი;

12. მუშა; მუშაკი;

[WEB - a manual worker.]

hands wanted! გვესაჭიროება მუშახელი! Factory hand ქარხნის მუშა;

13. ზღვ. გემის ეკიპაჟი;

[OED – a manual worker. Spec. a member of a ship’s crew.]

all hands on deck ყველანი ზევით! (ბრძანება); all hands on quarters! ყველანი ადგილებზე!; All hands on board perished სრული ეკიპაჟი დაიღუპა;

14. ხელწერა;

[WEB - Style of writing, esp. as belonging to a particular person, historical period, profession, etc. written in childish hand.]

to write a very legible hand ძალიან გარკვევით წერა; he has a beautiful hand ლამაზი ხელწერა აქვს;

15. ხელმოწერა;

[OED – the signature of a person. Italian hand, round hand, running hand]

a note of hand ხელწერილი; under the hand of ვისიმე მიერ ხელმოწერილი; under hand and seal იურ. ვისიმე მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული;

16. ხორთუმი;

[OED the trunk of an elephant]

the hand of an elephant is strong სპილოს ხორთუმი ძლიერია.

17. **მაჩვენებელი ნიშანი** (ხელის მტევნის სახით, რომელსაც საჩვენებელი თითი წინ აქვს გაშვებული);

[OED – a conventional figure of a hand with a forefinger extended (c) used in writing or printing to draw attention to something]

არსებითი სახელის hand ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ ენაში

ოქსფორდის დიდი ლექსიკონის შესაბამისი სიტყვა-სტატიის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა:

1. being the terminal part of the human arm - ადამიანის მკლავის ბოლო ნაწილი;
2. being associated with care - მზრუნველობასთან კავშირი;
3. having the function of grasping, holding, retaining - ჩაჭიდების / ჩაბლაუჭების ფუნქცია;
4. being the symbol of acceptance of an invitation (e.g. for a dance) - რაიმე შეთავაზებაზე დათანხმების სიმბოლო;
5. referring to a person who does smth. with his hands - მითითება ადამიანის მიერ ხელით რისამე კეთებაზე;
6. being performed with hands - ხელით შესრულების/კეთების ფუნქცია;
7. having the function of writing smth. - წერის ფუნქციის ქონა;
8. resembling the function of a hand – „ხელთან“ ფუნქციით მსგავსება;
9. being the terminal part of a limb of any animal - ცხოველის სხეულის კიდურის ბოლო ნაწილი;
10. being associated with the sides of a human - ადამიანის გვერდთან/მხარესთან კავშირი (სადაც ხელების ჩამოშვებული);
11. having the function of pointing to smth. - მითითების ფუნქციის ქონა;
12. resembling the shape of a hand – „ხელთან“ ფორმით მსგავსება;

მიმართება არსებითი სახელის hand ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის

პირველი მნიშვნელობა - **ხელი, ხელის მტევანი** - არის აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობა. ზემოთ მოყვანილი სემანტიკური კომპონენტები სწორედ ამ მნიშვნელობიდან გამოიყოფა. მეორე მნიშვნელობას - **წინა ფეხი/თათი** - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - being the terminal part of a limb of any animal. მესამე მნიშვნელობის პირველი ქვემნიშვნელობა - **მხარე; მდებარეობა** - განვითარებულია სემანტიკური კომპონენტიდან - being associated with the sides of a human. მესამე მნიშვნელობის მეორე ქვემნიშვნელობა კი - **მიმართულება** - პირველი ქვემნიშვნელობის გაფართოებით არის მიღებული; მეოთხე მნიშვნელობა - **მკლავი** - ძირითადი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს და მისი მეტონიმიური გადატანის შედეგად შეიქმნა (ნაწილი იხმარება მთელის მნიშვნელობით); მეხუთე მნიშვნელობა - **მფლობელობა; განკარგულება**, აგრეთვე შეექმნა მნიშვნელობა - **ხელმძღვანელობა; მართვა; ზედამხედველობა** - განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისგან - having the function of grasping, holding, retaining. მეშვიდე მნიშვნელობას - **ზრუნვა, მზრუნველობა; დახმარება** - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - being associated with care; მერვე მნიშვნელობას - **თანხმობა ქორწინებაზე** - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - being the symbol of acceptance of an invitation. მეცხრე მნიშვნელობა - **აპლოდისმენტი, ტაში** - განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - being performed with hands. მეათე მნიშვნელობა - **ისარი (საათისა, ბარომეტრისა და ა.შ.)** - განვითარდა სემანტიკური კომპონენტისაგან - having the function of pointing to smth. მეთერთმეტე - **შემსრულებელი, ავტორი** -, მეთორმეტე - **მუშა; მუშაკი** - და მეცამეტე მნიშვნელობები - **ზღვ. გემის ეკიპაჟი** - განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - referring to a person who does smth. with his hands; მე-11 მნიშვნელობის მეორე ქვემნიშვნელობა - **რაიმეში დახელოვნებული/ გაწაფული ადამიანი, ოსტატი**, - ამავე მნიშვნელობის პირველი ქვემნიშვნელობიდანაა განვითარებული; მე-14 და მე-15 მნიშვნელობები: **ხელწერა და ხელმოწერა** - ასევე ძირითადი მნიშვნელობიდანაა განვითარებული - having the function of writing smth. სემანტიკური კომპონენტის

საფუძველზე; მე-16 მნიშვნელობას - **ხორთუმი** - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - resembling the function of a hand; მე-17 მნიშვნელობა - მაჩვენებელი ნიშანი (*ხელის მტევნის სახით, რომელსაც საჩვენებელი თითი წინ აქვს გაშვებული*) - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - resembling the shape of a hand.

გრაფიკულად აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ (იხ. ფიგურა 10).

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი *hand*, კლასიკური მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.



ფიგურა 10. პოლისემიური არსებითი სახელი *hand*, კლასიკური მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

გრაფიკული გამოსახულება ნათლად გვიჩვენებს ანალიზის შედეგად მიღებულ კლასიკურ მზისებრ მოდელს, რომელსაც ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ერთი ან მაქსიმუმ სამი მნიშვნელობა აქვს განვითარებული. მიღებული მოდელის უნივერსალობის გადამოწმების მიზნით ჩავატარეთ იგივე ანალიზი საკვლევი არსებითი სახელების ეკვივალენტზე ქართულ ენაში.

2.1.2. არსებითი სახელი „ხელი“ ქართულ ენაში

ქართულ ენაში არსებითი სახელს „ხელი“ აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

1. ხელი, ადამიანის ზედა კიდურის ბოლო ნაწილი;

მაგ.: *ხელის მტევანი; ხელის გული; ხელი მოჰკიდა, ხელს უჭერს, ხელი ჩაჰკიდა.*

2. იგივეა, რაც სახელური;

მაგ.: *დოქის ხელი; კალათის ხელი.*

3. ერთად სახმარი ნივთების სრული ნაკრები - კომპლექტი;

მაგ.: *ერთი ხელი ლოგინი;*

თითო ხელი ტანისამოსი ვიყიდეთ ზამთრისათვის.

4. მკლავი, საერთოდ ადამიანის ზედა კიდური.

მაგ.: *გოგონას ხელი მოხვია და გზას გაუყვნენ.*

5. მფლობელობა, განკარგულება;

მაგ.: *სხვის ხელში გადასვლა; ხელიდან ხელში გადასვლა;*

ჩემი ბედი თქვენს ხელთაა; მის ხელში ნუ ჩააგდებ.

6. ხელმძღვანელობა, მართვა, ზედამხედველობა;

მის ხელშია; ხელში უჭირავს; რკინის ხელით მართავს.

7. ზრუნვა, მზრუნველობა; დახმარება, დახმარების გაწევა.

მაგ.: *კარგ ხელშია, კარგად ექცევიან;*

გიორგი უფროსის მარჯვენა ხელია კომპანიაში.

8. თანხმობა ქორწინებაზე;

მაგ.: *ნიკამ გვანცას ხელის სთხოვა.*

9. 1) შემსრულებელი, ავტორი;

მაგ.: რამდენიმე ავტორის ხელი ემჩნევა.

2) რაიმეში დახელოვნებული/ გაწაფული ადამიანი, ოსტატი;

მაგ.: კარგი ხელი აქვს, მშვენიერი მზარეულია; არ მაქვს კარგი ხელი.

10. გავლენა;

მაგ.: მისი ხელი ეტყობა.

ბავშვს დედის ხელი ემჩნევა.

11. ხელწერა;

მაგ.: ლამაზი ხელი აქვს. ვისი ხელია?

12. რისამე კეთების, მოვლის წესი, - ხელობა;

მაგ.: ისე კარგადაც კი შევისწავლეთ საჩეჩლის და ლარის ხელი, რომ ქალებიც ველარა გვჯობნიდნენ (აკაკი).

13. მუშახელი, რისამე შემსრულებელი პირი

არსებითი სახელის „ხელი“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ქართულ ენაში

არსებითი სახელის „ხელი“ სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი ჩავატარეთ ქართული ენის სხვადასხვა განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი დეფინიციების ანალიზის მოშველიებით, აგრეთვე, სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებზე დაკვირვების შედეგად. გამოვყავით შემდეგი სემანტიკური კომპონენტები:


1. ადამიანის ზედა კიდურის ბოლო ნაწილი;
2. მზუნველობის ფუნქციის ქონა;
3. ჩაჭიდების / ჩაბლაუჭების საშუალება;
4. ამა თუ იმ შემოთავაზებაზე თანხმობის სიმბოლო;
5. რისამე შემსრულებელი პირი;
6. ხელით შესრულების / კეთების ფუნქციის ქონა;
7. წერის ფუნქციის ქონა;
8. სხეულის ნაწილ „ხელთან“ ფუნქციით მსგავსება;
9. ერთ ხელში მოქცევის / შეკრების საშუალება.

მიმართება არსებითი სახელის „ხელი“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის

პირველი მნიშვნელობა - **ხელი, ხელის მტევანი** - არის აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობა, რომლისგანაც გამოიყოფა ზემოთ მოყვანილი სემანტიკური კომპონენტები. მეორე მნიშვნელობას - **სახელური** - საფუძვლად უდევს მე-8 სემანტიკური კომპონენტი - სხეულის ნაწილ „ხელთან“ ფუნქციით მსგავსება; მესამე მნიშვნელობა - **კომპლექტი** - განვითარებულია მე-9 სემანტიკური კომპონენტიდან - ერთ ხელში მოქცევის, შეკრების საშუალება. მეოთხე მნიშვნელობა - **მკლავი** - ძირითადი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს და მისი მეტონიმიური გადატანის შედეგად შეიქმნა, ნაწილი იხმარება მთელის მნიშვნელობით; მეხუთე მნიშვნელობა - **მფლობელობა; განკარგულება**, აგრეთვე მეექვსე მნიშვნელობა - **ხელმძღვანელობა; მართვა; ზედამხედველობა** და მე-10 მნიშვნელობა - **გავლენა**, განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისგან - ჩაჭიდების, ჩაბლაუჭების საშუალება. მეშვიდე მნიშვნელობას - **ზრუნვა, მზრუნველობა; დახმარება** - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - მზრუნველობის ფუნქციის ქონა. მერვე მნიშვნელობას - **თანხმობა ქორწინებაზე** - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - თანხმობის სიმბოლო. მეცხრე მნიშვნელობის პირველი ქვემნიშვნელობა 1) **შემსრულებელი, ავტორი**, აგრეთვე მე-12 მნიშვნელობა - **ხელობა** - განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - ხელით შესრულების, კეთების ფუნქციის ქონა, ხოლო მე-9 მნიშვნელობის მეორე ქვემნიშვნელობა - **რაიმეში დახელოვნებული / გაწაფული ადამიანი, ოსტატი** - ამავე მნიშვნელობის პირველი ქვემნიშვნელობიდანაა განვითარებული - 1) **შემსრულებელი, ავტორი**. **ხელწერა** - ასევე ძირითადი მნიშვნელობიდანაა განვითარებული, სემანტიკური კომპონენტის - წერის ფუნქციის ქონა, საფუძველზე. ხოლო მე-13-ე მნიშვნელობა, **მუშახელი**, განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - რისამე შემსრულებელი პირი.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი „ხელი“, კლასიკური მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.

გრაფიკულად აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ (იხ. ფიგურა 11) ქართულ ენაში.




ფიგურა 11. პოლისემიური არსებითი სახელი „ხელი“, კლასიკური მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.


2.1.3. პოლისემიური არსებითი სახელის „ხელი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

გრაფიკული გამოსახულება ნათლად გვიჩვენებს ანალიზის შედეგად მიღებულ კლასიკურ მზისებრ მოდელს, რომელსაც ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ერთი ან მაქსიმუმ სამი მნიშვნელობა აქვს განვითარებული. მოცემული არსებითი სახელის შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე ინგლისურსა და ქართულ ენებში გამოვლინდა, რომ სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი პოლისემიური არსებითი სახელი „ხელი“ ძლიერ პოლისემიურია როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებში და განეკუთვნება უნივერსალურ კლასიკურ მზისებრ მოდელს (იხ. ფიგურა 12)

Hand - ინგლისურ ენაში



„ხელი“ ქართულ ენაში



ფიგურა 12. კლასიკური მზისებრი მოდელი hand - ხელი.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებით სახელს „hand“ აქვს 17 მნიშვნელობა ინგლისურ ენაში, ხოლო 13 მნიშვნელობა ქართულ ენაში, რომელთაგან ცხრა მნიშვნელობა ემთხვევა. მსგავსი მნიშვნელობებია: ხელი, ხელის მტევანი; მკლავი, მფლობელობა; განკარგულება; ხელმძღვანელობა, მართვა; ზედამხედველობა. ზრუნვა,

მზრუნველობა; დახმარება. თანხმობა ქორწინებაზე; ვისიმე ხელის თხოვნ; შემსრულებელი, ავტორი; რაიმეში დახელოვნებული/ გაწაფული ადამიანი, ოსტატი; ხელწერა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული არსებითი სახელის მნიშვნელობათაგან უფრო მეტი მსგავსია, ვიდრე განსხვავებული ინგლისურ და ქართულ ენებში. ინგლისურ ენაში ძირითადად ხელის ფუნქციიდან და ხელთან ფიზიკური მსგავსებიდან გამომდინარე მნიშვნელობები ჭარბობს, ხოლო ქართულში ხელის მიერ შესრულებული მოქმედებებით მიღებული მნიშვნელობების სიმრავლე იკვეთება.


იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ მსგავსება-განსხვავებები არსებითი სახელი „ხელის“ მნიშვნელობებს შორის ქართულსა და ინგლისურ ენაში, დავაკვირდეთ გრაფიკულ გამოსახულებას, სადაც კარგად ჩანს საერთო და განსხვავებული მნიშვნელობები. გამოსახულებაზე ლურჯად მონიშნული მნიშვნელობები არის განსხვავებული.

არსებითი სახელი Hand - ინგლისურ

არსებითი სახელი „ხელი“

ენაში

ქართულ ენაში



ფიგურა 13. არსებითი სახელი hand-ისა და „ხელი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.

მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ მსგავსებას პოლისემიური არსებითი სახელის „ხელი“ გაანალიზებისას მიღებულ სემანტიკურ კომპონენტებს შორის. როგორც ზემოთ განვიხილეთ, ინგლისურ ენაში არსებით სახელს Hand პოლისემიური მნიშვნელობები განუვითარდა 12 სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე, ხოლო ქართულ ენაში - 9 სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე. შეპირისპირებითი კვლევისას გამოვლინდა, რომ პოლისემიური არსებითი სახელის „ხელი“ რვა სემანტიკური კომპონენტი ემთხვევა ინგლისურ ენაში მიღებულ რვა სემანტიკურ კომპონენტს.

სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ ენაში	სემანტიკური კომპონენტები ქართულ ენაში
---	---------------------------------------

- | | |
|---|---|
| <ol style="list-style-type: none"> 1. being the terminal part of the human arm 2. being associated with care 3. having the function of grasping, holding, retaining 4. being the symbol of acceptance of an invitation (e.g. for a dance) 5. referring to a person who does smth. with his hands 6. being performed with hands 7. having the function of writing smth. 8. resembling the function of a hand 9. being the terminal part of a limb of any animal 10. being associated with the sides of a human | <ol style="list-style-type: none"> 1. ადამიანის ზედა კიდურის ბოლო ნაწილი; 2. მზუნველობის ფუნქციის ქონა; 3. ჩაჭიდების, ჩაბღაუჭების საშუალება; 4. თანხმობის სიმბოლო; 5. რისამე შემსრულებელი პირი; 6. ხელით შესრულების, კეთების ფუნქციის ქონა; 7. წერის ფუნქციის ქონა; 8. სხეულის ნაწილ „ხელთან“ ფუნქციით მსგავსება; 9. ერთ ხელში მოქცევის, შეკრების საშუალება. |
|---|---|

11. having the function of pointing to smth.

12. resembling the shape of a hand

როგორც ვხედავთ, „ხელი“ მრავალი გადატანითი მნიშვნელობის წარმოშობის საფუძველია ორივე ენაში. რა ფუნქცია აქვს ხელს ადამიანის ცხოვრებაში? რა მოქმედებებს ასრულებს ადამიანის ხელი გაუცნობიერებლად თუ მიზანმიმართული ქმედების განსახორციელებლად? რა ასოციაციებს იწვევს ხელის დახმარებით შესრულებული მოქმედებები? ხელის ფუნქციები - ჩვენება, მითითება, ხელის ჩაკიდება, ხელში ჭერა, ჩაბლაუჭება, მოპოვება, მოფერება, დაუფლება და ა.შ. ყველა ეს ფუნქცია გახდა საფუძველი ადამიანის მიერ სამყაროში დანახული მსგავსებებისა, რაც ახალ მნიშვნელობაში აისახება. ხელით გამოხატული ცნება მოფერება, ჩახუტება, ხელის მოხვევა, თავზე ხელის გადასმა „ხელის“ ლინგვისტურ მნიშვნელობაში აისახა და შეიძინა პოლისემიური მნიშვნელობა, ზრუნვა, მფარველობა. ქართველის მიერ დანახული მზრუნველი ხელი იგივე შინაარსის მატარებელია რაც to be in good hands ინგლისურად მოსაუბრისათვის. ხელის მიერ ფიზიკურად შესრულებული ქმედება: ჩაბლაუჭება, მოპოვება მსგავსად იქნა აღქმული ორივე ენაში. მფლობელობა, განკარგულება, ხელმძღვანელობა სწორედ რომ ხელის ფუნქციიდან გამომდინარეობს. ქართულ ენაში ის, რაც ინგლისურ ენაზე მოსაუბრემ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გადაიტანა, ქართველმა მეტაფორის სახით გამოსახა, „მის ხელშია“. თუ დავაკვირდებით ზემოთ აღნიშნულ მსგავსებას პოლისემიური არსებითი სახელი „ხელი“-ს გაანალიზებისას მიღებულ სემანტიკურ კომპონენტებს შორის ქართულსა და ინგლისურ ენაში დავინახავთ, რომ გაცილებით მეტი მსგავსებაა ვიდრე განსხვავება განსხვავებულ ენაზე მოსაუბრე ადამიანების მიერ სიტყვის მნიშვნელობების განვითარებაში.

ძირითადი სემანტიკური კომპონენტი - ადამიანის სხეულის ნაწილი, არის ორი (ხელი; მკლავი) მთავარი მნიშვნელობის განვითარების წყარო როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში. სემანტიკური კომპონენტი - მზრუნველობის ფუნქციის ქონა, არის საფუძველი ერთი მნიშვნელობის (ზრუნვა; დახმარება) განვითარების, თუმცა აღნიშნული სემანტიკური კომპონენტი არის საფუძველი მთელი რიგი მეტაფორული გადააზრების

გზით მიღებული მნიშვნელობებისა (თავზე ხელის გადასმა, მზრუნველი ხელი, კარგ ხელშია და ა.შ.). სემანტიკური კომპონენტი - ჩაჭიდების, ჩაბლაუჭების საშუალება, ერთნაირად აღიქვა ადამიანმა, ინგლისურ ენაში ამ სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე ორი მნიშვნელობა (მფლობელობა; ხელმძღვანელობა) განვითარდა, ხოლო ქართულ ენაში იდენტური სამი (მფლობელობა, ხელმძღვანელობა; გავლენა) მნიშვნელობა. საინტერესოა მეოთხე სემანტიკური კომპონენტი - თანხმობის სიმბოლო, რომელიც არის საფუძველი მეტაფორისა ორივე ენაში „ხელის თხოვნა“. აღსანიშნავია, რომ სემანტიკური კომპონენტის „ხელთან ფუნქციით მსგავსება“ საფუძველზე, ქართულ ენაში განვითარდა მნიშვნელობა „სახელური“, ხოლო ინგლისურში, იგივე სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე შეიქმნა მნიშვნელობა „სპილოს ხორთუმი“, ხელის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო. ასევე საინტერესოა, რომ ინგლისურში ხელის ერთ-ერთ ფუნქციად აღქმულია მითითების ფუნქცია, რაც ძალიან ბუნებრივი ასოციაციაა და აისახა მნიშვნელობაში „ისარი“ (hand of a clock), თუმცა ქართულ ენაში მსგავს სემანტიკურ კომპონენტს და, შესაბამისად, მნიშვნელობას ვერ ვხედავთ. ხელით შესრულების, კეთების ფუნქციის ქონა არის ასევე საფუძველი მსგავსი მნიშვნელობების განვითარებისა. ინგლისურ ენაში ხელის მდებარეობა, განლაგება სხეულზე გახდა მიმართულების, მდებარეობის აღმნიშვნელი, ხოლო ქართულში ხელების ერთობლიობამ მოგვცა მნიშვნელობა კომპლექცი (ერთი ხელი ლოგინი).

„ხელთან“ დაკავშირებით ასევე საინტერესოა ერთი დაკვირვება: ის, რაც ინგლისურში რეალიზებულია, როგორც პოლისემიური მნიშვნელობა, ქართულში ამ მნიშვნელობას ხშირად ნაწარმოებ სიტყვებში ვხედავთ. მაგ. ხელოსანი, ხელოვანი, ხელმარჯვნივ, ხელმარცხნივ. ასევე საინტერესოა დაკვირვება ამავე ძირის სიტყვებზე: ხელსაქმე, ხელობა, ხელოვნება, სახელოსნო, ხელგამრჯე, ხელნაკეთი, ხელმარდი და სხვა.

2.2. პოლისემიური არსებითი სახელი „თავი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში

არსებითი სახელი head განეკუთვნება გრძელსხვიან მზისებრ მოდელს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში. გამოვლინდა, რომ არსებით სახელს head აქვს 29 პოლისემიური მნიშვნელობა, რომელსაც საფუძვლად უდევს 11 სემანტიკური კომპონენტი ინგლისურ ენაში. ქართულ ენაში სიტყვას „თავი“ აქვს 17 პოლისემიური მნიშვნელობა, რომელიც განვითარებულია 8 სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე. თვალი გადავავლოთ სიტყვა head-ის პოლისემიურ მნიშვნელობებს ინგლისურ ენაში, რომლებიც შეჯერდა სხვადასხვა ლექსიკონებზე და ელექტრონულ კორპუსებზე დაყრდნობით და რომელთაგან ძალზე საინტერესოა მისი მეტაფორული გზით მიღებული მნიშვნელობები.

2.2.1 არსებითი სახელი HEAD ინგლისურ ენაში

სიტყვას HEAD აქვს შემდეგი მნიშვნელობები ინგლისურ ენაში:

1. თავი;

[WEB- the division of the human body that contains the brain, the eyes, the ears, the nose, and the mouth; also: the corresponding anterior division of the body of various animals including all vertebrates, most arthropods, and many mollusks and worms]

ადამიანის თავი, ცხოველის თავი; a blow on the head თავში ჩართყმა/ დართყმა; a nod of the head თავის დაქნევა თანხმობის ნიშნად;

2. ჭკუა, გონება, ინტელექტი;

[D - the head considered as the center of the intellect, as of thought, memory, understanding, or emotional control; mind; brain]

a clear head ნათელი გონება; he has a good [poor] head for figures არითმეტიკაში ძლიერია [სუსტია]; I did the figuring in my head გონებაში დავიანგარიშე; It came into his head თავში აზრად მოუვიდა; to keep smth in one's head რისამე დამახსოვრება; use your head! ტვინი გაანძრიე!

3. საზომი ერთეული; თავის ზომა;

[OED - The length of a head as a measure.]

[WEB – an approximate length of the head of a horse.]

taller by a head ერთი/მთელი თავით მაღალი; He's a head taller than his mother ერთი თავით მაღალია დედამისზე. to win by a head სპორტ. დოღში ერთი თავით გასწრება (ითქმის ცხენზე); Won the race by a head ერთი თავით მოიგო რბოლა.

4. თავის ტკივილი განს. ნაბახუსევს;

[OED- A headache. Usually with specifying words.]

[TFD - A headache, esp as a component of a hangover; a big head]

He has a head ნაბახუსევზე თავი სტკივა; You won't believe the head I had next morning ვერ დაიჯერებ ისეთი თავის ტკივილი მქონდა მეორე დღეს;

5. გადატ. სიცოცხლე; ცხოვრება;

[OED - A part essential to life; life]

It will cost him his head ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდება;

6. დირექტორი, მენეჯერი, ლიდერი, უფროსი, ბელადი;

[MW - a person to whom others are subordinate, as the director of an institution or the manager of a department; leader or chief.]

the head of the school სკოლის დირექტორი; the head of the organization ორგანიზაციის მენეჯერი; the head of the family ოჯახის უფროსი; the head of a department განყოფილების უფროსი; the head of a clan კლანის/ტომის ბელადი;

7. სოლისტი, წამყვანი მოცეკვავე, რანგით პირველი;

[WEB - The leader or the leading position in dancing]

8. ადამიანი;

[D - a person considered with reference to his or her mind, disposition, attributes, status, etc.]

the wiser heads ბრძენკაცები; the crowned heads (of Europe) (ევროპის) გვირგვინოსნები; a cool head დინჯი/გონემადამჯდარი/ალუმფოთველი ადამიანი; a hot head ფიცხი; a wise head გონიერი, ირონ. ჭკუის კოლოფი;

9. თავი (ქინძისთავისა, ხრახნისა, ლურსმნის და ა.შ.);
 [D - that part of anything that forms or is regarded as forming the top, summit, or upper end]
 ჭანჭიკის ცილინდრული თავი; head of a pin ქინძისთავის თავი; head of a page გვერდის თავი.
10. თავი (იარაღისა, ხელსაწყოსი);
 [OED - the part of a weapon, tool, etc., used for striking]
 the head of a hammer ჩაქუჩის თავი;
11. თავი/სული საქონელი/ადამიანი;
 [WEB – each one among a number: individual]
 [OED - a person or animal considered merely as one of a number, herd, or group]
 a thousand head of cattle ათასი სული საქონელი; ten dollars per head კაცზე/სულზე ათი დოლარი.
12. ჯოგი; ფარა; ხროვა; ფრინველთა გუნდი;
 [OED – unit of animals]
 a large head of game გარეული ფრინველების დიდი გუნდი; a head of hungry wolves მშიერი მგლების ხროვა;
13. რისამე ზედა ნაწილი; წვერი;
 [WEB - An end of something regarded as the upper or higher end]
 head of a staircase კიბის ზედა ბაქანი; head of a slope კლდის წვერი; the head of a mountain მთის კენწერო;
14. წინა ნაწილი; სადაც თავი დევს;
 [WEB - as being opposite the foot]
 head of a bed საწოლის თავი; head of a grave საფლავის თავი; seated at the head of the table სუფრის თავში მჯდომი;
15. კონცხი;
 [WEB - a projecting point of a coast, especially when high, as a cape, headland, or promontory.]

16. კულმინაციური/დაძაბულობის უმაღლესი წერტილი; კრიტიკული/გადამწყვეტი მომენტი;

[OED - A culminating point, usually of a critical nature; crisis or climax: to bring matters to a head.]

to come to a head კრიტიკულ მდგომარეობამდე მისვლა; things are coming/drawing/to a head დგება კრიტიკული/გადამწყვეტი მომენტი; to bring smth to a head ა) რისამე გამწვავება; ბ) რისამე დასრულება/დაბოლოება;

17. თმა;

[OED - the hair covering the head: to wash one's head. Coiffure; Headdress;] combed his head თმა დაივარცხნა;

18. ვარცხნილობა;

[OED - The hair dressed in a particular style. *arch*]

I tried a new head ვცადე ახალი ვარცხნილობა;

19. ქაფი (*ლოუდისა და ა.შ.*);

[OED - froth or foam at the top of a liquid: the head on beer.]

20. ნალები (*რძეზე*);

[WEB - The cream that rises on standing milk]

21. ირმის რქები;

[OED - The antlers of a deer]

Stags yearly cast their heads ხარირმები ყოველწლიურად იცვლიან რქებს.

22. ბოტ. თავაკი; თავი;

[OED - the top part of a plant consisting of a compacted mass of leaves]

[WEB - any other compact part of a plant, usually at the top of the stem, as that composed of leaves in the cabbage or lettuce, of leafstalks in the celery, or of flower buds in the cauliflower.]

the head of a flower ყვავილის თავაკი; head of lettuce სალათის ფოთოლის თავი; head of a tree ხის ვარჯი; a head of cabbage კომბოსტოს თავი;

23. ბოტ. დამწიფება; თავის გაკეთება;

[D - to come or grow to a head; form a head: Cabbage heads quickly.]

24. მონეტის წინა პირი;

[OED - the obverse of a coin, as bearing a head or other principal figure (opposed to tail).]

heads or tails პირი თუ ზურგი? (მონეტის აგდებისას)

25. სათაური, რუბრიკა, პარაგრაფი, პუნქტი;

[OED - one of the chief parts or points of a written or oral discourse; a main division of a subject, theme, or topic.]

[WEB – a word or words often in larger letters placed above or at the beginning of a passage of written or printed matter in order to introduce or categorize – called also *heading*, *headline*.]

heads of chapters თავების სათაურები; a document arranged under five heads ხუთი პუნქტისაგან/ნაწილისაგან შემდგარი დოკუმენტი; under different heads სხვადასხვა რუბრიკით;

26. თავის ფორმის ქანდაკება;

[OED - something resembling a head in form or a representation of a head, as a piece of sculpture.]

a bronze head of Lincoln ლინკოლნის ბრინჯაოს თავი (ქანდაკება);

27. მდინარის, ნაკადულის სათავე;

[OED - the source of a river or stream]

a head of stream ნაკადულის სათავე;

28. ზღვ. გემის, ნავის წინა ნაწილი, ცხვირი;

[OED - The forepart of a vessel]

down by the head წყალში ღრმად ჩაშვებული გემის წინა ნაწილი;

29. ისრისპირი, შუბისპირი;

[OED - The forepart of a bow]

არსებითი სახელი head ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ ენაში

ოქსფორდის დიდი ლექსიკონის შესაბამისი სიტყვა-სტატიის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა:


1. Being the division of the human body - ადამიანის სხეულის ნაწილი;
2. Being the seat of intellect - ადგილი, სადაც ინტელექტი / ჭკუაა;
3. Being means of measurement (size of a head) - საზომი ერთეული (გამომდინარეობს თავის ზომისგან);
4. Happening in the head - თავში რომ ხდება, თავთან რომ არის დაკავშირებული (მაგ. ტკივილი და სხვა);
5. Having the function of a head (controlling)- თავის ფუნქციის ქონა;
6. Being the upper part of smth. - რაიმეს ზედა ნაწილი;
7. Resembling the shape of a head - თავის ფორმის მსგავსება;
8. Growing from a head - თავზე / თავიდან ამოზრდა;
9. Being the place where head rests - ადგილი, სადაც თავია მოთავსებული
10. Being the seat of life - ცხოვრების, სიცოცხლის საწყისი;
11. Being the front part of smth. - რაიმეს წინა ნაწილი;

მიმართება არსებითი სახელის head ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის

ძირითადი სემანტიკური კომპონენტი Being the division of the human body უდევს საფუძვლად სხვადასხვა მნიშვნელობების განვითარებას. სემანტიკური კომპონენტისაგან Being the seat of intellect განვითარდა მეორე (ჭკუა, გონება, ინტელექტი) და მეათე მნიშვნელობა - ადამიანი, ბრძენკაცი. მესამე (საზომი ერთეული, თავის ზომა), მეოთხემეტე (თავი/სული, საქონელი, ადამიანი) და მეხუთემეტე (ჯოჯი, ფარა, ხროვა, გუნდი) მნიშვნელობების განვითარებას საფუძვლად დაედო სემანტიკური კომპონენტი Being means of measurement. მეოთხე მნიშვნელობა - თავისტკივილი ნაბახუსევს, განვითარდა სემანტიკური კომპონენტისაგან Happening in the head. სემანტიკურმა

კომპონენტმა Being the seat of life, მოგვცა მეხუთე მნიშვნელობა - სიცოცხლე, ცხოვრება. მე-6 (დირექტორი, მენეჯერი, ლიდერი, უფროსი, ბელადი), მე-7 (სოლისტი, წამყვანი მოცეკვავე) მნიშვნელობებს საფუძვლად დაედო სემანტიკური კომპონენტი Having the function of a head (controlling); მე-9 (თავი, ჭანჭიკის ცილინდრული თავი), მე-10 (თავი, იარაღის, ხელსაწყო, უროს თავი), მე-13 (რისამე ზედა ნაწილი, წვერი), მე-15 (კონცხი), მე-16 (კულმინაციური დამაბულობის, უმაღლესი წერტილი), 19-ე (ქაფი ლუდისა და ა.შ.), 20-ე (ნაღები რძეზე), 23-ე (ბოტ. დამწიფება, თავის გაკეთება), 25-ე (სათაური, რუბრიკა, პარაგრაფი, პუნქტი) და 27-ე (მდინარის, ნაკადულის სათავე) მნიშვნელობები განვითარდა სემანტიკური კომპონენტისაგან Being the upper part of smth. 14-ე მნიშვნელობა (წინა ნაწილი; სადაც თავი დევს) განვითარებულის სემანტიკური კომპონენტისაგან - Being the place where head rests. სემანტიკური კომპონენტი Resembling the shape of a head უდევს საფუძვლად 22-ე (ბოტ. თავაკი, თავი), 26-ე (თავის ფორმა, ქანდაკება) მნიშვნელობების განვითარებას. მნიშვნელობები 17-ე (თმა), 18-ე (ვარცხნილობა), 21 ირმის რქები)-ე გამომდინარეობს სემანტიკური კომპონენტისაგან Growing from a head. ხოლო სემანტიკური კომპონენტი Being the front part of smth დაედო საფუძვლად 24-ე (მონეტის წინა პირი), 28-ე (ზღვ. გემის, ნავის წინა ნაწილი, ცხვირი) და 29-ე (ისრისპირი, შუბისპირი) მნიშვნელობების განვითარებას.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი head, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.



ფიგურა 14. არსებითი სახელი head, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

2.2.2 არსებითი სახელი „თავი“ ქართულ ენაში

არსებით სახელს „თავი“ აქვს შემდეგი მნიშვნელობები ქართულ ენაში:

1. თავი;

ადამიანის თავი, ცხოველის თავი; თავში ჩარტყმა/ დარტყმა; თავის დაქნევა
თანხმობის ნიშნად;

2. თავი, ჭკუა, გონება, ინტელექტი;

ნათელი გონება; თავში აზრად მოუვიდა; თავი გაანძრე! თავიანია;

3. თავი, საზომი ერთეული, თავის ზომა;

ერთი/მთელი თავით მაღალი; ერთი თავით მაღალია დედამისზე;

4. თავი, ხელმძღვანელობა, მეთაურობა, თავში დგომა, გაძლოლა; საქმის თავი,

მოთავე. ოჯახის თავი

5. თავი, უფროსი, ბელადი;

სოფლის თავი, თავკაცი

6. თავი (*ქინძისთავისა, ხრახნისა, ლურსმნის და ა.შ.*);

ქანჭიკის ცილინდრული თავი; ქინძისთავის თავი;

7. თავი (*იარაღისა, ხელსაწყოსი*);

ჩაქუჩის თავი;

8. თავი, რისამე ზედა ნაწილი, წვერი;

კუჭის თავი; ბოთლის თავი, სარქველის თავი

9. წინა ნაწილი, სადაც თავი დევს;

საწოლის თავი;

10. თავი, კულმინაციური, უმაღლესი წერტილი;

ბოტ/ბიოლ. დამწიფება; თავის გაკეთება;

11. თავი, თმა;

თავი დაიბანა; თავი დაივარცხნა;

12. თავი, ვარცხნილობა;

ჟარგ. მშვიდობაში ახალი თავი. გიხდება ახალი თავი.

13. თავი, ქაფი;

თავი მოხადე (დულილის დროს).

14. თავი, ნაღები (რძეზე);

რძემ თავი გაიკეთა.

15. ბოტ. თავაკი, თავი;

კომბოსტოს თავი.

16. სათაური, პარაგრაფი, პუნქტი;

წიგნის თავი. მთრობის მეორე თავი ეხება მოგზაურობას.

17. მდინარის, ნაკადულის სათავე;

ნაკადულის თავი;

არსებითი სახელის „თავი“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ქართულ ენაში.

არსებითი სახელის „თავი“ სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი ჩავატარეთ სხვადასხვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი დეფინიციების ანალიზის მოშველიებით, აგრეთვე სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებზე დაკვირვებით. შედეგად გამოვყავით შემდეგი სემანტიკური კომპონენტები:


1. ადამიანის სხეულის ნაწილი;
2. ადგილი სადაც ინტელექტი / ჭკუაა;
3. საზომი ერთეული (გამომდინარეობს თავის ზომისგან);
4. თავის ფუნქციის ქონა (მართვა);
5. რაიმეს ზედა ნაწილი;
6. თავის ფორმის მსგავსი რამ;
7. თავზე ამოზრდილი / გაზრდილი რამ;
8. ადგილი, სადაც თავია მოთავსებული;

მიმართება არსებითი სახელის „თავი“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის ქართულ ენაში.

ძირითადი სემანტიკური კომპონენტი „ადამიანის სხეულის ნაწილი“ უდევს საფუძვლად მთელი რიგი მნიშვნელობების განვითარებას სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტის საშუალებით. სემანტიკური კომპონენტი - ადგილი სადაც ინტელექტი / ჭკუაა, არის საფუძველი მეორე მნიშვნელობის (ჭკუა, გონება, ინტელექტი) განვითარებისა. მესამე მნიშვნელობა - საზომი ერთეული, განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - საზომი ერთეული. მე-4-ე (საქმის თავის, ხელმძღვანელი) და მე-5-ე მნიშვნელობა (სოფლის თავი, თავკაცი) განვითარდა სემანტიკური კომპონენტის - თავის ფუნქციის ქონა - საუბველზე. მეხუთე სემანტიკური კომპონენტი - რისამე ზედა ნაწილი, რაც მიღებულია თავის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე არის ყველაზე პროდუქტიული სემანტიკური კომპონენტი, რომლის საფუძველზეც განვითარდა მერვე (ბოთლის, ჭურჭლის თავი), მეთექვსმეტე (დამწიფება, თავის გაკეთება), მეცამეტე (ქაფი ნადულისა), მეთოთხმეტე (ნაღები რძეზე), მეთექვსმეტე (სათაური) და მეჩვიდმეტე (მდინარის სათავე) მნიშვნელობები. აღნიშნული მნიშვნელობები ყველა მიუთითებს რისამე ზედა ნაწილს. სემანტიკური კომპონენტი - თავის ფორმის მსგავსი რამ, დაედო საფუძვლად სამი მნიშვნელობის განვითარებას (მეექვსე - თავი ქინძისთავისა, მეშვიდე-ჩაქურჩის თავი და მეთხუთმეტე - თავი, თავაკი). საინტერესოა სემანტიკური კომპონენტი - თავზე ამოზრდილი / გაზრდილი რამ, რომლის საფუძველზეც მივიღეთ ორი მნიშვნელობა მე-11 (თმა) და 12-ე (ვარცხნილობა). მეცხრე მნიშვნელობა, საწოლის თავი განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - ადგილი სადაც თავია მოთავსებული.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი „თავი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.

გრაფიკულად ზემოთ განხილული შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ. (იხ ფიგ. 15)



ფიგურა 15. არსებითი სახელი „თავი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.


2.2.3 პოლისემიური არსებითი სახელის „თავი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

ანალიზიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ არსებითი სახელი „თავი“ მაღალპოლისემიურია ორივე ენაში. ინგლისურ ენაში მას განვითარებული აქვს 27 განსხვავებული მნიშვნელობა, ხოლო ქართულ ენაში - 17. ქართულ ენაში განვითარებული მნიშვნელობებიდან თითქმის ყველა ემთხვევა ინგლისურ ენაში მიღებულ მნიშვნელობებს. მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაში ნათლად ჩანს მიღებული მოდელის მსგავსება საკვლევ ენებში. გარდა ამისა, ეს მოდელი მსგავსია არსებითი სახელის „ხელი“ მოდელისა. ორივე შემთხვევაში მივიღეთ მზისებრი მოდელი. თუმცა არსებითი სახელი „თავის“ შემთხვევაში საქმე გვაქვს გრძელსხვიან მზისებრ მოდელთან, როდესაც ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ვითარდება ოთხზე მეტი მნიშვნელობა, განსხვავებით არსებითი სახელისაგან „ხელი“ - რომელიც არის კლასიკური მზისებრი მოდელი - ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ერთი ან სამი მნიშვნელობის განვითარებით.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ორივე ენაში საკვლევ სიტყვის პოლისემიურ სტრუქტურაში გრძელ სხივს ერთი და იგივე სემანტიკური კომპონენტი წარმოქმნის, ესაა სემანტიკური კომპონენტი: რისამე ზედა ნაწილი - being the upper part of something, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ შედარებით გრაფიკულ გამოსახულებაზე.

არსებითი სახელი head ინგლისურ ენაში

არსებითი სახელი „თავი“ ქართულ ენაში



ფიგურა 16. გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი head - თავი.

ინგლისურსა და ქართულ ენაში არსებითი სახელი „თავის“ სემანტიკური კომპონენტების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მიღებული სემანტიკური კომპონენტები არის მსგავსი. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისური ენა არის გაცილებით მაღალ პოლისემიური არსებითი სახელიდან head განვითარდა გაცილებით მეტი სემანტიკური კომპონენტი, ვიდრე მისი ეკვივალენტიდან ქართულ ენაში. შედარებისათვის თვალი გადავაკლოთ მიღებულ სემანტიკურ კომპონენტებს, სადაც ნათლად ჩანს მსგავსება-განსხვავება სემანტიკურ კომპონენტებს შორის საკვლევ ენებში.

სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ ენაში	სემანტიკური კომპონენტები ქართულ ენაში
1. Being the division of the human body - ადამიანის სხეულის ნაწილი;	1. ადამიანის სხეულის ნაწილი;
2. Being the seat of intellect - ადგილი, სადაც ინტელექტი / ჭკუაა;	2. ადგილი, სადაც ინტელექტი / ჭკუაა;
3. Being means of measurement (size of a head) - საზომი ერთეული (გამომდინარეობს თავის ზომისგან);	3. საზომი ერთეული (გამომდინარეობს თავის ზომისგან);
4. Having the function of a head (controlling)- თავის ფუნქციის ქონა;	4. თავის ფუნქციის ქონა (მართვა);
5. Being the upper part of smth. - რაიმეს ზედა ნაწილი;	5. რაიმეს ზედა ნაწილი;
6. Resembling the shape of a head - თავის ფორმის მსგავსება;	6. თავის ფორმის მსგავსი რამ;
7. Growing from a head - თავზე ამოზრდილი / გაზრდილი რამ;	7. თავზე ამოზრდილი / გაზრდილი რამ
8. Being the place where head rests - ადგილი, სადაც თავია მოთავსებული	8. ადგილი, სადაც თავია მოთავსებული;
9. Being the seat of life - ცხოვრების, სიცოცხლის საწყისი;	
10. Being the front part of smth. - რაიმეს წინა ნაწილი;	
11. Happening in the head - თავში რომ ხდება, თავთან რომ არის დაკავშირებული (მაგ. ტკივილი და სხვა);	

როგორც ვხედავთ, ინგლისურ ენაში არსებითი სახელი „თავი“-ს მნიშვნელობები განვითარებულია თერთმეტი სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე, ხოლო ქართულ ენაში 8 სემანტიკური კომპონენტისგან განვითარდა 17 პოლისემიური მნიშვნელობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ენაში არსებით სახელი „თავი“-საგან განვითარებული სემანტიკური კომპონენტები იდენტურია ინგლისურ ენაში მიღებული სემანტიკური კომპონენტებისა, როგორცაა ძირითადი სემანტიკური კომპონენტი ადამიანის სხეულის ნაწილი, რომელიც არის ძირითადი წყარო სხვა სემანტიკური კომპონენტებისათვის. აღსანიშნავია, რომ სხეულის ნაწილები მსგავსად არის აღქმული მოცემულ ენებში. თავი, სადაც ადამიანის მამოძრავებელი ორგანო ტვინია მოთავსებული გახდა ინტელექტის, ჭკუის სათავსო ორივე ენაზე მოსაუბრეთათვის და ენობრივ სტრუქტურაში აისახა ისეთ ფრაზებში როგორცაა a clear head, he has a good head for figures, see your head!, a cool head, a hot head, ხოლო ქართულ ენაში მრავალ ფრაზასა თუ გამონათქვამში აღმოვაჩინეთ სიტყვა „თავის“ კავშირს ინტელექტთან, ჭკუა-გონებასთან. მაგალითისათვის დავაკვირდეთ შემდეგ გამონათქვამებს: თავში აზრად მოუვიდა, თავში გაუელვა, თავი გაანძრიე! თავიანია; ასევე მსგავსად იქნა აღქმული თავის ზომა, როგორც საზომი ერთეული და აისახა სემანტიკური კომპონენტის სახით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა საზომი ერთეული გარკვეულწილად გასწავდებდა სხვათა ენებში არსებულ საზომი სისტემისაგან, თავის ზომა მაინც რჩება საზომ ერთეულად. თუ ქართველი აზობს: ერთი თავით მაღალია, მთელი თავით დაბალია, ინგლისელი იგივეს იტყვის he is a head taller than me, we won the race by a head, a large head of game; ასევე „ერთი თავი კომბოსტო“, რასაც ჩვენ გაუაზრებლად ვიყენებთ ყოველდღიურ კომუნიკაციაში, არის როგორც საზომი ერთეული ასევე თავთან ფორმით მსგავსების საფუძველზე განვითარებული მნიშვნელობა. საინტერესოა, რომ ასევე აღიქვა ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ინდივიდმა კომბოსტოს მცენარე, გამომდინარე მისი გარეგნული მსგავსებიდან ადამიანის სხეულის ნაწილ „თავთან“ (head of lettuce, head of cabbage, head of a garlic, ხოლო ქართულში ერთი თავი კომბოსტო, ერთი თავი ყველი, ხახვი). თავის ფუნქციის ქონა - მართვა, კონტროლი, ფიქრი, დაედო საფუძვლად მთელი რიგი მნიშვნელობების განვითარებას: the head of the school, the head of the organization, the head of the group, the head of the class, the head of a


clan, და ა.შ. მართალია ქართულ ენაში არ განუვითარდა იმავე რაოდენობის მნიშვნელობები, მაგრამ მაინც არის საერთო მნიშვნელობა - ოჯახის თავი (the head of family/household); ქართულ ენაში მართვის ფუნქცია სხვა სხეულის აღმნიშვნელმა არსებითმა სახელმა ჩაანაცვლა („ხელი“) და შეითავსა მნიშვნელობა - ხელმძღვანელობა. თუმცა თავის ფუნქცია შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ ენაზე მოსაუბრეს და მაინც გამოიხატა ისეთ მნიშვნელობებში როგორცაა: საქმის თავი, ბუნტის თავი, თავკაცი, თავქალი, მოთავე, თავი და თავი - როგორც რაიმეს ინიციატორი, დამწყები. თავის ადგილმდებარეობის საფუძველზე განვითარებული სემანტიკური კომპონენტი - რაიმეს ზედა ნაწილი - გაცილებით უფრო მრავლისმთქმელი აღმოჩნდა ადამიანისათვის და აისახა მთელ რიგ მნიშვნელობებში. ინგლისურ ენაში აღნიშნული სემანტიკური კომპონენტი დაედო საფუძვლად ათი მნიშვნელობის განვითარებას, ხოლო ექვსი პოლისემიური მნიშვნელობა განუვითარდა ქართულ ენაში: head of pin, head of a weapon (hammer), head of a staircase, head of a slope, head of a mountain, to come to a head, head of beer, head of a river, ამ მნიშვნელობათაგან მსგავსია ქართულში მიღებული მნიშვნელობები: მდინარის თავი, იარაღის თავი, თუმცა მთის წვერი, კენწერო, დაძაბულობის უმაღლესი წერტილი. უნდა აღინიშნოს რომ ინგლისურ ენაში ასახული მნიშვნელობა head of beer/milk ქართულ ენაშიც აისახა, მართალია, ლუდის ქაფს არ მოვისხენიებთ როგორც ლუდის თავი, თუმცა რაიმეს დუდილის/ხარშვის დროს დაუფიქრებლად ვამბობთ თავი მოხადე (როდესაც ვსაუბრობთ ხორცის დუდილისას და მივანიშნებთ თავზე მომდგარ ქაფზე). ასევე სხეულის ნაწილი თავი გახდა საფუძველი ქართულ ენაში ჭურჭლის თავსახურის აღმნიშვნელად, მაგალითად ბოთლის თავი/თავსახური. ასევე საერთო მნიშვნელობებია დამწყობა (to come to a head) - თავი გაიკეთა (ითქმის როგორც მცენარის თავთავზე ისე იარის/მუწუკის თავზე), სათაური წიგნის თავი საერთოა ორივე ენაში. თავთან ფორმით მსგავსება, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, აისახა სემანტიკურ კომპონენტში - თავის ფორმის მსგავსი რამ, და დაედო საფუძვლად მსგავსი მნიშვნელობების განვითარებას ორივე ენაში, როგორცაა ზემოთ ნახსენები კომპოსტოს თავი, თავის ფორმის მსგავსი ნებისმიერი რამ. საინტერესოა, რომ იდენტურია სემანტიკური კომპონენტის - „თავზე ამოზრდილი / გაზრდილი რამ“ საფუძველზე

განვითარებული მნიშვნელობები ორივე ენისთვის: თმა და ვარცხნილობა, he combed his head, I tried a new head ქართულ ენაშიც ხომ სწორედ ასე ვამბობთ - თავი დაივარცხნა, თავი დაიბანა, ახალი თავი აქვს, მშვიდობაში ახალი თავი!; „ადგილი, სადაც თავია მოთავსებული“ დაედო საფუძველად ისეთ მნიშვნელობებს, რაც იმ ადგილს აღნიშნავს, სადაც თავი დევს head of bed (საწოლის თავი), head of grave (საფლავის თავი).

რაც შეეხება განსხვავებულ მნიშვნელობას, ასეთი მნიშვნელობები მრავლადაა ინგლისურ ენაში, რომლებიც ძირითადად განვითარდა იმ სამი განსხვავებული სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე, რაც არ აქვს ქართულ ენაში არსებით სახელს „თავი“. განსხვავებით ქართული ენისაგან, ინგლისურ ენაში განვითარდა სამი განსხვავებული სემანტიკური კომპონენტი - ცხოვრების, სიცოცხლის საწყისი (it will cost him his head); რაიმეს წინა ნაწილი (heads or tails, forepart of a vessel, forepart of a bow); თავში რომ ხდება, თავთან რომ არის დაკავშირებული (მაგ. ტკივილი და სხვა - he has a head; you won't believe the had I had next morning). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგივე მნიშვნელობები ქართულ ენაში მეტაფორული გადააზრების გზით არის მიღებული ან უბრალოდ არის ფრაზის ნაწილი, ან სხეულის აღმნიშვნელი სხვა არსებითი სახელით აღინიშნება, მაგალითად: თუ ინგლისურ ენაში შუბის პირი აღინიშნება როგორც შუბის თავი, ქართულში ის აღქმულია პირად, ასევე განსხვავებულად აღვიქვამთ გემის ცხვირს, რომელიც ინგლისურ ენაზე მოსაუბრემ აღიქვა როგორც თავი.

არსებითი სახელი head ინგლისურ ენაში

არსებითი სახელი „თავი“ ქართულ ენაში



ფიგურა 17. არსებითი სახელი head-ისა და „ხელი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი სახელი „თავი“-ს გაანალიზებისას გამოიკვეთა მკვეთრი მსგავსება ქართულ ენასა და ინგლისურ ენაში განვითარებულ პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის, რაც ნათლად ჩანს გრაფიკულ გამოსახულებაში. ორივე ენაში აღნიშნული სიტყვა ერთსა და იმავე მოდელს განეკუთვნება, ესაა გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი და ორივე ენაში მოდელის გრძელ სხვივს ერთი და იგივე სემანტიკური კომპონენტი წარმოქმნის.

2.3. პოლისემიური არსებითი სახელი „თვალი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში

სახის ნაკვეთების აღმნიშვნელი არსებითი სახელების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მათ ძირითადად ახასიათებს გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი საკვლევ ენებში.

თვალი, როგორც ადამიანის სხეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, გვებმარება, დავინახოთ, აღვიქვათ სამყარო. მის მიერ შესრულებული ფუნქცია უამრავ მნიშვნელობას უდევს საფუძვლად. არსებითი სახელი eye არის 23 პოლისემიური მნიშვნელობის განვითარების საფუძველი, რომლებიც განვითარდა 8 სემანტიკური კომპონენტისაგან. ხოლო „თვალს“ ქართულ ენაში აქვს 6 სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე განვითარებულ 14 პოლისემიურ მნიშვნელობას.

2.3.1. არსებითი სახელი EYE ინგლისურ ენაში

კონტექსტუალური და კორპუსული მეთოდების გამოყენებით, აგრეთვე ლექსიკონების მონაცემების შეჯერებით, აღნიშნული არსებითი სახელის სტრუქტურაში გამოვყავით შემდეგი მნიშვნელობები:

1. თვალი, მხედველობის ორგანო;

[OED– The organ of sight]

blue eyes ცისფერი თვალები; to cast down one’s eyes თვალების დახრა; a girl with blue eyes ცისფერთვალება გოგონა

2. მხედველობა;

[OED – With reference to its function: The eye as possessing the power of vision]

weak eyes სუსტი მხედველობა; good eyes კარგი მხედველობა; I have good eyes, but if my eyes get any worse, I’ll have to wear glasses ჯერჯერობით კარგი მხედველობა მაქვს, მაგრამ თუ გამიუარესდა მომიწევს სათვალის ტარება.

3. *ხმ. pl* თვალი, მზერა;

[OED – with reference to the direction of the eye; hence often equivalent to: Look, glance, gaze]

to set eyes on smb. ვინმესთვის თვალის მოკვრა; Peering through the window with an eager eye - ფანჯარაში ყურება ინტერესით.

4. თვალსაზრისი, შეხედულება, აზრი;

[OED - Point of view, manner or way of looking at a thing; estimation, opinion, judgment] in the eye(s) of smb ვისიმე თვალში; in the eye of the law კანონის თვალით; I look upon the problem with a different eye მე ამ საკითხს სხვა თვალით/სხვაგვარად ვუყურებ. In his eyes she was beautiful მის თვალში ის ლამაზი იყო.

5. ყურადღება;

[OED - To pay attention to; to be interested in or attracted to] to catch smb's eye ვინმეს ყურადღების მიპყრობა; The workmen were at almost all times immediately under the eye of their employers მუშებს მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ უფროსები. I've got to keep an eye on the road უმჯობესია გზას თვალი ვადევნო.

6. თვალის გარსი;

[OED - with adjs. Denoting the color of iris] The whites of one's eyes თვალის თეთრი გარსი;

7. სლ. დეტექტივი, მამებარა; მზვერავი, ჯაშუში;

[OED – applied to a person who uses his eye on behalf, or instead, of another. *spec.* a detective agency or a detective, esp. a private one; a lookout man;] სამძებრო პოლიციის აგენტი; a private eye კერძო დეტექტივი;

8. გადატ. თვალი, საუკეთესო ნაწილი;

[OED – Applied to a city, country, province, etc.: The seat of intelligence or light] Corinth, the eye of Greece კორინთო, საბერძნეთის თვალი; Massachusetts is the eye of the States მასაჩუსეტი არის შტატების თვალი.

9. პოეტ. მზე;

[OED - Attributed to heaven, the sun]

the eye of heaven, of day მზე; her angel's face, as the great eye of heaven, shined bright
მისი ანგელოზის საზე ანათებდა ზეციური თვალივით.

10. **პოეტ. ვარსკვლავები;**

[OED - the eyes of heaven, of night]

11. **ყუნწი (ნემსისა; ნემსკავისა);**

[OED –The small hole in a needle for taking the thread]

It is easier for a camel to go through the eye of a needle - *აქლემისთვის იოლია ნემსის
ყუნწში გაძრომა.*

12. **ტექ. ყუნწი, თოქსამართი, თვალაკი, კოუში.**

[OED - A hole designed to receive a rope, shaft hook, or other object; *specif*: a hole in an
implement (as an ax or hammer) designed for the insertion of a handle]

13. **ყველის ნასვრეტი, ფორი.**

[OED – One of the holes formed in some cheeses (as Swiss cheese) during ripening]

14. **სარქველი; წიქვილის ქვის ცენტრალური ნაწილი.**

[OED - An opening or passage in a millstone, kiln, etc., for the introduction or withdrawal
of substances.]

15. **მადაროში, ბუნაგში შესასვლელი ან გამოსასვლელი.**

[OED - The entrance or exit of a fox's Earth; a mine shaft, etc.]

16. **წრიული ფიგურა (ფარშევანგის კუდზე, პეპლის ფრთებზე და სხვა);**

[WEB – A mark or spot resembling an eye occurring on eggs, insect wings, etc.; any of the
marks near the end of the tail feathers of a peacock]

პატარა მუქი ფერის ლაქა (მაგალითად კვერცხზე).

17. **დუგმის კავის გამოსადები მარყუჟი;**

[WEB - a loop or other catch designed to receive a hook (as for fastening together the
opposite edges of a garment)]

18. **ღილის შესაკრავი;**

[WEB - a loop through which a button is passed: buttonhole]

e. g.: *hooks and eyes on a dress*- კაბის შესაკრავი.

19. პატარა რგოლი (ფარდის ჩამოსაკიდი რკინის რგოლი) რისამე გამოსადეგად;

[WEB - A ring through which a rod (as for a curtain) is passed]

20. ბოტ. კვირტი;

[OED - an undeveloped bud (as on a potato)]

თვალი (კარტოფილისა)

21. მეტეორ. გრიგალის/ ციკლონის თვალი;

[WEB – an area like a hole or column in the centre of a tropical cyclone marked by only light winds or complete calm with no precipitation and sometimes by a sunlit clear sky]

eye of the storm ტროპიკული ციკლონის ცენტრი;

22. მოწყობილობა (როგორცაა ფოტოელექტრული უჯრედი) რომელიც ფუნქციონირებს ადამიანის თვალის ანალოგიურად;

[WEB - a device (as a photoelectric cell) that functions in a manner analogous to human vision]

electric eye ელექტრო თვალი;

23. რაიმე ცენტრალური;

[WEB - something that is central or is felt to be central (as in location or importance) focal point; center]

the eye of the city ქალაქის ცენტრი. სამიზნე ნიშნის ცენტრი bull's eye.

არსებითი სახელის eye ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ ენაში

მხედველობის ორგანო - არის სიტყვა თვალის (eye) ძირითადი მნიშვნელობა. ამ მნიშვნელობაში, დეფინიციათა ანალიზის საფუძველზე, გამოიყოფა შემდეგი სემანტიკური კომპონენტები:

- 1) Being the organ of sight - მხედველობის ორგანო;
- 2) possessing the power of vision - მხედველობის უნარის ქონა;
- 3) being the seat of light - სინათლის წყარო;
- 4) having the sense of seeing - დანახვის უნარის ქონა;
- 5) being the central part of smth - რისამე ცენტრალური ნაწილი;
- 6) resembling the shape of the eye - თვალის ფორმის ქონა;
- 7) being the instrument of looking, glancing, gazing - ცქერის/მზერის საშუალება;
- 8) resembling the function of the eye - თვალის ფუნქციის ქონა;

მიმართება არსებითი სახელის eye სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის ინგლისურ ენაში.

ამ სემანტიკური კომპონენტებიდან ვითარდება eye-ს პოლისემიური მნიშვნელობების მნიშვნელოვანი ნაწილი. პირველ მნიშვნელობას - **თვალი, მხედველობის ორგანო** - საფუძვლად უდევს ძირითადი სემანტიკური კომპონენტი - Being the organ of sight; მეორე მნიშვნელობა - **მხედველობა** - განვითარებულია პირველი სემანტიკური კომპონენტისაგან - possessing the power of vision; მესამე მნიშვნელობა - **თვალი, მზერა** - განვითარებულია მეშვიდე სემანტიკური კომპონენტისაგან - being the instrument of looking, glancing, gazing; მეექვსე მნიშვნელობა - **თვალის გარსი** - ძირითადი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს; მეოთხე მნიშვნელობას - **თვალი, საუკეთესო ნაწილი** - საფუძვლად უდევს მესამე სემანტიკური კომპონენტი - being the seat of light; მეექვსე სემანტიკური კომპონენტი - resembling the shape of the eye - ყველაზე პროდუქტიულია აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელის სტრუქტურაში. ფორმით თვალის **მსგავსი**, ეს სემანტიკური კომპონენტი განსაზღვრავს შემდეგ მნიშვნელობებს: **პოეტ. მზე**


(მე-9); *პოეტ. ვარსკვლავები* (მე-10); *ყუნწი (ნემსისა; ნემსკავისა)*, მე-11 მნიშვნელობა; მე-12 მნიშვნელობა (*ყუნწი, თოკსამართი*), *ყველის ნასვრეტი, ფორი* (მე-13); *წრიული ფიგურა* (*ფარშევანგის კუდზე*), მე-16 მნიშვნელობა;

იგივე სემანტიკური კომპონენტი უდევს საფუძვლად ტექნიკური მნიშვნელობების უმეტეს ნაწილს (17, 18, 19, 20, 21). მერვე სემანტიკური კომპონენტი - resembling the function of the eye - საფუძვლად უდევს ისეთ მნიშვნელობებს, როგორცაა: 14, 15, 22. მეხუთე სემანტიკური კომპონენტი - being the central part of smth - საფუძვლად უდევს 23-ე მნიშვნელობას - რაიმე ცენტრალური, ან ის რაც ითვლება რომ არის ცენტრალური (ან მდებარეობით ან მნიშვნელოვნებით);

მეოთხე მნიშვნელობა - თვალსაზრისი, შეხედულება, აზრი - განვითარებულია აღნიშნული სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობიდან - მზერა, კერძოდ ის აღნიშნავს - a way of looking at things. მეხუთე მნიშვნელობა - ყურადღება - ასევე განვითარებულია მნიშვნელობიდან - მზერა, რადგან მზერა, ჩვეულებრივ, ყურადღებით მზერას გულისხმობს. საინტერესოა მე-7 მნიშვნელობა - დეტექტივი, მაძებარა; მზვერავი, ჯაშუში; სამძებრო პოლიციის აგენტი - რომელიც ასევე განვითარებულია მნიშვნელობიდან მზერა, ყურება. ოქსფორდის ლექსიკონი ასე ხსნის აღნიშნული მნიშვნელობის აღმოცენებას - applied to a person who uses his eyes on behalf, or instead of another.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი eye, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

არსებითი სახელი eye-ს სემანტიკური სტრუქტურა შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ (იხ. ფიგურა 18).



ფიგურა 18. არსებითი სახელი eye, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

2.3.2. არსებითი სახელი „თვალი“ ქართულ ენაში.

არსებითი სახელს „თვალი“ აქვს შემდეგი მნიშვნელობები ქართულ ენაში:

1. თვალი;

(მხედველობის ორგანო, თვალბუდეში მოქცეული გუგა, რომელიც აღიქვამს სინათლეს); თვალეზი გაახილა; თვალეზი დააჭყიტა.

2. თვალი;

(წარბების ქვეშ მდებარე არე რაც უჭირავს თვალეზს და ქუთუთოებს, თვალის გარშემოწერილობა); მარტოხელა მოხუცმა ძაღლს თავზე გადაუსვა ხელი და კაემნით ჩახედა ჭკვიან თვალეზში.

3. მხედველობა;

ზოგ საგნებს თვალით ვცნობთ, ზოგს – ყურით, ზოგს – ყნოსვით, ზოგს – გემოთი, ზოგს – შეხებით.

4. თვალი, მზერა;

ვინმესთვის თვალის მოკვრა.

5. თვალსაზრისი, შეხედულება, აზრი;

ვისიმე თვალში; მის თვალში ნინო ლამაზია. ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით რომ გავსინჯოთ, ამღებია და გამცემი საქონლისა.

6. ყურადღება, თვალყურის დევნება;

თვალში ამოღება. თვალთვალი. თვალი ადევნეთ!

7. თვალი, თვალის გარსი;

8. გადატ. თვალი, საუკეთესო ნაწილი;

მშობლების თვალია. ქვეყნის თვალია.

9. თვალი, ძვირფასი ქვა;

ლალის თვალი, ბრილიანტის თვალი.

10. თვალი ნაქსოვისა;

ქსოვილის თვალი.

თვალი ჩამივარდა, თვალი აქვს ჩავარდნილი. თვალი წაუვიდა.

11. თვალი, ურმის თვალი;

ოთხთვალა;

12. დასანახავად, შესახედაობით, თვალად; გარეგნული შთაბეჭდილებით;

ფიგურ. ერთი თვალით კარგი ჩანს.

13. ა) (როგორიმე) თვალით ყურება, (ასეთი თუ ისეთი) თვალსაზრისით უდგება;

გამგეობა საქმეს საქმის თვალთ უყურებს. გონების თვალი.

ბ) განწყობილი (ვისიმე მიმართ);

უფროსები კარგი თვალთ მიყურებენ; ეჭვის თვალთ ყურება;

14. აღქმა;

თვალი შეჩვეული/მიჩვეული აქვს; მხედრული წერა-კითხვა შესწავლილი მქონდა

და რუსულ ამოსაღებშიაც გატეხილი მქონდა თვალი.

არსებითი სახელის „თვალი“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ქართულ ენაში.

არსებითი სახელის „თვალი“ სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი ჩავატარეთ ქართული ენის სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონის დეფინიციების ანალიზის მოშველიებით, აგრეთვე სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებზე დაკვირვებით. გამოვლინდა შემდეგი სემანტიკური კომპონენტები:


1. მხედველობის ორგანო;
2. მხედველობის უნარის ქონა;
3. სინათლის წყარო;
4. დანახვის უნარის ქონა;
5. თვალის ფორმის ქონა;
6. ცქერის / მზერის საშუალება;

მიმართება არსებითი სახელის „თვალი“ სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის ქართულ ენაში

ამ სემანტიკური კომპონენტებიდან ვითარდება თვალის პოლისემიური მნიშვნელობების მნიშვნელოვანი ნაწილი. პირველი მნიშვნელობა - **თვალი, მხედველობის ორგანო** და მეორე მნიშვნელობა - **წარბების ქვეშ მდებარე არე, განვითარებულის ძირითადი სემანტიკური კომპონენტისაგან - მხედველობის ორგანო**. მესამე მნიშვნელობა - **მხედველობა** და მეშვიდე მნიშვნელობა - **თვალის გარსი**, განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - მხედველობის უნარის ქონა; მეოთხე მნიშვნელობა - **თვალი, მზერა** - განვითარებულია მეხუთე სემანტიკური კომპონენტისაგან - ცქერის, მზერის საშუალება; მეხუთე მნიშვნელობა - **თვალსაზრისი, შეხედულება, აზრი, მეექვსე (ყურადღება, თვალყურის დევნება), მე-12-ე (გარეგნული შთაბეჭდილება), მე-13-ე ა)(თვალსაზრისი), მე-13-ე ბ) (განწყობილება), - და მე-14-ე (აღქმა)** მნიშვნელობა განვითარებულია მესამე სემანტიკური კომპონენტისაგან - დანახვის უნარის ქონა, რომელიც პროდუქტიულია აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელის სტრუქტურაში. მერვე მნიშვნელობას - **თვალი, საუკეთესო ნაწილი** - საფუძვლად უდევს მეორე სემანტიკური კომპონენტი - სინათლის წყარო. ხოლო ისეთი მნიშვნელობები, როგორცაა, მეცხრე (**მვირფასი ქვა**), მეათე (**თვალი ნაქსოვისა**) და მეთერთმეტე (**ურმის თვალი**) მნიშვნელობა განვითარებულია მეოთხე სემანტიკური კომპონენტისაგან - თვალის ფორმის ქონა.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი „თვალი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში

გრაფიკულად ზემოხსენებული ანალიზი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ (იხ. ფიგურა 19):



ფიგურა 19. პოლისემიური არსებითი სახელი „თვალი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.

2.3.3 არსებითი სახელის „თვალი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში.

როგორც აღინიშნა, სიტყვა „თვალს“ აქვს 23 განსხვავებული მნიშვნელობა ინგლისურ ენაში, ხოლო 14 ქართულში, რომელთაგან ძალზე საინტერესოა მისი მეტაფორული



გადააზრების გზით მიღებული მნიშვნელობები. ქართული არსებითი სახელი „თვალი“-ს მნიშვნელობები თითქმის იდენტურია ინგლისურ ენაში მიღებული მნიშვნელობებისა. ამათგან, ქართულ ენაში მიღებული 8 მნიშვნელობა ემთხვევა ინგლისურ ენაში სიტყვა „თვალის“ მნიშვნელობებს. ქართულში ამ სიტყვას კიდევ დამატებით სხვა 6 მნიშვნელობა განუვითარდა, ინგლისურში კი დამატებით 15. ესეც ამტკიცებს ინგლისური ენის მაღალ პოლისემიურობას სხვა ენებთან, მათ შორის, ქართულ ენასთან შედარებით.

როგორც ქვემოთ მოცემული გამოსახულებიდან ჩანს, არსებითი სახელი თვალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მიღებული მოდელი არის არსებითი სახელის გრძელსხივიანი მზისებრი მოდელი ორივე ენაში. ინგლისურ ენაში გრძელ სხივს ქმნის სემანტიკური კომპონენტი „თვალთან ფორმით მსგავსება“, ხოლო ქართულ ენაში სემანტიკური კომპონენტი „დანახვის უნარის ქონა“.

არსებითი სახელი eye ინგლისურ ენაში

არსებითი სახელი „თვალი“ ქართულ

ენაში



ფიგურა 20. გრძელსხივიანი მზისებრი მოდელი eye - თვალი.



განვიხილოთ მიღებული მნიშვნელობები. ინგლისურ ენაში არსებითმა სახელმა „თვალი“ მოგვცა რვა სემანტიკური კომპონენტი, ხოლო ქართულ ენაში - ექვსი. ძირითადი მნიშვნელობა Being the organ of sight, მხედველობის ორგანო არის საფუძველი მრავალი პოლისემიური მნიშვნელობის განვითარებისა ორივე ენისათვის, რომელთა განვითარება სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე მოხდა. სემანტიკური კომპონენტი possessing the power of vision მხედველობის უნარი არის საფუძველი ორივე ენაში მნიშვნელობის „მხედველობა“ განვითარების. მაგალითისათვის დავაკვირდეთ შემდეგ მნიშვნელობებს, ინგლისურ ენაში მნიშვნელობები: Weak eyes, good eyes, იდენტურია ქართულ ენაში არსებული მნიშვნელობებისა, რომლებიც აისახა ფრაზებში: თვალს არ ვუჩივი, კარგი თვალი მაქვს, თვალს მაკლია. სემანტიკური კომპონენტი being the seat of light „სინათლის წყარო“ საერთოა ორივე ენაში და უდევს საფუძვლად მნიშვნელობას საუკეთესო ნაწილი: ქვეყნის თვალი, ოჯახის თვალი. სემანტიკური კომპონენტი having the sense of seeing „დანახვის უნარის ქონა“, არის ორი ძირითადი მნიშვნელობის წყარო ინგლისურ ენაში: თვალსაზრისი - in the eyes of smb; I look upon the problem with a different eye; ყურადღება - I've got to keep an eye on the board. He is under the eye of the boss. დანახვის უნარის ქონა საკმაოდ პროდუქტიულია ქართულ ენაში. იგი არის ექვსი მნიშვნელობის წყარო: აზრი, შეხედულება, თვალსაზრისი, განწყობილება - ვისიმე თვალში, მის თვალში ნინო ლამაზია; როგორიმე თვალით ყურება, გონების თვალით, საქმის თვალით, კარგი თვალით, ექვის თვალით, კარგი თვალთ მიყურებენ. ყურადღება - თვალში ამოღება თვალთვალი; გარეგნული შთაბეჭდილება: ერთი თვალთ კარგი ჩანს; აღქმა - თვალი შეჩვეული აქვს. სემანტიკური კომპონენტი being the central part of smth რისამე ცენტრალური ნაწილი - განსხვავებული სემანტიკური კომპონენტია, რომელიც არ შეინიშნება ქართულ ენაში. ეს კომპონენტი არის რაიმე ცენტრალურის აღმნიშვნელი მნიშვნელობით ან მდებარეობით. ქალაქის თვალი the eye of the city რაც ქართულ ენაში არსებითმა სახელმა „გული“ შეითავსა, ქალაქის გულია. სემანტიკური კომპონენტი resembling the shape of the eye - თვალის ფორმის ქონა საკმაოდ პროდუქტიულია ინგლისურ ენაში და არის საფუძველი 11 განსხვავებული მნიშვნელობის განვითარებისა, მაშინ, როცა ქართულ ენაში მხოლოდ სამი მნიშვნელობის წყაროა. განსხვავებით

ინგლისურ ენაში განვითარებული მნიშვნელობებისა, იგი საფუძვლად დაედო მნიშვნელობებს: ძვირფასი ქვა (ლალის ქვა, ბრილიანტის ქვა), ქსოვილის თვალი (თვალის წაუვიდა, თვალი ჩამივარდა), და ურმის თვალი. ხოლო ინგლისურში საინტერესოა, რომ პოეზიაში შეგვხვდება როგორც მზის ან ვარსკვლავების აღმნიშვნელი, როგორც ცის თვალი. ნებისმიერი რამ, რაც თვალის ფორმას წააგავს, აღინიშნება სიტყვით eye. მაგალითად ყველის ნასვრეტი the eye of cheese, წრიული ფიგურა ფარშევანგის ბუმბულზე, ნემსკავი, ღილის შესაკრავი, ფარდის საკიდი ყუნწი, თვალაკი, კოუმი. ასევე როგორც ბუნების სურათი - კვირტი, კარტოფილის ღოჯი. გრიგალის, ციკლონის თვალი (the eye of a cyclon, the eye of a storm). სემანტიკური კომპონენტი being the instrument of looking, glancing, gazing „ცქერის / მზერის საშუალება“ საერთოა ორივე ენაში და გვაძლევს იგივე მნიშვნელობას - თვალი, მზერა. ვინმესთვის თვალის მოკვრა, თვალის შევლება. To set eyes on somebody, peering through the window with an eager eye. სემანტიკური კომპონენტი resembling the function of the eye თვალის ფუნქციის ქონა მხოლოდ ინგლისურ ენაში გვაძლევს ოთხ განსხვავებულ მნიშვნელობას, როგორცაა ტექნიკური მნიშვნელობები სარქველი და ფოტოელექტრული უჯრედი, რომელიც ფუნქციონირებს ადამიანის თვალის მსგავსად, და მაღაროში შესასვლელი. ასევე საინტერესოა მნიშვნელობა დეტექტივი - private eye, რომელიც ასევე თვალის ფუნქციასთან მსგავსებიდან განვითარდა. ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ინგლისურ ენაში არსებითი სახელი თვალისათვის განვითარებული 8 სემანტიკური კომპონენტიდან 6 ემთხვევა ქართულ ენაში მიღებულ სემანტიკურ კომპონენტებს. განსხვავებულია კომპონენტები თვალის ფუნქციის ქონა და რისამე ცენტრალური ნაწილი, რაც დაედო საფუძვლად განსხვავებული მნიშვნელობების განვითარებას.

განსხვავებები ნათლად ჩანს ქვემოთ გამოსახულებაზე. (იხ. ფიგურა 21).

არსებითი სახელი eye ინგლისურ ენაში

არსებითი სახელი „თვალი“ ქართულ ენაში



ფიგურა 21. არსებითი სახელი eye-სა და „თვალი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.

როგორც ანალიზიდან ჩანს არსებითი სახელი eye (თვალი) მაღალპოლისემიურია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, რომელიც ასევე ავლენს გრძელსხვიანი მზისებრი მოდელისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას, რამაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა მოდელის უნივერსალურობა.

2.4 პოლისემიური არსებითი სახელი „პირი“ ინგლისურსა და ქართულ ენებში

თვალი გადავავლოთ კატეგორია - „სახის ნაკვეთების აღმნიშვნელ“ კიდევ ერთ არსებით სახელს - mouth „პირი“. ინგლისურ ენაში გამოვლინდა სიტყვა „პირთან“ ფორმით მსგავსების მიხედვით მიღებული უამრავი მნიშვნელობა, რომლის აღწერაც საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ, რადგან ნებისმიერი ჭურჭელი, თუ იარაღი, რომელსაც ღია შესასვლელი ნაწილი აქვს, ინგლისურ ენაში მოიხსენიება როგორც „mouth“. აქედან

გამომდინარე, სემანტიკური კომპონენტისგან „პირთან ფორმით მსგავსება“ განვითარებული მნიშვნელობებიდან მხოლოდ სამი მნიშვნელობა დავტოვეთ, რომლებიც ელექტრონული კორპუსის მიხედვით შედარებით უფრო ხშირი გამოყენებისა იყო ენაში.

სიხშირული თვალსაზრისით გაფილტრული მნიშვნელობებიდან მივიღეთ აღნიშნული სიტყვის 19 მნიშვნელობა ინგლისურ ენაში. ასევე თავი ავარიდეთ ძველად გამოყენებული მნიშვნელობების შეტანას, რომლებიც თანამედროვე ინგლისურში აღარ გამოიყენება. მოცემული მნიშვნელობებიდან ძალიან ბევრი მნიშვნელობა ემთხვევა სიტყვა „პირის“ მნიშვნელობებს ქართულ ენაში.

2.4.1. არსებითი სახელი MOUTH ინგლისურ ენაში.

გამოყენებული რესურსებისა და მეთოდების მოშველიებით გამოვყავით არსებითი სახელის „პირი“ შემდეგი მნიშვნელობები ინგლისურ ენაში:

1. პირი, პირის ღრუ;

[OED - The opening in the head of a person or animal through which food is ingested and vocal sounds emitted, closed by the lips; the cavity immediately behind this, containing the teeth and tongue; Also, the opening through which any animal organism ingests food.]

[WEB – the opening through which food passes into the body of an animal]

Sammy had his mouth full of sandwich სემის პირი სავსე ჰქონდა სენდვიჩით. to open one's mouth პირის გაღება to close/shut one's mouth პირის დახურვა/მოკუმვა;

2. პირი (სალაპარაკო/ხმის ამომღები ორგანო); აზრის გამომხატველი;

[OED - The mouth as the instrument of speech and voice; a person's voice, a person who is speaking;]

gave mouth to her doubts მისი ეჭვები გაამხილა; all the mouths of Rome რომის ყველა წარმომადგენელი, რომის აზრის გამომხატველები.

3. მჭამელი, პირი;

[OED - A person viewed as a consumer of food. A person who consumes food but does no useful work in return.]

to feed five mouths ხუთი სული ჰყავს კმაყოფაზე; useless mouth მუქთამჭამელი, მუქთახორა. bad mouth, big mouth გაუმადლარი; There was another mouth coming which must be fed კიდევ ერთი დამშეული მოდიოდა.

4. აღვირზე სათანადო რეაგირების უნარი;

[OED - A horse's ability to be guided by the bit].

a well-trained horse has a good mouth. კარგად გახედნილი ცხენი ზუსტად ემორჩილება აღვირს, კარგად გახედნილი ცხენის მართვა იოლია.

5. ტუჩები;

[WEB – the lips as a feature of the face]

kissed her on the mouth ტუჩებში აკოცა ქალს. And on her mouth a doubtful smile dwelt მის ტუჩებზე საეჭვო ღიმილმა გაიელვა.

6. პირი, სახე;

[OED - The flesh surrounding the opening of the mouth considered as a part of the human face]

an open/gaping mouth გაკვირვების/არცოდნის/უვიცობის გამომხატველი სახე;

7. გრიმასა;

[WEB – grimace.]

to make a mouth(s) (at smb) (ვინმესთვის) გრიმასების გაკეთება, სახის დამანჭვა. He made a mouth behind the teacher მასწავლებლის ზურგსუკან იღრიჭებოდა.

8. ვულგარული საუბარი;

[WEB - Impudent or vulgar talk]

Watch your mouth სიტყვები აკონტროლე.

9. უზომოდ ბევრი ლაპარაკის ჩვევა;

[WEB – a tendency to excessive talk: volubility]

he is not all mouth he gets results. მისი ლაპარაკი მხოლოდ სიტყვების რახარუხი არაა, იგი გარკვეულ შედეგებსაც აღწევს. is known mainly for his mouth ზედმეტი ლაპარაკითაა ცნობილი.

10. ვისიმე ოფიციალური წარმომადგენელი; ვისიმე აზრის გამომხატველი პირი;

[OED - a person who speaks on behalf of another or of others. A spokesman.]

by/through the mouth of წარმომადგენლის პირით; as He spoke by the mouth of His holy prophets ბიბლ. როგორც გვაუწყა თავის წმიდა წინასწარმეტყველთა პირით. acts as the mouth of the organization.

11. ძაღლის ყეფა;

[WEB – the baying of a dog.]

the musical mouth of a hound მონადირე ძაღლის ყეფა.

12. შესართავი (მდინარისა)

[OED – the place where a river enters the sea. The entrance to a harbor, valley, etc.]

13. სამთ. პირი (გვირაბისა);

[OED – the surface opening of a pit, well, cave, etc.]

came out of the mouth of the cave გამოვიდა გვირაბის შესასვლელიდან.

14. კრატერი (ვულკანისა)

[OED – the crater of a volcano]

15. ჩასასტენი;

[OED - an aperture in a musical pipe for producing the sound.]

the mouth of a trumpet საყვირის პირი.

16. სამხ. ტუჩი, პირი (ლულისა);

[OED - The muzzle of a gun.]

არსებითი სახელის mouth ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ ენაში.

დეფინიციათა ანალიზის საფუძველზე სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან გამოიყო 9 სემანტიკური კომპონენტი.

1. Being the opening through which food passes into the body - ნაპრალი ზაგეებს შორის.
2. Being the entrance of something - რაიმეს შესასვლელი;
3. Being the instrument of speech/uttering other sounds - სალაპარაკო/ხმის გამომცემი ორგანო;
4. Resembling the shape of the mouth - პირის ფორმის ქონა;

5. Resembling the function of the mouth - პირის ფუნქციის ქონა;
6. Being performed with the help or participation of mouth - პირის დახმარებით რაიმეს შესრულება;
7. Being the part of a face (metonymy)- სახე, სახის ნაწილი;
8. Being expressive of wonderment or vacancy of mind (in reference to gaping / open mouth) - გაკვირვების/არცოდნის გამომხატველი სახე;
9. Being the consumer of food - საკვების მომხმარებელი.

მიმართება არსებითი სახელის mouth სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის

პირველი მნიშვნელობა - პირი; პირის ღრუ - არის აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობა. ზემოთ მოყვანილი სემანტიკური კომპონენტები სწორედ ამ მნიშვნელობიდან გამოიყოფა. მეორე მნიშვნელობას - პირი (სალაპარაკო/ხმის გამომცემი ორგანო); აზრის გამომხატველი; მეთერთმეტე მნიშვნელობას - ვისიმე ოფიციალური წარმომადგენელი; ვისიმე აზრის გამომხატველი პირი და მეათე (ძალის ყეფა) მნიშვნელობას - საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი - being the instrument of speech. მესამე მნიშვნელობა - მჭამელი, პირი - განვითარებულია სემანტიკური კომპონენტიდან - being the consumer of food. მეოთხე მნიშვნელობა - აღვირზე სათანადო რეაგირების უნარი - განვითარდა სემანტიკური კომპონენტისაგან - being performed with the help or participation of mouth. მეხუთე მნიშვნელობა - ტუჩები - გამოიყოფა სემანტიკური კომპონენტისაგან - being the part of a face (metonymy); მეექვსე მნიშვნელობა - პირი, სახე, მეშვიდე - გრიმასა, მერვე მნიშვნელობა - ვულგარული საუბარი, მეცხრე (უზომოდ ბევრი ლაპარაკის ჩვევა) მნიშვნელობები განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან -being expressive of wonderment or vacancy of mind (in reference to gaping / open mouth); მეთორმეტე მნიშვნელობა - შესართავი (მდინარისა) - განვითარდა სემანტიკური კომპონენტისაგან - resembling the function of the mouth. მეცამეტე მნიშვნელობა - პირი (გვირაბისა) - განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - being the entrance of something.

მეთოთხმეტე მნიშვნელობა - კრატერი (ვულკანისა) და მეთხუთმეტე (ჩასასტვენი), მეთექვსმეტე (ტუჩი, პირი ლულისა) მნიშვნელობები განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისაგან - resembling the shape of the mouth.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი mouth, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

გრაფიკულად აღნიშნული პოლისემიური არსებითი სახელი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ.



ფიგურა 22. პოლისემიური არსებითი სახელი mouth, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

2.4.2 არსებითი სახელი „პირი“ ქართულ ენაში.

არსებითი სახელისათვის „პირი“ გამოიყო შემდეგი მნიშვნელობები ქართულ ენაში:

1. **პირი;**

ადამიანის, ცხოველის პირი; *მოკუმული პირი.*

[ნაპრალი ტუჩებს შორის, ბაგეთა ჭრილი, ტუჩების მოხაზულობა]

2. **პირი, პირის დრუ;**

[ტუჩებს, ხორხსა და ყბებს შორის არსებული დრუ]

ლუკმა პირში ჩაიდო.

3. **სახე, პირისახე;**

პირი გაიმშრალა, პირი დაიბანა, ხელები პირზე აიფარა.

4. **ტუჩები;**

პირი მოიწმინდა

5. **პირი, პიროვნება;**

ცალკე ადამიანი, ინდივიდი. *კერძო პირი, თანამდებობის პირი.*

6. **იგივეა რაც პირობა;**

პირი შეკრეს.

7. **ერთმანეთის მხარის დაჭერა, ერთმანეთის გატანა. ერთსულოვნება, პირიანობა.**

„სამას კომლ კაცს თუ პირი ექნება, როგორ გადაუდგება წინ ათი და ოცი კაცი“.

8. **ნება, უფლება;**

ბავშვს პირი მიეცი თავზე წაგაჯდებო.

9. **დედნისაგან ზუსტად გადაღებული (გადაწერილი ან გადაბეჭდილი) ტექსტი,**

ასლი, კოპიო. დიპლომის პირი;

10. **ნაპირი (მდინარისა, ზღვისა...);**

ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა (რუსთაველი)

11. **განაპირა ადგილი, კიდე;**

ტყის პირას, კლდის პირას.

12. **ქვეშაგებზე, ბალიშზე, საბანზე და მისთ. გარედან გადასაკრავი ქსოვილი ან**

თეთრეული. ბალიშის პირი, ლეიბის პირი.

13. ზედაპირი; ზევითა გარეთა მხარე. ჭრილობის ღია, გარეთა მხარე;
ჭრილობამ პირი შეიკრა.
14. ერთ-ერთი მხარე;
(ქსოვილილსა, ტყავისა და მისთ.)
ფარჩის კარგი პირი. პირის გაკეცვა, კიდეების შეკერვა.
15. ჭურჭლის, სათავსის ზემოთა, ღია ნაწილი - ნაპირი, კიდე. *ქვევრის პირას.*
16. იარაღის მჭრელი მხარე. *ბარის პირი, ცულის პირი; ისრის პირი, შუბის პირი. დანის პირი.*
17. სასროლი იარაღის ლულის წინა ნახვრეტი, საიდანაც ჭურვი გადის. *ლულის პირი;*
18. რისამე საპირისპირო მხარე;
პირი იბრუნა, პირი აქცია.
19. პირი (სალაპარაკო/ხმის გამომცემი ორგანო); აზრის გამომხატველი.
პირი გააჩუმა, პირი არ გააჩუმა.
20. წყება, რიგი;
ორი პირი წყალი გადააქცია. ორი პირი ტყავი გადაიძრო.
21. შესაკვრელ-გასახსნელი ნაწილი;
(ტომრისა, ხურჯინისა და მისთ). *ტომარას პირი მოუკრა.*
22. ჯერი, გზობა;
ორი პირი ძილი გამოაცხო.
23. დასაწყისი (ითქმის დროის შესახებ);
სადამოს პირი. ზამთრის პირი.
24. გრამატ. ზმნის ფორმა;
რომელიც აღნიშნავს მოლაპარაკეს (პირველი პირი), ვისაც ელაპარაკებიან (მეორე პირი) ან ვის (რის) შესახებაც ლაპარაკობენ (მესამე პირი). *სუბიექტური პირი. – ობიექტური პირი.*
25. საფრთხის, შესაძლებლობის წინაშე;
პირი არ უჩანს. სიკვდილის პირას

ქვეყანა ეკონომიური კრახის პირას აღმოჩნდა.

არსებითი სახელის „პირი“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები.

დეფინიციათა ანალიზის შედეგად გამოვლინდა რვა სემანტიკური კომპონენტი, რომელთაგან ძირითადი კომპონენტია *ნაპრალი ბაგეებს შორის*.

1. ნაპრალი ბაგეებს შორის (საიდანაც საკვები გადაეცემა ორგანიზმს)
2. რაიმეს შესასვლელი
3. სალაპარაკო, ხმის გამომცემი ორგანო;
4. პირის ფორმის ქონა;
5. პირის ფუნქციის ქონა;
6. სახე, სახის ნაწილი;
7. წყების, რიგის აღმნიშვნელი
8. პირი, მხარის აღმნიშვნელი.

მიმართება არსებითი სახელის „პირი“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის.

ძირითადი სემანტიკური კომპონენტი ნაპრალი ბაგეებს შორის არის მეორე მნიშვნელობის (პირის ღრუ) და ყველა დანარჩენი სემანტიკური კომპონენტებისა თუ პოლისემიური მნიშვნელობების განვითარების საფუძველი. მესამე (პირი, სახე) და მეოთხე (ტუჩები) მნიშვნელობები განვითარებულია სემანტიკური კომპონენტის - სახე, სახის ნაწილი, საფუძველზე. სემანტიკური კომპონენტი - სალაპარაკო ხმის გამომცემი ორგანო დაედო საფუძვლად მე-5 (პირი, პიროვნება), მე-6 (პირობა), მე-7 (ერთსულოვნება), მე-8 (ნება, უფლება), მე-19 (პირი, აზრის გამომხატველი), და 24-ე (ზმნის ფორმა) მნიშვნელობებს. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა სემანტიკური კომპონენტი - პირი, ერთ-ერთი მხარის აღმნიშვნელი, რომლის საფუძველზეც განვითარდა რვა მნიშვნელობა, ესენია: მეცხრე - ასლი, კოპიო, მეათე - ნაპირი მდინარისა,

მეთერთმეტე - განაპირა ადგილი, კიდე, მეთორმეტე - ქსოვილის პირი, მეთოთხმეტე - ერთ-ერთი მხარე, მეთვრამეტე - საპირისპირო მხარე, ოცდამესამე - დასაწყისი და ოცდამეხუთე - საფრთხის/შესაძლებლობის წინაშე მნიშვნელობები. სემანტიკური კომპონენტი „პირის ფორმის ქონა“ დაედო საფუძვლად მეცამეტე - ჭრილობის გარე მხარე და მეჩვიდმეტე - ლულის პირი, მნიშვნელობების განვითარებას. მე-15 (ჭურჭლის ღია ნაწილი) და 21-ე (შესაკვრელ-გასახსნელი ნაწილი) მნიშვნელობები განვითარდა სემანტიკური კომპონენტისაგან - რაიმეს შესასვლელი. მეთექვსმეტე მნიშვნელობა - იარაღის მჭრელი მხარე, განვითარებულია სემანტიკური კომპონენტიდან პირის ფუნქციის ქონა. ხოლო მეშვიდე სემანტიკური კომპონენტი დაედო საფუძვლად მეოცე - წყება, რიგი და ოცდამეორე - ჯერი, გზობა, მნიშვნელობების განვითარებას.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი „პირი“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.




ფიგურა 23. პოლისემიური არსებითი სახელი "პირი", გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.


2.4.3 პოლისემიური არსებითი სახელის „პირი“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში.

შეპირისპირებითი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსგავსად არსებითი სახელისა „თვალი“(eye), არსებითი სახელი „პირი“ (mouth) ასევე წარმოადგენს გრძელსხვიან მზისებს მოდელს ორივე ენაში. ამ შემთხვევაში მოცემული არსებითი სახელი გაცილებით მაღალპოლისემიურია ქართულ ენაში თუ შევადარებთ ინგლისურ ენაში იმავე არსებითი სახელის პოლისემიურ მნიშვნელობებს, განსხვავებით სხვა არსებითი სახელებისაგან ქართულ ენაში. არსებითი სახელი „პირის“ შემთხვევაში გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი მივიღეთ ორი სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე, ხოლო ინგლისურ ენაში მხოლოდ ერთი სემანტიკური კომპონენტი გახდა ოთხი მნიშვნელობის განვითარების საფუძველი. განხილული არსებითი სახელებიდან „პირი“ არის ის სიტყვა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მისი მნიშვნელობების რაოდენობით როგორც სხვა არსებითი სახელებთან შედარებით ქართულ ენაში, ისევე მის ეკვივალენტთან (mouth) შედარებით ინგლისურ ენაში.

არსებითი სახლი mouth ინგლისურ ენაში



არსებითი სახლი „პირი“ ინგლისურ ენაში



ფიგურა 24. გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი mouth - პირი.


დავაკვირდეთ სემანტიკურ კომპონენტებს და მათ საფუძველზე განვითარებულ მნიშვნელობებს ინგლისურსა და ქართულ ენაში. ინგლისურში 9 სემანტიკური კომპონენტია მთელი რიგი მნიშვნელობების საფუძველი, ხოლო ქართულ ენაში 8 სემანტიკური კომპონენტი გვამლევს გაცილებით მეტ მნიშვნელობას, რაც მიგვითითებს იფაქტზე, რომ ერთი კონკრეტული სემანტიკური კომპონენტი არის უფრო მეტი მნიშვნელობის საფუძველი. ძირითადი სემანტიკური კომპონენტი Being the opening through which food passes into the body - ნაპრალი ბაგეებს შორის წარმოშობს 16 მნიშვნელობას ინგლისურში, ხოლო 25-ს ქართულში. პირის ფუნქცია, ფორმა, მის მიერ შესრულებული მოძრაობები თანაბრად იქნა აღქმული როგორც ინგლისურ ისე ქართულ ენაზე მოსაუბრე ენობრივი კოლექტივისათვის. სემანტიკური კომპონენტი Being the entrance of something - რაიმეს შესასვლელი, ინგლისურ ენაში გახდა საფუძველი ისეთი გარეენობრივი მნიშვნელობის განვითარებისა, როგორცაა გვირაბის პირი, ჭურჭლის პირი მსგავსად ქართულ ენაში განვითარებული მნიშვნელობებისა (ჭურჭლის ღია ნაწილი), ტომრის შესაკვრელ-გასახსნელი ნაწილი, მაგალითად ტომარაზე იტყვიან პირი შეუკარი, პირი მოუკარი; ქვევრის პირი, პირის საშუალებით საკვების გადასვლა ორგანიზმში გახდა საფუძველი ხსენებული მნიშვნელობებისათვის. Being the instrument of speech/uttering other sounds - სალაპარაკო/ხმის ამომღები ორგანო არის სამი მნიშვნელობის საფუძველი ინგლისურ ენაში, ხოლო ექვსისა ქართულ ენაში. მაგალითისათვის ინგლისურში განვითარდა მნიშვნელობები სალაპარაკო ორგანო, (she gave mouth to her doubts), ვისიმე ოფიციალური წარმომადგენელი (he acts as the mouth of the organization), საინტერესოა რომ ძაღლის ყეფაც მოიხსენება ხოლმე როგორც mouth, (the musical mouth of a hound). ხოლო ქართულ ენაში განვითარდა შემდეგი მნიშვნელობები პირი, პიროვნება, პირი როგორც აზრის გამომხატველი, პირობა - პირი შეკრეს, ერთსულოვნება, ერთმანეთის მხარის დაჭერა “სამას კომლ კაცს თუ პირი ექნება როგორ გადაუდგება წინ ათი და ოცი კაცი“. ნება, უფლება (ბავშვს პირი მიეცი თავზე დაგაჯდებაო), ზმნის პირი. Resembling the shape of the mouth - პირის ფორმის ქონა დაედო საფუძველად სამი ძირითადი მნიშვნელობის განვითარებას ინგლისურში როგორცაა კრატერი (the crater of a volcano), საყვირის ჩასაბერი ნაწილი (the mouth of a trumpet),

იარაღის პირი, ტუჩი (the muzzle of a gun), ხოლო ორ მნიშვნელობას ქართულში ლულის პირი და ჭრილობის გარე მხარე (ჭრილობამ პირი შეიკრა/გაიხსნა). სემანტიკური კომპონენტი Resembling the function of the mouth - პირის ფუნქციის ქონა დაედო საფუძვლად მნიშვნელობას მდინარის შესართავი (the place where a river enters the sea) ინგლისურ ენაში ხოლო იარაღის მჭრელი მხარე ქართულში (დანის პირი, ცულის პირი); სემანტიკური კომპონენტი Being performed with the help or participation of mouth - პირის დახმარებით რაიმეს შესრულება მხოლოდ განვითარდა ინგლისურ ენაში და მის საფუძველზე განვითარდა მნიშვნელობა აღვირზე რეაგირების უნარი (well-trained horse has a good mouth). სემანტიკური კომპონენტი Being the part of a face (metonymy) - სახე, სახის ნაწილი საერთოა ორივე ენაში და მისგან ასევე განვითარდა საერთო მნიშვნელობა - ტუჩები (a doubtful smile dwelt on her mouth), ხოლო განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა დამატებით ქართულ ენაში - პირი, სახე (პირი დაიბანე). Being expressive of wonderment or vacancy of mind (in reference to gaping / open mouth) - გაკვირვების/არ ცოდნის გამომხატველი სახე რომლის საფუძველზეც არსებითი სახელი mouth ავლენს გრძელსხვიანი მზისებრი მოდელისათვის დამახასიათებელ თვისებას (სამზე მეტი მნიშვნელობის საფუძველი) განსხვავებულია ქართულ ენაში მიღებული სემანტიკური კომპონენტებისაგან, საინტერესოა რომ სიტყვა პირი გახდა საფუძველი თავის მობეზრების, აბეზარობის, გაკვირვების, არცოდნის/უვიცობის გამომსახველი მაგალითად: he made the mouth behind the teacher, he is all mouth, he is not all mouth he gets the results, watch your mouth -სიტყვები აკონტროლე! She is known mainly for her mouth, ქართულში მსგავსი მნიშვნელობები მეტაფორული გადააზრების გზით მიიღება - პირს არ აჩუმებს, როგორც იქნა პირი გააჩუმა. პირი აუკართო!. ასევე განსხვავებულია სემანტიკური კომპონენტი Being the consumer of food - საკვების მომხმარებელი, რომლისაგანაც განვითარდა მნიშვნელობა მჭამელი პირი. He feeds five mouths ხუთი სული ჰყავს კმაყოფაზე, useless mouth მუქთამეჭამელი. There is another mouth coming to be fed - კიდევ ერთი დამშეული მოდის. ქართულ ენაში ორი სემანტიკური კომპონენტი არის განსხვავებული, რომელსაც არ განუვითარდა მსგავსი მნიშვნელობები ინგლისურ ენაში, ესენია წყების, რიგის აღმნიშვნელი და პირი როგორც ერთ-ერთი მხარის აღმნიშვნელი.


მაგალითად წყება, რიგი, ჯერი, გზობა - ორი პირი წყალი გადააქცია; ორი პირი ტყავი გადაიდრო; ორი პირი ძილი გამოაცხო. ხოლო პირი როგორც ერთ-ერთი მხარის აღმნიშვნელი არის ასევე ყველაზე პორდუქტიული მსგავსად სემანტიკური კომპონენტისა სალაპარაკო, ხმის ამომღები ორგანო. მის საფუძველზე განვითარდა ექვსი მნიშვნელობა როგორცაა: ასლი, კოპიო, დიპლომის პირი; პირველი პირი. ქსოვილის მხარე - ქვეშაგებზე, ბალიშებზე, საბანზე და მისთ. გარედან გადასაკრავი ქსოვილი ან თეთრეული. ბალიშის პირი, ლეიბის პირი. ფარჩის კარგი პირი; რისამე საპირისპირო მხარე - პირი იბრუნა, პირი აქცია. სადამოს პირი, ზამთრის პირი. საფრთხის/შესაძლებლობის წინაშე. პირი არ უჩანს, სიკვდილის პირას, კრახის პირას.

ძირითადი განსხვავებები მოცემული არსებითი სახელის მნიშვნელობებს შორის ინგლისურსა და ქართულ ენაში შეინიშნება განსხვავებული სემანტიკური კომპონენტების საფუძველზე განვითარებულ მნიშვნელობებს შორის. პირის ფუნქცია, მდებარეობა და გარეგნული ფორმა ერთნაირად არის აღქმული ამ ენებში. ის, რაც არ არის მნიშვნელობებში გამოკვეთილი, შეინიშნება მეტაფორა მეტონიმის გზით გადატანილ მნიშვნელობებში.

არსებითი სახლი mouth ინგლისურ ენაში



არსებითი სახლი „პირი“ ინგლისურ ენაში



ფიგურა 25. არსებითი სახელი mouth-ისა და „პირი“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.

2.5 პოლისემიური არსებითი სახელი „გული“ ინგლისურსა და ქართულ ენებში

შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი არსებითი სახელების ანალიზის შედეგებს წარმოვადგენთ არსებითი სახელი „გულის“ მაგალითზე. სიტყვა „გულს“ აქვს 23 მნიშვნელობა ინგლისურ ენაში და 15 მნიშვნელობა ქართულ ენაში

2.5.1 არსებითი სახელი HEART ინგლისურ ენაში.

არსებითი სახელის heart მნიშვნელობები ინგლისურ ენაში:

1. გული;

[OED - a hollow muscular organ which in vertebrate keeps up the circulation of the blood by rhythmic contraction and dilatation; an organ of analogous function in some invertebrates.]

სხეულის ნაწილი, ორგანო

2. გულის დაავადება;

[OED - Diseased condition of this organ;]

e.g: He's got a heart, by the way, and I am afraid this might finish him.

3. გული;

[OED - The heart as the center of vital bodily functions; (the seat of life).]

სიცოცხლე.

e.g: That the king...had granted my heart under the Great Seal.

4. მოძვ. დიალ. კუჭი;

[OED - The stomach. Orig. in next the heart, on an empty stomach.]

next one's/the/heart მშიერ კუჭზე, უზმოზე;

5. გული; გულარი;

[OED - Something resembling a heart in shape]

რაიმე რაც არის გულის ფორმის.

6. ჭკუა, გონება, ინტელექტი;

[OED - The mind; intellect; esp. (the seat of) one's inmost thoughts and secret feelings; the soul.]

e.g: Deep down in his heart he wants to go back.

[WEB - Intellect; understanding

7. **გაგება, აღქმა, დამახსოვრება;**

[OED - (The seat of) perception, understanding or (rarely) memory. In by heart, by rote, in or from memory.]

[WEB - Memory, rote – used in the phrase by heart]

e.g: got the whole poem by heart.

8. **გრძნობა, სიყვარული;**

[OED - (the seat of) the emotions, esp. love, as opp. To reason. Freq. contrasted with head.]
to gain/obtain/smb's heart ვისიმე გულის მონადირება/დაპყრობა; to lose/to give/ one's heart to smb. ვისიმე შეყვარება.

[WEB - Love, affections;]

e.g: he lost his heart to her at once; He laid his heart at her feet;

9. **გულკეთილობა; დიდსულოვნება; კეთილშობილება;**

[OED - Susceptibility to emotion; feeling, sensitivity. Also, kindness, cordiality.]

e.g: She had my adolescence heart and I had her entire devotion.

10. **გულით ნდობა, სურვილი; განზრახვა;**

[OED - Purpose, inclination, desire. In after one's own heart, just such as one likes or desires.]

11. **გამბედაობა, სიმამაცე, ვაჟკაცობა, მხნეობა;**

[OED - (the seat of) courage, spirit; The source of energy, enthusiasm, or ardour]

to pluck up (one's) heart გამბედაობის მოკრება;

e.g: I plucked up what heart I could and said that we had better hasten.

He had lost heart since the failure of that nation-wide movement.

He had not the heart to refuse to come.

12. **სინდისი; ხასიათი**

[OED - Conscience; now only in one's heart smote one. etc.]

[WEB - The emotional or moral as distinguished from the intellectual nature: conscience, character, spirit.]

e.g: Has a good heart but a weak head.

Who can look into the heart of a man.

13. მიმართვისას: dear/sweet/heart ძვირფასო, ჩემო კარგო;

[OED - Substituting for the person; as a term of endearment, usu. Qualified with dear, sweet, etc; a loved one.]

e.g: Dear heart, I feel with three the drowsy spell.

14. ცენტრალური ნაწილი შუაგული;

[OED - A central part; a vital or essential part.]

in the heart of the city ქალაქის ცენტრში;

[WEB - The center of activity: a vital part on which continuing activity or existence depends;]

e.g: Rome was the heart and pulse of empire;

15. არსი;

[OED - The centre, middle or inner part of anything. Often passing into sense.]

at the heart of something რისამე საფუძვლად/საფუძველში; to get to the heart of the matter საქმის არსს ჩაწვდომა to get to the heart of the mystery საიდუმლოს გახსნა;

[WEB - An essential part: the part that determines the real nature of something or gives significance to the other parts: the determining aspect;]

e.g: those words of Jesus show us the heart of Easter's meaning;

16. შუაგული;

[OED - The part of a time or season when its character is most intense; the height, depths.]

in the heart of the summer შუა/შუაგულ ზაფხულში.

e.g: a goodly apple rotten at the heart.

A site for their information office in the heart of the town. – Grimsby Gazette.

It was the heart of the London season. – Disraeli.

[WEB - The central or decisive part of something: center: an interior central area or region;]

17. გული;

[OED - Esp. A central part of distinct conformation or character; e.g: the white tender center of a cabbage. Lettuce. Etc.]

the heart of a cabbage კომბოსტოს მურკი/ხვიტი, მუხის გული.

e.g: as a stalk of celery or a head of lettuce;

e.g: Cook the artichokes whole, to conserve the full flavor of the hearts.

18. დამოკიდებულება, განწყობა, გულწრფელობა, აზრი, შეხედულება;

[OED - Temperament, disposition, mood.]

e.g: went home with a heavy heart.

Are not inclined to regard free-trade agitation with a light heart.

e.g: at heart a sensitive man.

e.g: will do it for you with all my heart.

e.g: two aspects to the Soviet change of heart on the Austrian treaty.

19. გემოვნება;

[WEB - Taste, liking;]

e.g: likes music but has no heart for grand opera;

20. ადამიანი;

[WEB - Person;]

e.g: two young hearts had been freed from the burden of guilt.

21. ნაღველი, დარდი;

[WEB - Intense concern, solicitude, or preoccupation – used chiefly in the phrase at heart;]

e.g: people who are unaware of the issue which he has at heart;

with victory secured, there was one other thing that he had at heart.

22. მდგომარეობა;

[WEB - Condition for bearing crops: fertility – used chiefly in the phrase in good heart;]

e.g: the land has never been in better heart.

23. *pl. ბანქ. გული*; the knave of hearts გულის ვალეტი

[OED - A red conventionalized figure of heart stamped on a playing card]

არსებითი სახელის heart ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ ენაში.

დეფინიციათა ანალიზის შედეგად გამოიყო 10 სემანტიკური კომპონენტი, ამათგან პირველი სემანტიკური კომპონენტი საფუძვლად უდევს სიტყვა „გული“-ს პოლისემიური მნიშვნელობების განვითარებას.

1. Being the center of vital bodily functions -სასიცოცხლო ფუნქციების ცენტრი;
2. being the seat of life - სიცოცხლის საწყისი;
3. being the center of - რაიმეს ცენტრი;
4. being the most important part of something - რაიმეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი;
5. being the seat of intellect – ადგილი სადაც ინტელექტია;
6. resembling the heart in shape - გულის ფორმის ქონა;
7. the seat of feeling and thought - ადგილი, სადაც ფიქრები და გრძნობებია;
8. being the seat of love - სიყვარულის ადგილი;
9. the seat of perception - ადგილი, სადაც აღქმის უნარია;
10. the seat of courage and spirit - მხნეობისა და სიმამაცის საწყისი;

მიმართება არსებითი სახელის heart სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის ინგლისურ ენაში.

როგორც ქვემოთ მოცემული გამოსახულებიდან ჩანს, არსებითი სახელი „გული“-საგან მივიღეთ ასევე გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი. ყველაზე მეტი მნიშვნელობა წარმოშვა სემანტიკურმა კომპონენტმა the seat of feeling and thought, მისგან მივიღეთ ოთხი განსხვავებული მნიშვნელობა. ძირითადი სემანტიკური კომპონენტი, რომელიც საფუძვლად დაედო მოცემულ მნიშვნელობებს არის Being the center of vital bodily functions. მოცემული 23 მნიშვნელობა გადანაწილდა 10 სემანტიკურ კომპონენტზე.

მეორე მნიშვნელობა - დაავადება, განვითარდა ძირითადი მნიშვნელობიდან, გული, როგორც ორგანო, იგივე სემანტიკური კომპონენტი დაედო საფუძვლად მეოთხე (მოძვ. კუჭი, რომელიც თანამედროვე ინგლისურში აღარ გამოიყენება, იხმარებოდა მხოლოდ ფრაზაში next to the heart) და მეოცე (ადამიანი) მნიშვნელობას. მესამე მნიშვნელობა სიცოცხლე - განვითარდა სემანტიკული კომპონენტისგან being the seat of life; მე-5 (გული, გულარი) და 23-ე (ბანქ. გული, გულის ვალეტი) მნიშვნელობას საფუძვლად დაედო სემანტიკური კომპონენტი resembling the heart in shape. მე-6 (ჭკუა, გონება, ინტელექტი) - მომდინარეობს სემანტიკური კომპონენტიდან - being the seat of intellect, მეშვიდე (გაგება, აღქმა, დამახსოვრება), მეთვრამეტე (დამოკიდებულება, აზრი, შეხედულება) და მეცხრამეტე (გემოვნება) მნიშვნელობებს საფუძვლად უდევს სემანტიკური კომპონენტი the seat of perception. მერვე მნიშვნელობა (გრძნობა, სიყვარული) მეცხრე (გულკეთილობა, დიდსულოვნება, კეთილშობილება), მე-13 მნიშვნელობა - (მიმართვისას. ძვირფასო, ჩემო კარგო) განვითარებულია სემანტიკური კომპონენტისგან being the seat of love. მე-10 მნიშვნელობა (გულით ნდობა, სურვილი, განზრახვა), მეორმეტე (სინდისი, ხასიათი) ოცდამეერთე (ნაღველი, დარდი) და ოცდამეორე (მდგომარეობა) მნიშვნელობები მომდინარეობს სემანტიკური კომპონენტისაგან the seat of feeling and thought. 14 -ე (ცენტრალური ნაწილი შუაგული), 16-ე (შუაგული), და 17-ე (გული, კომბოსტოს ხვიტი) მნიშვნელობები გამომდინარეობს სემანტიკური კომპონენტისაგან being the center of. მე-15 მნიშვნელობა - არსი, განვითარდა სემანტიკური კომპონენტისგან being the most important part of something; მე-11 მნიშვნელობა (გამბედაობა, სიმამაცე, ვაჟკაცობა), სემანტიკურმა კომპონენტმა the seat of courage and spirit, მოგვცა.

გრაფიკული გამოსახულება - არსებითი სახელი *heart*, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

არსებითი სახელი „გული“-ს სემანტიკური სტრუქტურა შეგვიძლია შემდეგნაირად წამროვიდგინოთ (იხ. ფიგურა 26).



ფიგურა 26. პოლისემიური არსებითი სახელი *heart*, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ინგლისურ ენაში.

2.5.2 არსებითი სახელი „გული“ ქართულ ენაში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონებისა და ზემოთ მითითებული კორპუსების დახმარებით ქართულ ენაში გამოვყავით სიტყვა „გულის“ შემდეგი მნიშვნელობები:

1. გული;

ადამიანის, ცხოველის შინაგანი ორგანო.

2. გულის დაავადება;

გული აწუხებს

3. გულმკერდი, გულის გარშემოწერილობა;

გულში ჩაიკრა.

4. გული, გულარი;

საბნის გული

5. სული; გული;

რაიმეს მნიშვნელოვანი ნაწილი. ოჯახის გულია

6. გამბედაობა, სიმამაცე, ვაჟკაცობა;

ბრძოლის გული აქვს. გულიანია.

7. მიმართვისას: ჩემო გულო

8. ცენტრალური ნაწილი შუაგული; ცენტრი.

ქვეყნის გული.

9. მზის დასხივების ზენიტის ადგილი;

მზის გული

10. რაიმეს შუა ნაწილი.

ხელის გული, ფეხის გული.

11. შუაგული;

შუა/შუაგულ ზაფხულში.

12. რისამე შუა ნაწილი; მცენარის გული; კომბოსტოს მურკი/ხვიტი, მუხის ხის გული;

ვაშლის გული,

თხილის/კაკლის/გოგრის გული.

13. ხასიათი;

კეთილი გული აქვს. უგულოა

14. გრძნობა, სიყვარული; ვისიმე გულის მონადირეობა/დაპყრობა;

მისი გული დაიპყრო/მოინადირა.

15. ბანქ. გული; გულის ვალეტი

არსებითი სახელის „გული“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები ქართულ ენაში.

დეფინიციათა ანალიზის შედეგად გამოიყო 6 სემანტიკური კომპონენტი. ამათგან პირველი სემანტიკური კომპონენტი - სასიცოცხლო ფუნქციების ცენტრი, საფუძვლად უდევს სიტყვა „გულის“ პოლისემიური მნიშვნელობების განვითარებას.

1. სასიცოცხლო ფუნქციების ცენტრი;
2. მხნეობისა და სიმამაცის საწყისი;
3. რაიმეს ცენტრი;
4. ფიქრისა და გრძნობების ადგილი;
5. სიყვარულის ადგილი;
6. გულის ფორმის რამ;


მიმართება არსებითი სახელის „გული“ ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის ქართულ ენაში.

ძირითადი სემანტიკური კომპონენტი - სასიცოცხლო ფუნქციების ცენტრი გახდა საფუძველი 5 სემანტიკური კომპონენტის და მთელი რიგი პოლისემიური მნიშვნელობების განვითარებისა. ამავე სემანტიკური კომპონენტიდან განვითარდა მეორე (დაავადება) და მესამე (გულმკერდი) მნიშვნელობები. სემანტიკური კომპონენტი რისამე ცენტრი ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა სემანტიკურ კომპონენტებს შორის. იგი დაედო საფუძვლად მეოთხე (გული, გულარი), მერვე (ცენტრალური ნაწილი, შუაგული), მეცხრე (მზის გული), მეათე (ხელის გული, ფეხის გული), მეთერთმეტე (შუაგული) და

მეთორმეტე (მცენარის გული) მნიშვნელობების განვითარებას. მე-5 (სული, გული) და მე-13 (ხასიათი) მნიშვნელობები განვითარდა სემანტიკური კომპონენტისაგან - ფიქრისა და გრძნობების ადგილი. მეექვსე (გამბედაობა, სიმამაცე) მნიშვნელობას საფუძვლად დაედო სემანტიკური კომპონენტი მხნეობისა და სიმამაცის საწყისი. სემანტიკური კომპონენტი - სიყვარულის ადგილი გახდა საფუძველი მე-7 (მიმართვისას, ჩემო გულო) და მე-14 (გრძნობა, სიყვარული) მნიშვნელობების განვითარებისა, ხოლო სემანტიკური კომპონენტი გულის ფორმის რამ არის საფუძველი მეთხუთმეტე (ბანქ. გული) მნიშვნელობის განვითარებისა.

გრაფიკული გამოსახულება - პოლისემიური არსებითი სახელი „გული“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.

გრაფიკულად მოცემული ანალიზი შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (იხ. ფიგურა 27).




ფიგურა 27. პოლისემიური არსებითი სახელი „გული“, გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი ქართულ ენაში.

2.5.3 პოლისემიური არსებითი სახელის „გული“ შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, არსებითი სახელი „გული“ არის მაღალპოლისემიური სიტყვა ორივე ენაში. ინგლისური ენის შემთხვევაში მას განუვითარდა 23 მნიშვნელობა, ხოლო ქართულ ენაში 15 განსხვავებული მნიშვნელობა. როგორც გრაფიკული გამოსახულებებიდან ჩანს, ორივე ენაში არსებითი სახელი „გული“ არის გრძელსხვიანი მზისებრი მოდელის მაგალითი განსხვავებული სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე. ინგლისურ ენაში სემანტიკური „კომპონენტი ფიქრისა და გრძნობების ადგილი“ არის ოთხზე მეტი მნიშვნელობის განვითარების საფუძველი, ხოლო ქართულ ენაში სემანტიკურმა კომპონენტმა „რაიმეს ცენტრი“ მოგვცა ექვსი განსხვავებული მნიშვნელობა და გრძელი სხივი.

არსებითი სახლი heart ინგლისურ ენაში

არსებითი სახლი „გული“ ქართულ ენაში



ფიგურა 28. გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი heart - გული.

სემანტიკური კომპონენტების გაანალიზებისას ჩანს, რომ მნიშვნელობათა უმრავლესობა მსგავსია მოცემულ ენებში. სემანტიკური კომპონენტი „სასიცოცხლო ფუნქციების ცენტრი“ გახდა საფუძველი საერთო მნიშვნელობების განვითარებისათვის.

უშუალოდ ძირითადი სემანტიკური კომპონენტისაგან განვითარდა სამი მნიშვნელობა ინგლისურ ენაში ხოლო ორი ქართულ ენაში. ამათგან საერთოა მნიშვნელობა „დაავადება“ - He's got a heart მსგავსად ითქმის ქართულ ენაში - გულის პრობლემა აქვს, გული აწუხებს. მეორე სემანტიკური კომპონენტი „მხნეობისა და სიმამაცის საწყისი“ მსგავს მნიშვნელობებს ავითარებს ორივე ენაში როგორცაა „გამბედაობა, სიმამაცე, ვაჟკაცობა, მხნეობა“ - To pluck up one's heart - გამბედაობის მოკრება (we know a number of stout hearts who fought and died. He had not the heart to deny his wife anything. He had not the heart to refuse to come). იგივეს ვამბობთ ქართულ ენაზე მოსაუბრენიც - ბრძოლის გული აქვს. განსხვავებულია სემანტიკური კომპონენტი being the seat of life რომლის საფუძველზეც ვითარდება მნიშვნელობა „სიცოცხლე“ the king granted my heart მეფემ სიცოცხლე მაჩუქა. გულის ფორმასთან მსგავსება დაედო საფუძვლად ორივე ენაში ისეთ მნიშვნელობებს, რაც გულის ფორმის არის, მაგალითად ბანქოში გული. ასევე განსხვავებული სემანტიკური კომპონენტია the seat of perception, რომლის საფუძველზეც ინგლისურ ენაში განვითარდა მნიშვნელობები გაგება, აღქმა, დამახსოვრება, დამოკიდებულება, აზრი, გემოვნება. მაგალითად: change of heart, learnt smth by heart. He likes music but has no heart for opera. ასევე განსხვავებულია სემანტიკური კომპონენტი being the seat of intellect რომლის საფუძველზეც გვაქვს მნიშვნელობები ჭკუა, გონება, ინტელექტი - deep down in his hear he wants to go back. საერთოა სემანტიკური კომპონენტი „ფიქრისა და გრძნობების დასაბამი“, რომელიც არის საფუძველი ინგლისურ ენაში გრძელსხვიანი მზისებრი მოდელისა, მისგან განვითარდა მსგავსი მნიშვნელობები სული, გული, ხასიათი, დამატებით ინგლისურში შეიძინა მნიშვნელობა სინდისი, ნაღველი, დარდი, მდგომარეობა. He has a good heart but a weak head. He went home with a heavy heart. There was one other thing that he had at heart. The land had never been in better heart. ასევე განსხვავებულია სემანტიკური კომპონენტი being the most important part of something რომლის საფუძველზეც განვითარდა მნიშვნელობა არსი - these word show us the heart of Easter. To get to the heart of a mystery. To get to the heart of the matter საქმის არსს ჩაწვდომა. საერთო სემანტიკური კომპონენტია being the center of something რაიმეს ცენტრი რაც გვაძლევს გრძელ სხვივს ქართულ ენაში. ქართულ ენაში გულის მდებარეობა სამყაროს აღქმაში გადმოტანილ იქნა

უამრავ მნიშვნელობებში: როგორცაა: გულარი, ცენტრალური ნაწილი, მზის გული, ხელის გული, ფეხის გული, შუაგული, მცენარის გული, მსგავსი მნიშვნელობები ინგლისურშიც გვაქვს. The heart of cabbage, the heart of a city.

სემანტიკური კომპონენტები ინგლისურ
ენაში

Being the center of vital bodily functions -

სასიცოცხლო ფუნქციების ცენტრი;

being the center of - რაიმეს ცენტრი;

the seat of courage and spirit - მხნეობისა

და სიმამაცის საწყისი;

resembling the heart in shape - გულის

ფორმის ქონა;

the seat of feeling and thought - ფიქრისა

და გრძნობების ადგილი;

being the seat of love სიყვარულის

ადგილი

being the seat of intellect ინტელექტის

სათავსო

being the most important part of something

- რაიმეს ყველაზე მნიშვნელოვანი

ნაწილი;

the seat of perception - აღქმის უნარის

დასაბამი;

being the seat of life - სიცოცხლის

საწყისი;

სემანტიკური კომპონენტები ქართულ
ენაში

სასიცოცხლო ფუნქციების ცენტრი;

რაიმეს ცენტრი;

მხნეობისა და სიმამაცის საწყისი;

გულის ფორმის ქონა;


ფიქრისა და გრძნობების ადგილი;

სიყვარულის ადგილი

როგორც ანალიზიდან დავინახეთ არსებითი სახელი „გული“-ს მნიშვნელობები მსგავსია ორივე ენაში, შეინიშნება მცირედი განსხვავება განსხვავებული სემანტიკური კომპონენტების საფუძველზე.

არსებითი სახელი heart ინგლისურ ენაში

არსებითი სახელი „გული“ ინგლისურ ენაში



ფიგურა 29. არსებითი სახელი heart-ისა და „გული“-ს შედარება, მსგავსება-განსხვავებებით ინგლისურსა და ქართულ ენებში.

საინტერესოა, რომ სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელი „თავი“ და შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი სიტყვა „გული“ გრაფიკულად ძალიან ჰგავს ერთმანეთს როგორც სხივების (სემანტიკური კომპონენტების) რაოდენობით, ისე მათზე აკინძული მნიშვნელობების რაოდენობით. გარდა ამისა საინტერესოა, რომ ბევრი მნიშვნელობა მოცემული არსებითი სახელებისა თითქმის იდენტურია. მაგალითად სიტყვა გულის 20-ე მნიშვნელობა - ადამიანი, და სიტყვა „თავის“ 8-ე მნიშვნელობა - ადამიანი, ბრძენკაცი. სიტყვა „გულის“ 6-ე (ჭკუა, გონება) მნიშვნელობა და სიტყვა „თავის“

2-ე (ჭკუა, გონება, ინტელექტი) მნიშვნელობა. სიტყვა „გულის“ 15-ე მნიშვნელობა - არსი, რისამე, საუძველი, დასაბამი და სიტყვა „თავის“ 5-ე მნიშვნელობა - სიცოცხლე, ცხოვრება.

მიმდინარე ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა კვლევა მოცემულ კატეგორიაზე და როგორც ზემოთ ვიხილეთ საილუსტრაციოდ წარმოდგენილ იქნა სიტყვა „გულის“ პოლისემიურ მნიშვნელობათა ანალიზი. მოცემული არსებითი სახელი იყო ყველაზე საინტერესო მოდელი დამუშავების პროცესში, რადგან გამოვლინდა მისი უამრავი პოლისემიური მნიშვნელობა და ძალიან დიდი მსგავსება ქართულ ენაში გამოყენებულ მნიშვნელობებთან. განსხვავებით აქამდე განხილული სხვა არსებითი სახელებისაგან, სიტყვისაგან „გული“ განვითარებულია ძირითადად ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის სულიერ, ემოციურ მდგომარეობას. ქართულ ენაში მნიშვნელობათა უმრავლესობა მეტაფორული გადააზრების გზით მიიღება - გული აუჩუყდა, გული დასწყდა, გული ეტკინა, გული ვერ დაუდო, გული აუცრუვდა, გული აუფანცქალდა, გული აიყარა, გული შემოეყარა, გული გაუსკდა - როგორც ვხედავთ, ყველა ეს მნიშვნელობა ადამიანის ემოციურ სამყაროს გამოხატავს. განსხვავებით სხვა კატეგორიების აღმნიშვნელი არსებითი სახელებისგან, რომლებიც ძირითადად ფიზიკური ქმედებების, მსგავსებისა თუ ფუნქციის საფუძველზე აღნიშნავენ სხვა მნიშვნელობებს, „გული“-ს შემთხვევაში მთავარი წყარო მნიშვნელობებისა არის მისი ფუნქცია, როგორც ემოციების სათავსო. არსებითი სახელი „გული“-ს სემანტიკური კომპონენტები დახუნძლულია მნიშვნელობებით, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ გადაჯაჭვულია ერთმანეთზე სემანტიკური ძაფებით.

2.6 დასკვნა

1. კვლევის ფარგლებში განვიხილეთ პოლისემიური არსებითი სახელების სამი თემატური ჯგუფი: ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელები, სახის ნაკვთებისა და შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი არსებითი სახელები. ჩატარებული კვლევის შედეგები ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი არსებითი სახელების მაგალითზე: თავი, ხელი, თვალი, პირი და გული. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მზისებრი მოდელი მართლაც უნივერსალურია არა მარტო ინგლისურ, არამედ ქართულ ენაშიც. გამოვლინდა აღნიშნული უნივერსალური მოდელის ორი ქვეტიპი: კლასიკური მზისებრი მოდელი და გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი. მოდელს, რომელშიც პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობის ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ვითარდება ერთი, ორი ან მაქსიმუმ სამი მნიშვნელობა, ვუწოდეთ **კლასიკური მზისებრი მოდელი**. მოდელს, რომელშიც პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობის ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ვითარდება ოთხი, ხუთი და მეტი მნიშვნელობა, ვუწოდეთ **გრძელსხვიანი მზისებრი მოდელი**.
2. მზისებრი მოდელის მსგავსი მოდელი აღწერილია ლინგვისტურ ლიტერატურაში და მას რადიალური მოდელი ეწოდება. ეს მოდელი პირველად აღწერა კლაუდია ბრუგმანმა (Brugman, 1988). ანალოგიურ მოდელზე საუბრობს ი. მელჩუკი თავისი თეორიის ფარგლებში (Mel'čuk, 2013). თუმცა არც ერთ ავტორს არ წარმოუდგენია ამ მოდელის ან სხვა მოდელების ისეთი სიღრმისეული ანალიზი, როგორც ეს თ. მარგალიტაძის შრომებშია, არ უჩვენებიათ ის მეთოდოლოგია, რომლითაც შესაძლებელია მსგავსი ანალიზის ჩატარება დაინტერესებული მკვლევრების მიერ. სწორედ ამიტომ ჩვენ ძირითადად მის შრომებს დავყვრდებით და მის მიერ აღწერილი მეთოდით წარვმართეთ მუშაობა.
3. მზისებრი მოდელი ძირითადად არსებითი სახელისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილებშიც გამოვლინდეს. არსებითი სახელი არის მაიდენტიფიცირებელი სიტყვა, იგი აღნიშნავს საგანს ან მოვლენას,

რომელსაც, ჩვეულებრივ ბევრი ნიშან-თვისება აქვს. ამიტომ მისი ძირითადი მნიშვნელობა „მდიდარია“ სემანტიკური კომპონენტებით, რომლებიც ღნიშნულ საგანთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნიშან-თვისებას აღნიშნავს.

4. როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისური ენა ხასიათდება დიდი პოლისემიურობით, რაც გამოვლინდა საკვლევ სიტყვებზე მუშაობისას, თუმცა აღმოჩნდა, რომ პოლისემია საკმაოდ კარგადაა განვითარებული ქართულ ენაშიც.
5. აღსანიშნავია, რომ ინგლისური არსებითი სახელების ძირითად მნიშვნელობაში, უმეტესწილად, უფრო მეტი სემანტიკური კომპონენტი გამოიყოფა ვიდრე ქართულში. მაგალითად, არსებით სახელი „ხელი“, რომელსაც აქვს 17 პოლისემიური მნიშვნელობა ინგლისურ ენაში, ხოლო 13 ქართულ ენაში, არის 12 სემანტიკური კომპონენტის წყარო ინგლისურ ენაში და მხოლოდ 9 სემანტიკური კომპონენტისა ქართულ ენაში, რაც შედეგად იძლევა მეტ პოლისემიურ მნიშვნელობას კონკრეტული არსებითი სახელისათვის. გამონაკლისია არსებითი სახელი „პირი“ რომელიც გაცილებით უფრო მაღალპოლისემიური აღმოჩნდა ქართულ ენაში, თუმცა ნაკლები სემანტიკური კომპონენტების საფუძველზე (ინგლისურში „პირს“ აქვს 16 მნიშვნელობა და 9 სემანტიკური კომპონენტი, ხოლო ქართულში 25 მნიშვნელობა და 8 სემანტიკური კომპონენტი).
6. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა არა მარტო მზისებრი მოდელის უნივერსალურობა, არამედ გაგვეცა პასუხი რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე, რაც პოლისემიას უკავშირდება: რა არის პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა? განსაზღვრავს თუ არა მას კონტექსტი? პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა ცალკე მდგომია თუ აზრობრივად არის დაკავშირებული ძირითად ან სხვა მნიშვნელობებთან?

ამ კითხვებზე არის ცალსახა პასუხი ჩატარებული ანალიზის საფუძველზე: პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა არის სრულფასოვანი მნიშვნელობა; იგი დამოკიდებულია კონტექსტზე იმდენად, რამდენადაც კონტექსტი ახდენს მის რეალიზაციას. კონტექსტი ვერ გამოავლენს იმას, რაც თავად სიტყვაში არ არის, ანუ კონტექსტი ვერ მოახდენს არარსებული მნიშვნელობის რეალიზაციას;

პოლისემიურ მნიშვნელობას საფუძვლად უდევს სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები, ძირითადად ესაა პოტენციური სემები, რომლებიც ენებში შეიძლება მსგავსიც იყოს და განსხვავებულაც; პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები არ დგას ერთმანეთისაგან იზოლირებულად, პირიქით, ისინი მრავალი აზრობრივი კავშირებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

7. განხილული არსებითი სახელები ისეთ უნივერსალურ კატეგორიებს განეკუთვნება, როგორცაა სხეულის ნაწილები, სახის ნაკვთები, შინაგანი ორგანოები. მათი აღქმა დიდწილად მსგავსი აღმოჩნდა ინგლისურ და ქართულ ენებში, რაც მოსალოდნელიც იყო და სრულიად ბუნებრივია. მაგ. თავი, სადაც ტვინია მოთავსებული, ორივე ენაში ინვითარებს მნიშვნელობას **ჭკუა, ინტელექტი**; ორივე ენაში თავს იჩენს სემანტიკური კომპონენტები: „მართვა“ (ხელის ჩავლების ფუნქციიდან), „რისამე ზედა ნაწილი“ და სხვა. გული, ორივე ენაში ასოცირდება გრძნობებთან, ემოციებთან, სიყვარულთან, რაც მსგავს მნიშვნელობებს წარმოშობს და სხვა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სემანტიკური კომპონენტები, რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა მნიშვნელობებსაც წარმოშობენ საკვლევ ენებში, ან განსხვავებული რაოდენობის მნიშვნელობებს უდებენ სათავეს.
8. მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ორივე ენაში გამოვლინდა მეტად საინტერესო განსხვავებებიც, რაც მოცემული არსებითი სახელით გამოხატული საგნების განსხვავებული აღქმითაა განპირობებული ინგლისურ და ქართულ ენებში. მაგ., არსებითი სახელების hand და „ხელის“ შედარებისას იკვეთება, რომ სემანტიკური კომპონენტის „ხელთან ფუნქციით მსგავსება“ საფუძველზე, ქართულ ენაში განვითარდა მნიშვნელობა „სახელური“ (დოქის ხელი), ხოლო ინგლისურში, იგივე სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე შეიქმნა მნიშვნელობა „სპილოს ხორთუმი“, ხელის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო. ასევე საინტერესოა, რომ ინგლისურში ხელის ერთ-ერთ ფუნქციად აღქმულია მითითების ფუნქცია, რაც ძალიან ბუნებრივი ასოციაციაა და აისახა მნიშვნელობაში „ისარი“ (hand of a clock), თუმცა ქართულ ენაში მსგავს სემანტიკურ კომპონენტს და, შესაბამისად, მნიშვნელობას ვერ ვხედავთ.

თავისა და head-ის პოლისემიური სტრუქტურების შედარებისას საინტერესოა, რომ თუ ინგლისელი იტყვის შუბის თავი (head), ქართველისთვის იგივე საგანი არის შუბის პირი (mouth), თუ ინგლისელისათვის არის გემის თავი, ქართველისთვის გემის იგივე ნაწილი გემის ცხვირია. ინგლისელისათვის არსებობს ნემსის თვალი (eye of a needle), ქართველისთვის ის ნემსის ყუნწია; ინგლისელი იტყვის ყველის თვალი, ქართველი კი - ყველის ნასვრეტი, ფორი. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება და ეს მსგავსება-განსხვავებები დეტალურადაა განხილული ყოველ საკვლევ სიტყვასთან.

9. ასევე საინტერესოა ერთი დაკვირვება: ის, რაც ინგლისურში რეალიზებულია, როგორც პოლისემიური მნიშვნელობა, ქართულში ამ მნიშვნელობას ხშირად ნაწარმოებ სიტყვებში ვხედავთ. მაგ. Hand ინგლისურ ენაში აღნიშნავს: ხელოსანს, ხელოვანს, ქართულში კი იგივე მნიშვნელობები ნაწარმოები სიტყვებითაა რეალიზებული. ასევე მაგ. მეთაური, მოთავე, სათავე (head) და სხვა.
10. სწორედ ასეთი ანალიზი და წიაღსვლები ხდის, ჩვენი აზრით, საინტერესოს ლექსიკის შესწავლას და პოლისემიის ანალიზს.

თავი 3. პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების ზოგიერთი ასპექტი

ამ თავში წარმოვადგენ ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის გამოყენებით მხარეს, რომელიც უკავშირდება პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების საკითხებს. ამ კუთხით ჩატარებული სამუშაო რამდენიმე კომპლექსურ ეტაპს მოიცავს, რომელსაც დეტალურად განვიხილავ კვლევის პრაქტიკულ ნაწილში. თეორიული კვლევის შემდეგ შევიმუშავე პრაქტიკული გაკვეთილები, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, სატრენინგო მოდული მასწავლებლებისათვის, საკონფერენციო თემა, კითხვარი, ვიდეომასალა, განვახორციელე საკლასო ექსპერიმენტი და კვლევა, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

3.1 კვლევის პრაქტიკული ნაწილი

ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელები ინგლისურსა და ქართულ ენებში მაღალი სიხშირით გამოიყენება ექსტრალინგვისტური სამყაროს სახელდებისათვის. გარეენობრივი რეალობის აღქმისათვის ხშირად ვიყენებთ სიტყვებს, რომლებიც ადამიანის სხეულის ნაწილს შინაარსით, ცნებით თუ გამოხატულებით უკავშირდება. მაგალითისათვის, „საწოლის თავი“ გამომდინარეობს ადამიანის სხეულის ნაწილისაგან „თავი“, სწორედ ისე, როგორც ინგლისურ ენაში - a head of a bed გამომდინარეობს სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი არსებითი სახელისაგან head. ასევე „საწოლის ფეხი“ გამომდინარეობს ადამიანის ფეხთან სტრუქტურული მსგავსებისაგან როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში - a foot of a bed. “დოქის პირი” ისევ და ისევ ადამიანის სხეულის ნაწილს უკავშირდება. ჩვენ მიერ განხილული არსებითი სახელების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადამიანის სხეულის ნაწილი მისი მდებარეობით, ფუნქციითა თუ ფორმით, მრავალი პოლისემიური მნიშვნელობის საფუძველია, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში და ამ მნიშვნელობების გაანალიზება მათი განვითარების გზებზე დაკვირვებით, გვადლევს უნივერსალურ მოდელს, რომელსაც ეწოდება პოლისემიური არსებითი სახელის მზისებრი მოდელი. მიღებული შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალ კლასებში პოლისემიური არსებითი სახელების სწავლებისას არა

მხოლოდ ინგლისურ, არამედ ქართულ ენაშიც. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლე ვერ აანალიზებს პოლისემიური მნიშვნელობების კავშირს და აქედან გამომდინარე უჭირს სიტყვის მრავალი, ერთი შეხედვით დაუკავშირებელი, მნიშვნელობის დამახსოვრება. ჩვენ თუ დავანახებთ მოსწავლეს სემანტიკურ კავშირებს სიტყვის მნიშვნელობებს შორის, თუ ავუხსნით, რომ არსებობს ძირითადი და პერიფერიული მნიშვნელობები, რომ სიტყვის მნიშვნელობა კავშირების საფუძველზე ვითარდება და არა ქაოსურად, მაშინ მოსწავლე შეძლებს ენის თავისუფლად დაუფლებას, გაგება-გააზრების გზით გაცილებით უფრო ეფექტურად აითვისებს ენას, ვიდრე დაზეპირებით. ასევე ხშირია შემთხვევები ქართულ საკლასო ოთახში, როდესაც მოსწავლეს უჭირს ზღვრის გავლება პოლისემიასა და ომონიმას შორის. თუ შემოთავაზებული მეთოდით ერთხელ მაინც ავუხსნით მას პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობების განვითარების გზებს ვიზუალური სურათის სახით, იგი შეძლებს აღიქვას და გაიაზროს, თუ რა სემანტიკური კომპონენტების საფუძველზე მიიღება კონკრეტული მნიშვნელობა, რომ „მამა“ შემთხვევით კი არ იწოდება ოჯახის თავად, არამედ მის ფუნქციასა და სხეულის ნაწილ „თავის“ ფუნქციას შორის არის მსგავსება. ასეთი ახსნა-განმარტება მოსწავლეს საშუალებას მისცემს, მუდმივად ეძიოს კავშირები ნაცნობსა და უცნობ ცნებებს შორის და ადვილად დაიმახსოვროს, აღიქვას ახლად ნასწავლი თითქოსდა ახალი სიტყვა.

3.1.1 კვლევის განხორციელების ეტაპები

იმისათვის, რომ ჩვენი კვლევა ყოფილიყო დასაბუთებული, რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული, მასალებითა და რესურსებით გამყარებული და პრაქტიკული კვლევით დამტკიცებული, ასევე მოსწავლესა და მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული და არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობის მქონე, კვლევის პრაქტიკული ნაწილი წარვმართეთ სხვადასხვა მიმართულებით. პირველ ეტაპზე, თეორიული კვლევის მიმდინარეობის პარალელურად, იმ ფაქტის გადასამოწმებლად, თუ რამდენად შეძლებენ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები აღიქვან, გაიაზრონ და დაიმახსოვრონ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა, განვახორციელე რამდენიმე მიზანმიმართული აქტივობა. დავგეგმე და ჩავატარე ექსპერიმენტული, პრაქტიკული გაკვეთილები, შევიმუშავე სატრენინგო მასალა იმისათვის, რომ მიგველო უკუკავშირი ინგლისური ენის მასწავლებლებისაგან, ასევე

წარვადგინე საკვლევი საკითხი ინგლისური ენის მასწავლებლების კონფერენციაზე. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, შვიიმუშავე კითხვარი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, რათა დამედგინა მათი საჭიროებები წარსადგენ მასალასთან დაკავშირებით. კითხვარზე დაფუძნებით დავგეგმე და განვახორციელე ტრენინგი მასწავლებლებისათვის და კვლევის ბოლო ეტაპზე განვახორციელე საკლასო ექსპერიმენტი დაბალი საფეხურის მოსწავლეებთან.

კვლევის პრაქტიკული ნაწილის კომპლექსური პროცესი შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ.

ცხრილი 1. კვლევის პრაქტიკული ნაწილის განხორციელების ეტაპები.

კვლევის ეტაპები	კვლევის თემატიკა	ხანგრძლივობა	თარიღი
ეტაპი 1	თეორიული კვლევა	8 წელი	2012 - 2020
ეტაპი 2	პრაქტიკული გაკვეთილები (ექსპერიმენტი 1)	1 სემესტრი (6 გაკვეთილი)	2016 წლის გაზაფხულის სემესტრი
ეტაპი 3	ტრენინგ მოდული 1	1 დღიანი ტრენინგი	2016 წლის ოქტომბერი
ეტაპი 4	კონფერენცია	1 დღე	2017 წლის მარტი
ეტაპი 5	კითხვარი	2 თვე	2019 წლის დეკემბერი
ეტაპი 6	ტრენინგ მოდული 2	2 დღე	2020 წლის იანვარი
ეტაპი 7	ექსპერიმენტი 2	2 თვე	2020 წლის იანვარი-მარტი
ეტაპი 8	ონლაინ ავთენტისური მასალა	1 თვე	მიმდინარე

ეტაპი 1

კვლევის პირველი ეტაპი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა, იყო საკმაოდ შრომატევადი და თეორიული ინფორმაციით გაჯერებული. გამომდინარე იქედან, რომ გვსურდა, კვლევა ყოფილიყო პრაქტიკული ღირებულების მქონე, პირველივე ეტაპებიდან დავიწყე პრაქტიკულ მასალაზე მუშაობა. მოცემულ ეტაპზე თეორიული კვლევის პარალელურად, გავანალიზე საკვლევი არსებითი სახელები ინგლისურ ენაზე, რასაც დაერთო შეპირისპირებითი კვლევა ქართულ ენაში.

ეტაპი 2

თეორიული კვლევების წარმოების პროცესში მიღებული შედეგების პრაქტიკული ღირებულების შემოწმების მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა ექვსი ექსპერიმენტული გაკვეთილი საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებთან. გაკვეთილები თემატურად დაიყო: პირველი ორი გაკვეთილი დაეთმო - არსებით სახელს „თავი“, მესამე გაკვეთილზე განვიხილეთ არსებითი სახელი „ხელი“, მეოთხე გაკვეთილი დაეთმო არსებით სახელს „თვალი“, მეხუთე გაკვეთილი - არსებით სახელს „პირი“ და მეექვსე გაკვეთილი არსებით სახელს „გული“. გაკვეთილები ჩატარდა ინტერაქციული მეთოდით მეათე კლასის მოსწავლეებთან, რომლებიც ინგლისურ ენას სწავლობდნენ დაახლოებით 9 წლის განმავლობაში საჯარო სკოლაში. გაკვეთილების პროცესში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, გამოვიყენე ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, ასევე მრავალფეროვანი ვიზუალური მასალა. გაკვეთილების მსვლელობის პროცესში გამოვლინდა სირთულეები, რაც უკავშირდება მოსწავლეების მხრიდან წინარე ცოდნის არქონას პოლისემიასა და სხვა თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით, რისი გათვალისწინებაც მოხდა მომდევნო გაკვეთილებში. მოსწავლეთა შედეგებსა და უკუკავშირზე დაყრდნობით იცვლებოდა და იხვეწებოდა მომდევნო გაკვეთილის გეგმები. საკლასო ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის კავშირების გაგება-გააზრებამ და აღქმულის ვიზუალურად დანახვამ გაცილებით გაუადვილა მოსწავლეებს ახალი სიტყვების მნიშვნელობების აღქმა - დამახსოვრება (ვარდიძე, 2019).

ჩემი პირველი ექსპერიმენტის მიზანი იყო ლექსიკის სწავლება კოგნიტიურ ლინგვისტიკაში შემუშავებული პრინციპების მიხედვით. ყურადღება გამახვილდა პოლისემიასა და მის შედეგებზე ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების დროს. კვლევები კოგნიტიურ ლინგვისტიკაში აჩვენებს, რომ პოლისემიური სიტყვები აზრობრივად სხვადასხვაგვარად ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობების სტრუქტურას წარმოქმნის, რომელიც შეიძლება აღიწეროს სისტემურად. ეს მიდგომა თავისუფლად შეგვიძლია, გადმოვიტანოთ და გამოვიყენოთ უცხო ენის სწავლებისას.

მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება კოგნიტიურ მექანიზმებზე, რომლებიც ქმნიან მნიშვნელობათა კავშირებს, მნიშვნელოვანია ენის სწავლის პროცესში. იმას არ ვამტკიცებ, რომ სიტყვების ტრადიციული დაზეპირების მეთოდი უნდა დავივიწყოთ, პირიქით, გვინდა მხარი დავუჭიროთ იმ იდეას, რომ, გარდა დაზეპირებისა, სიტყვის მნიშვნელობათა კოგნიტიური სტრუქტურის აღქმა და დაუფლება დაგვეხმარება სწავლისა და სწავლების პროცესში.

ამრიგად, ვფიქრობ, რომ, თუ მოსწავლეს ეცოდინება, როგორ ქმნის კონკრეტული კონცეპტუალური მექანიზმები პოლისემიური სიტყვებისა და იდიომების მნიშვნელობების სტრუქტურებს, იგი უფრო ადვილად აღიქვამს და დაიმახსოვრებს მნიშვნელობებს. თუ გვსურს, მივალწიოთ უკეთეს შედეგებს – მოსწავლეებს უნდა განვუმართოთ სიტყვათა მნიშვნელობების წარმოშობა და დავანახოთ კავშირი პოლისემიური სიტყვის ძირითად და გადატანით მნიშვნელობებს შორის.

“Tom was fired because of his laziness” – კლასში ხმამაღლა წაკითხულმა წინადადებამ მოსწავლეთა უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია და ჩაუყარა საფუძველი ჩვენი თეორიული კვლევების პრაქტიკულ განხორციელებას.

- „ტომი დაწვეს სიზარმაცის გამო“;
- „ტომს ესროლეს სიზარმაცის გამო“ – ასე თარგმნა ეს წინადადება ერთ-ერთმა მოსწავლემ.

თარგმანმა დააბნია კლასის უმრავლესობა. მოსწავლეები მიხვდნენ, რომ რაღაც ისე არ იყო. ადამიანს არ დაწვავდნენ, არ დახვრეტდნენ სიზარმაცის გამო.

რატომ დაუშვა მოსწავლემ შეცდომა? რა იყო მისი შეცდომის საფუძველი? ყველაზე მარტივი პასუხი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან არასწორად თარგმნა სიტყვა fire. მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა მას, რომ კონტექსტში to be fired from work/position, სიტყვა fire განსხვავებული შინაარსის მატარებელია?! ფრაზა to be fired და ზმნა to fire მოსწავლისათვის მსგავსი პროცესების აღმნიშვნელია, შედეგი კი – მკვეთრად განსხვავებული. მოსწავლისეული თარგმანიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მან

საკმაოდ კარგად იცის გრამატიკა, ასევე იცის ამ წინადადებაში მოცემული სხვა სიტყვების მნიშვნელობები, თუმცა ხვდება, რომ რაღაც ისე არა არის და ეჭვი შეაქვს სიტყვა fire -ის მნიშვნელობაში. რამდენიმე ცდისა და მეგობრების დახმარების მიუხედავად მაინც ვერ ამოიცნო სიტყვის სწორი მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ დროს, რა არის მასწავლებლის როლი მოცემულ სიტუაციაში? ავუხსნათ სიტყვა fire-ის ის კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც ამ კონტექსტში გამოიკვეთა და ვთხოვით მოსწავლეებს უბრალოდ დაიმახსოვრონ თუ დავანახოთ კავშირები სიტყვა fire-სა და მის გადატანით მნიშვნელობას შორის, რათა დავეხმაროთ მოსწავლეს აღიქვას არსებული კავშირები?

როგორც ვიცით, ინგლისური ენა გამოირჩევა პოლისემიურობით, პოლისემიური სიტყვები გვხვდება ინგლისურ ენის როგორც ზეპირ, ისე – წერილობით მასალებში, რაც ართულებს კომუნიკაციას ამ ენაზე მოსაუბრესა და მსმენელს შორის. ასევე იწვევს დაბნეულობას საკლასო ოთახში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, სწორედ ისე როგორც ჩვენს მაგალითში ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელმა იცის და ხედავს კავშირებს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობებს შორის, ამჯობინებს ერთი ძირეული მნიშვნელობით შემოიფარგლოს და არ ახსნას კავშირები მნიშვნელობებს შორის, შედეგად მოსწავლისათვის მნიშვნელობები ხდება გაფანტული და არა სისტემატური. ეს ხელს უშლის მასწავლებელსა და მოსწავლეს, გაუმკლავდნენ პოლისემიურ სიტყვებს კლასში. მასწავლებლების უმრავლესობა ირჩევს არ ჩაუღრმავდეს ასეთ სიტყვებს, უბრალოდ ახსნას ის კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც იმ მომენტში გამოჩნდება. ალბათ უკეთესი იქნებოდა ავხსნათ კავშირები სიტყვის მთავარ და გადატანით მნიშვნელობებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ლექსიკის მარაგის დაგროვებას და განუვითარებს ენობრივ მოვლენებზე დაკვირვების უნარს. მიუხედავად ამისა, პოლისემიური სიტყვების სწავლება უგულებელყოფილია, ამის მიზეზები კი სხვადასხვა შეიძლება იყოს.

რიგ შემთხვევებში მასწავლებელს არ რჩება დრო საგაკვეთილო პროცესში, რომ სათანადო ყურადღება დაუთმოს რომელიმე ერთი სიტყვის მნიშვნელობათა კავშირების ახსნას, ან არ არის თავდაჯერებული პოლისემიური მნიშვნელობების სწავლებისას, სასკოლო

სახელმძღვანელოები კი მას ვერაფრით ეხმარება, რადგან არცერთ ინგლისურ სახელმძღვანელოში, რომლებიც საჯარო სკოლებში გამოიყენება, არ არის არანაირი გზამკვლევი პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობათა კავშირების სწავლებისათვის. ამ კავშირების არცოდნის გამო მოსწავლეს ექმნება წარმოდგენა, რომ პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები ქაოსურია და დაუკავშირებელი. მნიშვნელობაც ისწავლება დაუკავშირებლად, ტრადიციული „თარგმნე, დაიზეპირე“ მეთოდით და არა კოგნიტიური ლინგვისტიკის მეთოდების მოშველიებით, პოლისემიური სიტყვების სიღრმისეული ანალიზის გამოყენებით. შეიძლება ითქვას, რომ პოლისემიური სიტყვები ძირითადად ზედაპირულად ისწავლება.

კვლევა

პოლისემიური სიტყვის არასწორი გამოყენება, რაღა თქმა უნდა დამლუპველ შედეგს არ მოგვიტანს, მაგრამ შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს მსმენელსა და მოსაუბრეს შორის. მოსწავლე შეიძლება ადვილად მიხვდეს, თუ რომელი სიტყვის თარგმანია არასწორი, მაგრამ მოცემული სიტყვის სხვა მნიშვნელობების არცოდნის გამო ვერ გაარკვევს შინაარსს. ასეთ შემთხვევაში მიმართავს ლექსიკონს, რათა გაარკვიოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სიტყვას. ლექსიკონში სიტყვის ძებნა, თითქოსდა მარტივია თუმცა, რამდენად სწორ მნიშვნელობას შეარჩევს მოსწავლე დამოკიდებულია მის უნარზე გაიაზროს კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვა გამოიყენება. როცა სიტყვა head-ს აქვს 32 მნიშვნელობა, ან სიტყვა eye-ს უფრო მეტი, ძნელია შეარჩიო ის, რომელიც გჭირდება, ამიტომ მოსწავლე ხშირად თავს არიდებს ლექსიკონის გამოყენებას და მიმართავს ელექტრონულ რესურსებს, რაც კიდევ უფრო ართულებს სწორი მნიშვნელობის შერჩევის პროცესს, რადგამ ამ შემთხვევაში სწორი გრამატიკული ფორმა უნდა შეარჩიოს.

მნიშვნელობათა სიმრავლე ამტკიცებს, რომ პოლისემიურობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სიტყვის დასწავლიანობაზე (Laufer, 1997) იმ გაგებით, რომ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები უფრო რთული სასწავლია, ვიდრე – სიტყვა ერთი მნიშვნელობით. ინგლისურში პოლისემიური ან ომონიმური სიტყვები უამრავია. ქვემოთ მოცემულია პოლისემიური სიტყვის მაგალითი, რომელიც მეორე თავში დეტალურად განვიხილეთ:

1. Head - the upper part of you're the body containing brain, eyes, mouth, etc.
2. Head – the leader or a person in charge of a group.
3. Head – the upper part of something.
4. Head – the front part of something (Oxford English Dictionary on Historical Principles (OED), 1989).

სიტყვა „თავის“ მნიშვნელობათა კავშირებზე ზემოთ დეტალურად ვისაუბრეთ, თუ როგორ ვითარდება ერთი მთავარი მნიშვნელობიდან გადატანითი მნიშვნელობები. თუმცა აქაც მოკლედ მიმოვიხილავთ, რათა შევძლოთ ამ კავშირების ახსნა ჩვენი მოსწავლეებისათვის. მაგალითად: მეორე მნიშვნელობა - the head, the leader, სათავეს იღებს ლიტერატურული მნიშვნელობიდან „თავი“ – ხელმძღვანელი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სხეულის ეს ნაწილი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ის შეიცავს ტვინს და როგორც ტვინი მართავს სხეულს ისე ლიდერი მართავს ჯგუფს. მესამე მნიშვნელობა – the upper part of „ზედა ნაწილი“ მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ თავი არის სხეულის ზედა ნაწილი. ასეთი ცხადი ურთიერთკავშირი მნიშვნელობებს შორის ამსუბუქებს სწავლის პროცესს. კვლევები აჩვენებს, რომ ასეთი მნიშვნელობათა ურთიერთდაკავშირება შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეს, ისწავლოს ძირითადი მნიშვნელობა და მნიშვნელობის მეტაფორული გადატანა უფრო ადვილად დაიმახსოვროს (Evans & Tyler, 2005) რაც ჩვენი ექსპერიმენტული გაკვეთილების შედეგებით დასტურდება.

დღეს უკვე კოგნიტიურ სემანტიკაში არსებული კვლევების წყალობით, რომელიც ტარდება პოლისემიური სიტყვების სწავლებასთან დაკავშირებით, პოლისემია აღარ წარმოადგენს სირთულეს, რადგან ნათელი გახდა პოლისემიური სიტყვების ურთიერთგადაჯაჭვულობა და კავშირი. სიტყვები, რომლებიც ადრე ომონიმებად მიიჩნეოდა, ახლა პოლისემიის ჭრილში განიხილება.

იმისათვის, რომ მოსწავლეს დავეხმაროთ, გაცნობიეროს, თუ რა მექანიზმი უდევს საფუძვლად მნიშვნელობების გადატანას, მნიშვნელოვანია, მივმართოთ კოგნიტიური ლინგვისტიკის კვლევებს.

მეთოდი

მნიშვნელოვანია, სისტემატურად ვასწავლოთ მოსწავლეებს პოლისემიური სიტყვები და მივცეთ დრო, შეძლონ კავშირების გამოვლენა, შემეცნებითი უნარის გამოყენება, რათა აღიქვან მექანიზმი. გაავლონ პარალელი მშობლიურ ენასთან, რაც კიდევ უფრო გაუადვილებთ ენის ათვისებას. ჩვენი კვლევებით დასტურდება, რომ მრავალი პარალელის გავლებაა შესაძლებელი ინგლისურსა და ქართულ ენაში ერთი კონკრეტული არსებითი სახელისათვის, რამაც გაუადვილა ჩემს კვლევაში მონაწილე მოსწავლეებს სიტყვების მნიშვნელობათა დასწავლა-დამახსოვრება.

გთავაზობთ ჩვენი კვლევის ფარგლებში შემუშავებულ მეთოდს, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავანახოთ მოსწავლეს, როგორ დაისწავლოს პოლისემიური სიტყვები უფრო ადვილად და შეიმსუბუქოს ყოველდღიური ტვირთი. ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა მაღალი კლასის მოსწავლეებთან და საკმაოდ ეფექტურიც აღმოჩნდა. ამ ექსპერიმენტის წარმატებით დასრულების შემდეგ, იგივე მეთოდი მოვსინჯე დაბალი კლასის მოსწავლეებთან, სადაც კიდევ უფრო უკეთესი შედეგი მივიღე (ამაზე ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებ - იხ. ექსპერიმენტი 2).

პირველ ეტაპზე საცდელად ავიღეთ ჩვენ მიერ გამოკვლეული რამდენიმე პოლისემიური არსებითი სახელი ინგლისურ ენაში. კერძოდ, ესენია: სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (თავი, ხელი); სახის ნაკვთების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (პირი, თვალი) და შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი არსებითი სახელი (გული). სალექსიკონო დეფინიციათა ანალიზის მეთოდის, კონტექსტუალური ანალიზის მეთოდისა და კორპუსული მეთოდოლოგიის გამოყენებით გამოვლინდა, რომ მოცემული არსებითი სახელები არის უნივერსალური და გვამღევს მზისებრ მოდელს, რომელიც ნათლად უჩვენებს მოსწავლეს პოლისემიური სიტყვის მთავარ და პერიფერიულ მნიშვნელობებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა

მზისებრი მოდელის ორი ქვესახეობა: კლასიკური მზისებრი მოდელი და გრძელსხივიანი მზისებრი მოდელი. კვლევის შედეგები წარმოვადგინე სქემის სახითაც და მის საფუძველზე ჩავატარე რამდენიმე გაკვეთილი მეათე კლასის მოსწავლეებთან.

მიღებული სქემა მოსწავლეს დაეხმარება სხვადასხვა გადატანითი მნიშვნელობის კავშირი დაინახოს ძირითად მნიშვნელობასთან. მოცემული სქემის საფუძველზე მასწავლებელი შეძლებს, მოსწავლეს დაანახოს კავშირი სიტყვების მნიშვნელობებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მათ აღქმა-დამახსოვრებას.

წარმოგიდგენთ მეთოდს, თუ როგორ შეიძლება მიღებული კვლევა გამოვიყენოთ მოსწავლის სასარგებლოდ ინგლისური ენის სწავლების პროცესში სიტყვა head-ის მაგალითზე და რა შედეგი მოგვცა ამ მეთოდმა ჩვენი ექსპერიმენტის ფარგლებში. როგორც აღვნიშნეთ ჩატარდა ექვსი გაკვეთილი ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში და გამოყენებული იქნა ჩვენ მიერ შემუშავებული გაკვეთილის გეგმები (იხ. გაკვეთილის გეგმის ნიმუში - გაკვეთილის გეგმა „როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები მაღალ კლასებში“, დანართი 1).

ექსპერიმენტული ჯგუფი

ექსპერიმენტში მონაწილეობდა საჯარო სკოლის მეათე კლასის 25 მოსწავლე. გენდერული გადანაწილება იყო შემდეგი - 9 ბიჭი და 16 გოგონა, რომლებიც ინგლისურ ენას სწავლობდნენ საჯარო სკოლაში 9 წლის განმავლობაში. მათი ინგლისური ენის ცოდნის დონე განისაზღვრა დონის განმსაზღვრელი ტესტით (placement test), რომლის საფუძველზეც აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დონე ინგლისურ ენაში იყო - საშუალო (pre-intermediate).

საკლასო ექსპერიმენტი

პირველი ორი გაკვეთილი დაეთმო სიტყვას „თავი“. გაკვეთილის თემა - “ლექსიკის სწავლება მაღალ კლასებში – პოლისემიური მიდგომა”, შემუშავდა 9-12-ე კლასებისათვის. გაკვეთილის ხანგრძლივობა - 45 წუთი. ჩვენი გაკვეთილის მიზანი იყო შემდეგი:

- მოსწავლეები შეძლებენ პოლისემიური სიტყვების ძირითად და გადატანით მნიშვნელობებს შორის არსებული კავშირის გაანალიზებას ჯგუფური სამუშაოების საფუძველზე;
- შეძლებენ განასხვავონ პოლისემიური სიტყვების ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები.
- გამოიყენონ სიტყვა head-ის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები საკუთარ წინადადებებში.

გაკვეთილის საწყის ეტაპზე მოსწავლეებს მიეცათ 2 წუთი ინდივიდუალური სამუშაოსათვის, რომ დაეწერათ ორი წინადადება არსებითი სახელი head-ის გამოყენებით. მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლემ დაასრულა მუშაობა, თავიანთი წინადადებები გაუზიარეს მეწყვილეს. რამდენიმე მოსწავლემ მოხალისეობის პრინციპით წარმოადგინა წინადადება. უნდა აღინიშნოს, რომ 25 მოსწავლის პასუხებიდან 95% წინადადებებში სიტყვა head გამოყენებული იყო ძირითადი მნიშვნელობით. წარმოგიდგინთ რამდენიმე მაგალითს:

- His head is bigger than hers;
- Head teacher is late;
- He put his head on the table;
- He has a big head like a globe.
- She put her head on his shoulder.
- She was wet from head to foot.

რამდენიმე წინადადების მოსმენის შემდეგ გონებრივი იერიშის მეთოდით მასწავლებელმა დაფაზე სიტყვა head-ის გარშემო დაწერა ყველა ის მნიშვნელობა, რაც მოსწავლეებმა უკარნახეს მათი წინადადებების საფუძველზე. მას შემდეგ რაც აღმოჩნდა რომ კლასის უმრავლესობის პასუხი იყო სიტყვა „თავი“-ს მთავარი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსწავლეებს მცირე ჯგუფებში დაურიგდათ ლექსიკონიდან გადაღებული ასლი სიტყვა head-ის მნიშვნელობებით და დაევალებათ ამოეწერათ ყველა ის განსხვავებული მნიშვნელობა, რაც გააჩნია სიტყვას head; ჯგუფის წევრებმა წარადგინეს მათ მიერ

ამოწერილი მნიშვნელობებზე (თითო ჯგუფისათვის – 5-7 მნიშვნელობა). მასწავლებელმა პარალელურად ახალი მნიშვნელობებზე დაამატა დაფაზე მოცემული გონებრივი იერიშის მაგალითებს.

ამის შემდგომ მოსწავლეებს დაევალებათ ამოცნობა დაფაზე მოცემული მნიშვნელობებიდან სხვადასხვა მეტყველების ნაწილი და დაფაზევე მიაწერა მასწავლებელმა თითოეულ მნიშვნელობას თუ რომელი მეტყველების ნაწილი იყო. აღმოჩნდა, რომ მნიშვნელობათა უმრავლესობა იყო არსებითი სახელი, რამაც მოსწავლეთა გაოცება გამოიწვია.

გაკვეთილის მომდევნო ეტაპზე მასწავლებელმა მინი ლექციის მეთოდის გამოყენებით წარუდგინა მოსწავლეებს სიტყვა head-ის მნიშვნელობათა სქემა და აუხსნა, თუ როგორ უკავშირდება სიტყვის ძირითად მნიშვნელობებს გადატანითი მნიშვნელობები, ასევე გააცნო პოლისემიის რაობა.

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებს დაურიგდათ დავალება, ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენებით მათ უნდა ამოეცნობთ წინადადებებში სიტყვა head-ის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები.

გაკვეთილის ბოლო ეტაპზე, მასალის გაგება-გააზრების გადამოწმების მიზნით მოწავლეებს დაევალებათ იმავე ჯგუფებში წინადადებების შედგენა (3 წინადადება სიტყვა head-ის ძირითად მნიშვნელობაზე და 3 გადატანით მნიშვნელობაზე).

საგაკვეთილო მიზნების მიღწევის გადამოწმებისა და მოსწავლეთა სწავლის შეფასების მიზნით გამოვიყენე მოკლე თვითშეფასების კითხვარი, რომლის საშუალებით მოსწავლე აფასებს საკუთარ ცოდნას.

ცხრილი 2. თვით-შეფასების ფორმა.

გაკვეთილზე განხილული საკითხები		დიახ	არა	არვიცი
1	ვიცი რა არის პოლისემია.			

2	სიტყვა head-ს აქვს მთავარი და გადატანითი მნიშვნელობა (თუ შენი პასუხია „დიახ“ დაწერე ერთი მაგალითი გადატანითი მნიშვნელობის).			
3	გადატანითი მნიშვნელობა უკავშირდება მთავარ მნიშვნელობას.			
4	შემიძლია მივხვდე, რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვა head ჩემთვის უცნობ წინადადებებში.			
5	ეს მეთოდი ჩემთვის გასაგებია.			
6	ამ მეთოდით უფრო მარტივად დავიმსახვრებ სიტყვის მნიშვნელობებს.			
7	ვიცი, რატომ ეწოდება სკოლის დირექტორს (head (head of the school)).			

რეფლექსია გაკვეთილზე - როგორც მოსალოდნელი იყო გაკვეთილი წარიმართა აქტიურად. მოსწავლეები მაქსიმალურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველი, წარმოდგენილი მასალა არ იყო მათი საკლასო სახელმძღვანელოდან და ამან გააღვივა მათში ინტერესი. მეორე, ვიზუალური მასალა იყო ეფექტური, რაც მათებდა მოსწავლეს მოტივაციას. მესამე, გაკვეთილზე გამოყენებულ საკლასო მეთოდები მორგებული იყო მოსწავლეთა სწავლის სხვადასხვა სტილზე. მეოთხე, გათვალისწინებული იყო მათი წინარე ცოდნა განსახილვენ არსებით სახელებთან დაკავშირებით.

გაკვეთილის მსვლელობისას გამოიკვეთა სირთულეები, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა არ იციან როგორ შეარჩიონ მნიშვნელობა ლექსიკონიდან. ასევე მეტყველების ნაწილების გარჩევამ გამოიწვია გარკვეული დაბნეულობა. როგორც მოსალოდნელი იყო მოსწავლეებმა არ იცოდნენ რა არის პოლისემია და ასევე სქემა აღმოჩნდა შედარებით რთულად აღსაქმელი ვიდრე ველოდი, რაც გათვალისწინებული იქნა მომდევნო გაკვეთილებზე (ყველა სემანტიკური კომპონენტის გაცნობის ნაცვლად შეირჩა ის

სემანტიკური კომპონენტები, რომლებიც არის ისეთი მნიშვნელობების განვითარების საფუძველი, რომლებიც ხშირად გვხვდება სწავლის მოცემულ საფეხურზე).

გაკვეთილის შედეგმა, გამოყენებული თვით-შეფასების კითხვარის საშუალებით გამოავლინა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ გაიგო თუ რა არის პოლისემია (თუმცა საჭიროებდა გადამოწმებას, რადგან შესაძლოა პასუხი გაუცნობიერებლად იყო მონიშნული, რაც გადამოწმდა მომდევნო გაკვეთილზე), ხოლო რაც შეეხება პოლისემიური სიტყვების კავშირების გაგება-გააზრებას 93%-მა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია, როგორ ვითარდება მთავარი მნიშვნელობიდან გადატანითი მნიშვნელობა.

ჩვენი მომდევნო გაკვეთილის მიზანი იყო გადაგვემოწმებინა მოსწავლეთა ცოდნა პრაქტიკული სამუშაოების საფუძველზე. გაკვეთილი გაჯერებული იყო სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობით, რის საფუძველზეც მოხდა განვლილი მასალის გაგება-გააზრების გადამოწმება და ცოდნის გააქტიურება (დეტალური გეგმა იხ. გაკვეთილის გეგმა „როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები მაღალ კლასებში“, დანართი 1.2.). გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს დაევალებათ საკუთარი ავთენტური დიალოგების შემუშავება, რასაც ძალიან კარგად გაართვეს თავი. წარმოგიდგინოთ რამდენიმე მოსწავლის მიერ შედგენილი დიალოგის მაგალითებს:

მაგალითი 1

- Hello sir, I would like to buy two heads of cabbage. How much are they?
- Good day sir. One head of cabbage is 2 dollars, two heads of cabbage would be 4 dollars in total.
- That's a lot sir. Can you give me 2 head for 3 dollars?
- Ok. Here you are.
- Thanks a lot.

მაგალითი 2

- Oh, yes, today our head teacher is late, we can have fun.
- Really, that's great!
- Oh. No!
- What's wrong?
- Look! The head of school is coming. Maybe she will conduct the class instead of our head teacher.
- Too bad!

მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილმა დიალოგებმა ცხადყო, რომ გამოიყო რამდენიმე მნიშვნელობა სიტყვისა head, რომლებიც ადვილად აღსაქმელი იყო მათთვის. რითაც ასევე დადასტურდა, რომ მნიშვნელობათა შორის იკვეთება ხშირად გამოყენებადი მნიშვნელობები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებათ. ასევე დადასტურდა ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა, რომ გაცილებით უფრო მარტივად დაამახსოვრდებოდათ მოსწავლეებს ახალი მნიშვნელობები სიტყვისა head, თუ ავუხსნიდით როგორ ვითარდება ესა თუ ის მნიშვნელობა ძირითადი მნიშვნელობიდან.

მომდევნო გაკვეთილისათვის მოსწავლეებს დაევალათ ლექსიკონიდან სიტყვა hand-ის მნიშვნელობების ამოწერა.

მომდევნო, მესამე გაკვეთილზე განვიხილეთ სიტყვა „ხელი“, შემდეგ მოჰყვა „თვალი“ „პირი“ და „გული“.

დასკვნა

ზემოთ აღწერილი მეთოდით ჩატარებულმა გაკვეთილებმა ცხადყო, რომ აღნიშნული მეთოდით მოსწავლეები გაცილებით უფრო ადვილად სწავლობენ და იმახსოვრებენ სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებს, ვიდრე ტრადიციული დაზეპირების მეთოდით. ანალოგიურად შეიძლება ჩატარდეს გაკვეთილები სხვადასხვა პოლისემიურ არსებით სახელზე, ამისათვის საჭიროა, მცირე დრო დავუთმოთ იმ სიტყვის დამუშავებას, რომელიც გვსურს, რომ მოსწავლეს ვასწავლოთ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ყველა არსებითი სახელი ასეთი მეთოდით უნდა ვასწავლოთ, რაღა თქმა უნდა წარმოდგენელი იქნება თითოეული არსებითი სახელის გაანალიზება, თუმცა მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ისეთ პოლისემიურ არსებით სახელებზე, რომლებიც საკმაოდ დიდი სიხშირით გამოიყენება სასკოლო სახელმძღვანელოებში. აღნიშნული მეთოდი უფრო სახალისო და საინტერესოა მოსწავლეებისათვის, რადგან განსხვავდება მათი ყოველდღიური გაკვეთილებისაგან, თითქმის ყველა მოსწავლე აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში, არ უწევთ/ევალებათ სიტყვის დაზეპირება, არამედ პრაქტიკული აქტივობების საშუალებით სწავლობენ სიტყვის მნიშვნელობებს. ეს მეთოდი განსხვავებულია მათ სახელმძღვანელოში მოცემული მასალისაგან და, რაც

მთავარია, მნიშვნელოვანია ინგლისური ენის სწავლის პროცესში, რადგან, როგორც ვიცით, ინგლისური ენა გამოირჩევა პოლისემიური სიტყვების რაოდენობით და აღნიშნული არსებითი სახელები მაღალი სიხშირით გამოიყენება როგორც სასაუბრო, ისე – წერით ენაში. ასეთი მიდგომა გააადვილებს კომუნიკაციას მოსწავლესა და მშობლიურ ინგლისურ ენაზე მოსაუბრეს შორის.

ამრიგად, შემოთავაზებულია ახალი მიდგომა პოლისემიური სიტყვების სწავლებისადმი თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ ინგლისური ენის მასწავლებელს შეუძლია.

ეტაპი 3

საგაკვეთილო ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ შემუშავდა მასალა ტრენინგისათვის, რომელიც ჩავატარე ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის. ტრენინგის თემა იყო „როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები მაღალ კლასებში“, სადაც გამოყენებული იქნა ერთ-ერთი გაკვეთილის გეგმა. საკითხმა გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებში, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლების უმრავლესობისათვის პოლისემიის სწავლება იყო სიახლე, მათვე აღნიშნეს, რომ საჭირო იქნებოდა დამატებითი რესურსი მასწავლებლებისათვის, თუნდაც გაკვეთილის დეტალური გეგმები იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს, გაუმკლავდეს პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობებს. ტრენინგს ესწრებოდა 18 ინგლისური ენის მასწავლებელი სხვადასხვა საჯარო სკოლიდან. უკუკავშირის გაანალიზებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს თავად უჭირთ პოლისემიის გამიჯვნა სხვა ლინგვისტური მოვლენებისაგან და ეს შეიძლება იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი მსგავსი გაკვეთილების ჩატარებისათვის, სწორედ ამიტომ შეიცვალა და დაიხვეწა შემუშავებული გაკვეთილის გეგმები, რათა გაუმარტივდეს ინგლისური ენის მასწავლებელს მოცემული გაკვეთილის გეგმის მიხედვით პოლისემიური სიტყვების სწავლება. ასევე იგეგმება ჩვენი კვლევის ფარგლებში სულ მცირე 10 გაკვეთილის გეგმისა და გზამკვლევის მომზადება მასწავლებლებისათვის, თუ როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები მაღალ და დაბალ კლასებში.

ეტაპი 4

მომდევნო ეტაპზე, საკვლევი საკითხი გავიტანეთ ინგლისური ენის მასწავლებლების საერთაშორისო კონფერენციაზე თბილისში, 2017 წელს. კონფერენციას ესწრებოდა 25 მომხსენებელი და 200-ზე მეტი მონაწილე - ინგლისური ენის პედაგოგები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ასევე ინგლისური ენის სწავლების ექსპერტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მომხსენებლებს, ისე მონაწილეებს შორის. ბევრმა მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი გამოეყენებინათ ჩვენ მიერ შემუშავებული მასალა საგაკვეთილო პროცესში, მასწავლებლების უმრავლესობამ მოითხოვა ელექტრონული რესურსები. მოხდა მასალების გაზიარება, მიღებულმა უკუკავშირმა მეტი მოტივაცია მომცა მომდევნო ეტაპების განხორციელებისათვის.

წარმოგიდგინთ მიღებული უკუკავშირიდან ამოღებულ რამდენიმე ციტატას.

- ენის სწავლების კომპლექსური მიდგომა ნამდვილად მნიშვნელოვანია ენის ათვისების პროცესის გამარტივებისათვის. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ მეთოდს უნდა მივმართოთ თითოეულმა ჩვენგანმა. რამდენად შევძლებთ ეს სხვა საკითხია.
- არასოდეს მიფიქრია, რომ ამგვარი მეთოდით შეიძლება ვასწავლოთ სიტყვები, უფრო მეტიც არასოდეს მიფიქრია რომ მნიშვნელობებს შორის ასეთი კავშირები არსებობს. სიხარულით დაველოდები თქვენს მომდევნო მასალებს.
- მეთოდი თავად ძალიან საინტერესოა და რაც მთავარია სიახლეა ჩვენს სფეროში. თუმცა საეჭვოა რამდენად შეძლებს ნებისმიერი მასწავლებელი აუხსნას ასეთი კავშირები მოსწავლეებს სიღრმისეული ცოდნის გარეშე. ალბათ მეტი ახსნა-განმარტება იქნება საჭირო პირველ რიგში თავად მასწავლებლებისათვის.
- დიდი სურვილი მაქვს მოვსინჯო თქვენი მეთოდი ჩემს მოსწავლეებთან, ძალიან გამეხარდება თუ დეტალურ, მზა გაკვეთილის გეგმებს მოგვაწვდით.
- საკითხი ნამდვილად საინტერესოა, ნამდვილად არ ვიცოდი თუ ერთ სიტყვას ამდენი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და თანაც ერთმანეთთან დაკავშირებული. სიამოვნებით ჩავატარებდი ჩემს მოსწავლეებთან თქვენს გაკვეთილს, თუმცა არ ვიცი რამდენად გაამართლებს. ცოტა რთული ხომ არ არის ამ კავშირების ახსნა?

- არამგონია მოსწავლეებმა იცოდნენ რა არის პოლისემია. მეც გამიჭირდა პოლისემიური სიტყვების მაგალითების მოფიქრება. მივესალმები ამ სიახლეს, თუმცა მგონია რომ დიდ დროს წაიღებს გაკვეთილზე ამ მეთოდით სიტყვების სწავლება, თანაც ყველა სიტყვა ასე ხომ ვერ აწარმოებს მნიშვნელობებს?
- ვფიქრობ, რომ მეთოდი ცალსახად საინტერესოა, თუმცა ამავდროულად საკმაოდ რთული. გასაგებია რომ მაღალ კლასებზე საუბრობთ. დაბალ კლასებში და იმ მოსწავლეებთან, რომლებმაც კარგად არ იციან ენა ამაზე საუბარს აზრი არ ექნება.

უკუკავშირის გაანალიზებამ გამოავლინა, რომ მეთოდი თავად საინტერესო სიახლეა ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის, თუმცა ასევე გამოვლინდა სიფრთხილე მასწავლებლების მხრიდან მოცემული მეთოდით ლექსიკის სწავლებისადმი. რამაც საფუძველი ჩაუყარა ჩემს მომდევნო აქტივობებს კვლევის ფარგლებში. სწორედ ამ უკუკავშირიდან გამომდინარე გადავწყვიტე გამერკვია რამდენად არიან მზად თავად მასწავლებლები ასეთი სიახლისათვის, რა მეთოდებს მიმართავენ ლექსიკის სწავლებისას და როგორ აფასებენ მოსწავლეები საკუთარ ცოდნას, სწავლების მეთოდებით მიღწეულ შედეგებს ახალი სიტყვების ათვისებისას.

ეტაპი 5

ზემოთ ხსენებული უკუკავშირის საფუძველზე, შევიმუშავე კითხვარი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, რათა გამოგვევლინა ლექსიკის სწავლების არსებული მეთოდები, თუ როგორ ისწავლება ახალი სიტყვები სკოლებში, მათი ეფექტიანობა - რამდენად მაღალია სიტყვების დამახსოვრების მაჩვენებელი მოსწავლეებში, რა არის პოლისემია და რა მეთოდებს მიმართავენ მასწავლებლები პოლისემიის სწავლებისას, როგორ აფასებენ მოსწავლეები საკუთარ უნარს ახალი სიტყვების ათვისებისას, რა პრობლემებს აწყდებიან დამახსოვრების პროცესში და ა.შ. (იხ კითხვარი დანართი 2.1 - მასწავლებლებისათვის, დანართი 2.2 - მოსწავლეებისათვის) კითხვარმა გამოავლინა, რომ არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მასწავლებლებსაც უჭირთ მკვეთრად განსაზღვრონ, თუ რა არის პოლისემია, ასევე გამოვლინდა, რომ სიტყვების მნიშვნელობების დასწავლისათვის გამოიყენება ტრადიციული დაზეპირების მეთოდი, რაც მოსწავლეების და ასევე მასწავლებლების აზრით, ნაკლებად ეფექტურია.

კითხვარის გაანალიზების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საშუალოდ კითხვარში მონაწილე მასწავლებლების (გამოკითხა 20 ინგლისური ენის მასწავლებელი სამცხე-ჯავახეთში) უმრავლესობა (18) ინგლისურს ენას ასწავლის დაახლოებით 10 წელია. ამ პერიოდის განმავლობაში ისინი მუდმივად მიმართავენ სიტყვების ტრადიციულ დასწავლა-დაზეპირების მეთოდს, მასწავლებელი დაფაზე წერს უცხო სიტყვებს, მოსწავლეები ლექსიკონებში იწერენ ამ სიტყვებს, სწავლობენ სახლში და შემდეგ ხდება მათი გამოკითხვა ლექსიკონიდან. ზოგი მასწავლებელი ამ მეთოდს ყოველდღიურად მიმართავს, ზოგი კი შედარებით იშვიათად. საშუალოდ კვირაში ასწავლიან 35-ზე მეტ ახალ სიტყვას. მინიმუმ სიტყვების სწავლებას უთმობენ 20 წუთს. მათი თქმით მოსწავლეებს არ უჭირთ და არც უადვილდებათ სიტყვების დასწავლა. კითხვაზე ეთანხმებით თუ არა რომ თქვენს მოსწავლეებს ადვილად ავიწყდებათ ნასწავლი სიტყვები 17 პასუხობს „დიახ“. კითხვაზე თუ რამდენად ხშირად ხვდებათ ისეთი სიტყვები, რომლებსაც იგივე ფორმა, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს აღნიშნავენ, რომ საკმაოდ ხშირია ასეთი შემთხვევები. პოლისემიის განმარტება გაუჭირდა 16 მასწავლებელს. კითხვაზე თუ როგორ ასწავლიან პოლისემიურ სიტყვებს მასწავლებლები გვპასუხობენ, რომ მიმართავენ იგივე დაზეპირების მეთოდს, როგორც სხვა ნებისმიერი სიტყვისათვის. კითხვაზე არის თუ არა პოლისემიური მნიშვნელობები ერთმანეთთან დაკავშირებული, გამოკითხული მასწავლებლების უმრავლესობა (17) გვპასუხობს რომ არა. კითხვაზე არის თუ არა რაიმე მსგავსება სიტყვა hand-ის მნიშვნელობებს შორის ამ ორ წინადადებაში the hand of a person და the hand of a clock - მასწავლებლები (20) გვპასუხობენ რომ ეს ორი მნიშვნელობა აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობებია.

შედეგად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გამოკითხულ მასწავლებლებს შორის გამოიკვეთა შემდეგი: მნიშვნელოვანია პირველ რიგში გავაცნოთ ინგლისური ენის მასწავლებლებს პოლისემიის რაობა და შევთავაზოთ დეტალური გეგმა გზამკვლევით, თუ როგორ ვითარდება პოლისემიური მნიშვნელობები არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობისაგან და ასევე როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები არა თარგმანზე დაფუძნებული, არამედ გაგება-გააზრებაზე დაფუძნებული მეთოდით.

რაც შეეხება მოსწავლეებს, კითხვარში მონაწილეობა მიიღო 100 დაბალი საფეხურის (6-8 კლასი) მოსწავლემ და 100 მაღალი საფეხურის (9-12) მოსწავლემ. იმისათვის, რომ კითხვარი გასაგები ყოფილიყო ყველა მოსწავლისათვის, კითხვარს თან დაერთო ქართულენოვანი თარგმანი. კითხვარის ანალიზმა გამოავლინა, რომ მაღალი კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებელთა პასუხი, თუ რამდენ ახალ სიტყვას სწავლობენ საშუალოდ კვირაში, ემთხვევა. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ საშუალოდ ისინი სწავლობენ 35 სიტყვაზე მეტს, ხოლო თუ რამდენი წუთი ეთმობა გაკვეთილზე სიტყვების სწავლას, მათი პასუხია 5 წუთზე ნაკლები, მაშინ როცა მასწავლებლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დიდ დროს უთმობენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვების სწავლებას. ამ პროცესს მოსწავლეები აღიქვამენ, როგორც სიტყვების გადაწერას დაფიდან და არა როგორც დასწავლის პროცესს. ძირითადად, მოსწავლეების თქმით, ახალ სიტყვებს ისინი სახლში სწავლობენ. უმრავლესობამ (76%) ასევე აღნიშნა, რომ სიტყვების სწავლა რთული პროცესია. შეკითხვაზე „ადვილად გავიწყდებათ თუ არა ნასწავლი სიტყვები“ უმრავლესობის პასუხია „კი“ (72%). ძირითადი მეთოდი სიტყვების სწავლისა მოსწავლეებისათვის შემოიფარგლება დაზეპირებით. შეკითხვაზე თუ რამდენად ხშირად ხვდებიან მოსწავლეები ისეთ სიტყვებს, რომლებიც იგივენაირად იწერება და სხვა მნიშვნელობა აქვთ, უმრავლესობა პასუხობს რომ საკმაოდ ხშირია ასეთი შემთხვევა. კითხვარმა ასევე გამოავლინა, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსწავლეებმა არ იციან რა არის პოლისემია და ასევე დაუკავშირებელ მნიშვნელობად აღიქვამენ კითხვარში მაგალითის სახით წარმოდგენილ სიტყვა hand-ის ორ მნიშვნელობას „ხელსა“ და „საათის ისარს“.

რაც შეეხება დაბალი საფეხური მოსწავლეებს, არც აქ გამოიკვეთა მკვეთრი განსხვავება ლექსიკის სწავლების მეთოდსა და დასწავლის მეთოდს შორის მაღალ კლასელებთან გამოყენებულ მეთოდებთან შედარებით. დაბალი საფეხურის მოსწავლეებიც აღნიშნავენ რომ უამრავ სიტყვას სწავლობენ კვირის განმავლობაში (21-30-მდე), რომ გაკვეთილზე საკმაოდ დიდი დრო ეთმობა ახალი სიტყვების სწავლას (10-20 წუთი), ძირითადად დაბალი საფეხურის მოსწავლეებიც სახლში სწავლობენ ახალ სიტყვებს, ასევე მათი თქმით ახალი სიტყვების დასწავლის პროცესი საკმაოდ რთულია (69%), მსგავსად

აღიარებენ რომ მალევე ავიწყდებათ ნასწავლი სიტყვები, გამოყენებულ მეთოდებში გამოყოფენ დაზეპირებას (80 მოსწავლე), საკლასო აქტივობებს (36), და ასოციაციებს სხვა სიტყვებთან (24). კითხვაზე თუ რამდენად ხვდებათ სასწავლო პროცესში სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობით აღნიშნავენ, რომ „ზოგჯერ“ არის ასეთი შემთხვევები. გასაკვირი არ არის რომ გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობამ (89) არ იცის რა არის პოლისემია და ვერ აკავშირებს ერთმანეთთან საათის ისარსა და ხელს.

კითხვარმა გამოავლინა, რომ საჭიროა დამატებითი რესურსების შეთავაზება მასწავლებლებისათვის, თუ რა მეთოდებს შეიძლება მივმართოთ ლექსიკის სწავლებისას, ასევე მნიშვნელოვანია გზამკვლევის შემუშავება პოლისემიასა და პოლისემიური მნიშვნელობების განვითარების გზების სწავლებისათვის. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ ორ-დღიანი ტრენინგ-კურსის შეთავაზება კითხვარში მონაწილე მასწავლებლებისათვის, სადაც ყურადღებას გავამახვილებდით პოლისემიასა და მისი სწავლების ასპექტებზე.

ეტაპი 6

კითხვარის გაანალიზების შემდგომ დაიგეგმა ორდღიანი ტრენინგი კითხვარში მონაწილე მასწავლებლებისათვის, რომლებიც გაეცნენ პოლისემიური სიტყვების სწავლების ახალ მეთოდს დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის. ტრენინგის ერთი დღე დაეთმო პოლისემიას და სიტყვის მნიშვნელობათა განვითარების გზებს, ხოლო მეორე დღე მთლიანად დაიგეგმა და ჩატარდა გაკვეთილი გეგმის მიხედვით. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო მოგვესინჯა, რამდენად ეფექტური იქნებოდა მაღალ კლასებში ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდით სწავლება დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის. უშუალოდ გაკვეთილის გეგმის (იხ. დანართი 1.4) გამოყენებით ჩატარებული ტრენინგი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა მასწავლებლებისათვის. მიღებული უკუკავშირი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩემი კვლევისათვის. უკუკავშირის გათვალისწინების საფუძველზე გაკვეთილის გეგმას დავურთეთ დამატებითი ვიზუალური მასალა. მონაწილე მასწავლებლებიდან შეირჩა ორი მასწავლებელი მოხალისეობის საფუძველზე, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი საკლასო ექსპერიმენტში მონაწილეობაზე. შემდეგი საკლასო ექსპერიმენტი ჩატარდა მე-6 კლასის მოსწავლეებთან.

ეტაპი 7 - საკლასო ექსპერიმენტი

შესავალი

წინამდებარე ეტაპებიდან გამომდინარე, მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა პოლისემიური სიტყვების სწავლების ინოვაციური მეთოდი, რომელსაც ვუწოდებ მსგავსებაზე დაფუძნებულ მეთოდს (Similarity-Based Method - SBA). ექსპერიმენტი (Vardidze, 2020) მიზნად ისახავდა დაგვედგინა აღნიშნული მეთოდის ეფექტიანობა ძველ ტრადიციულ, სკოლაში დამკვიდრებულ დასწავლა-დაზეპირების მეთოდთან (Translation-Based Method - TBA) შედარებით, რომელსაც ასე ხშირად მივმართავთ მასწავლებლები და გვეჩვენებინა, თუ როგორ უწყობს ხელს პოლისემიური კავშირების აღქმა-გააზრება სიტყვის მნიშვნელობების დამახსოვრებას. ექსპერიმენტი ჩატარდა საჯარო სკოლის მე-6 კლასის ორ სხვადასხვა ჯგუფთან, რომელშიც გამოვიყენეთ წინარე-(პრე)ტესტი, გაკვეთილი და შემდგომი (პოსტ)ტესტი. მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდით სწავლებამ გამოავლინა, რომ მოსწავლეებს გაცილებით უფრო უადვილდებოდა სიტყვების მნიშვნელობათა დამახსოვრება აღნიშნული მეთოდით ტრადიციულ დაზეპირების მეთოდთან შედარებით.

დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის ლექსიკის სწავლების პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა სწორი მეთოდის შერჩევა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს გადაიტანონ დასწავლილი ლექსიკა გრძელვადიან მეხსიერებაში. პედაგოგები ხშირად ჩივიან, რომ მოსწავლეებს არ ახსოვთ ნასწავლი სიტყვები. როგორც კვლევებით დასტურდება, მცირეწლოვან ბავშვებს უკეთესი მეხსიერება აქვთ ენის ათვისებისათვის. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები ამას ხშირად ვერ ახერხებენ როდესაც საქმე ეხება პოლისემიურ სიტყვას. ქართულ საჯარო სკოლაში მეორე ენის სწავლებისას, მასწავლებლები უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ გრამატიკისა და კითხვის სწავლებას, ვიდრე ლექსიკის განვითარებას. პირადი დაკვირვების საფუძველზე, ინგლისურის, როგორც მეორე უცხო ენის მასწავლებლები, ტრადიციულ „წაკითხვა და თარგმნის“ მეთოდს მიმართავენ, როგორც საკლასო სწავლების კარგ სტრატეგიას (როგორც ამ კვლევაში ჩანს).

ლექსიკის სწავლების მეთოდები განსხვავდება მასწავლებლებს შორის. დაბალი საფეხურის მოსწავლეებთან ახალი ლექსიკის სწავლების ხშირად არჩეული მეთოდი შემოიფარგლება მასწავლებლის შემდეგ სიტყვების გამეორებით, მათი მართლწერით და საბოლოოდ დაზეპირებით. იმის გამო, რომ ასეთი მეთოდით არ ხდება სათანადო განმარტების თუ კონტექსტის გააზრება, ალბათობა იმისა, რომ მოსწავლეს დაავიწყდეს ნასწავლი სიტყვა, არის ძალიან მაღალი. როდესაც მოსწავლე მარტივად იზეპირებს სიტყვას მისი გააზრების გარეშე, დიდი ალბათობაა, რომ ვერ გაიხსენოს ეს სიტყვა რეალური არასაკლასო კომუნიკაციის დროს.

გარდა ამისა, თუ ერთი და იმავე ასაკის ორ მოსწავლეს შევადარებთ ერთმანეთს, სავარაუდოდ, აღმოვაჩენთ დამახსოვრების შესაძლებლობებს შორის დიდ განსხვავებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამოკითხვისას ხსენებულ მიზეზებს შორის, თუ რატომ არ ეთმობა სათანადო ყურადღება პოლისემიური სიტყვების სწავლებას, დასახელდა კომპეტენციის ნაკლებობა პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობებს შორის კავშირის დემონსტრირებაში. ჩანს, რომ, ხშირ შემთხვევებში, მასწავლებლებს თავად უჭირთ გაავლონ ზღვარი პოლისემიასა და სხვა ლინგვისტურ მოვლენას შორის. ამიტომ საუკეთესო გამოსავალი ასეთ დროს არის მოცემულ კონტექსტში სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის მიწოდება მოსწავლეებისათვის.

ენის დაუფლება ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს უნდა შეეძლოს ენის სრულად ფლობა. მან უნდა გამოიყენოს ინგლისური ენა როგორც საკლასო ოთახში, ისე მის გარეთ. უნდა მივცეთ შესაძლებლობა გაკვეთილის განმავლობაში, გაივარჯიშონ ენა, აითვისონ ახალი მნიშვნელობები, გამოიყენონ რეალურ კონტექსტში. გამოთქმისა და მართლწერის სწავლებასთან ერთად, მოსწავლემ თავად უნდა გამოიყენოს ახალი სიტყვა საკომუნიკაციო აქტივობებში. მხოლოდ მოსმენისა და კითხვის უნარის განვითარება არ იწვევს ენის გამოყენებას რეალურ სამყაროში.

მოსწავლეები ხშირად მიმართავენ მასწავლებლებს რეკომენდაციებისათვის, თუ როგორ დაისწავლონ ახალი ლექსიკა, რა მეთოდს მიმართონ, რა არის პოლისემიური სიტყვების დამახსოვრების საუკეთესო გზა. შეთავაზებული რეკომენდაციებიდან რამდენიმე არის

ბარათების გამოყენება, სიტყვების ხშირი გამეორება, მუდმივი გადაკითხვა ან მრავალჯერ გადაწერა. ამ პრაქტიკის შედეგი არ არის ისეთი პროდუქტიული, როგორც წარმოგვიდგენია. აღნიშნული პროცედურების შემდეგ შესაძლოა, მოსწავლემ ვერ შეძლოს სიტყვის გახსენება, საჭიროების შემთხვევაში. ამრიგად, მასწავლებლებმა უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა მეთოდებსა და სტრატეგიებს მივმართოთ რათა ჩვენმა მოსწავლეებმა შეძლონ გრძელვადიან მეხსიერებაში შეინარჩუნონ ლექსიკა და საჭიროებისამებრ გამოიყენონ.

დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში შეინიშნება დაბალი სიხშირე პოლისემიური არსებით სახელებისა, თუმცა ხშირად არის ერთი და იმავე პოლისემიური სიტყვის ხშირად გამოყენების შემთხვევები. ის ფაქტი, რომ ასეთი სიტყვები მაღალი სიხშირით არ არის გამოყენებული დაწყებით საფეხურზე, უბიძგებს მასწავლებელს პოლისემიის ფენომენის უგულვებლყოფისაკენ.

კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, წარმოადგინოს დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის პოლისემიური ლექსიკის სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდი, მეორე მხრივ, შესთავაზოს ინგლისური ენის მასწავლებლებს ახალი სასწავლო რესურსი - პრაქტიკული გაკვეთილის გეგმა დეტალური გზამკვლევით დაბალი კლასებისათვის, თუ როგორ წარმართოს საგაკვეთილო პროცესი აღნიშნული მეთოდით.

ჩვენი კვლევა ფოკუსირებული იყო პოლისემიური სიტყვების ეფექტურად სწავლისა და სწავლების ახალ მიდგომაზე. ექსპერიმენტისთვის შეირჩა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი რამდენიმე არსებითი სახელი (თავი, თვალი, პირი, ხელი, მხრები, კისერი). დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის შეირჩა სემანტიკური კომპონენტებიდან რამდენიმე, რომლებიც მაღალი სიხშირის მნიშვნელობების განვითარების წყაროა და რომლებიც მარტივად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია მოსწავლეებისათვის. მათი კლასიფიცირება მოხდა სამ ძირითად მიმართულებად:

1. ძირითად მნიშვნელობასთან ფორმით მსგავსება;
2. ძირითად მნიშვნელობასთან ფუნქციით მსგავსება;

3. ძირითად მნიშვნელობასთან ადგილმდებარეობით მსგავსება.

ზოგიერთი მნიშვნელობა შეიძლება მოთავსდეს ერთი, ორი ან სამივე მიმართულების ქვეშ. მაგალითად, პოლისებური არსებითი სახელს head აქვს 30-ზე მეტი მნიშვნელობა, რომლებიც რამდენიმე სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე ვითარდება, როგორც ზემოთ ვიხილეთ (თავი 2). განვითარებული მნიშვნელობებიდან ზოგიერთი მნიშვნელობა შეინიშნება დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში, მაგალითად: head of bed, head of school, head of lettuce. (საწოლის „თავი“, ოჯახის „თავი“, სალათის ფოთლების შეკვრა/კომბოსტოს „თავი“) და ა.შ., სიტვა „თავი“-ს მნიშვნელობა head of a pin შეიძლება განთავსდეს როგორც პირველ მიმართულებაში, ისე მესამე მიმართულებაში. რადგან ქინძისთავის თავი, ფორმითაც არის ადამიანის სხეულის ნაწილი „თავი“-ს მსგავსი და მდებარეობითაც, ქინძისთავიც არის რისამე ზედა ნაწილი ისე, როგორც ადამიანის თავი არის სხეულის ზედა ნაწილი.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, როდესაც ამ განხვავებულ მნიშვნელობებს აწყდება სახელმძღვანელოში?! უბრალოდ, მიაწოდოს მოსწავლეს სიტყვის თარგმანი მოცემულ კონტექსტში და ურჩიოს დაზეპირება თუ აუხსნას რატომ ეწოდება ამა თუ იმ სიტყვას „თავი“? გამოყენებული მეთოდებით კვლევამ დაადგინა, რომ ბევრად უფრო ადვილი იქნება მოსწავლეებისთვის ადრეულ ასაკში დაიმახსოვრონ პოლისემიური არსებითი სახელების ეს მნიშვნელობები, თუ გამოყენებულია მსგავსებაზე დაფუძნებული მიდგომა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, დავაკვირდეთ მნიშვნელობას „საწოლის თავი“, მას ეწოდება „თავი“, რადგან ეს სიტყვა მსგავსია ადამიანის სხეულთან, კერძოდ „თავის“ ადგილმდებარეობასთან - არის რაიმეს ზედა ნაწილი ე.ი. ეს მნიშვნელობა გამომდინარეობს ძირითად მნიშვნელობასთან ადგილმდებარეობით მსგავსებისაგან. ოჯახის უფროსს უწოდებენ „თავს“, რადგან ადამიანის თავის ფუნქციაა სხეულის მართვა, ხოლო ოჯახის უფროსის/თავის ფუნქციაა ოჯახის მართვა ე.ი. ოჯახის თავი მომდინარეობს სემანტიკური კომპონენტისაგან თავთან ფუნქციით მსგავსება და ბოლოს სალათის/კომბოსტოს თავს ეძახიან "თავი", რადგან იგი წააგავს ადამიანის სხეულის ნაწილი „თავის“ ფორმას ანუ მესამე მიმართულება - ძირითად მნიშვნელობასთან ფორმით მსგავსება.

ამრიგად, ინოვაციური, მსგავსებაზე დაფუძნებული მიდგომის ეფექტურობის შემოწმების შედეგად, იმედი მაქვს ჩემი ნაშრომი დაეხმარება ინგლისური ენის პედაგოგებს და მათ მოსწავლეებს საქართველოში შეიმუშაონ პოლისემიური ლექსიკის გაგების ეფექტური სტრატეგიები. კვლევა მიაწვდის პედაგოგებს პრაქტიკულ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პოლისემიური სიტყვების აღქმა-გააზრება და პრაქტიკული ატივობებით მათი მათივად დამახსოვრება. მეორე მხრივ, საშუალებას მისცემს, გააცნობიერონ ის, რომ პოლისემია, რომელიც ერთ დროს რთულ გასაგებად ითვლებოდა, გაცილებით მარტივად აღსაქმელია ამ ინოვაციური მიდგომის საშუალებით. პოლისემიური ურთიერთობების ვიზუალიზაციის საფუძველზე, მოსწავლეები ადვილად აღიქვამენ და ინარჩუნებენ ლექსიკას გრძელვადიან მეხსიერებაში.

კვლევის ჰიპოთეზა

ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეები, რომლებსაც ჩაუტარდებოდათ გაკვეთილი პოლისემიური სიტყვების მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით, უკეთესად დაიმახსოვრებენ სიტყვებს და შეასრულებენ პოსტ-ტესტს, ვიდრე საკონტროლო ჯგუფი, რომელსაც იმავე სიტყვებს ასწავლიან თარგმნებზე დაფუძნებული ლექსიკის სწავლების მეთოდის გამოყენებით (TBM).

როგორც კვლევის ეტაპებში განვიხილეთ, აღნიშნული ექსპერიმენტის ჩატარებამდე ინგლისური ენის ოცმა მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო კითხვარში ლექსიკის და პოლისემიის სწავლების სხვადასხვა ასპექტებზე. კითხვარის საშუალებით გაირკვა, თუ როგორ აფასებენ მასწავლებლები საკუთარი მოსწავლეების ლექსიკის ათვისების დონეს და რა მეთოდებს იყენებენ პოლისემიის სწავლებისათვის. გარდა ამისა, გამოკითხვამ ხელი შეუწყო ინფორმაციის შეგროვებას იმ გამოწვევების შესახებ, რომელსაც პედაგოგები აწყდებიან პოლისემიის სწავლებისას.

როგორც უკვე ვთქვით, მოხალისეობის პრინციპით შეირჩა ორი მასწავლებელი რომელმაც სურვილი გამოთქვა ექსპერიმენტში მონაწილეობაზე. ორივე პედაგოგი 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასწავლის ინგლისურს - ეს იყო სწავლის ერთ-ერთი წინაპირობა, რომ

უზრუნველყოფილი ყოფილიყო მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ერთი და იგივე დონე საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებისათვის.

კვლევაში მონაწილეობდა მეექვსე კლასელების ორი ჯგუფი, სულ 52 მოსწავლე. მათი პირველი ენა (language 1 - L1) არის ქართული და 5 წლის განმავლობაში სწავლობენ ინგლისურ ენას სკოლაში. ორივე ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა იყო 26. ჯგუფებში გენდერული განაწილება იყო შემდეგნაირი: ექსპერიმენტულ ჯგუფში 14 გოგონა 12 ვაჟი, ხოლო საკონტროლო ჯგუფში 15 გოგონა და 11 ვაჟი.

ტესტი, საკვლევი სიტყვები და პროცედურა

კვლევა ჩატარდა მსგავსებაზე დაფუძნებული მიდგომის (SBA) ახალი მეთოდის ეფექტიანობის დადგენის მიზნით.

თარგმნებზე დაფუძნებული მიდგომა.

კვლევის პირველ ეტაპზე ორივე ჯგუფში ჩატარდა ტესტირება პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობათა აღქმაზე, ილუსტრირებული არჩევით-პასუხიანი ტესტის საშუალებით (იხ. დანართი 3 - წინარე ტესტის ნიმუში). მოსწავლეებს უნდა ამოერჩიათ სწორი პასუხი ილუსტრაციისთვის თუ რა შეიძლება ეწოდოს ინგლისურ ენაზე ილუსტრირებულ სურათს. ტესტი შედგებოდა 12 არჩევით-პასუხიანი კითხვისაგან. ტესტი ორივე ჯგუფისთვის 10 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. როგორც ექსპერიმენტულმა, ასევე საკონტროლო ჯგუფის წევრებმა ტესტი დაწერეს იმავე დღეს.

ტესტისთვის გამოყენებული სიტყვები იყო: ხელი, თვალი, თავი, ტერფი, მხრები და კისერი. ეს სიტყვები შეირჩა შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, მონაწილეებმა იცოდნენ ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობები, რაც წინაპირობაა მეტაფორული მნიშვნელობების გაგებისთვის, მეორე, ყველა მათგანი მიეკუთვნება პირველ 3000 ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვას, როგორც სალაპარაკო, ისე წერილობით ინგლისურ ენაზე. და მესამე, ეს სიტყვები ხშირად გამოვლენილია ESL დაბალი საფეხურის მოსწავლეების სახელმძღვანელოებში. ადამიანის სხეულის ნაწილები ხშირად გამოიყენება გარე სამყაროს აღწერისათვის. შედეგად, the foot of the mountain-აღნიშნავს მთის ძირს, ხოლო shoulders of the mountain - მთის მხარეებს, გვერდებს.

SBA გამოყენება ექსპერიმენტულ ჯგუფთან.

მეთოდის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ როგორ მიიღება სხვა მნიშვნელობები სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან.

SBA-ს უპირატესობები მოიცავს შემდეგს: მეთოდი საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაინახოს კავშირები სიტყვის მთავარ და გადატანით მნიშვნელობებს შორის, რომლებიც ემყარება მსგავსებას, ამრიგად, ეხმარება მოსწავლეებს ენის ერთიანი სურათის დანახვაში. მეორე, ის ეხმარება მოსწავლეებს იმის გაგებაში, თუ როგორ ვითარდება სიტყვების სხვა მნიშვნელობები ძირითადი მნიშვნელობებისაგან. მესამე უპირატესობა ის არის, რომ SBA-ის გამოყენება საშუალებას აძლევს შემსწავლელებს გააცნობიერონ ფრაზების მნიშვნელობა, რომელთაც არ აქვთ ეკვივალენტი L1– ში.

წინარე ტესტიდან ერთი კვირის შემდეგ ჩატარდა გაკვეთილი SBA მეთოდის გამოყენებით ექსპერიმენტულ ჯგუფში. დეტალური გაკვეთილის გეგმა (იხ. დანართი 1.4.) შეიცავს ინფორმაციას გაკვეთილის თითოეულ საფეხურზე. მოსწავლეები პრაქტიკული აქტივობების საფუძველზე გაეცნენ იმ მსგავსებას, რაც პოლისემიურ სიტყვებს აკავშირებს, რომ მათ აქვთ ძირითადი და განვითარებული მნიშვნელობა. გაკვეთილის დასასრულს შემდეგ მოსწავლეებმა დაწერეს შემაჯამებელი ტესტი. მესამე კვირას მოსწავლეებს ჩატარდათ იგივე ფორმატის და სირთულის პოსტ-ტესტი, როგორც მათ შეასრულეს წინარე ტესტის სახით.

საკონტროლო (TBM) ჯგუფი

საკონტროლო ჯგუფის მონაწილეებმაც დაწერეს წინარე ტესტი როგორც აღვნიშნეთ და შემდგომ დაურიგდათ სიტყვების ჩამონათვალი ქართული ეკვივალენტებით. მათ დაევალოთ მნიშვნელობების დამახსოვრება ტრადიციული TBM-ის დახმარებით და გადაეცათ სახლში დასამახსოვრებლად. სია შედგებოდა 20 სიტყვისაგან, რომლებიც გამომდინარეობდნენ არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობიდან.


ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ძნელია გახსოვდეს პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები იმავე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობათა შორის არსებული კავშირების აღქმის გარეშე. ლექსიკის ცოდნა შემოწმდა მეორე დღეს და ხელახლა გადამოწმდა მომდევნო კვირაში.

ორი კვირის შემდეგ ჩატარდა შემდგომი ტესტი (იგივე ფორმატში და იგივე სირთულის, როგორც წინარე ტესტი).

მეთოდი

გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემთა ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენების მიზეზი იყო პირდაპირი ანალიზის პროცესისა და მცირე მასშტაბის მონაცემების თავსებადობა. თვისებრივი მიდგომა საუკეთესო საშუალებაა ერთი და იგივე საკითხთან მიმართებაში სხვადასხვა დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, კვლევაში ასევე გამოყენებულია რაოდენობრივი მიდგომა, რადგან, იგი გვაძლევს მონაცემთა განზოგადების საშუალებას.

მოცემული მეთოდის გამოყენებით მოხდა სწორი და არასწორი პასუხების იდენტიფიცირება ტესტებში და მათი შედარება პოსტ-ტესტის შედეგებთან. ტესტის დავალებები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	<ul style="list-style-type: none">a) An arrow of a clockb) A hand of a clockc) A stick of a clock
---	---


ფიგურა 30. წინარე ტესტის ნიმუში.

შედეგები

წინარე ტესტში საკონტროლო ჯგუფმა საშუალოდ სწორი პასუხები გასცა 4-ზე მეტ შეკითხვას 12-დან ($M = 4.56$, $SD = 1.31$). სწავლების ტრადიციული მეთოდის გამოყენების შემდეგ, პოსტ-ტესტში საშუალოდ, 8-ზე მეტ შეკითხვას უპასუხა სწორად ($M = 8.85$, $SD = 1.73$).

წინარე ტესტში ექსპერიმენტულმა ჯგუფმა სწორად უპასუხა 4-ზე მეტ შეკითხვას ($M = 4.52$, $SD = 1.19$), საკონტროლო ჯგუფის მსგავსად. მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდის

გამოყენების შემდეგ, საშუალოდ, თითქმის 11 შეკითხვას უპასუხა სწორად პოსტ-ტესტში ($M = 10.93$, $SD = 2.07$). შედეგები ვიზუალურად შეგვიძია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (იხ. ფიგურა 31)



ფიგურა 31. წინარე ტესტისა და შემდგომი ტესტის შედეგები.

სულ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაწილეობა მიიღო 11-12 წლის ასაკის, 52-მა მოსწავლემ, 23 ვაჟი და 29 გოგონა. წინარე ტესტის საფუძველზე საკონტროლო ($M = 4.56$, $SD = 1.31$) და ექსპერიმენტული ($M = 4.52$, $SD = 1.19$) ჯგუფების შედეგები თითქმის იგივე იყო.

კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემების საფუძველზე, ექსპერიმენტულ ჯგუფში ლექსიკური უნარის დახვეწა უფრო მაღალია ($M = 4.52$ 10.93), ვიდრე საკონტროლო ჯგუფში ($M = 4.56$ 8.85). ორივე ჯგუფში სტანდარტული გადახრა შედარებით მაღალია, რაც ცხადყოფს ლექსიკის უნარის ჰეტეროგენულ დონეს ორივე ჯგუფში. პოსტ-ტესტის ორივე ჯგუფში სტანდარტული გადახრა გარკვეულწილად გაიზარდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პოლისემიასთან გამკლავების ორივე მეთოდი ჯგუფში ყველა მოსწავლისათვის თანაბრად ეფექტური არ არის. საკონტროლო ჯგუფში შესაძლოა დაზეპირების მეთოდი იყოს ეფექტური რომელიმე მოსწავლისათვის, მაშინ როცა ექსპერიმენტულ ჯგუფში ინტელექტუალური დონე შეიძლება იყოს ძალიან მაღალი, ზოგი მოსწავლისათვის, ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ SBA არის მთლიანობაში ეფექტური, შეიძლება იყოს ძალიან რთული (ყოველ შემთხვევაში, ამ ექსპერიმენტში)

ზოგიერთი მოსწავლისათვის. იმის დასადგენად, აქვს თუ არა მიღებული შედეგებს სტატისტიკური მნიშვნელობა, მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარდა T-ტესტი SPSS-ის სტატისტიკური პაკეტის დახმარებით. რის შედეგებმაც აჩვენა მეთოდის ეფექტურობა.

მიღებული შედეგების შეჯამებისთვის საკონტროლო ჯგუფმა საშუალოდ სწორად უპასუხა წინარე ტესტის 38%, და პოსტ-ტესტში 74% (ზრდა 36%). ექსპერიმენტულმა ჯგუფმა საშუალოდ უპასუხა პრეტესტში დასმულ კითხვებს 37.7% სწორად და პოსტ-ტესტში 91% (ზრდა 53%). ამრიგად, კვლევის შედეგებმა დაადგინა, რომ SBA უფრო ეფექტური იყო, თუმცა, TBM-მ ასევე შედეგი გამოიღო. ამასთან, საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეები ხშირად ვერ იხსენებდნენ სიტყვების განმარტებებს, რადგან მათ უბრალოდ ახსოვდათ ეს სიტყვები, მათი წარმოშობის გზების ცოდნის გარეშე.

რომ მოვიშველიოთ კვლევის ჰიპოთეზა, ორი ტიპის ინსტრუქციის შედეგად მიღებული შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის მონაწილეებმა გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენეს პოსტ-ტესტში, რომელიც გამოყენებული იქნა მსგავსებაზე დაფუძნებული მიდგომისა და თარგმანზე დაფუძნებული მიდგომის ეფექტურობის დასადგენად, საკონტროლო ჯგუფის თანატოლებთან შედარებით. ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების შედეგებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ამტკიცებს, რომ კვლევის ჰიპოთეზა დასტურდება. ექსპერიმენტული ჯგუფის მიერ მიღწეულ უკეთეს შედეგებს რამდენიმე ფაქტორმა ხელი შეუწყო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. კვლევაში გამოყენებული სიტყვების წინარე ცოდნა;
3. სიტყვის მნიშვნელობათა კავშირების გაგება სიტყვის ძირითად მნიშვნელობათან;
4. პოლისემიური სიტყვის ბუნება, კერძოდ ის, რომ პოლისემიური მნიშვნელობები ავლენენ მსგავსებას სხვადასხვა ასპექტებით; და
5. SBA-ს ეფექტურობა.

ნაკლოვანება

კვლევა ჩატარდა მხოლოდ ორ ჯგუფთან, იმისათვის, რომ მივიღოთ მეტი დამადასტურებელი შედეგი, სასურველია დამატებითი კვლევების ჩატარება სხვა სკოლებშიც.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში გამოვიკვლიეთ ორი სახის მსგავსებაზე დაფუძნებული მიდგომისა (SBA) და თარგმანზე დაფუძნებული მეთოდის ეფექტურობა, ინგლისური პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების პროცესში. თუ როგორ აღიქვამდნენ პოლისემიური არსებითი სახელების მნიშვნელობებს დაბალი საფეხურის მოსწავლეები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ექსპერიმენტი მეექვსე კლასის ორ ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფთან, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა SBA– ს ეფექტურობა ლექსიკის ათვისების პროცესში და მისი უპირატესობა TBM– ს მიმართ. ექსპერიმენტის შედეგებმა გამოავლინა, რომ ინოვაციური მეთოდი, რომელსაც მსგავსებაზე დაფუძნებულ მიდგომას ვუწოდებ, ლექსიკის სწავლისა და შენარჩუნების პროცესში უფრო ეფექტურია, ვიდრე დასწავლის ძველი ტრადიციული მეთოდი.


დასკვნის სახით, კვლევის პერსპექტიული შედეგები საშუალებას მამლევს, შემოგთავაზოთ სწავლების ეს ახალი მეთოდი, რომელიც შესაძლოა მომავალში წარმოადგენდეს ლექსის სწავლების ერთ-ერთ წარმატებულ გზას. პოლისემია უდავოდ არის ენის ფასდაუდებელი საგანძური, რომელიც მეტყველებს ენის გამოყენების გაგების დონეზე. თვალი არ უნდა დავხუჭოთ, როცა ვხვდებით, რომ მოსწავლემ ვერ აღიქვა პოლისემიური მნიშვნელობა, პირიქით, უნდა ვეცადოთ, თვალი მასაც ავუხილოთ, რათა უკეთეს შედეგებს მიაღწიოს სწავლის პროცესში.

ექაპი 8 - ონლაინ-რესურსის შემუშავება.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ონლაინ-მასალების შემუშავება, სადაც ვსაუბრობ პოლისემიაზე, სემანტიკურ კომპონენტებსა და მნიშვნელობებს შორის კავშირზე. მასალას აქვს საკმაოდ დიდი გამოხმაურება. იგეგმება 10 ასეთი რესურსის მომზადება.

რესურსი 1

https://www.youtube.com/watch?v=pGwaHXKfoW8&feature=share&fbclid=IwAR2o-ZDSSLH0a1DFbS554WYhY7N-ee-pBII8gV7rx_i75s0HDAG6iCMIgx0



ფიგურა 32. ონლაინ რესურსი - ვიდეორგოლი "როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები დაბალ კლასებში".

21-ე საუკუნე წარმოუდგენელია Facebook-ის გარეშე. ჩემ მიერ შემუშავებული ელექტრონული ვიდეო-რესურსი, რომელიც აიტვირთა სოციალურ ქსელში მუდმივ დაინტერესებას იწვევს როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. კომენტარების გრძელი სია ადასტურებს მეთოდის ეფექტიანობას.



ნუბაძე მათე This was great lesson, I got many information: the meaning of polysemy, new way to memorise different meanings of words, etc. this way is much comfortable and easier. I think, that if there will be more different and harder quiz, it will help us to understand better. thank you 🙏

Like · Reply · 2w



Ketevan Ghvania ენის სწავლების კომპლექსური მიდგომა.ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო თემაა. 🍌❤️

Like · Reply · 3w



Annamaria Kotadze Both of your lessons that I watched about polysemy, were very useful and interesting!

Like · Reply · 3w



Anahit Dilbaryan It was very effectively explained that what is polysemy. I enjoyed it and this lesson was very interesting. Thank you ❤️

Like · Reply · 3w



Lusi Hakobyan Thank you for interesting lesson ❤️ it was really very useful and pleasant.

Like · Reply · 3w



David Beridze I had no idea what the polysemy was 10 minutes ago, though now it's clear for me. And the ways of memorizing different meanings of one word are quite effective. I just wonder Do those three types of grouping work for all the polysemys? Or are there any exceptions and other ways of clustering definitions of the same words.

ფიგურა 33. კომენტარები ვიდეორგოლზე სოციალური მედიიდან Facebook-ი.

რესურსი 2

<https://www.youtube.com/watch?v=XN8dAoTQji8&feature=share&fbclid=IwAR0cP31rXtMBjP92n-OIPO4NduBWvhami-eN6LpfqX3df-5pzpn95nNbPs>

YouTube Search

Semantic Components

1. Being the division of the human body
2. Being the seat of intellect
3. Being means of measurement (size of a head)
4. Happening in the head
5. Being the upper part of smth.
6. Having the function of a head
7. Resembling the shape of a head
8. Growing from a head
9. Being the place where head rests
10. Being the seat of life
11. Being the front part of smth.

Polysemy Head part 1 quick lesson for advanced learners from Tiko Vardidze

ფიგურა 34. ონლაინ რესურსი, ვიდეორგოლი - "როგორ ვასწავლოთ პოლისემიური არსებითი სახელები მაღალ კლასებში".

Mariam Sandroshvili Thank you so much for sharing such highly-practical strategies and giving us insightful understanding of how to use the polyseme word 'head' in many different contexts... Effective teachers like you, are the most important factor contributing to student achievement!

Like · Reply · 3w

David Beridze I tried this method on different polysemous words, it works effectively, though some unfamiliar words are a bit difficult and need some awareness of the methods and its engines, but after some practicing i suppose it will eventually become easier. Otherwise the way of memorizing and understanding the mechanism is practical

Like · Reply · 3w · Edited 1

ფიგურა 35. კომენტარები ვიდეორგოლზე სოციალური მედიიდან Facebook-ი.

3.2 დასკვნა

1. მესამე თავში წარმოდგენილია ჩემ მიერ პოლისემიურ არსებით სახელებზე ჩატარებული კვლევის გამოყენებითი მხარე. კერძოდ, ჩემ მიერ აღწერილი და გაანალიზებული მოდელების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში, პოლისემიური სიტყვების სწავლების გაადვილების მიზნით. მე ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რომ ენის სწავლების მეთოდები დაეფუძნოს სამეცნიერო კვლევებსა და თეორიებს. სწორედ პოლისემიური სიტყვის სტრუქტურაში ჩაღრმავება და სიღრმისეული პროცესების ზედაპირზე ამოტანა, ამ მექანიზმების ჩვენება და ახსნა ახალგაზრდებისათვის ენის სწავლის პროცესში, დაედო საფუძვლად იმ მეთოდს, რომელსაც მე ვუწოდებ მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდი (Similarity based method, SBM). ჩემი მიზანია, შევთავაზო კოლეგებს პოლისემიური სიტყვების სწავლების ახალი მეთოდი. ჩვენ, ESL-ის მასწავლებლებმა უნდა ვეძიოთ სწავლების ინოვაციური გზები, რათა ხელი შევეწყოთ მოსწავლეებს იმაში, რომ გაიმდიდრონ ლექსიკა, მიაღწიონ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც მოიცავს ენის გაგებას და, შესაბამისად, მის სრულყოფილ გამოყენებას ავთენტურ, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. როგორც ამ კვლევით დადასტურდა, მოსწავლეებისათვის ინგლისური სიტყვების ქართული შესატყვისებით უზრუნველყოფა და დამახსოვრების შემდეგ მათი გამოკითხვა არ წარმოადგენს საფუძველს სიტყვების ხანგრძლივად დამახსოვრებისათვის. მოსწავლეებს ადვილად ავიწყდებათ ნასწავლი ლექსიკა თუ არ ხდება მათი ხშირი გამოყენება ან გაგება-გააზრება. გარდა ამისა, ამგვარი მეთოდი სხვაგვარად აჩვენებს ახალგაზრდებს დააკვირდნენ ენობრივ ფაქტებს და იმ პროცესებს, რაც ენაში ხდება, ნათლად უჩვენებს როგორ აისახება სიტყვათა პოლისემიურ მნიშვნელობებში „სამყაროს მრავალფეროვნება და ერთიანობა“.
2. ჩემი აზრით კარგი იქნება, თუ ლექსიკონებში ასევე იქნება გამოკვეთილი ის სემანტიკური კავშირები, რაც არსებობს პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობებს შორის. თავის ბოლოდროინდელ სტატიაში თ. მარგალიტაძემ დეტალურად წარმოაჩინა ოქსფორდის დიდი ლექსიკონის პრინციპი სიტყვის მნიშვნელობის

სწორედ ამგვარი აღწერისა, რასაც მოგვიანებით დაეფუძნა დეფინიციათა ანალიზის მეთოდი (Margalitadze, 2020). ამის შესახებ ის აგრეთვე წერს სტატიაში, რომელიც 2014 წელს გამოქვეყნდა და რომელშიც აღწერილია ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი, ერთგანზომილებიანი მოდელი, ხოლო სტატისტიკის ბოლოს წარმოდგენილია ავტორისეული ვარიანტი როგორ უნდა აისახოს ეს მოდელი სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში. მე სრულად ვიზიარებ ამ მოსაზრებას და ვფიქრობ, კარგი იქნება თუ ეს პრინციპი გატარდება სასწავლო ტიპის ლექსიკონებშიც და არა მხოლოდ დიდ განმარტებით ლექსიკონებში.

3. როგორც ითქვა, ჩატარებულმა კვლევებმა და გამოკითხვებმა გამოავლინა, რომ როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის უცხოა პოლისემია, რომელიც მათ კარგად არ ესმით. პოლისემიის უგულებელყოფა ბევრ პრობლემას ქმნის თარგმნაში, რასაც ხშირად ვაწყდებით. პოლისემიური სიტყვები ხშირად არ არის სწორად თარგმნილი ქართულად, რაც ამახინჯებს ტექსტის შინაარსს და ანაგვიანებს ქართულ ენას.
4. დანართის სახით წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები დაეხმარება მასწავლებელს, გაუმკლავდეს პოლისემიური სიტყვების სწავლების რთულ გზას, რათა დაეხმაროს საკუთარ მოსწავლეებს გაიაზრონ და საერთო სურათის დანახვით აღიქვან გარეუბრივი სამყარო ენობრივ სტრუქტურაში. წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმების საშუალების მასწავლებელი შეძლებს მარტივად აუხსნას, დაანახოს მოსწავლეს კავშირები სიტყვის მნიშვნელობებს შორის, თუ როგორ ვითარდება ესა თუ ის მნიშვნელობა და რატომ ხდება სახელდება ძირითადი მნიშვნელობის საფუძველზე. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს მაღალსიხშირული პოლისემიური სიტყვების მყარად დამახსოვრებას ენის შემსწავლელის მიერ. ჩემ მიერ ჩატარებულმა არაერთმა გაკვეთილმა, სასკოლო ექსპერიმენტმა, გამოკითხვებმა მკაფიოდ დამანახა ამ მეთოდის ეფექტურობა. ვაპირებ მომავალშიც გავაგრძელო მუშაობა ამგვარი რესურსების შექმნაზე და მასწავლებლებისთვის შევიმუშავო სრულყოფილი გზამკველი აღნიშნული მეთოდის ეფექტურად გამოყენების მიზნით.

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, სიტყვის მნიშვნელობის კვლევის ძირითადი მიმართულებები, პოლისემია და პოლისემიასთან დაკავშირებული პრობლემები, თეორიები სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურის შესახებ, თ. მარგალიტაძის მიერ აღწერილი პოლისემიის უნივერსალური მოდელები, ასევე კვლევის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მნიშვნელობა არის ამა თუ იმ ნიშანთან დაკავშირებული კონცეპტი, ცნება. კავშირი სიტყვასა და მის მიერ აღწერილ საგანსა თუ მოვლენას შორის არ არის პირდაპირი, რადგან სიტყვასა (ლექსიკურ ერთეულს) და დენოტატს შორის არის ცნება (designatum). სიტყვის მნიშვნელობა ასახავს არა საგანს თუ მოვლენას, არამედ ჩვენს წარმოდგენას ამ საგანსა თუ მოვლენაზე. ამავე დროს ცნება არის მოცემული ენობრივი კოლექტივის წარმოდგენა გარე სამყაროს ამა თუ იმ სეგმენტზე. სწორედ სიტყვის მნიშვნელობის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ცნების თავისებურებიდან გამომდინარე, ყოველი ენა სამყაროს თავისებურად ანაწევრებს.

ლ. ზგუსტას კვალდაკვალ, სიტყვის მნიშვნელობაში გამოვყოფთ სამ კომპონენტს: დენოტაციური მნიშვნელობა, კონოტაციური მნიშვნელობა და მნიშვნელობის გამოყენების არეალი (the range of application).

სიტყვის მნიშვნელობის კვლევა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით განვითარდა.

ა) ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა მოიცავს პერიოდს 1830 წლიდან 1930 წლამდე. მის მნიშვნელობაზე საუბრისას გეერარტსი (2010) ყურადღებას ამახვილებს ორ ფუნდამენტურ ცნებაზე, რომელიც უმნიშვნელოვანესია ლექსიკური სემანტიკის ისტორიაში. პირველი: ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა ხაზს უსვამს მნიშვნელობის დინამიკურ (განვითარებად) ბუნებას. მნიშვნელობა არ არის უცვლელი, ის იცვლება მოულოდნელად და რეგულარულად ენაში არსებული თუ წარმოქმნილი გარემოებების და კონტექსტების გათვალისწინებით. მეორე: ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა იკვლევს ენისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების

საკითხს და ხაზს უსვამს მნიშვნელობის ფსიქოლოგიურ ასპექტს. სემანტიკური ცვლილებების კლასიფიკაციები არის ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკის მთავარი ემპირიული შედეგი.

ბ) შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო სტრუქტურალისტური სემანტიკა. სტრუქტურალიზმის ცენტრალური იდეა არის ენის ერთიან სისტემად და არა სიტყვათა უბრალო სათავსად განხილვა. ბუნებრივი ენები წარმოადგენს სიმბოლოთა სისტემებს ინდივიდუალური პრინციპებითა და თავისებურებებით. სწორედ ეს პრინციპები და თავისებურებები განსაზღვრავს თუ როგორ ფუნქციონირებს ლინგვისტური ნიშანი, როგორც ნიშანი. ლექსიკური ერთეულების ფორმა ზოგადად სრულიად პირობითია და სწორედ ნიშნის ეს პირობითობა უბიძგებს ლინგვისტს აღწეროს ენა, როგორც წესების პირობითი სისტემა. ამრიგად, ენის არსი მდგომარეობს მის პირობითი ავტონომიის მქონე სიმბოლოთა სისტემად განხილვაში.

სტრუქტურალისტურმა აზროვნებამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ლექსიკურ სემანტიკაზე. სტრუქტურალისტურმა აზროვნებამ სემანტიკურ ცვლილებებზე ფოკუსირებული ყურადღება სინქრონული ფენომენის აღწერაზე გადაიტანა და აქცენტის გადატანის პროვოცირება მოახდინა სემასიოლოგიურიდან ონომასიოლოგიურ კვლევაზე. ანუ აღიარებულ იქნა, რომ ენა არ წარმოადგენს სიტყვების არასტრუქტურირებულ გროვას, არამედ არის სხვადასხვა სახის სემანტიკური კავშირებით ურთიერთდაკავშირებული გამონათქვამების ქსელი.

გ) კოგნიტიური სემანტიკა წარმოიშვა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როგორც კოგნიტიური ლინგვისტიკის ნაწილი. ეს იყო თეორიული მოძრაობა, რომელიც დაუპირისპირდა გრამატიკის ბატონობას და სემანტიკის მეორეხარისხოვან მდგომარეობას ენის გენერატივისტულ თეორიაში. დესკრიფციული ლინგვისტიკა ენის ლექსიკურ დონეს პერიფერიულად მიიჩნევდა ათწლეულების განმავლობაში და ძირითადი აქცენტი ენის ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემების აღწერაზე ჰქონდა გადატანილი. უფრო მეტიც, ამ მიმართულების წარმომადგენლები ლექსიკას საერთოდ არ მიიჩნევდნენ ლინგვისტიკის ნაწილად.

გეერარტის მიხედვით კოგნიტიურმა სემანტიკამ სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში შემდეგი ოთხი მიმართულებით შეიტანა წვლილი:

- კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპური მოდელი;
- კონცეპტუალური მეტაფორისა და მეტონიმის თეორია;
- იდეალიზებული კოგნიტიური მოდელები და ფრეიმების თეორია;
- კოგნიტიური სემანტიკის წვლილი მნიშვნელობის ცვლილების შესწავლის საქმეში.

პოლისემიას ჩვენ განვიხილავთ როგორც ენაში რეალურად არსებულ მოვლენას, როდესაც ერთ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. პოლისემია ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ლინგვისტური მოვლენაა, რადგან ინგლისური სიტყვების 40 % სწორედ ასეთია. პოლისემიური სიტყვის სტრუქტურაში გამოვყოფთ ძირითად მნიშვნელობას და გადატანით მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია პოლისემიის გამიჯვნა ომონიმისაგან. როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს პოლისემიური მნიშვნელობები ამა თუ იმ სიტყვისათვის, ისინი თავს იყრიან ერთი აზრობრივი ღერძის გარშემო. ხოლო როცა მნიშვნელობები აზრობრივად დაშორებულები არიან ერთმანეთისაგან და მხოლოდ ბგერითი შემადგენლობით ჰგვანან ერთმანეთს, აქ საქმე გვაქვს ომონიმისათან. პოლისემიური მნიშვნელობები ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ერთმანეთთან, მაშინ როდესაც ომონიმები სხვადასხვა ეტიმოლოგიის სიტყვებია.

პოლისემიის წარმოშობის მრავალი მიზეზი არსებობს. მათგან მნიშვნელოვანია ეკონომიის პრინციპი, როდესაც ერთი სიტყვა გამოიყენება მრავალი ცნების აღსანიშნად. ეს რომ ასე არ იყოს და ყველა სიტყვა მონოსემიური იყოს, ყოველ ენაში მილიონობით სიტყვა იქნებოდა, რაც გაართულებდა კომუნიკაციას. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის აზროვნების თავისებურება დაინახოს მსგავსება საგნებსა და მოვლენებს შორის და ასახოს სამყაროს მრავალფეროვნება და ერთიანობა. პოლისემიის წარმოშობის მიზეზად ქართულ ენაში ასევე ასახელებენ ტაბუს, სემანტიკურ დიალექტიზმებს, ჟარგონს, სიტყვის ტერმინოლოგიზაციას და სხვა.

სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურას ჩვენ განვიხილავთ არა როგორც ჰომოგენურ, ერთგვაროვან წარმონაქმნს, არამედ როგორც რთულ სტრუქტურას, რომელიც მრავალი, იერარქიულად განლაგებული სემანტიკური კომპონენტებისაგან შედგება. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტს კი, ანუ სემას ვუწოდებთ სიტყვის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მინიმალურ, განუყოფელ ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია სიტყვის მიერ გამოხატული ცნების ნიშან-თვისებასთან. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოვყოფთ გვარეობით / კატეგორიულ სემებს, განმასხვავებელ / მადიფერენცირებელ სემებს და დამატებით / პოტენციურ სემებს. პოტენციური სემები აღნიშნავენ სწორედ იმ ასოციაციებს, იმ ნიშან-თვისებებს, რაც შედის სიტყვის ცნებაში / კონცეპტში და რითაც ერთი ენა განსხვავდება მეორე ენისგან. სწორედ პოტენციური სემები განსაზღვრავენ სიტყვის მნიშვნელობის გადატანას.

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები მრავალი აზრობრივი კავშირებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც ქმნის პოლისემიური სიტყვის არქიტექტურას და ყალიბდება სხვადასხვა მოდელეზად: ერთგანზომილებიანი, კიბისებური, ეკვიპოლენტური, შერეული, მზისებრი.

სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის კვლევა შესაძლებელია კომპონენტური ანალიზის ერთ-ერთი მეთოდის მეშვეობით, რომელსაც დეფინიციათა ანალიზის მეთოდი ეწოდება. იგი ეფუძნება განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციების ანალიზს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონს ისტორიულ პრინციპებზე, რადგან აღნიშნული ლექსიკონის მიზანი იყო მოეხდინა სიტყვის მნიშვნელობის გადატანის მექანიზმის ექსპლიკაცია, ეს კი შეუძლებელია იმ პოტენციური სემის გამოვლინების გარეშე, რომელიც არის მნიშვნელობის გადატანის საფუძველი.

პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობათა დასადგენად საჭიროა დიდი რაოდენობით კონტექსტების გაანალიზება. ეს შესაძლებელია კონტექსტუალური და კორპუსული მეთოდების გამოყენებით. ინგლისური ენის კვლევისათვის განსაკუთრებით ეფექტიანია

სკეჩენჯინი, მისი კორპუსები და პროგრამული ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სიტყვის ყველა ლექსიკური და სინტაქსური შესატყვისობა მათი სიხშირული ინდექსების მითითებით.

კვლევის ფარგლებში განვიხილეთ პოლისემიური არსებითი სახელების სამი თემატური ჯგუფი: ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელები, სახის ნაკვთებისა და შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი არსებითი სახელები. ჩატარებული კვლევის შედეგები ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი არსებითი სახელების მაგალითზე: თავი, ხელი, თვალი, პირი და გული. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მზისებრი მოდელი მართლაც უნივერსალურია არა მარტო ინგლისურ, არამედ ქართულ ენაშიც. გამოვლინდა აღნიშნული უნივერსალური მოდელის ორი ქვეტიპი: კლასიკური მზისებრი მოდელი და გრძელსხივიანი მზისებრი მოდელი. მოდელს, რომელშიც პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობის ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ვითარდება ერთი, ორი ან მაქსიმუმ სამი მნიშვნელობა, ვუწოდეთ **კლასიკური მზისებრი მოდელი**. მოდელს, რომელშიც პოლისემიური არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობის ერთი სემანტიკური კომპონენტიდან ვითარდება ოთხი, ხუთი და მეტი მნიშვნელობა, ვუწოდეთ **გრძელსხივიანი მზისებრი მოდელი**.

მზისებრი მოდელის მსგავსი მოდელი აღწერილია ლინგვისტურ ლიტერატურაში და მას რადიალური მოდელი ეწოდება. ეს მოდელი პირველად აღწერა კლაუდია ბრუგმანმა (Brugman, 1988). ანალოგიურ მოდელზე საუბრობს ი. მელჩუკი თავისი თეორიის ფარგლებში (Mel'čuk, 2013). თუმცა არც ერთ ავტორს არ წარმოუდგენია ამ მოდელის ან სხვა მოდელების ისეთი სიღრმისეული ანალიზი, როგორც ეს თ. მარგალიტაძის შრომებშია, არ უჩვენებიათ ის მეთოდოლოგია, რომლითაც შესაძლებელია მსგავსი ანალიზის ჩატარება დაინტერესებული მკვლევრების მიერ. სწორედ ამიტომ ჩვენ ძირითადად მის შრომებს დავყვრდებით და მის მიერ აღწერილი მეთოდით წარვმართეთ მუშაობა.

მზისებრი მოდელი ძირითადად არსებითი სახელისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილებშიც გამოვლინდეს. არსებითი სახელი არის მაიდენტიფიცირებელი სიტყვა, იგი აღნიშნავს საგანს ან მოვლენას, რომელსაც, ჩვეულებრივ ბევრი ნიშან-თვისება აქვს. ამიტომ მისი ძირითადი მნიშვნელობა „მდიდარია“ სემანტიკური კომპონენტებით, რომლებიც ღნიშნულ საგანთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნიშან-თვისებას აღნიშნავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისური ენა ხასიათდება დიდი პოლისემიურობით, რაც გამოვლინდა საკვლევ სიტყვებზე მუშაობისას, თუმცა აღმოჩნდა, რომ პოლისემია საკმაოდ კარგადაა განვითარებული ქართულ ენაშიც.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური არსებითი სახელების ძირითად მნიშვნელობაში, უმეტესწილად, უფრო მეტი სემანტიკური კომპონენტი გამოიყოფა ვიდრე ქართულში. მაგალითად, არსებით სახელი „ხელი“, რომელსაც აქვს 17 პოლისემიური მნიშვნელობა ინგლისურ ენაში, ხოლო 13 ქართულ ენაში, არის 12 სემანტიკური კომპონენტის წყარო ინგლისურ ენაში და მხოლოდ 9 სემანტიკური კომპონენტისა ქართულ ენაში, რაც შედეგად იძლევა მეტ პოლისემიურ მნიშვნელობას კონკრეტული არსებითი სახელისათვის. გამონაკლისია არსებითი სახელი „პირი“ რომელიც გაცილებით უფრო მაღალპოლისემიური აღმოჩნდა ქართულ ენაში, თუმცა ნაკლები სემანტიკური კომპონენტების საფუძველზე (ინგლისურში „პირს“ აქვს 16 მნიშვნელობა და 9 სემანტიკური კომპონენტი, ხოლო ქართულში 25 მნიშვნელობა და 8 სემანტიკური კომპონენტი).

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა არა მარტო მზისებრი მოდელის უნივერსალურობა, არამედ გაგვეცა პასუხი რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე, რაც პოლისემიას უკავშირდება: რა არის პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა? განსაზღვრავს თუ არა მას კონტექსტი? პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა ცალკე მდგომია თუ აზრობრივად არის დაკავშირებული ძირითად ან სხვა მნიშვნელობებთან?

ამ კითხვებზე არის ცალსახა პასუხი ჩატარებული ანალიზის საფუძველზე: პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა არის სრულფასოვანი მნიშვნელობა; იგი

დამოკიდებულია კონტექსტზე იმდენად, რამდენადაც კონტექსტი ახდენს მის რეალიზაციას. კონტექსტი ვერ გამოავლენს იმას, რაც თავად სიტყვაში არ არის, ანუ კონტექსტი ვერ მოახდენს არარსებული მნიშვნელობის რეალიზაციას; პოლისემიურ მნიშვნელობას საფუძვლად უდევს სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები, ძირითადად ესაა პოტენციური სემები, რომლებიც ენებში შეიძლება მსგავსიც იყოს და განსხვავებულიც; პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები არ დგას ერთმანეთისაგან იზოლირებულად, პირიქით, ისინი მრავალი აზრობრივი კავშირებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

განხილული არსებითი სახელები ისეთ უნივერსალურ კატეგორიებს განეკუთვნება, როგორცაა სხეულის ნაწილები, სახის ნაკვეთები, შინაგანი ორგანოები. მათი აღქმა დიდწილად მსგავსი აღმოჩნდა ინგლისურ და ქართულ ენებში, რაც მოსალოდნელიც იყო და სრულიად ბუნებრივია. მაგ. თავი, სადაც ტვინია მოთავსებული, ორივე ენაში ინვითარებს მნიშვნელობას **ჭკუა, ინტელექტი**; ორივე ენაში თავს იჩენს სემანტიკური კომპონენტები: „მართვა“ (ხელის ჩავლები ფუნქციიდან), „რისამე ზედა ნაწილი“ და სხვა. გული, ორივე ენაში ასოცირდება გრძნობებთან, ემოციებთან, სიყვარულთან, რაც მსგავს მნიშვნელობებს წარმოშობს და სხვა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სემანტიკური კომპონენტები, რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა მნიშვნელობებსაც წარმოშობენ საკვლევ ენებში, ან განსხვავებული რაოდენობის მნიშვნელობებს უდებენ სათავეს.

მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ორივე ენაში გამოვლინდა მეტად საინტერესო განსხვავებებიც, რაც მოცემული არსებითი სახელით გამოხატული საგნების განსხვავებული აღქმითაა განპირობებული ინგლისურ და ქართულ ენებში. მაგ., არსებითი სახელების hand და „ხელის“ შედარებისას იკვეთება, რომ სემანტიკური კომპონენტის „ხელთან ფუნქციით მსგავსება“ საფუძველზე, ქართულ ენაში განვითარდა მნიშვნელობა „სახელური“ (დოქის ხელი), ხოლო ინგლისურში, იგივე სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე შეიქმნა მნიშვნელობა „სპილოს ხორთუმი“, ხელის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო. ასევე საინტერესოა, რომ ინგლისურში ხელის ერთ-ერთ ფუნქციად აღქმულია მითითების ფუნქცია, რაც ძალიან ბუნებრივი ასოციაციაა და აისახა

მნიშვნელობაში „ისარი“ (hand of a clock), თუმცა ქართულ ენაში მსგავს სემანტიკურ კომპონენტს და, შესაბამისად, მნიშვნელობას ვერ ვხედავთ.

თავისა და head-ის პოლისემიური სტრუქტურების შედარებისას საინტერესოა, რომ თუ ინგლისელი იტყვის შუბის თავი (head), ქართველისთვის იგივე საგანი არის შუბის პირი (mouth), თუ ინგლისელისათვის არის გემის თავი, ქართველისთვის გემის იგივე ნაწილი გემის ცხვირია. ინგლისელისათვის არსებობს ნემსის თვალი (eye of a needle), ქართველისთვის ის ნემსის ყუნწია; ინგლისელი იტყვის ყველის თვალი, ქართველი კი - ყველის ნასვრეტი, ფორი. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება და ეს მსგავსება-განსხვავებები დეტალურადაა განხილული ყოველ საკვლევ სიტყვასთან.

ასევე საინტერესოა ერთი დაკვირვება: ის, რაც ინგლისურში რეალიზებულია, როგორც პოლისემიური მნიშვნელობა, ქართულში ამ მნიშვნელობას ხშირად ნაწარმოებ სიტყვებში ვხედავთ. მაგ. Hand ინგლისურ ენაში აღნიშნავს: ხელოსანს, ხელოვანს, ქართულში კი იგივე მნიშვნელობები ნაწარმოები სიტყვებითაა რეალიზებული. ასევე მაგ. მეთაური, მოთავე, სათაგო (head) და სხვა.

სწორედ ასეთი ანალიზი და წიაღსვლები ხდის, ჩვენი აზრით, საინტერესოს ლექსიკის შესწავლას და პოლისემიის ანალიზს.

მესამე თავში წარმოდგენილია ჩემ მიერ პოლისემიურ არსებით სახელებზე ჩატარებული კვლევის გამოყენებითი მხარე. კერძოდ, ჩემ მიერ აღწერილი და გაანალიზებული მოდელების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში, პოლისემიური სიტყვების სწავლების გაადვილების მიზნით. მე ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რომ ენის სწავლების მეთოდები დაეფუძნოს სამეცნიერო კვლევებსა და თეორიებს. სწორედ პოლისემიური სიტყვის სტრუქტურაში ჩაღრმავება და სიღრმისეული პროცესების ზედაპირზე ამოტანა, ამ მექანიზმების ჩვენება და ახსნა ახალგაზრდებისათვის ენის სწავლის პროცესში, დაედო საფუძვლად იმ მეთოდს, რომელსაც მე ვუწოდებ მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდი (Similarity based method, SBM). ჩემი მიზანია, შევთავაზო კოლეგებს პოლისემიური სიტყვების სწავლების ახალი მეთოდი. ჩვენ, ESL-ის მასწავლებლებმა უნდა ვემიოთ სწავლების ინოვაციური გზები,

რათა ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს იმაში, რომ გაიმდიდრონ ლექსიკა, მიაღწიონ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც მოიცავს ენის გაგებას და, შესაბამისად, მის სრულყოფილ გამოყენებას ავთენტიკურ, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. როგორც ამ კვლევით დადასტურდა, მოსწავლეებისათვის ინგლისური სიტყვების ქართული შესატყვისებით უზრუნველყოფა და დამახსოვრების შემდეგ მათი გამოკითხვა არ წარმოადგენს საფუძველს სიტყვების ხანგრძლივად დამახსოვრებისათვის. მოსწავლეებს ადვილად ავიწყდებათ ნასწავლი ლექსიკა თუ არ ხდება მათი ხშირი გამოყენება ან გაგება-გააზრება. გარდა ამისა, ამგვარი მეთოდი სხვაგვარად აჩვენებს ახალგაზრდებს დააკვირდნენ ენობრივ ფაქტებს და იმ პროცესებს, რაც ენაში ხდება, ნათლად უჩვენებს როგორ აისახება სიტყვათა პოლისემიურ მნიშვნელობებში „სამყაროს მრავალფეროვნება და ერთიანობა“.

ჩემი აზრით კარგი იქნება, თუ ლექსიკონებში ასევე იქნება გამოკვეთილი ის სემანტიკური კავშირები, რაც არსებობს პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობებს შორის. თავის ბოლოდროინდელ სტატიაში თ. მარგალიტაძემ დეტალურად წარმოაჩინა ოქსფორდის დიდი ლექსიკონის პრინციპი სიტყვის მნიშვნელობის სწორედ ამგვარი აღწერისა, რასაც მოგვიანებით დაეფუძნა დეფინიციათა ანალიზის მეთოდი (Margalitadze, 2020). ამის შესახებ ის აგრეთვე წერს სტატიაში, რომელიც 2014 წელს გამოქვეყნდა და რომელშიც აღწერილია ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი, ერთგანზომილებიანი მოდელი, ხოლო სტატიის ბოლოს წარმოდგენილია ავტორისეული ვარიანტი როგორ უნდა აისახოს ეს მოდელი სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში. მე სრულად ვიზიარებ ამ მოსაზრებას და ვფიქრობ, კარგი იქნება თუ ეს პრინციპი გატარდება სასწავლო ტიპის ლექსიკონებშიც და არა მხოლოდ დიდ განმარტებით ლექსიკონებში.

როგორც ითქვა, ჩატარებულმა კვლევებმა და გამოკითხვებმა გამოავლინა, რომ როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის უცხოა პოლისემია, რომელიც მათ კარგად არ ესმით. პოლისემიის უგულებელყოფა ბევრ პრობლემას ქმნის თარგმნაში, რასაც ხშირად ვაწყდებით. პოლისემიური სიტყვები ხშირად არ არის სწორად თარგმნილი ქართულად, რაც ამახინჯებს ტექსტის შინაარსს და ანაგვიანებს ქართულ ენას.

ლექსიკა ენის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ლექსიკის ეფექტურად სწავლა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ენის წარმატებით გამოყენებას. ყველა ენაში შეინიშნება სიტყვების კონკრეტული მარაგი რომელიც ქმნის ენის ბირთვს, სწორედ ამ ბირთვს განეკუთვნება სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები. ლექსიკის სწავლების უამრავი მეთოდი თუ სტრატეგია არსებობს. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში პედაგოგები დაუღალავად მიმართავენ ლექსიკის სწავლების სხვადასხვა გზებს, თუმცა ნაკლებად შეინიშნება მეთოდები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს პოლისემიური სიტყვების ეფექტურად დასწავლის პროცესში. ჩვენი კვლევა უპირატესობას ანიჭებს ლექსიკის სწავლების პროცესში სემანტიკური კავშირების გამოყენებას. სიტყვები განცალკევებით არ დგანან ენის ერთიან სტრუქტურაში, ერთმანეთს სხვადასხვა მიმართებებით უკავშირდებიან. ნაშრომში წარმოდგენილი მაგალითები, ილუსტრირებული მოდელები მოსწავლეს დაეხმარება სიტყვის მნიშვნელობათა ერთიანი სურათის აღქმაში. ჩვენ მიერ განხორციელებული პრაქტიკული ღონისძიებები ამტკიცებს პოლისემიური სიტყვების სწავლების ახალი მსგავსებაზე-დაფუძნებული მეთოდის ეფექტიანობას, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ეცნობა არსებითი სახელის პოლისემიური მნიშვნელობების სემანტიკურ სტრუქტურას და სიტყვების მნიშვნელობათა კავშირების გაგება-გააზრების მეშვეობით მარტივად იმახსოვრებს სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობას.

